

114
1930/2



მნათობი

1

საბავარებელით გამოცემა
თბილისი 1930

K.

პბილუტტაჩიშთ ვაჟლა ქვეყანა, რეპობლიკა

მეცნიერული
ბიბლიოთეკა

მნათობი

1

ყოველთვიური მხატვრულ დიქერაფურადი
მეცნიერულ ჰაბლიცისცური უყრნადი


ჩელიჩაღი შაშვილი

ნაგვარი

სახაიბნიშო ბამოაშაბიბა

აბიისი 1930

სახაიბნიშო
ბამოაშაბიბა
სახაიბნიშო
ბამოაშაბიბა



მხატვრული ლიტერატურა

საქართველოს
ბიბლიოთეკა

პ ა ს ი უ ი ზ ე მ ი

„მეშათა კლასის ყინვაზე გაცურების ერთი ფორმათაგანს არის პაციფიზმი და მშვიდობიანობის აბსტრაქტიული ჭადაცება. კრიტიკალიზმთან, განსაკუთრებით მის იმპერიალისტურ სტადიაზე რამები ადვილდებოდა. ეზლანდელ დროში მშვიდობიანობის ჭადაცებას, თუ მას თან არ ახლავს მოწოდება მასების რევოლუციონური მოქმედებისაკენ - შეუძლია მხოლოდ ილიუზიების თესვა, გაბრწვნი პრაღატარიატისა, ბურჟუაზიისადმი ნდობის შთაგონება და მეომარ მხარეთა საიდუმლო დიპლომატიის ზელში მისი სათამაშოდ გადაქცევა“.

ლ 6166.

„პირველი მსოფლიო ომიდან 14 წლის გასვლის შემდეგ, იმ ომიდან, რომელმაც დაზადა პირველი სოციალისტური რევოლუცია, კომინტერნი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მემშენსა და გლეხებს - მოემზადონ, რათა მომავალი ახალი მსოფლიო ომი გადაიქცეს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციად“.

კომინტერნის მე-VI კონგრესის მოწოდებებიდან

მიწას კვლავ ეფინება
როგორც ვზა და დროება
იმპერიალისტური
ომის საშიშროება,
წამოვიდენ ღრუბლები
მრისხანე და საზარი,
ილესება დანებად
რკინა უზარმაზარი,
მოაქვს სისხლის შორევი
და სიკვდილის მონება
უძლეველი ტენიკის
მწარე გამოგონებას,
რათა სარტანიურტი
ცვლით მიწა ათიბოს,
რათა ასისხლებული
მზრები მოიქათიბოს,

მოსპოს, გაიანდგუროს
რაღ ქურა და ძნებია
რაღ კი მრავალი წლოებით
შრომას უშენებია.

იყო საღამო სუსხიანი,
ჩუმი, ფარული,
ელექტრონებით გააჩალეს
მღუმარე კლუბი.
სხედან, ბაქქარას თამაშობენ
სულ-განაბული,
მაგიდასთან სდგას ხან ერთი, ხან
მეორე ჯგუფი.
აქ თვითიველი მხოლოდ ჩუმი
მოქალაქეა.

აქ თვითეულის გულში ერთი
ფიჭრი ტრიალებს.
ნაბად-გადაკრულ კარებს აღებს
ძველი ლაქია,
მუნჯ საკიდებზე ეს კარებიც
ნულა სრიალებს,
ფანჯარა, ფარდა და დარაბაც
ყრუა და წუნარი.
ფეხის ხმის ახშობს ხალიჩები
და ნობი ხშირი.
ისევ გველური მიპარებით
იღება კარი
და, დემონივით, ამ ლექსების
შემოდის გმირი.
გმირა— როგორი! მოიარა
მრავალი მხარე,
ბევრი იღუპალ კვალში სდევდა
და ვერ მისდია,
თვი ხან ერთს და ხან მეორე
მუდამ ვლყარე
ნიღაბს იტარებს!—გაიცანით,
პატიფისტია.

როცა მსოფლიომ დაჰკარგა ქუა
და ძირს დაჰქანდა,
გაზარჯვებული დადგა ბურჯუა
და აქაქანდა:
„უკანასკნელი არის ეს ომი
უკანასკნელი!
განა ვისწესთვის ვართ
ცუდის მდომი—
ასე ვართ ბნელი?
არა! ომისთვის გამოგვყავს სოლო
და ვიწვევთ ტომებს
რომ საშუდავით მოეღოს ბოლო
ყოველგვარ ომებს!“
თავის მტაცებლურს
და ბოროტ ზრახვას
ფარაუდა ასე—
თანაც ლესაედა უნდობარ ლახვარს
სისხლიან ქვაზე.

და ერთხელ კიდევ მწარედ დალანდა
ნათელი აზრი
მასსისი, რომელსაც ვერც კი ვხედა
ომის სიმკაცრე.
„დავიარსოთო, სჯობს, ერთა ლივა—
აწ დროა, მგონი!“
სიტყვებს ჩაურთავს შივა და შივა
ვეუდრო ვილსონი.

გვიან არის, ჩადგა მთეარე
ღამის ყრუ საათია,
კლებში მაინც გადამთვრალი
ხალხის მასლაათია.
მასლაათი? არა. ისმის
მხოლოდ კიცხვა, გინება.
— სამუდამოდ ისე როგორ,
როგორ ჩამეძინება...
არ ვიცვლი ფეხს ენევიდან
ღმერთმა დიდხანს მამყოფა,
სანამ თვალით არ ვიხილო
ასეთ დროის დამხობა.
— არ მოვიცვლი ფეხს ქვეყნიდან,
მე არ მიყვარს ხუმრობა,
სანამდე კი შემოჩენია
ჩემი აზნაურობა.
— არ ვიცვლი ფეხს ენევიდან,
დროა გულმოშხამული,
სანამ ჩემად მიმანია
ღირსება და მამული.
— არ მოვიცვლი ფეხს ქვეყნიდან
არასოდეს, ბიძია,
რაკი ერთხელ გენერლობა
ჩემთვის შენ მოგიცია,
— სანამ ხატი კი არსტებობს
სანამ ჩემი ტაძარი...
— ჩემი სკიპტრა და ოლარი
— ჩემი ქვეყნის ნაქარი.
არ მოვიცვლი ფეხს ქვეყნიდან
არასგზით და არასდროს.
გადაჰკარით. ღმერთმა მრავალს
კიდევ მრავალს დაგასწროს,

როგორ მწარე არის ღვინო,
 ალბად წყველამ უწია,
 ღმერთო დასწვი და დაამე
 ცოდვის რეკლიუცია!
 — მაშ ეს ღმერთმა გაუმარჯოს
 კობტი ქოთანს, რომელიც
 გორავს, გორავს და მიგორავს
 მუდამ დაუღვრომელი.
 გორავს, გორავს და მიგორდა
 ნახა თავსახურაფი...
 მე ამნაირ სადღეგრძელოს,
 ნუ, ნუ მიწყენს ნურაფინ.
 — მაშ ეს ღმერთმა გაუმარჯოს
 თვითონ ღმერთის ტარებას
 გაუმარჯოს მისი ჭკუის
 და გონების მარიუფათს,
 ღმერთს, რომელმაც კომუნისტებს,
 მისცა რა მოსავალი
 პური ცოტა მიუტეხა,
 კბილები კი მრავალი“.
 ათას რევას სამოცდაათ
 ზოლიდან
 იმ ადგილას, როგორც ძველი ჭადარი
 აქ ჩამოდგა კონსტანტინოპოლიდან
 ენერგიით დატვირთული
 თათარი.
 მან, რომელმაც მოიარა აფრიკა
 გამეტებით,
 მარტო თავის თანხლებით
 ევროპაში გააშენა ფაბრიკა,
 უმნიშვნელო
 საბრუნაფი თანხებით;
 მან თუთუნის გემოვნება გაიგო
 მან იცოდა სიგარები გაენის
 ბრაზილიის,
 ბორნოსის, იაფის
 მათი გული,
 მათი აფან-ჩაფანი.
 ეს თამბაქო შოკოლადის ფერია
 და ამასაც ფერი ადევს თავგისა
 ბუნებრივი, ყველა მწვენიერია

უცხოამელის ღირსი წვის და დაგვისა.
 მუშტრების წინ ერქვენსული
 არა ერთხელ უქიანს მწიფოსებას
 ყველაფერზე ჭკონდა
 თავის პათოსი,
 ნათელია, მოწითალო, მუქია,
 ამას ფერი
 უჩანს კოლორადოსი.
 ფერად ფოთლით
 სიგარას რომ ფარაფდა
 მან იცოდა მისი ეშხი
 მუნებელი
 ფერი ძალას და სიმაგრეს ჭუარაფდა
 და არ იყო ძალის მარჯვენებელი.
 ამბავი კი
 თითქო მერე იწყება
 თუთუნისას რომ რჩებოდა
 მხილებას,
 იწყებოდა მისი დახარისხება
 რაც ითხოვდა მაგარ გამოცდილებას.
 თუ ფოთოლი
 კიდევ მწარე არ არის
 ის თუთუნი არ იქნება მაგარი,
 გაგაბრუებს გემო მისი ძიმწარის
 ფაბრიკის კარს
 ლუქი გადააყარი!
 სიგარაზე რად არისო პატარა
 უმნიშვნელო,
 მოყვითალო ლაქები,
 იმ სხივიდან
 მზემ რომ გადაატარა
 და ამოსწვა ნამი გადანავები?
 კარგს სიგარას,
 ნამეტნავად გაენის,
 სწვევს ნელო, ბოლი უჯავს მინასა,
 ერთბაშად ხომ მიყრუებულ მარანის
 ძველი ღვინო, როგორც წყალი
 ვინა სეა?
 შემდეგ მათი ბზის კოლოფში ჩაწყობა
 ხუთი, ათი, ოცდახუთი და ასი.
 მძიმე ბეჭდით

მათი შეურაცხყოფა.
 ხარისხის და მოსავლის ბაიასზე.
 მალე ბაზარს მოვევლინა სიგარა
 მობრკვევიალე კოლოფების, ბროლებით.
 კონტრაბანდი ვინ უარტუო? მიქქარა!
 თუთუნს ყიდდენ ყალბი ბანდეროლებით.
 ყიდდენ თუთუნს
 გაცილებით იაფად.
 ბრაზილიის პლანტაციად ჩარიცხეს
 სურნელებით, გემოვნებით, კიაფით
 ყველა იყო—
 უმაღლესი ხარისხის.
 აიღებდა სიგარის ყუთს თათარი
 პერგამენტის ქაღალდებში
 გახვევდა.
 სულ ცოტა და...
 ბანდეროლი მხათ არი
 ვტიკეტს კი ოდნავ შემოახვედა.
 შემდეგ ამ ყუთს გამყიდველთან გზავნიდა.
 იქ მოგლიჯეს პერგამენტის ქაღალდი
 დარჩა ყუთი და სიგარა.
 კონტრაბანდა ექსტრა, ახალთახალი.
 ახალია, ბანდეროლი არა აქვს
 უბაჟოა, სწორედ საზღვარგარეთის
 უთავბოლოდ ნუ მოჰყვება ლაპარაკს
 ვინც არ იცის გემო
 ამ სიგარეტის.
 ეს თუთუნიც ბორნეოდან მოვიდა,
 ამის კიდევ
 სამშობლოა—იაფა.
 Remedios! შენის სიახლოვითა
 კონტრაბანდამ ყველა დაანიია.
 პორტსაიდის,
 ეგვიპტის და კაირის
 ღირსებებზე ლაპარაკი შეტია,
 როს თუთუნის კიდევ ნაირ-ნაირის
 სამშობლო და კერა—
 აფხაზეთია.
 თათარს გული
 სხვამ რამ უნდა გაუთბოს?
 თვის სიგარას, ეხლა საქმე ისეთია,

თავს შეაკლავს და არავის დუთომობს.
 ფაბრიკა აქვს, მხნველნი
 პაციენტია! შიმშილმთქვა

გზად ფრანგ გლეხებს მიესალმუნენ
 პარიზელი სტუმრები,
 იერი აქვთ იმნაირი
 რომ ვერ გაეხუმრები.
 ჩივის მოწყენილობაზე
 მთელი მათი ყრილობა.
 გლეხი ამბობს: ჩვენ არ გვესმის
 რაა მოწყენილობა.
 სიღარიბე, დამცირება,
 ბრაზი, შეურაცხყოფა.
 ჩვენთვის ისე ჩვეულია
 როგორც ჩალის ჩაწყობა.
 მოწყუნა კი... თქვენ გგონიათ
 როცა ხედავთ დანარგავს,
 რომ დღეები სოფლად ყველა
 ერთი მეორესა ჰგავს.
 რომ ვარშემო წყუხარება
 არის პასტორალური,
 სიმშვიდის და მუდროების
 ქარი დაჰქრის ფარული...
 თქვენთვის, ქალაქელებისთვის
 წარმოდგენა ძნელია,
 რომ ყოველი გოჯა მიწის
 მწარე ბრძოლის ველია.
 ო, ნამღვილი ბრძოლის ველი
 მძათრი, დაუცხრომელი,
 სადაც თქვენცა და ბუნებას
 მცხარედ ებრძვის მწრომელი.
 თქვენგნით ჩავრულ ძველი ქოხის
 უცნაური მცხოვრები
 ცდილობს ხელით გამოგვლიჯოსთ
 ყანა და საძოვრები.
 ის სისხლით და ოფლით ებრძვის
 თქვენს მოწყენილ მთქნარებას,
 საუკუნეთ სელაში უცდის
 ერთხელ გამოდარებას.
 და ბუნებას ეომება

მისი ძალა ასევე
 საქონლისთვის ერთი ბლუქა,
 თვისთვის პურის ნამცეცი.
 ამ დროს არა მყუდროება
 და სიმშვიდე ჰქვია,
 მის შუბლს დაღად ამჩნევია
 გამწარების გენია.
 ვაჰ, თუ გოლემი გადახრეკოს
 ასეთ შრომით ნათესი,
 ვაჰ თუ ზეცამ დავატიხოს
 სეტყვა უზვიადესი.
 ან თუ წვიმამ უბოლოომ
 ქაობებში ჩააღბოს,
 ან კალიამ გააფუქოს
 ან სინესტემ დააღბოს.
 ო, ჩვენ ვიცით რომ არ არის
 შუადღის შხით ელვარე
 სოფლად სამუშაო დღეზე
 რამე უფრო მღელვარე.
 რომ დახატო აწაიარი
 ბრძოლის დაუმცხრალობა,
 რაა მწყემსის სალამური
 ან ბუღბუღის ვალობა?
 საჭიროა აქ ორკესტრი
 მშფოთარე და მქუხარე,
 ის გაგიტანს თუ რომ დროზე
 გზას არ გადაუხარე.
 მოწყენისათვის აქ ადგილი
 ერთი მითხარ მართალი,
 სად არის თუ მიწინდრად დგება
 როგორც მთავარსარდალი?
 ზრუნვა დღეზე ზეალინდელზე
 ფიქრი სოფლის დარდებით
 იმ გზებით არ ეშურება
 თქვენ რომ მიემართებით.
 მოწყენა კი, ის მოწყენა,
 თქვენს წიგნში რომ სწერია,
 სოფლის მტერი კი არ არის —
 მხოლოდ თქვენი მტერია.
 მოვა დრო და უსაქმურებს
 გადაქცეულს ჩრდილებად

ეს მოწყენაც შეგეცვლებათ
 სასოწარკვეთილებად

საქონლის
 მისთვის

სათვალეებში მყოფი თვალეები
 ძლევა მოსილთა იმედით — სრული —
 მიდის ქუჩაზე თუმც მოკრძალებით,
 პაციფისტურად
 უღელავს გული.
 იგი ქადაგებს შერთლმსაჯულებას.
 კანონს,
 კომპრომისს და
 მოწყალებას:
 „სულ გადაუდგენ სამართალს და რჯულს,
 ვერ გრძობენ ჭაღის
 ამდენ წვალებას“.
 აქ თვითნებობის დაუხვდა რკალი
 მისცა სალამი
 ღიმილით ზრდილით,
 საღმე შეგებდები — იფიქრა გულში
 რად დავიმღურო ამ სისხამ დილით?
 მას გზაში შეხვდა
 ამაყი კაცი.
 მის წინაც მშვიდით თავი დაჰხარა:
 „უფლება აქვს რომ იყოს ამაყი,
 მისია ბურთი, დაფი, ნალარა“.
 ებლა მას შეხვდა
 უაზრო შური.
 ნათესაურად შურს გაუღიმა:
 როგორ გიკითხო?
 როგორ ბრძანდები?
 რა ამინდია, დარი თუ წვიმა?
 მას შეხვდა, მუშა —
 „რა უზრდელია“!
 პაციფისტს როგორ ეს არ ახსოვდეს
 ცოდვას ის კიდევ
 აპატივებს კაცს
 პროლეტარობას კი —
 არასოდეს!
 მისთვის ცხადია: ხუთივე გრძობით
 სიფუსფუსეში და ქრიაშულში,
 ამინდზე, დარზე ესაღბრო კაცს

და სულ სხვა რამეს
ფიქრობდე გულში.
შემოხვდა გზაში
სიშართლის ძალა
უძლიერესი კლასიურ ისრით,
მას სიციხერის შიართვა ბანგი
და გადაუშვა
სიშართლე კისრით.
შემოხვდა გზაში
ბრძოლები მალი
და როცა სისხლმა მიიღო აზრი,
მან საომარი აიღო ხმალი
და დაიკიდა ხანჯალი ბასრი.
არც ძალადობას უკრთება იგი
და სანატრელი მისთვის ბადეა
სადაც ცბიერი არსებობს ხრიკი
და ერთა ლიგის
დიპლომატია.
და სულს ასეთი ფერით
ნაჭარგავს,
თუმც გაცვეთილი,
ხმელი ნერგია,
ჯერ საბოლოოდ
არ დაუკარგავს
ბოროტი გრძნობა
და ენერგია.

ლონდონი სდუმს. არა აქვს გრძნობა
როგორც სიკაბუტეში.
კატასტროფა, კატასტროფა
და არსაით ნუგეში.
იგი ფიქრობს: „მოსკოვიდან
მწარე წვიმა მასველებს
აი ცნობა, გულს ჩემო,
შენ რომ არ მოვასვენებს“

ამერიკისა
იმგვარ სცემს გული
რომ არ დაიწყებს ძველებურ რომანსს:
გამომიგზავნე, ევროპა, ფული,
ნუ დაიზარებ ქვეყნისთვის შრომას.

კოტა კი უნდა გკონტრუქტუქტუქ
პატივის ცემაც სხვებსაღმშენებელს
რომ არ ჩაიცვა
ტანისამოსი,
ასი წლის წინად
რომ იყო ნოდა.
ახლა არ გშვენის შარაოს კროლა
და მაგიდაზე დაიდაყვება
d'instinction-ი რომელიც მხოლოდ
დაბადებას და აღზრდას დაჰყვება.
ყოველ საღამოს
მოხუცი ქალი
აღბად სდგას სენის ნაპირებს იქით,
დღემ ლილისფერი დახუჭა თვალი
და აელვარდა
აღების კიქით.
არის პატარა, სულმთლად პატარა,
და მთლად შავებით არის მოსილი,
ვინ იცის ბედმა სად არ ატარა
სიდან მოსული?
ეხლა არავის არ უცქერს იგი,
თითქო ვერ ხედავს
ვერაღვის გზაზე.
თითქო არც ხმა აქვს, არც გული უძგერს
ან ეშინია
და ან ვერ ბედავს.
პირველად არ იწერს მონმარტრის კართან
არც თავდახრილი
სდგას გარინდებით,
ვერაღერს ხედავს იმ ფიქრის გარდა
რაც დაიბურა
წლების ბინდებით.
სჩანს, არ ასვენებს რაღაცა აზრი,
რაღაცა მწარე
და საშინელი
წარმოდგენისა მახვილი ბასრი
ცივი და ძნელი.
სჩანს, რაღაც ღრმა და განუქურნელი
გულს მწუხარება
ღრღნის დაფარული
მისთვის არავინ არის მკურნალი.



სახე ნაოკით
 ვადაბარული,
 სჩანს არავისგან ნუგეშს არ ეძებს
 და ვერავისიც
 რამე ნუგეში,
 შწუხარებაში განცდებს ასკეცებს,
 ვერ გადაიფვანს
 სიმსუბუქეში.
 სჩანს არც სიცოცხლე მიაჩნის არიდ
 თუმცა ვინ იცის
 სიცოცხლე მისი?
 ომში მოკლული შვილების ხსოვნამ
 გაანადგურა
 მთელი ხალისი.

ოპერიდან გამოვიდა გვიან,
 ყველა ნახა და ვერავინ ნახა
 კლუბის წევრი ე-ლა აღარ ჰქვიათ
 თუ წაშლილა ნაცნობების საიე?
 ყველგან იყო, სასახლეშიც იყო
 მთავარ ქუჩით გაიარა ნელა.
 ზედ კარებზე მიყრილია თიხა;
 ამომწყდარა, გაიფიქრა, ყველა.
 გამობრუნდა კვლავ იმავე ქუჩით
 თეატრიდან მასსა მოდის ტალღით
 და დარწმუნდა, ზეივნების რუჯით
 რომ აქ მართლა ამომწყდარა ხალხი.
 უცებ ქალის გაახსენდა ბინა:
 ეტლი! ჩქარა! ნიავეა ქარის!
 ცოცხალია კურტიზანი წინა,
 მაშ სიცოცხლეც ეფინება პარიზს.

კვლავ მას უცქერენ გულცივად
 ქუჩის თვალები დიდრონი,
 აქედან, თითქმის ლუფრამდე
 გაწვდილან საკანდიტრონი.
 დადგება. გარს იცქირება
 და ესმის გაუბედავი
 ბავში რომ შეეკითხება
 —ძია, ვის ეძებ ნეტავი?

მან იცის—ვის ეძებს?
 გზაზე ღვარებია
 ქუჩას პაციფიზმი
 გადაფარებია,
 იმის ცრუმღების ღვრას
 ინდივიდუალურს
 თითქო არასოდეს
 მზე არ ყვარებია.
 ეზოში ამობენ შუშას,
 ქარი უმატებს ხუნქვას,
 ჰევირის მეძველე სველი:
 „ტანისამოსი ძველი“.
 ქუჩა უდაბნოს აგავს
 ხვეჭს ტალახსა და ნაგავს
 მეგზოვეთა ცოცხი.
 ასეთი სიცოცხლე,
 სიცოცხლეა განა?
 გათენებოდან თანაც
 მონოტონური დამა
 იღებს და იღებს გამშას
 მოჰკლა, წაიღო ტვინი,
 თითქო მისი სჭირს ღინი.
 რა საშინელი დღეა,
 რა საშინელი სპლინი.

როცა ვარშემო სისხლის მდინარე
 რწყავს ნიადაგებს
 პაციფისტი სდგას გულზელდაკრეფით—
 ასე ქადაგებს:
 მიგეცს ფუტკარს თავშესაფარი,
 და ქარიზხალსაც
 მშვიდი სამყოფი,
 ნუ მოაკლდება ყვავილებს ცვიარი
 და ლალ ფრინველებს
 მწიფე ნაყოფი,
 რომ კიდით კიდე გადმოეთინოს
 ბედნიერების
 და შვების ბადე,
 ყოველ ფოთოლში, ყოველ ბალახში,
 პაციფისტური სული დაჰბადე.

ყენევის პირად მდგარო ტირიფო
გარს რომ გეხვევა

ტალღათა ქაფი,
ორი-ლა ფესვი ძლივსა ვიჭერს
ძლივსა გიმაგრებს
ეს ორი ძაფი.

როს ნიაღვარი დაიჭუბებდა
გეგონებოდა:

მოგკვდი, შწარვა!
მაგრამ გრივალი გადაივლიდა
შენ კი რჩებოდი...

საოცარია!
ებლა ზეფირსაც კი ვერ გაუძღვმ
თუმცა ქარიშხალს
წინად გაუძულ.

მოსწყდა ფესვები, მდინარეს ვაძვეა
დრო უსასოო
და უსაფუძვლო.

ქუხილო, გელით!
შენთან ვიბრძოლებთ,
გამოეჩანე.

ზეირთი დასძარი!
გვახსოვს: დილით მზე
ამოდიოდა.

მყდარი მზე, შენ კი
ამოასწარი!

აუჩქარებლად, დინჯად
დრო-და-დრო

ისმის ბუტბუტი გაძრცენილი ქადრის—
მშვიდობით, იტალია, მშვიდობით.

მშვიდობით, ინგლისო, მშვიდობით!
ცივა, ჰქრის და ტალახი გზაზე
მიფრინავენ წეროები ცაზე,
მშვიდობით, პარიჯო, მშვიდობით!

ქარმა დაჰქროლა, ხე დაარხია
ისევ ფოთლები და ტალახია—
მშვიდობით, ამერიკა, მშვიდობით!

—ცაზე მიდიან წერონი,
• მწკრივად, ჯარის-ჯარადა—.

როგორც სამკუთხი შარადა
სამს კიდევ სამი მოქმედობით,
მშვიდობით, მშვიდობით,
შემოდგომის წეროები!

აპ, შორს გაისმის
ფოთლების ვალსი,
კაფეში:

პაი და პოი-რია,
ვილაც გადაეარდა.
რკალები წყალზე,
რკალები წყალზე,
რკალები წყალზე
ამოირია!

როცა ანტანტა შეუღდა სამხარს
საღამო იყო

ჩემი და სადა,
მათი სტუმარი
გასცქერდა სამირღებს
და უჩვეულო

ძალედა შადა.
როს გაათაფა
ულუფა თავის—

სხვების ულუფას
გაუსვა ხელი.
თვალები მისი

ცქერაი სეავის,
სულ გადაყლაპა
და კიდევ ელის.

ანტანტამ ქვაბებს
მოხადა ქაფი,
წვნიან ქურჭლებით

აივსო ველი,
სტუმარმა თავის
შეხრუპა ქვაბი

ებლა ანტანტის
ქვაბთ მიჰყო ხელი.
გაოცებული

იღდა ანტანტა:
ეს ბუმბერაზი—



ვინ მოერყა?
მაგრამ სცდებოდა
მიუტევებლად.
სტუმარმა მან სთქვა:
ვარ—ამერიკა!

პაციფიზმს აქვს თავის პრესა
მარა რა?

საიღუმლო მასში არის არა რა.
ბარაბანი მისი არ დამშვიდდება,
მწარე ცემით ერთხელ გაიბზარა-რა.
მისთვის მიწას ჯერ სული არ ჰქონია
მისთვის საბჭოც მწარე გასაგონია
გაიგონეთ, მათ სიწრფელეს (მა, ხა, ხა!)
ვითომ აღრჩობს
ცუცხლი და აგონია.
ძალუთ ხმათა სიმართლემდე ატანა?
არა სხვაგვარ ჰქუხს მსოფლიო ორკესტრი
სხვაგვარია ღირიგორი—სატანა!

ევროპა, გასსოვს
რომ გარიგებდნენ:
შენ მწუხარებას არ მისცე თავი.
გზაში შეგხვდება
მერანი ორი—
ერთი თეთრი და მეორე შავი.
თუ მოახერხე
თეთრზე შეჯდომა
არ შეგეშინდეს მისი კისრულის,
ის ფეხით კლდეებს
გადაეჭდობა
შენ—ნათელ მხარეს გადაგისროლის.
მაგრამ თუ შავზე
მოხედი შეცდომით—
საამსოფლიოდ არ ევარგები
მწარედ ინანებ
მასზე შეჯდომით,
სადმე წყვედიადში გადიკარგები.
რომ დაიღუბე
ქვეყანამ იცის
და არავისზე გაბედო ძვირი.
შენ აირჩიე

შავი და ისიც ეროვნულნი
რა მერანი—არადემოკრატიული

ევროპა, როგორ არ იცი,
მიდის ეს მწარე ზამთარი—
ლამის რაინდი—ქოტია,
მგელს ლამე უყვარს ავდარი.
მივაგნებთ იმით ბუნაგებს,
ზაფხული ხალეებს დააგებს,
იკოდუ: ბრიკვის მონაგებს
ისევ ჰქვიანი წააგებს.

გულს ნუ მოიყვან, ჩან-კაი-ში,
გულს ნუ მოიყვან,
დალიე ქვეყნის შესანდობარი,
დრონი მოირლენ...
პირველს საშინლად
დასწვა შეორებ სახე, გვერდები.
გულს ნუ მოიყვან, კეთილო, თორემ
აღრე დაბერდები!

მათ ბევრი ჰყავთ ხელოვანნი,
განა მარტო როდენი?
მათ ახარებსთ სულიწმინდა
და მადონას ლოდინი
ამბობს: შოლოდ გრძნობა მინდა
და მზე მკირეოდენი,
კოტა—ქარის ოდენი,
კოტა—ნეკის ოდენი!

ენაზე აკრავს ხალხი, ნაცია.
დღისით შეხედავ, თითქო კაცია
სხვა არ გეგონოსთ: ერთა ლიგაა
და საიქიოს კომპენსაცია.
ხან რომ შეხედო, ასე გგონია,
მოსკოვი მასთან მონაგონია.
ო, უსათუოდ დემოსტენია,
ო, უსათუოდ ციკერონია.
მადლობა ბედს რომ არა ვართ მათი
ბუკი, ნალარა, ბუბობა, კამათი,
ჩვენ მიგვიზიდავს მომავლასაკენ
სულ სხვა მიზანი და ანდაპატი.

იქ მათი ცხოვრება
 არაფერსა ჰგავს,
 პარიჟი—აბსენტში იღუპავს თავს,
 პარიჟი—თვლის მთვარეებს ცაზე-
 ის ერთი მთვარე
 მეტია ასზე!
 და მთებიც ქინაობს,
 რა უნდათ სატლებს?
 პარიჟი იგერებს
 პოეტებს და ძაღლებს;
 პარიჟი სულ მალე მოიკლავს თავს.
 „გენია“ ღვინოში
 თავს იკლავს, სხეასაც ჰკლავს.

ეხლაც ბევრი სწერს ფერღზე
 გადაყვავებულ ტყემლებს
 უუნებობის მკერდზე
 რომ გადაღვრიდა ცრემლებს.
 თითქო მის ახლო ძველს
 გადატეხილი დაწნა
 და ცისარტყელა სვედის
 იმ თაიგულთან დაზრა.

იმ ერთა ლივას მოხსნეს კარები,
 გადახურული რკინის ყავრებით,
 გიორგობისთვის წვიმებით სველი
 საღდაც მიაგდეს კარები ძველი.
 გაბრაზებითა და გაჯავრებით.
 აბა, ახალი! მაგრამ ახალის
 დაკიდებისთვის კამათი იწყეს,
 ისიც იმ ღობეს გადაახალეს
 ისიც მიაგდეს და შივიწყეს.
 ერთა მშვიდობა იქნება როდის?
 რაკი უკარო შეიქნა სახლი,
 მასში თამამედ მიდის და მოდის
 ყოველი ძაღლი და მამაძაღლი.

ქსენდიც ამბობდა: „ვარსკვლავთა ზევით
 არისო მხარე
 სამოთხისგვარი.
 თავბრულანხვევი როგორც ოცნება,

როგორც სიზმარი.
 ყველა ზვენიანი იყოფილია
 იმ საიდუმლო უცხო მხარეში
 და რომ არ გეტოვებს მის მოგონება
 მიტომ ვდნებითო სიმწუხარეში.
 მაგრამ როგორც კი გავცილდებითო
 ხილული ჭეყნის იდუმალობას,
 გავი, გაპტრება ეს მწუხარება
 და მოგონების უსახო გრძნობა.
 სული ჰპოებსო სულთან სიყვარულს
 და მეგობრობას
 ტკბილ ცრემლითა ფრქვევით
 არ დაფრიდოთ არც ომში სიკვდილს,
 სამოთხე გელისთ ვარსკვლავებს „ზევით“
 ანგვარად ქსენმა ვარსკვლავთა მხარეს
 ზევით და ჭეყვით დიდხანს უარა.
 ქსენდი:
 რაცა ვთქვი ხომ მართალია?
 მასსა:
 ო, გველო! ო, მატყუარა!

მიწას გული აქვს
 მურივით შავი
 მაგრამ მუდმივი
 საწვავით ცელი
 დაატრიანე შავქვამი მკლავი
 იმ გულთან უნდა მივიდეს ხელი.
 აჰ, გული, გული!
 რომოდებს მიაქვს
 მატარებელი მიჰქრის,
 მიჰკივის
 კვამლი ეხვევა ბუჩქებს და ნიავს
 და კვამლი სხივის ფერღლები ღვივის.
 მიაქვთ შავი ქვა
 გემებს შავ ზღვაზე
 ვრიგალში, ქარში,
 ღამეა კრული,
 გემიდან გემზე, სირენას ხმაზე
 ვეროპის ნისლში მისცურავს გული.
 იქ მრავალია
 ჩაგრული, მონა,
 იქაურ გულსაც

დახედა დრომა.

გულს გული იცნობს და ღონეს ღონე
რომ ქვეყნის მეფედ გახადოს შრომა.

თეთრი იდახის: პოი, რუსეთი!

რია მის ფასი?

მკვიდრს კი არ ახსოვს მასსაჩუხეტი,
სწამს შოლოდ კლასი.

გეგონებოდათ, როდესაც სჩანდა
ტრიბუნა ბრძოლით
მთვარის ნატეხი, ბოლიდი ან და
აეროლიტი.

ეხლაც კი თითქო აქ იმისი

მკვეთრი ხმა ისმის:

ვათამამება, ძირს, ინგლისის
იმპერიალიზმის.

ვერობაში

რომ მუშა და ვაჭარი

მიდიოდნენ

შეთანხმებული ქუჩით?

ერთი გმირი

და მეორე ლაჩარი

ერთი დახლით

და მეორე ჩაქუჩით?

მუდამ არის

ერთის დღესასწაული

სიხარულის

სადაც არის პეტრება,

მეორესთვის

შეება და სამკაული

არის შოლოდ

სხვების უბედურება.

ამბობს: ეხლა

აღელვებულ საბჭოებს

რა დააცხრობს! ხედავს

კაცი ვიზრდები

ყველაფერი

თავის რიგზე იქნება

ვიდრე ჩემთან

სდგანან პაციდისტები.

მთებს გახედავ: სიზმარია,
და სიზმარიც მწარეა
ალპებით და გლუტჩერებით
ბრწყინავს შვეიცარია.

აი, სხვათა შორის,

საუბარი ორის,

—ხაფხულის დამდეგია

აყვავილდა მთაბარი.

ლივაც გამოსადეგია

თუ გინდა სთქვა ზღაპარი.

—მაგრამ რა დროს ზღაპარია

და ან რა გვეტახტება,

აწი რაგინდ მაღლა იდგეს

ვერაფერს ვერ გახდება.

—ჩვენი მღვდელიც მაჯერებდა:

ლივა ღმერთის ლანდია.

ერთი შუქიც იმ რწმენისა

ჩემს გულში არ ანთია.

—არ ანთია! უკმარობის

კი ლეივდება საკირე,

მე ხომ ჩვენი აზნაურის

ვიყავ მოჯამაგირე.

—სთქვი, რამდენჯერ მოუმართავს

სიტყვით გამონაკრეფით:

„შენც ბატონი, მეც ბატონი

—ვიყოთ გულხელ-დაკრეფით.

—მოჯამაგირობის ვადა

აგრე როდი თავდება

აგრე დრომაც მოაწია

ყანაც ათავთავდება!

არ გაგიშვებს სიკვდილამდე

ხეწნას რა მოუკია—

თუ სიკვდილმა თავის დროზე

თვითონ მას არ უწია.

—უთქვათ—აეად ხარ მეტის ჯაფით

აბა მშშინ რას შეები

აქეთ მიწა გიდარავებს,

იქით ექიზმაშეი.

—იმეორებს ყოველ

სოფელი და ქალაქი

რომ ჩვენ თავზე თავს ტყე

სწავლობს ყველა დალაქი.

— რა ტვირთები არ ავზიდე

რა ღამე არ ვათიე.

მაგრამ მისგან დახმარება

ძველი ბაიათია.

— ჩვენს სიცოცხლეს სამუდამოთ

ისევე იგი ვანაგებს

ჩვენი შეურაცხყოფისთვის

არსად პასუხს არ აგებს.

— მაშინ ვილას უშველიდა

მათი გადამტერება

ჩვენთვის— მხოლოდ უბედობა,

მათთვის— ბედნიერება.

— არ შეგვეღრის: მათ მამობა

და ჩვენ კიდევ— შვილობა

არასდროს არ მოხერხდება

ჩვენი სიამტკბილობა.

— მთლად ჩამოვხში. მარა რავექნა,

რა მაქვს, რა გამაჩნია.

მემამულეს გატაცება

ლოცებზედაც აჩნია.

— არავითარ შემთხვევაში

არც ხსნა, არც შეღავათი

ჩვენს მინდვრებზე ლერწამია

სტეირს კი უკრავს თავადი.

— სწავლობს, მაგრამ ვციან არის

ბედს დაღად ზედ დაუკრავს

ვინც სიბერის ხანში სწავლობს

საიჭიოს დაუკრავს.

— გიხაფხულნიაც მოაწია

საქმე არის საჩვენო

უნდა თესლი გამონაზო

უნდა მიწაც აჩვენო.

მიაბრუნე, მოაბრუნე

გვერდზე გადაუტანე.

ქეას რომ შემოეჯახება

მოპირული გუთანი.

გუთნით რაა? მარალი

რომ არ არის— ახია

სადაც ბალი არ არსებობს

ბუჩქის ძირიც ბალია.

— ეს ბალი ჩვენ მოვიყვანეთ

ეს გზა, ეს შადრევანი

მას კი ჩვენთვის ეხანება

ყურძნის ერთი მტვეანი.

— გადახედე შემოდგომით

კომშებსა და ბროწეულს.

ყოველივეს ჩვენის ხელით

ჩვენი შრომით მოწეულს.

— ამ ბაღში რაც იპოვება

მემამულის ხვედრია

სხვა ვინა ხარ, საიდან ხარ,

გასწი, გადაეთრიე.

შენ რას ყბედლობ ამ ვაშლებს

ამ ხეხილის მაგიერ

იგი ბაღმა მოიყვანა,

არა მოჯანაგირემ.

— გულუბრყვილო რომელია

თუ რომ სტუმრად ეწვია

საჩუქარი მებადისა

მხოლოდ მკვებ ნესვია.

— იფნის ჯოხს გამოიჭრი

მაგარ კომბალს გაითლი,

ჯოგი თუ არ დაიფრთხე.

ისე როგორ დაითვლი?

სიციფეში ჯოგისა

მოვლა ძლივს გეხერხება,

ზოგი სეტყვით ისპობა

ზოგიც გადიჩხება

ზოგი მგელმა წაიღო

ზოგმა სული დალია

ყველა მოჯანაგირის

უგნურების პრაღია?

ნახირს როცა მირეკავს

და არის ხმაურობა

ერთი რამ აქვს უფასო:

ვირით მოგზაურობა.

— ყველაფერი კერძონია,

ვისი კიდევ? რა ვიცი

სადოვარი ჩვენ არა გვაქვს

არც საღვური თავისი

— ამნაირი ვაწამებთ



სიციცხლეც კი არ გინდა რომ დაბურდა მემამულე ქოფაკივით აღრინდა.

— ენეინა კი ვითომ გულით სპეტაკი და ჩუმი ისე დატკბა თითქო ლბილზე ლბილი აბრეშუშა

— ეხლა შარსაც რომ მოგდებენ: ხუმრობა არ გარგია— ყველში ცხვარის მატყლს რა უნდა თუ მეცხვარე კარგია?

— გათენდება. უცკრად თავზე წამოგადგება და დაგიწყებს გინებას რაც ენაზე ადგება.

გაიღიმებს, მარა რა? გატენილი თოფია. მეგობრობას იმისას ისევე მტრობა სჯობია.

— ერთ ტკბილ სიტყვას გაღირსებს: იყო და გაიარა.

ზამთრის მზეს დავუჯერებ მაგის სიტყვებს კი არა.

— აამაყებს უზომოდ ან შეძლება ან გვარი არის ყოველ სოფელში თითო მაინც ამგვარი.

— ასეთია დღეს მხარე. უფლებია ძლიერის, უმეტესად მაძლარის, არასოდეს მშვიერის.

— რა მშვიდობა არ დამკვიდრდეს და მონობის მივინება მაინც ეს წესწყობილება დანგრეული იქნება.

— ეს მინდვრები წოიარე რომელ კაცს არ შეშურდეს ღვინო არა, პური არა, წყალი რამდენიც გასურდეს.

— შენ დამშვიდდი, ამბავი ძველთა ძველის ძველია

ერთა ღივაც შავათი მუღმივი მფარველი მაგრამ იცი ამგვარი რამე ამ ჩვენს მხარეში ასი ნიალეარი რომ ხედება ერთ მდინარეში? თოფები და ფარები ვადა რაკი დადგება ასი წლით ნატარები ერთ დღეს გამოვადგება, მაშინა სთქვი თუ მტერი დარჩეს გაურიყავი მალე განადგურდება.

შენ გულმაგრად იყავი: „გადივარცხნე ქოჩორი ისე როგორც წესია, დამშეული ჩოჩორიც ცხენზე უსწრაფესია. მალე იგრძნობს ბატონი რომ ხუმრობა ეყოფა, მეხად რომ დაეცემა თავზე ჩენი გლეხობა“.

ალბებში და გლეტჩერებში ბრწყინავს შვეიცარია, მთებს ვახედავ: სიზმარია, და სიზმარიც მწარეა.

მოჰქროდა ქარი სუსხიანი გიორგობისთვის. ვრცელ ტრანშეებზე დასცქეროდა ვრცელი სერები, სანთლის ღერებად ჩარივებულ ოქროობისთვის სალამურებად სისინებდნენ ჩალის ღერები.

გარეულ იხეზე მეოცნებე და სულწასული სდუმდა ბათურა დასერილი ჩალის ფერებით ყვითელ პარკებში აბრეშუმად ცაზე ასული



სულ სისინებდნენ, სისინებდნენ
ჩალის ღერები.
მზის ჩაგორებას ფერი ედო
უცხო სურნელის
ქილოფის ქუდით იყო ველი
და ნაშქრები
როგორც თითები მომაკვდავის
განუკურნელის
ნერვიულობდნენ ჩამომხმარი
ჩალის ღერები.
გაყვითლებული ჯარისკაცის
პედებოდა გრძობა
ის დაჭრილია. რა ამოდ
მას ეფერები.
აგონდებოდა მას ქარხანა,
ღედა, ბავშობა...
და სისინებდნენ, სისინებდნენ
ჩალის ღერები.

ბრწყინავს, მთებო,
ცეცხლისფერი დილა
თვლების ღვარით
მოიღვარა ზვარი,
მიწას ორთქლავს,
იმნაირად თბილა,
მინდვრებიდან
აიზიდა ცვარი.
სულ მცირე რამ,
სულ იოტიც გვარი.
გაშუქება
ღელამიწას ყოფნის
დააბრუნე
ნიჩაბი და ბარი:
მიწის თხრაში
მთიელს ვერვინ სჯობნის.
საქიროა
საძირკელისთვის სილა
თუ გზა უნდათ
გაიყვანონ: არი!
ვაზის ჩაყრა
ხეხილების ცხრილვა

არბების და
გვირაბების ღვარი
პაციფიზმის
სამარისთვის ბარი
საკითხია
არყოფნის და ყოფნის,
დაუნდობლად
მოდის მთელი ჯარი,
მიწის თხრაში
მთიელს ვერვინ ჯობნის.
არქეოლოგს
ხელთ მივეცი თუ წვეილი
ბიზანტიის
დროინდელი მკვდარი
მან ფულეზე
წაიკითხა შლილი
ათასი მზე
და ათასი ქარი.
სთქვა: მესმისო
ვერცხლის ფერი ზარი
შორეულზე
შორეული ჩობნის,
დროთა სვლაში
თუ ის არის მყარი
მიწის თხრაში
მთიელს ვერვინ ჯობნის.
პაციფიზმის
სამარისთვის ბარი
საკითხია
არყოფნის და ყოფნის
ჩვენ კი ვამბობთ
მჯობნის მჯობნი არის
მიწის თხრაში
მთიელს ვერვინ ჯობნის!

ხედავთ, რაგვარად შეამოკლა
რადიომ სიერცე.
ზაგრამ იქ, პარიზს,
ნიუ-იორკს,
ლონდონსა და ვენას,
იმპერიალისტურ
ნმაჩახლეჩილ რადიო სმენას



საესეს მუდმივი
შანტაჟებით და ექსცესებით
რადიო-პოეზია
მასას ათრობს
ასეთი ლექსებით:
მუსსოლინი, მუსსოლინი!
ერთა ლიგის ყოველ დღეში
ჩვენ ვხმალურობთ, როგორც ტყეში,
გზა გვიჩვენეთ, მუსსოლინი.
აქ კი...

ლაპარაკობს ტფილისი.
ლაპარაკობს ტფილისი.
პოეტი მასსა, შწრომელ მასსის
იგრძნობს რა ხანას
ამ ადგილიდან რადიოთი
ამცნობს ქვეყანას,
რომ მასთან მიაქვს
მღელვარე გული,
შრომა, ლექსები და სიხარული.

ვრიგალი მოჰქრის
საესე ზმანებით
ჯერ ისევ ისე
ჩემი, მალული
რომ უეცარი
ალფროთოვანებით
გზა გადიაროს
შემორკალული.

კიდევ რამდენს,
კიდევ რამდენს
იტყვის ქამთა
გაქანება
კიდევ რამდენ ეპოქამდე
მიდის ჩვენი ცეცხლის ხანა
ჩვენი სული ახალგაზრდა,
ჩვენი გადაქაქანება
შესახვედრათ ნაპირს გასცდა
და ბრძოლამდე მიატანა.

ასწი ტეხნიკა: აქ პოეზია
უფრო მძლავრია

ის ბუნებაზე უტკბობს
და მშვენიერი! მისი მშვენიერება
მუსიკა და ხვის და მანქანების
თანამგზავრია,
მუსიკა შრომის და გაქანების
და შენვერი
რკინის სიმღერა არის სიმღერა
თუა სიმღერა,
რკინის მიმღერა არის სიმღერა
თუა ცხოვრება.
ასწი ტეხნიკა, რამისიმძიმეა!
ვასწიოს გემშაც,
სხვაგვარ პრობლემად აქცევს ქიმი
ომის პრობლემას.

როგორ არ გახსოვს ბავში
ილტაცებაში მყოფი?
ეხლაც ისაა, მაგრამ
უფრო დიდი და ავი,
ნაღმა შესცვალა თოფმა
მისი საბავშო თოფი,
დიღმა შესცვალა ქარმა
მყუდრო ნიავთა ნავი.
იქცა მშვიდობის წამი
შურისძიების წამად,
მუხლი პატარა ბავშვის
ეხლა მგლისაა მუხლი!
წინად რომ ჰქონდა გული
ამ გარდატეხის ქანად—
იგი ფოლადით იქცა
და თავს არავის უხრის.

ჩვენ არა ერთი
ვიპოვეთ კიდევ
ცხოვრების კიდე!
ჩვენ ქარხნის ბოლი
გვიყვარს ქალაქთა
არა სიმშვიდე!

ბრძოლას შრომისთვის
კლასიურ ბრძოლას
რა დააწყენარებს?



ის ეძებს გზებს რომ
თავისუფალი
მიაწყდეს კარებს.

მხოლოდ ბრძოლაზე
გვესაუბრება
ქურათა გროვა
უფლება მისთვის
უმაგალითო
მოვა, დრო მოვა.

ყოფილა დიდი
უსამართლობა
გამათხოვრება.
მხოლოდ ბრძოლაში
მთელი ცხოვრება
არის ცხოვრება!

ბანკირებო, მასის ოფლი
თქვენვე ცრემლებს დაგადენს
ხალხი აღსდგა და ქუშილით
იკრიბება მაკადენს.

უსამართლო ბანკირებო,
მასას ვერ გადურჩები,
მთავარ გზაზე შეეტაკენ
მექარხნე და მუშები.

შეეცოდათ! არ სწყვიტეს
სიკვდილით და საკანით.

გულწასული ბანკირები
ხევით რბოდენ ქაქანით.
შიშხილისგან მოკლულებმა
სალამომდე იარეს

სახლებში კი თავის ცოლებს
დარდი გაუზიარეს
შემდეგ მთავარ პროსპექტებზე
იდგნენ როგორც ჩრდილები
მოლუშულნი, წელში მაგრად
ტილეთ-მოჭერილები.

1927. VI. ვენა.

ბარიალებზე!
დაიწყო ბრძოლა!

ცეცხლად და ალხად რქონულნი
საყოველთაო გაფიცვის
მოკარდა ტალღათ.
მასსიურია გზებზე ომები
სისხლით, ცხედრებით,
გააფთრებითა და მონღომებით
და ამხედრებით
ის რაც სამუდამო ხსოვნად დარჩება
ცეცხლის ხაზია,
დღესასწაულობ კვლავ გამარჯვებას
ბურჟუაზია.

5. VIII.

ნიუ-ბეტფორდის ფეიქართ მხარე
იწყებს მხილებას,
იგი აყენებს მოელ რიგ მქუხარე
მოთხოვნილებას.
მრავალი მუშა წითელი დროშია
ქუხს ენა მქვერი
მრავალი მიყავთ საპატიმროში,
დახოცეს ბევრი.

6. VIII.

საქსოვ ფაბრიკის მუშათ გაფიცვა
მიდის, გრძელდება,
უფრო მრავალზე მრავალი რიცხვი
ამეტყველდება.
ბომბეაში კი
აამუშავეს მექარხნეებმა
თვით მანქანები:
გაჩნდენ მუშები, დაიწყეს შებმა
მათ დაქადნებით.
მანქანებისა შესძრეს რიგები
გულს მიაცურეს,
შეაწყვეტინეს და ფაბრიკები
ისევ დახურეს.

8. VIII.

ბომბეა.
გაფიცულების დიდი მიტინგი,



მეასე დღეა?

ქარხნის პატრონთა მწუხარე დინგი
მითთვის საფრთხეა.

მიტინგმა თმენის გაქვია გასწყვიტა
ჰქუხს კლასის გრძობა
ისევე ბრძოლა მან გადასწყვიტა,
და არ დათმოდა.

8. VIII.

ინდოელების იყო მიტინგი.

იქ განაცხადეს
ჩვენთვის მრავალი დიდი ხიფათი
ამზადებს ბადეს.

და ინდოეთის, სულ მოკლე ხანში,
მრავალი ტომი

იქნებ სულ მალე იქნეს რევანში
მსოფლიო ომის.

მრავალი ღელვის იქნება ტემა
ქვეყნის უფლება.

სანამ ინდოეთს არ მიეცემა
თავისუფლება.

პროტესტები და მუქარა ისმის;
ვერ შევეთვისეთ!

უნდა დაიშხვრეს იმპერიალიზმი
ბრიტანეთისა.

და ეს სკიორდება თვით ინგლისის ერს
მის გულს, მის გრძობას

სიმშვიდის საკითხს,
ინგლისს, ევროპას.

ინგლისში.

რედაქტორი გრეგ იძლევა რჩევას:
საბჭოთა კავშირს

თუ ავტუტებით ომს, ჯარის შერჩევას
შეუდგეთ თავშივე!

მექანიკური ჩვენი არმია,
როგორც შპალერით

უნდა შეიქმნოს კიდევ ფერადი
კავალერიით..

შზადება მტკიცე, ცრვი, ველური.
აღამიანის

ავდრის დინება ისევე, ^{კვლევილი}
და შხამიანი. ^{გინგლინი}

ჩემბერლენი იქ, ჩემბერლენი აქ
შარადის ხარბი

და სისხლიანი ხელები მიიქვს,
არ ეხვრის წარბი.

გველივით ჩუმი ხაფანგებს აწყობს
სდღმს, ეპარება.

ასაფეთქებელ მასალებს აწყობს
ჩრდილს ეფარება

ხან აქ და ხან იქ. ზევით და ქვევით,
მარჯვნივ და მარცხნივ

თესავს გათიშვებს სისხლით და რღვევით
ნგრევით და მარცხით.

სატანიურად მოქნილ თვის ბრწყიალებს
უეცრად ასობს,

კოლონიების ველს და მწვერვალებს
უვლის, ჯამბაზობს.

სისხლით დაკლილი ეცემა მსხვერპლი
და შწარედ კენისის

ზარბაზნებისგან შექმნილი ფერფლი
ოხვრა განგვისის.

ფიჭრი მღელვარე ინდოეთისა.
იღვიძებს მონა,

ძვლებით ქვეყანა რომ მოითესა,
მან მოიგონა.

მან გაიღვიძა დიდი ხნის ძილით
და იმუქრება

ის სუნთქავს ცეცხლით,
ცეცხლის სახშილი

თვალთ არ უქრება.
ღრინავს ჩემბერლენი,

აქრობს და ანთებს,
ანთებს და აქრობს.

თუ ერთგან აქრობს
ცეცხლოვან ლანდებს

ასი სხვა მაგრობს.

აჰ, ჩემბერლენმა დაჰკარგა გონი
ანთებს, წვეავს, დაგავს.

მან ზარბაზნების ამართა ფონი
გაფთხრებულს ჰგავს.

მაგრამ, გვეონია, იქნას ხანმოკლე
 ვით საპნის ქაფი,
 სახელგანთქმული მისი მონოკლი
 და ბრგე ნიკაპი.
 წემბერლენმა სთქვა: „ლიტვა ცბიერობს
 პოლონეთს თითქო
 „საწყალ“ ლიტვაზე სურდეს თავდასხმა.
 სად... როდის ითქვა?
 რაკი ასეა, რა კი მთლად ბედი
 ასე დარაზეს,
 სჯობს ვავამართლოთ მალე იმედი
 ეოლდემარასის“

შეხედეთ, ლიტვა! ცბიერ ბადეში
 გაბმული ვრი.

მას ავონებენ დღის სიცხადეში:
 მოთვინიერდი!

შენ კოლონიად ყოფნა შეგფერის.
 გაბმულსარ? კარგი!

რია უფლება პატარა ერის?

ზედმეტი ბარგი!

შენ ერთა ლიგას დაუგდე ყური

შენ ნუ გგონია

რომ იგი არის ვიდრა, ველური
 კაკაფონია.

შენ არ გეგონოს რომ იგი არის
 მარტოდენ სიტყვა

ცენტრი ომის და მომწყობი რბევის...
 არასდროს, ლიტვა.

ო, ლიტვა, ლიტვა! ამოდ მტრისგან
 მოელი შეელას,

მედგრად, ხმამალა

შენს გამოუტყდელ გულწრფელობისგან
 ის ხარობს ბნელად.

მაგრამ ჰა, ლიტვა ალაპარაკდა
 მედგრად, ხმამალა.

თხოვნა და ხვეწნა, ხვედრი ბარაკთა
 შესწყვიტა. ახლა

სახლურებთან ჯარებს აგროვებს; ღონეთ-
 ჰქმნის ხალხის ფესვებს.

დაუყონებლივ ჰქმნის პოლონეთიც

საილყო წესებს ეროვნულნი
 რათა ფარულად ჯარებში ცხამება
 ლიტვის საზღვართან.

წამოაფარა თვის სახეს საზარს
 მანევრის (?) ფარდა.

უცებ მანევრებს სწყვეტს. რეტდასხმული
 ვით ზღვების ღვარი.

გარნიზონებში აბჯარასხმული
 ბრუნდება ჯარი.

ბერლინი ელჩით პოლონეთის ელჩს
 აფრთხილებს რათა

არ იქნას ომის შესაძლებლობა
 ლიტვის საზღვართან.

კარგს არასოდეს არ იტყვის, ცუდს კი
 „იქნეს რევანში

წყაალ კოვონში—ამბობს პილსუდსკი
 სულ მოკლე ხანში“.

ო, ლიტვა ცამდე არის მართალი,
 მაგრამ მძლეველი

არის კანონად მთავარსარდალი
 ტყვიისმფრქვეველი.

პოლონეთის გზის ვარდი ფენილი
 სისხლის ფერია,

იგი მოქაღვე და დატენილი
 მათურია.

ინგლისი და შეერთ. შტატები.

აქ კი ინგლისი

და ამერიკა—

ორი ქვეყანა

ორი გიგანტი

ახლო მოჯარდა

და მოფრევა

ყალბზე ამდგარი

გათიშვის ლანდი.

ვერ მოახერხეს მათ მორიგება:

პირველს შეუფეს დოლლარის არის

ვეშაპს, მსოფლიო ექსპლოატატორს

სურს შეებრძოლოს მეორე მხარეს.

ზღვების მეუფეს

ბრიტანეთს ძლიერს
ოკეანეზე სურს ბატონობა
დაეპატრონოს
ბაზრებს ქვეყნიერს,
კოლონიების სწყურის მონობა.
ამერიკა ჰქმნის
სახლავო ძალებს
მან კარგად იცის რომ უდიერი,
ზარბაზნების და ტყვიების ძალით
თუ დაშინდება ეს ურცხვი მტერი.
იარაღდება! რა არის მისთვის
დოლლარი? ის იქ აღარ ეტყვა
და ადგილს ეძებს რომ დააბანდოს,
და გადასწყვიტოს დოლლარის რყევა,
ორი ვიჯნატი,
ორი მტაცებლის
უსინიდისო,
ურცხვი სახეა,
შეუბრალებლად
ადრე თუ გვიან,
ერთი მეორეს
დაეჯახება.

ავტო ინგლისი იწვევს საფრანგეთს
მის უნდა შექმნას ფრონტი მოლიანი
ვის წინააღმდეგ? ისევ შტატების.
„ლუმინატი“ სწერს: ბრმა და გვიანი
უნდა იყო რომ ვერ დაინახო
ამ თანხმობაში, ბრძოლის დამდეგი
პასუხი, ზღვაზე გაბატონების,
ფაქტი, შტატების წინააღმდეგი.
გერმანია კი უკმაყოფილო
ინგლისისა და ფრანგების შრომის
შეთანხმებაში თავის თავისთვის
არგამოსადგეს ხედავს კოპრომისს
ეს შეთანხმება გააძლიერებს
ახალ აღრევებს, ყველას მგონია,
და საგარეო პოლიტიკის თვალს
იწვევს იქ, სადაც ვაშინგტონია.

კავიტალიზმი
საბჭოთა მხარე

ყველა ისინი ღრინავენ მხოლოდ
მისთვის, რომ მისწვდენ
მსოფლიო ბაზარს
მაგრამ არავენ
არ დაიფიწყებს

საბჭოს, უდიდეს დამტყვევებელს.
ის მათთვის არის ბიჭლიქა
საერთო მტერი
„დილი-მეილი“ სწერს: „იქ მთავრობა
სწევს პროპაგანდას რათა დაამზოს
ჩვენი კულტურის თანამგზავრობა“
ის მოისწრაფის დასჯეს ინგლისი,
ჩვენი პასუხი არა ქარაგმით
არა სიტყვებით და მასლაათით
უნდა გაეცეს—არამედ საქმით.“

შიგნით ინგლისში

შიგნით ინგლისში თემთა პალატა
როცა ინდოთა არჩევს ფანტომებს
ჯონსტონი ამბობს რომ პარლამენტი
პატარა კითხვებს დიდ დროს ანდომებს.
აბა შეხედეთ,
რა კამათია,
რა აბდაუბდა და მასლაათი,
სამას თერამეტი მილიონიან
ქვეყნისთვის კი აქვს—ერთი საათი.
საკლატვალამ სთქვა:
ინდოეთის ერს
ნუ გაამტყუნებთ, თუ ამის მერე
ინგლისელების პარლამენტისთვის
არ დარჩეს გრძნობა და სიგულწრფელე-
ამიერიდან სულ სხვანაირი
იქნება ლტოლვა მისი გონების,
რომ პარლამენტი აპარატია
განადგურების და დამონების“.
ამიერიდან ვერ მოატყუებს
ვერვინ ინდოეთს—ვით გახარება,
პრავალ მილიონ ერის ფენობას
მოედოს ცეცხლი და მღელვარება.

პაკტი.

ზოგის სიბრიყვე, ზოგის უბედობა
გაიძევრობაც გაოცებს ზოგის
დგება თათბირი სახელმწიფოთა
რომ გაარჩიონ პაკტი კვლავის,
აეციდინოთო,
როგორმე, ომი.
ამის დავდოთო,
ხელშეკრულება.
როსთვის გვინდა ამდენი სისხლი,
რად გვჭირდებაო რბევა, ძულება“.
ის კი რომელსაც

ნამდვილად ონის
წინააღმდეგი ბრძოლა სჩვევია.
საბჭოთა მხარე,
ახალი მხარე
თათბირზე არვის მიუწყევია.

მაშ ანაირ პაქტს,
სთქვით, რა ფასი აქვს?
და პროპაგანდის.
ეს იყო ცხრაას
ოცდა ექვს წელში
ეს იყო საუბრე
უბრალო, სადა.
იაპონიას და ჩინეთს შორის
ხელშეკრულობის
გათავდა ვადა.
მის მოქმედების
ებლაც განგრძობას
იაპონია
ითხოვს ბრძანებით,
და იმუქრება ინტერვენციის
მოულოდნელი
გადმოქანებით.
და ამერიკამ,
რომელიც მუდამ
ყველასთვის მხოლოდ
კარგის მდომია,
გამძაფრებებით
მოწურულ ჩინეთს
მისცა...
საბაჟო ავტონომია.

1928. VII - 29.

ლონდონში
მუშა-ქალები
გამოვლენ მალე
ომის წინააღმდეგ.
შეერთდებიან
შრომის შეილები.
კოლეები მემალაროეთა.

მშრომელი ქალები ეკონუნული
საქსოვ ფაბრიკებში მშენიძიქს
ლანკაშირში,
დიენდში
აგროვებენ სახსარს
ლონდონში ჩასანგლელად.
ყველანი დემონსტრაციებზე!
ყველაზე წინ წავლენ
რუსის ქალები,
რომელთაც იციან
რას ნიშნაეს ბრძოლა,
რას ნიშნაეს შიმშილი
და სამუშაოს დაკარგვა
ბრძოლის სამეგვიერთ.
ლოხუნგები:
შესწყვიტეთ ჩინეთის ინტერვენცია;
დაიცავით საბჭოთა კავშირი
ომში ჩათრევისგან.
ძირს ომი
იმპერიალისისტური.
გაუმარჯვს საერთაშორისო
სოლიდარობას
კლასიურ ომში.
ვარ შაეა

პოლონელ პროლეტარიატის
ომის წინააღმდეგ
მიტინგზე
სიტყვას ამბობს
სეიმის წევრი.
ის მიუთითებს
იმ საშიშროებაზე
რომელსაც აწყობენ
სახელმწიფონი
დიდი ბრიტანეთის
ხელმძღვანელობით.
ეს საშიშროებაა
ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.
იგი მიუთითებს
პოლონეთის მოაერობის

აგრესიაზე ლიტვის მიმართ.
 მიტინგზე იყო
 2.000 მუშა.
 სიტყვა სეიმის წევრის
 ხშირად წყდებოდა
 საიდუმლო პოლიციის აგენტების
 ბოროტი დაქაღნებით.
 ისინი შეიარაღებულნი იყვენ
 ყვითელი ჯოხებით.
 ცხენოსანთა პოლკთან ერთად
 ისინი—
 ეკვეთენ მასსას.

4. VIII. 28.

პირველი მსოფლიო ომიდან
 14 წლის გასვლის შემდეგ
 იმ ომიდან,
 რომელმაც დაბადა
 პირველი სოციალისტური
 რევოლუცია,
 კომინტერნი მოუწოდებს
 ყველა ქვეყნის
 მუშებსა და გლეხებს—
 მოემზადონ,
 რათა მომავალი
 ახალი მსოფლიო ომი
 გადაიქცეს
 მსოფლიო სოციალისტურ
 რევოლუციად.

გერმანია
 4 აგვისტო,

„ძირს ერთი ლიგა
 ლიგა ომისა“
 „იმპერიალისტურ ომს
 გადაეჭყვევო
 სამოქალაქო ომად.
 „მხოლოდ პროლეტარული
 რევოლუცია
 მიანიჭებს კაცობრიობას
 მშვიდობიანობას“

„მსოფლიო იმპერიალიზმის
 იარაღება საბჭოთა რევოლუციის
 წინააღმდეგ“.

ამ ლოზუნგებით
 ლუსტ-გარტენში
 შესდგა მრავალრიცხოვანი
 დემონსტრაცია
 ომის წინააღმდეგ.
 რამდენიმე
 ათეული ათასი მუშა
 გამოვიდა
 მსოფლიო იმპერიალისტური ომის
 საწინააღმდეგ.
 მუშათა კლასის
 გაერთიანება
 ლენინისა და ლიბკნეხტის
 დროის ქვეშ.
 დაცვას საბჭოთა კავშირისას—
 მოითხოვდენ
 მაინის ფრანკურუქტი,
 კელნი,
 დიუსელდორფი,
 მაინც, ხემნიცი, ვისბადენი.

5. VIII. 28.

ვაჰნი, ჰაიკელში, ჰამბურგში
 ბერლინში—
 დემონსტრაციები ომის წინააღმდეგ.
 „ომი იმპერიალისტურ ომს“.

პარიჯი

5. VIII

იერში დანიშნეს დემონსტრაცია
 და მიტინგები
 გაშლილი ცის ქვეშ.
 მუნიციპალიტეტმა მისცა შენობა.
 პრეფექტურამ აუკრძალა
 ყველა შენობები
 დაიკავა
 პოლიციამ და ჯანდარმერიამ.
 დემონსტრაცია წინ მიიწევედა.

2.000 კაცი დააპატიმრეს
იყო შეტაკებები.
შემდეგ ყველანი გაანთავისუფლეს
ას კაცს ვარდა.

ძირს პაციფიზმი! გრიალებდა
უბნები რურის,
დროშებში იყო გახვეული
ათასი მუშა.

ყოველი ქუჩა ფერი იყო
წითელ კამურის
და ელვარებდა მრავალ სახლის
მრავალი შუშა.

ძირს პაციფიზმი!
ძირს ლალატი!
ძირს ომის ღმერთი!
ხომ სისხლითაა შეღებილი
ველი და ფერი.

— დემონსტრანტების ნიარღვევდა
პროსპექტებს მკერდი.

მათ შორის, აი, ერთი მიდის
(რომელი ერთი?)

და ანთებული მოელვარებით
უყვება იგი თავის ამხანაგს,
გუშინდელი დღის სასმენელად
შიძიე მოთხრობას.

— დაგვაპატიმრეს ჩვენ გუშინწინ
პატიმართ რიგი
ეიწრო საკნებში, განვიციდით
უჩვეულ ვაძნობას.

გათავდა დათვლა, შემოწმება
სალამო ხანის,

როდესაც ისევ შემოგვესმა
ფების ხმაური.

იარაღთ ელარუნს მოჰყვა ხველა
მრავალთაგანის,

ჯალათებისთვის უსიამო
და უცნაური.

უცებ გაიღო კამერების
ყველა კარები

და ყველას გულში მხოლოდ ზიზღის
შეირხა გრძნობა:

— ჰეი, არტურ, ამგვარი მსუბუქი
გინგა, როგორ შედე.

რას ეფარები,
რენიე, შენც აქ გამოდი,
შენაც ზაგლობა.

და მთელი რიგი გაიძახა
ნაცნობ გვარების
მე გადაეხედე ჩემს ამხანაგს
უნებურ კითხვით.

მეც გამოძახეს, ვავიარე
საკნის კარები

მოძალადეშაც გამაცილა
უხეში სიტყვით.

რაწია საქმე? დაძახება...
და ასე გვიან.

მე არ მივცევი, მიმათრევენ
ძალის-ძალათი

ასეთ ნაირ დროს მხოლოდ მტრები
თუ ვეძახიან,

ასეთ ნაირ დროს თუ ვეძახის—
მხოლოდ ჯალათი.

მე დერეფანში დავინახე
იაპონელი

და ყველა ჩემი ამხანაგი
დარაჯთა შორის.

მხეცებს სახე აქვთ პირუტყვისა
და საქონელის.

ამხანაგები ამხნეებდნენ
ერთი-მეორეს.

სისხლის მსმელებო! ყველაფერი
ვიგრძენ მაშინვე

რომ არა სიტკბოს, არა სითბოს
და მოფერებას

არამედ საქმეს ამზადებდით
მღვრიეს, საშინელს.

და მისი ბნელი ფერი ეღო
ციხის დერეფანს.

ნახევრად ბნელი დერეფანი
ცივი ღუმელი

იარაღთ ელარუნს—კლასიური
ელდება ხმობა.

მოვა დრო, მრავალ რამეს იტყვის

ციხის დუმილი,
შენს უდროობას რომ დარაჯობს
ძველო ვერობა.

აქ საიდლანაც გამოეარდა
ქანდარში ძველი,
ქულდოვანის სახეს ემჩნეოდა
დაცივნება მკაცრი.
ბრძანა და უცებ სველი ბაწრით
შეგებოქეს ყველა,
ერთი მეორეს გადაგვაბეს
ცხრამეტი კაცი.

ზიზლი მტრისადმი დაუნდობლად
გულს აწუხებდა

და მოძალადე გადასული
უგრძნობლობაში.

ჩვენს შეკითხვაზე: სად მიგყვართ?
გვიპასუხებდა:
„განთავისუფლებით“ ან „მიგიყვანთ“
სხვა შენობაში.

ხელეშეკრულნი, გაყინულნი,
ჩაკეულნი ცუდათ
ციხის ეზოში გაგვიყვანეს
და ციხე სდუმდა.

„მშვიდობით, ძებო!“ უცებ ციხემ
დაიგრიალა

ყველა კედლებმა ყოველი მხრით
ხმას მისცა ბანი

შეინძრა ციხე. პროტესტის ხმამ
დაატრიალა

ქერი, კედლები, ყველა კუთხე
და დერეფანი.

„ხეალ თქვენც იქ წახვალთ“ — იმუქრება
ციხის უფროსი.

მაგრამ სარკმლიდან მრისხანებით
მძლე აკოროდებით
ციხე ბობოქრობს: „ო, იუდა,
შენც თავის დროზე,
არაფერია, არაფერი,
გაგისწორდებით!“

ჩვენ კი დავგვინჯეს. ხომ მაგრათ ვართ
შეკრული ბაწრით?

მე ერთს ჯარისკაცს ვერ ვივიწყებ,
სახე გულწრფელი და მკაცრი —
უთამაშებდა რილაც სულ სხვა
გამწირველ აზრით,
და მის თვალთავან ჩემს ხელეშზე
დაეცა ცრემლი.

— საით მივეყვართ, დასასჯელათ?
ჯარისკაცს კითხავ.

მესმის მისი „ჰო“ და ცრემლები
შოდის ღვარ-ღვარად.

კეთილო გულო, გაეფიქრე, ამ გაუკითხავ
ხალხისაგან ბევრი ნადგურდება,
მაგრამ ამგვარად?

მაგრად გაბაწრულ ხელებს სისხლი
ვგრძნობ რომ ეცემა

თავით კოჭამდე გამყინველი
რბის ჯრუანტელი

სიცალიერის და სიმხეცის
მძლავრი შეძლება.

ჩემს წინ ანათებს როგორც დიდი
შავი კანდელი.

ვხედავ გენერალს, იგი თითქო
მაწედის პაპიროსს

(ო, როგორ ჰგავდა თვითონ იგი
იმ მღვრივე ღამეს)

პაპიროსს მალავს ისევ მალე
და იმავე დროს

მწარე დაცივნით ეხლა პირში
მაჩრის კარამელს.

სწრაფად მივეყვართ კარებისაკენ
გულსკოვ ჯალათებს,

ციხის ალაყაფ ფარდულების
ისმის კრიალი,

„ზიზლი და კრულვა პაციფისტებს,
მოლალატეებს,

გაგისწორდებით ჩვენც ოდესმე“ —
ციხე გრიალებს.

ჩვენ გაგვატარეს ალაყაფი,

შემოგვეხეია
უღაბურ ღამის სიწყვდიადე
როგორც ობობა,
და ადგილები სადაც მტვერი,
ჭკა და ნებვია
მწირი მინდვრები, ორმოები
უნაკოფობა.

სოქვა ერთმა: ზაფხულს ამ ადგილას
სწვავენ აგურებს.
ახსოვდეს ყველას, ამ მიწაზე
მოგვეკლავენ ძნურად
და მშენებლობის
დრო როდესაც
დაისადგურებს,
ჩვენი სიციცხლე მასში შევა
თითო აგურად.

და გავიფიქრე: აი მინა
უკანასკნელი
სადაც ჩვენ გველის ჩამორჩობა
ან და დახურება.
თვითულ წამში წენამდე სცემს
ათასი წელი
საბედისწერო ორმოების
მწარე დახვედრა.

მაელმა ცხოვრებამ წინანდელმა
თვალწინ იალა.
ბავშობამ, დედამ, ადგილებმა
ჩემი ყრმობისა
შემდეგ ბრძოლები კლასიური,
ქარხნის გრიალი
ღიადი რწმენა ერთაწორის
გადადნობისა.

მივდივართ ჩქარი ნაბიჯებით
და მაინც გვცივა,
ჩვენ ხომ ჩაცმული ვართ უბრალოდ
თანაც ქარია,
არ ვიცი გულში სხვა იმედი
რამ გააღვივა
ხელის გახსნა მსურს. ბაწარი-კი
კვლავ მავარია.

ო, გამწარება! ჩვენ შეგვეფუჭა
დახვერტის ადგილს იგლის
იმედის მსგავსმა რამემ გულში
მაინც ინათა.
რისი იმედი? ცხედარი რომ
მიწიდან აღგვს?
დახშულია ხომ სამუდამოდ
გზა იმ ბინათა.

შეცწვრდით. ეხლა ჯალათებმა
იწყეს მზადება.
ჩვენ, როგორც ღამით მწიგრ მგლებით
ნორტყმული ჯოგი
ერთად შევექუჩით. ამბოა
თავგადაღება,
თავის დახწვევას სიკვდილისაგან
თუ ფიქრობს ზოგი.

ახლო და ახლო. უფრო ახლო
მოდის მსროლელი
ორმოსთან, სადაც გაბედულად
სდგას თვითოული.
ისევე ქარია შუღამით
გამოჭროლილი
ორმოს სიღრმეში დარჩენილა
ჯერ კიდევ თოვლი.

გინდა იყვირო, გინდა ბრძოლა
აქაქანება
ამ შუღამით არავისი
არ არის შევლა
და „დიოკეტე“ რომ გაისმა
უცებ ბრძახება,
დავმშვიდობეთ განწირულნი
ერთმანეთს ყველა.

ისმის „ესროლეთ“ (ერუანტელი),
მაგრამ ოდნავად
ჩვენს გულში შედის სიხარული
და აღტაცება...
როცა სროლაზე
ერთპირად და მოულოდნელად
მტკიცე უარი განაცხადეს
ჯარისკაცებმა.



— არ ვესვრით მუწებს! და გადმოხტა
 ის ჯარისკაცი
 რომლის ცრემლები ჩემს ხელებზე
 ეგვრებინათ წინათ.
 დაგვსსნა ბაწრები. უხაროდა:
 — აბა ჰე, ვასწით!
 ვისურვებთ მტარვალთ მოსდებოდეთ
 ცეცხლად და რკინად!”

ჩვენ წამოყვებით სიკვდილიდან
 ჩვენ ვიმალებით.
 ო, ამხანაგო, უთქვენობას
 ვერ ითმენს ვული.
 ო, ამხანაგო, შევეწიროთ
 ყველა ძალებით
 რევოლიუციის ზომავალის
 ვიყოთ ერთგული.
 და წინ მიიწვევს
 დემონსტრაცია
 „ძირს ერთა ლიგა,
 ლიგა ომისა“
 „იმპერიალისტურ ომს
 გადავატყვევო
 სამოქალაქო ომად“,
 „ზხოლოდ პროლეტარული
 რევოლიუცია
 მიანიჭებს კაცობრიობას
 მშვიდობიანობას“!

1930 1 იანვარი.

ახალი წელი. ვთქვათ ლონდონი
 ან ვთქვათ ბერლინი.
 ალბად დღიურში ამგვარ ტონით
 სწერს ჩემბერლენი:
 დღეს ათასცხრამას ოცდაათის
 პირველი შუქი
 მოაწყდა სარკმელს და კედლებზე
 დაღვირა ლუქი.

ახალი წელი.—გავიფიქრე—
 ახალი წელი!
 თითქო კედელთან დაწვინებულ
 სიკვდილის ცული
 ხელში ავიღე ვაზეთი და...
 ისე დავდევი..
 რომ ის რიგზეა—რომელია
 ამის ზავედები?
 გაოცებას ვარ—ვიო ითმენენ
 დაცინვას ასეთს!
 დიდი ხანია რა მე ხელში
 არ ვიღებ ვაზეთს.
 რალაც მწარე და საოცარნი
 ხმანი ისმიან...
 არა... ჩვენი ხსნა ერთადერთი,
 პაკიფიზმია!

1930 1 იანვარი.

დაჰკა წერაქვი, დაჰკა წერაქვი
 ჰეი, დაჰკარი!
 გადმონგრევი მძიმე ლოდები
 ნიადაგარი
 აგურს—აგური, ფიცარს—ფიცარი
 მკლავი მაგარი
 ვერას დააკლებს ახალ შენობას
 წეიზა და ქარი.
 დაჰკა წერაქვი, დაჰკა წერაქვი,
 ჰეი, დაჰკარი.
 პაკიფისტური, ხედაეთ, ინგრევა
 კანონმდებლობა,
 იმ ისტორიის ძველი ბორბალი
 ლაფში ეფლობა
 მოდის ტრიალი ინდუსტრიალურ
 ამშენებლობის.
 წინ, წინ! მაღალი, მშრომელი ხალხის
 დროშა აქ არი,
 დაჰკა წერაქვი, დაჰკა წერაქვი
 ჰეი, დაჰკარი!

მთვარისა

1.

მთვარისამ დასტოვა ხევსურეთის მთები ხუთმეტი წლის რომ შესრულდა. ის იქ დახტოდა როგორც შველი შეჩვეულ ადგილებში და ზრუნავდა მხოლოდ ერთად-ერთ ძროხაზე, მამის დატოვებულზე და მის მარჩენალზე. მამა მისი ვერაგ ხანჯალმა იმსხვერპლა და დამარხეს მარჯვენა მოჭრილი, დამარცხებული. დარჩა ოჯახში ქერივი დედა და პატარა მთვარისა. ვის ღი შეეძლო სამაგიეროს გადახდა, სისხლის აღება?!

სცხოვრობდენ დიაცები მოწყენილად და უწყინარად, თავს ევლებოდათ დიქრი დაღუპულ ქმარზე, მამაზე, მაგრამ სდუმდენ, უღონონი იყვნენ ისინი.

მას შემდეგ გავიდა წლები.

იზრდებოდა მთვარისა.

ყოველ საღამოს სწველიდა მთვარისა ამ ერთად-ერთ იმედს, პატარა შავ ლაქებით აჭრელებულ ძროხას. ეტმასნებოდა მისი გაქონილი თითები დაზვილ ძუძუებს და გრანობდა მთვარისა, როგორ ცურავდა ძუძუებში ცურები და თითებს შორის კი წვრილ ჩხრიალა ნაკადულეზად მისრიალებდა ქოთნისაკენ თბილი, მსუქანი რძე.

აღიოდა ქოთნიდან ოშხივარი და ერბოს გამამრუებელი სუნი. იყვინთებოდა მთვარისა ამ სუნით, იყვინთებოდა მისი თმები, ხელები, ტანთსაცმელი. რიერაგისას კი, როდესაც მთვარეც კი არ ჩასულიყო და გაფითრებული რომელიმე მთაზე წამოწოლას ლამობდა, მთვარისა უკვე მთის თხემისაკენ მიისწრაფოდა, აგროვებდა ყვავილებს: ყვითელ ხაჭოლს, რომლისგანაც საღებავს აკეთებდა; კვლის, რასაც დედა მისი ალგეინებდა ავადყოფებს როგორც წამალს, აგროვებდა კენკშას, თავშავას, ხიდხოლს და ყველა ეს მიჰქონდა დედასთან, არჩევდენ ერთად, ამზადებდენ საღებავებს.

სინათლეს ხედავდა მთვარისა ცივ არხოტის მთიდან, მეზობელი სოფლის მთამდე. მან ასე იცოდა, რომ ეს ამ ორ მთის შორის თავდებოდა და ისიც თუ ავდარი ატყდებოდა, თუ შავი ღრუბლები წამოიშლებოდა, სინათლე ცივ არხოტამდე არც კი აღწევდა და მხოლოდ თავისი სოფელი იყო მთელი ქვეყანა.

ერთ გაზაფხულის მიწურულში სოფელმა უთხრა მის დედას: ფიცხელაურის ქერივო, ბავში ობოლი გყავს, კერას მარჯვენა გაკლია, გაუშვი მთვარისა ქალაქში, სწავლას მიიღებს, ქალი ქალად დაგიბრუნდება — თვალით ღია.

ეს სიტყვები გაუკვირდა მთვარისას. ქალაქად გაგზავნას უპირებდენ. ქალაქი კი სად იყო?! სჩანს იმ მთის ძირში იყო დამალული, საიდანაც ყოველ დღილას მზე ამოდიოდა.

დედამ კი დიდხანს იფიქრა. შვილი შორს უნდა გაეშვა, გაეგონა რომ სასახელო საჭმე იქნებოდა შვილის ნასწავლობა. ის ფიქრობდა, როცა სჭამდა; ფიქრობდა მამინაც როცა ეძინა და ყოველთვის უნდოვანი სიზმრებით გარს შემოხვეული იღვიძებდა.

— მთვარისავე!.. მიმართა ერთხელ დედამ შვილს.

— რაი, დედე?.. შემკრთალი თვალებით მიაჩერდა ბავში.

— ქალაქს უნდა გავაგზავნო, სწავლა უნდა ნახო; ხომ კარვს ვიქმ?!

— რაი ვიცი, შორს იქნები ოღონ, თორე მე რაი მეწუხის, წავალ. მერე ერთმანეთს უცქეროდენ დიდხანს. ორივენი სდუმდენ. განშორება ორივეს უმძიმდა. მაგრამ ორივენი გულში ფიქრობდენ: „ერთა ცივია, მარჯვენა სუსტია, საცხოვრებელი მძიმედ საშოვარი, ქალაქი გონებას შეგვძენს, რას ვინაღვლით, სიკეთეს ენახავთ“—ფიქრობდენ ორივენი და გადასწყვეტიტეს კიდევ.

იმავე დილას ფიცხელაურის ქვრივმა განუცხადა თემის აღმასკომს, რომ თანახმაა შვილი სწავლად გაგზავნოს.

დადგა ეს წამოსვლის დღეც. ხუთმეტი წლის იყო მაშინ მთვარისა. წამოსვლისას დედამ მაჯაში ხელი ჩასქიდა, მეორე მკლავი სოფელს გადაავლო და უთხრა:

— შვილო, ეს სოფელი ნათესავია შენი. ეს ხალხიც ნათესავია, ეს მთებიც, ეს ქოხებიც. უყვარხარ ამათ ღვიძლივით, მაგრამ იქნებ ამათაც არ დაგინდონ; იცოდე უცხოში მიდიხარ, იქ სულ არ დაგინდობენ.—სულ ეს იყო დედის დარიგება, მთებიდან შვილს რომ ისტუმრებდა, ერთხელაც აკოცა, მარჯვენის მაჯაში მოუჭირა და სახე შეიბრუნა, მეტი არ უცქერია.

მიდიოდა მთვარისა ქალაქისაკენ, სხვა მგზავრებთან ერთად და აცილებდა მას სოფლის გოგო-ბიჭების ათასი განცვიფრებული სახე, ათასი გახარებული თვალი.

უხაროდა და სწყდებოდა გული.

ხედავდა გზა-და-გზა თავშავას, კენკეშას, კელიას; ხედებოდა მრავალი სურნელოვანი ყვავილი, ბალახი და ეშვებოდა ხანგრძლივი, თვალმოუშორებელი ცქერით, ამ საყვარელ ნაცნობ ქვებს, ადგილებს.

მიდიოდა და თან მიჰყვებოდა ამ ბალახების, ამ მთა-გორების და საკუთარი სხეულის ფერი და სურნელება.

რჩებოდა უკან მალალი მწვერვალები, პიტალო კლდეები, კოშკოვანი ღრუბლები, წინ კი ეშლებოდა თეთრი სივრცის და შხის წყრილა სხივების ნათელი ბადე.

2.

ვიმონდა ქალაქი.

დაადგა ქვაფენილს მორიდებული ნაბიჯი და მორიდებული თვალი გადაავლო ქალაქს.

მხოლოდ ცა არ შეცვლილა მთვარისასთვის, არც დღის, არც ღამის.

შავი, თეთრი, რუხი ღრუბლები და ლურჯი გამჟვირვალე თალიც ჩნდებოდა აქ.

ლამით კი ცხენის ნაღის ლურსმნებით ეკლობოდა ცას ვარსკვლავები, დიდიც, პატარაც, მისი ვარსკვლავიც და სხვისიც. ირმის ნახტომზე ნუღმის კვლი—ვარსკვლავების შარა აქედანაც მოსზანდა და იყო მთებზე მსხვერპლად როცა შესცქეროდა ცას, მისი ქვეყნის ნაწილი იყო მასთან, მაგრამ ძირს, ირგვლივ სულ სხვას ხედავდა.

დაადგა ქვაფენილს მორიდებული ნაბიჯი, გაიხედა პირდაპირ და ხედავს ლამებს, კიაფრად შეღებულ შენობას, შინის ფანჯრებით გაბრწყინებულს და უცქერის ალტაცებული თვალით; ამ დროს ამოძრავდება ეს დიდი, ლამაზი სახლი და მიგორავს, მისრიალებს, არც ხარები, არც ცხენები, თვითონ, თავისით. აგერ, იქაც—მეორე ამისთანა; იქ კიდევ შავი, პატარა აკივლდა როგორც დაჭრილი ხარი და დაეშვა დაღმართოვან ქუჩაზე.

შეერთა მთეარისა. მოურთა მთეარისას ამ უცნაურებისა. ქვაფენილზე გადირბინა. ზურგით მიეყრდნო კედელს და თვალების ტრილით უცქერდა ახმაურებულ ქუჩას.

ზურგით მიეყრდნო კედელს, შემდეგ თავი მაღლა ასწია, ახედა უხარმახარ შენობას. სახურავს თვალი ვერ გაუსწორა. გადმოდგა ნაბიჯი წინ, კედელს ზურგი მოაშორა. გაიფიქრა:

„არ დაძრეს, ეს შენობაც არ გასრიალდეს...“

მიდის მთეარისა. ზურგზე გულა აქვს და გულში კი მტკიცედ ჩაკერებული თეთრი ქალაღი, თემის კომიტეტიდან მოცემული. მიდის და ამ ქალაღზე ფიქრობს, უკვე დრო არის ამოიღოს, მისამართით გზა გაიკვლიოს.

გზაში ათასი სახე ხედება და ყველა უცხოა.

რა კარგი იყო შთაშინი, თავის სოფელში. ეინც კი შეხელებოდა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი უსათუოდ ერთმანეთს გადაძებდავდენ, უსათუოდ გადასძახებდენ:

— გამარჯვების..

— დილას გილოცავ..

ვინ დაასწრებდა მთეარისას სალამს. ყოველთვის პირველი დაუხვედრებდა საგამარჯვებო გზას.

აქ კი ერთმანეთს თითქმის არაეინ უცქერის. თითქმის ყველა ერთმანეთზე სასისხლოდ გამწყრალები არიან, არც სალამი, არც გარკვეული სიტყვები, მხოლოდ არეული ბგერები, ღრიალული, გუგუნვი, გრიადი...

რა უცნაურებაა, რა უცნაურება..

„საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი“.

ქვის კიბეები დაამთავრა მთეარისამ და აივანზე შედგა ფეხი. მესამე სართულიდან გადმოიხედა ძირს, თვალები აუჭრებოდა, მიიფარა ხელები და დიდხანს ასე იდგა. შემდეგ კი, როდესაც სახე კვლავ გამოიჩინა, აქეთ-იქით მიმოიხედა, იმორცხვა, ეგონა ვინმე უცქერდა მის მოქმედებას.

ერთი ოთახის კარი შეაღო. ხალხით სავსე იყო ეს ოთახი. მთეარისა ერთი იყო, ისინი კი მრავალნი. შერცხვა, ვერ გაბედა შესვლა, კარი თვალწინ გამოიხურა.

მცირე ხნის შემდეგ მეორე კარი შეიღო. აქ შეახნის ჩქარაქეხქეჩი-
დროლი.

გაბედა. შევიდა. ქალალდი წამართა წინ. მაგიდასთან მჯდომარე კარგა
ხანს ვერ ამჩნევდა შემოსულს. დასცქეროდა მაგიდაზე მდებარე ქალალდებს, კა-
ლამს ავლებდა ზედ.

წუთებმა მძიმედ გადაიარა მთვარისასთვის.

ცხვირის წვერზე გამაგრებულ სათვალეებიდან ახედა კაცმა. გამოწვდილ
ქალალდს ზანტად შეაშველა ხელი და მაშინაც კი, როდესაც ჩამორთმეული ქა-
ლალდი მაგიდაზე იდო, ეს კაცი მაინც უცქეროდა ნორ ზოგონას.

კარგი იყო მთვარისა.

ტანგამართული. უელი სწორი. მალალი. დაუწნავეი ზილფეები ზურგზე კუბ-
რის ნაკადულებად დაყრილი, დიდრონი, შავი თვალეები, ფართე გუგებით, ბა-
გეები მარწყვის, ოდნავ ნიკაბისკენ წამართული. სახე მოათეთრო. მოყარდისფრო.

ალმური აუფიდა სახესე. გულსიმწვიდეში ვერ იბტანა უცხო ხანგრძლივი
ცქერა.

ძლიეს მოაშორა თვალი. დახედა ქალალდს. წაიკითხა, ესამოვნა. მაშინვე
ზეზე წამოდგა და თან გაიყოლა. თეთრად შეღებილ კედლებიან ოთახში შეი-
ყვანა.

ოთახში ჩამოშწკრივებული იყო ლოგინები, თეთრად, ლამაზად მზრუნვე-
ლობით მოსუფთავებული.

— აი, ამ ლოგინზე მოეწყობით. — უთბრა მან და თვითონ უკან გაბრუნდა.

მარტო დარჩა მთვარისა. ჩამოჯდა. თავისუფლად ამოსუნთქა. მცირე ხნის
შემდეგ შემოაკვივდენ ოთახში ქალიშვილები და როგორც მოწყვეტილი ტალღა
ისე გავარდა სიტყვა „ახალი“ ოთახიდან ოთახში. მოელს სასწალებელში.

— უჯრედის მდივანს დაუძახეთ, მონახეთ, მოიყვანეთ. — ალაპარაკდენ იგი-
ვე ქალიშვილები.

მოიყვანეს.

ის იქნება ალბათ ოცი წლის. სახეშეურბეველი და მშვიდი. აცვია საყელო-
გადახსნილი ხალათი, უბრალო ნაქრის ქამრით. ტანწვრილი, ტანსწორი, ქერა-
თმიანი და ჭროლა თვალებით.

— საიდან ხარ?.. ნელი და განხომილი ხმით შეეკითხა ის.

— ზევსური ვარ, ფიცხელაური გეარად.

დაატარა კომკავშირის მდივანმა მთელი სკოლა. აჩვენა სახარატო, საზეინ-
კლო, სამკვდლო, საღურგლო ამქრები. დაატარა სამეცადინო ოთახები. საღამოს
მცირედი ესაუბრა ზევსურეთსა და ქალაქზე და დასაძინებლად გაისტუმრა.

ასე შესდვა პირველი ნაზიჯი ქალაქის ცხოვრების კარიბჭეში. ეს მისთვის
უცხო და უცნაური ქვეყანა იყო.

საზეინკლო ამქარში ჩარიცხეს და მეორე დღიდანვე ვააცნეს ქლიბი, გირა-
ვი, დაზგა, ხელოსანი.

და დაქანდა მისი ახალი ცხოვრების დღეები.

გაიზინა მეგობრები და ველარ ამწნევედა თავისი კუთხის სიშორეს, ამ ახალ საერთო ოჯახში სრულფულეებიან წვერად სთვლიდა თავს. ვიწრო-წვერებსა და სწივლაში და თვითონაც ვერ ამწნევედა თუ როგორ იცვლებოდა სახითაც, გულითაც, გონებითაც.

3.

კვირა დილაა.

სასწაელებლის ეზო სავსეა ახალგაზრდობით.

ქაჩორა ბიჭებს აცვიით გულლია ხალათები, ზოგს უმკლავებო, ზოგს კიდევ უქამროთ, თავისუფლად.

ისინი მზიარული და ცოცხალი სახეებით დგანან ჯგუფ-ჯგუფად და ლაპარაკობენ, ოხუნჯობენ. ზოგი მათგანი საქმიანი კილოთი შეტყველებს, მავრამ სიცილი მაინც შეუწყვეტელია მათში.

დღეს ტანვარჯიშული გამოსვლაა.

თეთრი ხალათებით და შავი მოკლე შარვლებით მოდებიან ეზოს ყმაწვილები და საზეიმო ელფერს იძლევიან.

შუა დღისას სასულე ორკესტრი შეწყობილად აგუგუნდა.

ხმაური შესწყდა.

გამოვოგდა ეზოში ორძელი, მაგიდა, სწრაფად ააგეს ღერძი.

აივანზე უჯრედის მდივანი გადმოდგა, მშვიდი, აულულეებელი, ტანწერილი და ტანწორი ყმაწვილი. გულმოდგინეთ გადავარცხნილი ქერა თმით, ჭროლა თვალებით.

გადმოისროლა თბილი და ნხურვალე სიტყვა:

— ამხანაგებო!..

მერე გაჩუმდა: კარგა ხანს ჩუმად იდგა და დასცქეროდა პატარ-პატარა ზვირთებად აშლილ სახეებს.

მისმა ღუმელმა ყველა დაადუმა.

— სიტყვა რა საჭიროა!— განაგრძო მან ნაწყვეტ-ნაწყვეტად.— ჩვენი უჯრედის ჯანსაღი სხეული დაგვანახებებს თავის ძლიერ სულს.

ილაპარაკა ახალგაზრდობასა და ტანვარჯიშობაზე.

მერე ძირს ჩამოვიდა.

სწორი, განზომილი ნაბიჯებით გამოვიდა მოვარჯიშეთა ჯგუფი. შექმნილ ოთხკუთხედში შემოუარა წრე და პირველ იარაღთან გაჩერდნენ.

თავმოწონენი იყენენ ისინი, ვიდრე წრეს შემოუვლიდნენ იხედებოდნენ ირგვლივ, ათვალთვრებდნენ ნაცნობებს. მათ ტიტველ და დაკუნთულ სხეულზე სიცოცხლისა და სიჯანსაღის ელფერი კრთოდა.

ჯგუფის ზელმძღვანელი, ვარლამი, ალბათ, თვრამეტი წლის ბიჭია. მის შავ-გვრემან სახეს საყმაწვილავად ამეტყველებს ოდნავ ბუსუს მოდებული ზევითა ბაგე. მისი თვალი მაშინვე ქალთა გუნდისკენ გადავარდა; თავმოწონეთ ადგამდა ნაბიჯებს და ჩვეულებრივი უბრალოებით ათვალთვრებდა მათ.



მისი თვალი მთვარისაზე დაეცა და იმავე წამს ვარლამი წაშლია. მთვარისა გასწორდა, თითქოს მოხრილობა იგრძნო, აკობტავდა და მტკიცე სუნთქვით ნაბიჯებით განაგრძო სვლა.

— მთვარისა! — გაიტარა გონებაში.

რა კარგია! — დაუბატა გულში და ერთხელ კიდევ შეხედა, ჩააშტერდა. დაიბნა მთვარისა.

წინსაფრის მჯეგებს თვალებითა და თითებით ძიძგნა დაუწყა.

უკვირდა: რათ უცქერის ასე დაეინებით, ასე ტკბილად, ასე თბილად რად გადმოაბედა?..

იღმა და ფიქრობდა.

— სმენა!.. გაისმა მუქქარედ და სიჩუნე ბადესავით გაიშალა.

ჯგუფმა ვარჯიშობა დაიწყო.

ვარლამი მუდამ პირველი იწყებს.

მისი წერილი და სწორი ტანი ლერწამივით იზნიქება წელში და ტრიალებს ღერძის ირგვლივ.

ვარჯიში პირველი:

დიდი და წყნარი გაქნევით. უკუხეხეზე ასვლა. შემოსწრაფა. მერე სამი აღმატრიალი და შორი ლამაზი ქვევლა.

მისდევნენ მთვარეში ერთმანეთს და სრიალებენ ღერძის ირგვლივ.

მათ შორის განსაკუთრებით გამოკრთის ვარლამი. ის თავისებურ ფორმისა და სტილის აძლევს ყოველ ვარჯიშს. თავის სურვილისამებრ სხვადასხვა ელემენტებს უმატებს და როდესაც რწმუნდება რომ მან ყველაზე ლამაზი და უკეთესი ვარჯიში შეასრულა, გულშეიხიდი სიამაყით უბრუნდება ჯგუფს. მერე მალულად გადააბედავს მთვარისას, თითქოს სურს შეეკითხოს: „მოგწონს თუ არა?“..

ის კი, მთვარისა, ყურადღება დაქიმულია. თვითველი რთული ვარჯიშის დროს ტერფიდან ცერებამდე იწყევა, სხეულში შიშის ქრუანტელი გაურბის და თრთის, თითქოს სურს დაეხმაროს სახიფათო მდგომარეობაში ყოფნის დროს.

მაგრამ მთვარეში ერთი მეორეს მიჰყვებიან. სცვლიან ერთმანეთს. ნაირ-ნაირ ნაერთებს იძლევიან.

იარალი შესცვალეს. გადავიდენ მაგიდაზე.

მერცხლებივით დაიწყეს ქროლა.

აქაც ვარლამი ნებისმიერ ვარჯიშებს ასრულებდა. ლუნკის მაგიერ აკეთებდა ფეხშლას ხელყირით და არღვევდა ჯგუფის მოლიანობას.

— ეი, ვარლამ, რას შერები?!

— რათ ასხვაფერებ?!.. — ბუზღუნებდენ დანარჩენნი.

ვარლამი კი გულში გაიძახოდა: „მთვარისასთვის, მხოლოდ მთვარისასთვის“. უცქეროდა მთვარისა ვარჯიშს.

უცქეროდა განსაკუთრებით ვარლამს.

ვარლამიც, დროგამოშვებით, როგორც მწველ ისრებს, ისე ჩაასობდა ხოლმე ორი გიშერი თვალის მზერას, თითქოს ამით ეკითხებოდა: „როგორ მოგწონვარ?“..

მთვარისას პასუხი გულში უგროვდებოდა. ეს პასუხი როგორც მორევი ისე დატრიალდა მასში და ააშუთათა.

ფართოდ დახსნილი თვალებით, გაგანიერებული გუხვებით, მისთვის უცხო სანახაობას და თან ფიქრობდა: „მამაცი, კოჩალი, თვალი ნუ და-მიბნეულდება“.

არ უნახავს არასოდეს ასეთი რამ.

ყოფილა ხევსურეთში დღეობებზე, სადაც ვაგეცნი შეჯიბრებიან ერომანეთს ხმლითა და ფართი მკლავის სიმტკიცეში.

უნახავს ნავარდი, როცა ჩაუქი ცხენს მუცელზე შემოკრობია, ან მიწაზე დახნეჭილა, საესე თასი აულია ძირიდან, ან და ფრინველი მოუკლავს, ელვის სისწრაფით ძირს დაუცია ფრთებმოტეხილი. „აი სივარჯეც ამასა ჰქვიან“ — გაიფიქრა მთვარისამ და ისევ ვარლამისკენ გაიხედა.

„რას მიქვია უცხო ვაჟის გულთან მიკარება, ვინ არის ჩემთვის?! არც მამი, არც ბიძა, არც მოგვარე ვინმე, რას ენალუობ მას?!“ — გაიტარა გონებაში მთვარისამ და თავი შეარბია, თითქოს ამით მოწონებულ კმაწვილზე აკვიტებულ ფიქრები შემოიბერტყა.

ვარჯიშობა გრძელდებოდა, მაგრამ მთვარისა უკვე ვერაფერს ხედავდა. ვარლამი ამაოდ ცდილობდა ეჩვენებინა მისთვის ახალი ნაერთები ორძელზე. თვალამღერეული იდგა და მხოლოდ საკუთარ გულისცემას უგდებდა უურს.

ტანვარჯიშობა დასასრულისკენ მიდიოდა.

თავდებოდა სანახაობა.

დღე იბრებოდა საღამოსაკენ და ქალაქი დატოვებული სხივების ამარა დარჩა.

გრილი და წყნარი ბინდი დაეშვა ყველგან.

ვარლამი მთვარისას თვალით ატარებდა, მთვარისა კი გულით.

4.

ეს დილა მეტისმეტი უცნაური გათენდა, მზე არ გავდა მზეს და არც ცა ჩვეულებრივს. სისხლიანი ამოვიდა მზე, ოქროსფერი კი არა წითელი, როგორც შუა გადაჭრილი წითელი საზამთრო შავი ლაქებით. ცამ დაუხვედრა მზეს ნაირი ფერის ღრუბლები და ისიც შიგ ჩაიღვარა უცნაურ სხივებად.

ცაზე გადიშალა ტრელი ქარაგმინი ბალიჩა.

გქვსი საათი რომ შესრულდა სერგო საწოლიდან ადგა. საცვლების ამარა საწერ მაგიდასთან მივიდა. დამტვერიანებულ წიგნებს სინჯავა დაუწყო. „კომუნისმის ანბანი“ გადაშალა. სხვადასხვა ადგილები გადაიკითხა, იქვე მდებარე ქალალზე ციტატები ამოსწერა და დახურა.

რასაც კი ხელი შეახო ყველგან დაიჩნდა მისი თითების ანბანქედი. მივიდა ისევ საწოლთან. იფიქრა: „დაეწვე თუ არა?“ მაგრამ წუთსაც არ გაუეღია და უკვე შარვლის ტოტებში ფეხებსა ჰყოფდა.

— მე ვუჩვენებ დღეს ვარლამს; ყველამ თავი აიშვა.— წაილაპარაკა ბუტბუტით და რამდენჯერმე თავი გააქნია.



გამოვიდა ოთახიდან გარეთ. ეიწრო შუბლის ქვეშ ორი პატარა, თვალი და-
კმუხნა და ახედა ცას.

ცა, როგორც ზევით ვსთქვი, ქარაგმიან ხალიჩას ჰგავდა, ბრწყინვალეს,
ნაირფერიანს.

განტერებით უცქირა. გაიკვირვა. მოეწონა. გზას კი მიჰყვებოდა. ფიქრობ-
და: „როგორ მოვიქცე, ყველა თვითნებობს, ლაგამია საჭირო“. გადასწყვიტა
დღესვე უჯრუდის კრება მოიწვიოს.

ნახევარი საათის შემდეგ უკვე სახარატო ამქართან იყო. მუშაობის დაწყე-
ბას ბევრი დრო აკლდა. ამქრის წინ შეგროვილიყენენ ოსტატები, მუშები და
მოწათეები. ელოდენ ხარს.

სახეინკლო ამქრის წინ ვარლამი გაბრუებული იდგა. ცოტა მოშორებით
მთვარისა გაზეთს ჩაჰყურებდა.

არ ვიცი კითხულობდა რამეს თუ ასოებზე ვარლამი ეხატებოდა. ეს კი ვი-
ცი, რომ თვალეში ბურუსი ედგა.

ვარლამმა ღამე ფიქრებში და პაპიროსის წვეთში გაატარა. დილა კი შა-
მოათეთრდა ღია თვალეებზე და ფიქრები გაუშინგლა. სწუხდა ვარლამი, სწუხდა
გუშინდელ თავდავიწყებაზე.

თანდათან ახმაურდა ეზო. ამქრების წინ ყრიაბული და ბაასი იყო.

სერგო რომ მოვიდა, ჯიბიდან გზაში ნაყიდი გაზეთი ამოიღო. მკირე ხნის
შემდეგ მუშები შემოიხვივნენ და სთხოვედენ სმამალა წაკითხვას. მათი სახეები
იყო დაბაგრული, ამოწევიარი, მაგრამ სალი და ძლიერი. იცქირებოდენ მჭრელი
ხედვით. ჩამწელომათ.

სერგომ კითხვა დაიწყო. მუშები უსნენდენ.

კმაყოფილება, აღშფოთება და ჩვეულებრივი გულგრილობა ერთი-მეორეს
სცვლიდა მათ სახეებზე.

ხარის ხმა გაისმა. აიშალა ჯგუფები. ზოგი დინჯათ, ზოგი ხანტად გაემარ-
თა სამუშაოსკენ.

მშფოთვარე ნაკადულებად ჩაიღვარა კარებში მუშათა სახეები.

გრძელ და უზარმაზარ სახეინკლო ამქარში რამდენიმე წყებად ჩამომდგარა
დაზგები და ზედ ურიცხვი გირავია დამაგრებული.

მოწათეები—ქალები და ვაყები მივიდენ საკუთარ გირავებთან რა მუშაო-
ბის დაწყებამდე იარალი მოაწესრიგეს.

ახმაურდა უთვალავი ხელი გირავებსა და ქლიბებზე და ერთი მთლიანი
შეწუბილი ჩხრიალი გავრცელდა ამქარში.

სახეინკლო ამქარში მოწათე შემოვარდა. ის მე თქვენთვის ჯერ არ გამი-
ცნია. მას ავთანდილი ჰქვია. მუშაობა უკვე დაწყებული იყო. მან სწრაფად გა-
დიცვა ლურჯი წინსაფარი და თავის გირავთან მივიდა.

ავთანდილი სხვანაირი ბიჭია. ის არა ჰგავს ზოგიერთებს. მას უღერს გუ-
ლი, გრძნობა, სულ რამდენიმე თვეა რაც ხელობის სასწავლებლად მიიღეს სა-
ხეინკლო ამქარში და უბაროდა ეს მას. მოსწონდა იარაღებთან მუშაობა. არა-
სოდეს არ ენახა ეს და ეხლა კმაყოფილებით უელეროდა გული. მას ხშირად უთ-

ქვია ამხანაგებისთვის, რომ როდესაც ის მუშაობს, თითქოს ვერცხვად აწვრილებული ქლიბი მას ელაპარაკება, ეტუტუნება, ამ დროს ის უდგარს ქვითუნებას გრძობს და ისიც უთქვია, რომ ძლიერ ხშირად გულში ჩაეყრავ ხოლმე და ვერძნობ თუ როგორ გაცხელებულა ჩემი პატარა იარაღი, პატარა ქლიბი, მერე კი ისევ ავთამაშებ გირაგზე და მის ჟღარუნს ვუერთებ გულიდან ამომსკდარ სიმღერას.

ასეთი ბიჭია ავთანდილი. ეხლაც მოვიდა თუ არა, მაშინვე მფრთხალი თვალი გადაავლო თავის ხელსაწყოებს, თითქოს ეშინოდა რომელიმეს აღმოუჩენლობა და შეუდგა მუშაობას.

ერთ კუთხეში პატარა ჩაქუჩების ცემა გაისმა, მეორეში ხერხის წვრიალი, მესამედან კი მოდიოდა თუნუქის ხმაური. ყველაფერი ეს მღერს, ეღერს, ატყობს სმენას.

სრიალებენ ქლიბები რკინებზე,

უმღერს ავთანდილს გული.

„ჩვენ ვართ მჭედელნი, კაბუჯნი სვლით.

ჩვენ ვბედავთ მომავლისა ბედს...“

ხშირად გადმოსკდება ხოლმე ფოლადის ხმასავით აწვრილებული ეს სიტყვები და იღვრება ხოლმე რკინების ფონზე. მაშინ ყველა გადაჰხედავს ხოლმე მას და ყველა ილიმება ტუჩებზეკაეებულათ. მათ ეცინებათ კიდევ, მაგრამ სიცილის დრო არა აქვთ. ქლიბები საშუალებას არ აძლევენ, არც ხელები აძლევენ უფლებას. ისინი ათრთოლებულნი მისცემიან შრომას.

— ვარლამ!..

— რა გინდა?..

— დღეს რომ უჯრედის კრებაა, იცი?..

— არა, მართლა?..

მობრძანდები და ნახავ. ავეწვის ტვინი.

— შენ ეი, ავთანდილ, შენ მე თავი დამანებე თორემ?!..

— დეხებსაც ვერ მომქამ. დაგავიწყდა, ძმობილო, უჯრედზე რომ დამასმინე. განა შეგრჩებოდა, უპასუხა ავთანდილმა და თავის ადგილზე სიმღერით გასწია:

„ზე აღიმართე, ძლიერად ურო,

დაეცი ფოლადისა მერდს“.

ჩაფიქრდა ვარლამი. რა დააშავა ისეთი რომ უჯრედის სხდომას იწვევენ. მთელი დღის განმავლობაში თავბრუდახვეული მუშაობდა. მისი თვალი და მისი გული ისწრაფოდა სამქროს ბოლოში, სადაც ისე როგორც ყველა დანარჩენი მუშაობდა მთვარისა. მას ქლიბიც კი აღარ ემორჩილებოდა. ხელს უშლიდა უჩვეულოდ მოწოლილი გრძობები, რომლებიც ფიქრებში გადადიოდა. დღეს თითქოს ყველა მტრულად უცქეროდა და ყველა ემუქრებოდა. რამდენჯერმე გავიდა სახარატო ამქარში. სერგოს ჩაუარა გვერდით. გამოლაპარაკება უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. ის გართული იყო მუშაობაში: ტრიალებდა სახარატო მანქანა და ითლებოდა ხრანნი. წვრილი, ტყვიისფერი ფოლადის ზონარი კულულებივით დაგრეხილი ცვივოდა მანქანიდან, მისი თითები კი მიჰყვებოდნენ სახომს და ჰკვეთდნენ ხრანს.



დღე ისე მიიღია რომ ვარლამმა ვერაფრის გაკეთება მოუხერხებია, ოსტატმა მოწადეებს ჩამოუარა. დახედა მათ ნამუშევარს, რამდენჯერმე თავი გააქნია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

აი, ესეც კომსომოლები, პკუა კრებებისკენ მიუბრით, მუშაობას კი არა ნაღვლობენ.

— არა, ოსტატო, აგრე ნუ გაირჯებით, მე კომკავშირელი არა ვარ?.. მაგზე ნაკლები კი არ გეგონოთ, აბა შეხედეთ ჩემს ნამუშევარს.

ლიბილით გადახედა ოსტატმა ავთანდილს. მას სათვალეები ცხვირის კენწეროზე ჰქონდა დამაგრებული. ცხვირთან ახლო მიიტანა, ბეკივით დაათვალიერა და მერე კმაყოფილებით შესძახა:

ყოჩაღ ბიჭო, შენზე შაბაში ალაღია!..

შემოტრიალდა ავთანდილი. დასძახა თვისი გამამხნევებელი საყვარელი სიმღერა:

„ჩვენ ვართ მზედელნი, ჰაბუჯი სფლით“..

და გარეთ გამოემართა.

ეზოში რომ გავიდა, დაფაზე დიდი თეთრი ქალაღი შენიშნა. გაღივიტხა და სწრაფად გაეშურა სახლისკენ.

მუშაობა შეწყდა.

დაიცალა საამქროები. გაეშურენ გარეთ. მოსცილდენ მთელი დღის განმავლობაში ერთფეროვნად ახმაურებულ ქლიბებს, უროებს, დაზგებს.

ვარლამი რომ გამოვიდა მის თვალებს როგორც ეკლები ისე ეჩხელიტა უჯრედის განცხადების თვითეული სიტყვა.

ქუდი შებლს უკან გადიგდო და დიდხანს უცქირა.

ფიქრობდა:

„ვისი ბრალი იყო ეს, მთვარისასი, რომელიც ეხლაც თვალწინ ეხატა, თუ ვინმე სხვის?..“ ფიქრობდა იმასაც—დასწრებოდა თუ არა ამ კრებას. ერთმანეთში ერეოდა ეს ორი კითხვა.

გადაუწყვეტელი აზრით, ჩაშშრალი და დაჯავრიანებული ნელი-ნელ კიბებზე ავიდა და სახლისკენ გასწია.

დასასრული იქნება

დაფანტული ფურცლები*)

ოტია ჩვენთან შედარებით ხნიერი კაცია.

საკვირველი და საიარაყო იყო ის გზა, რომელიც ოტიამ გამოიარა, სანამ რევოლუციამდე მოვიდოდა.

მე არ ვიცი, სად სწავლობდა ოტია; ზოგი ამბობდა—სასულიერო სემინარია აქვს გათავებულიო, ზოგი რაღაც სამხედრო სასწავლებელს ასახელებდა. ნამდვილი კი არაფერი იცოდა. ჩემს მახსოვრობაში ოტია სოფლიად ცხოვრობდა, არაფერს ეკარებოდა, არაფერს იკარებდა. არ უყვარდა სოფლის სტუმარ-მასპინძლობა.

— ლეონოს წვეთს არ სვამსო,—ამბობდნენ მის შესახებ.

მახსოვს, როცა ოტია დაბაში ჩამოვიდოდა, ერთად ერთი ადგილი, სადაც ის მიაშურებდა ხოლმე—ეს იყო ფოსტა. აგზავნიდა აუარებელ წერილებს და იქვე ფოსტიდან ღებულობდა დიდ კონა ქაღალდში გამოხვეულ ამანაიებს.

— სულ წიგნებს კითხულობს ერთადაც, სხვა საქმეს არაფერს არ არგიაო, იტყოდა ხოლმე—და წეც გამიგონია ეს—ოტიას მოხუცი მამა, რომელიც ყველას შესჩიოდა:

— ეს რა უემური და ურგები შეილი გამომივიდაო!

მახსოვს ისიც, რომ როდესაც დაბაში სამკითხველო გახსნეს, ოტიამ ორი დიდი ზურჯინი ჩამოიტანა წიგნებით სავსე და სამკითხველოს შესწირა. კვირაში ერთხელ უსათუოდ ჩამოვიდოდა სოფლიდან, ცხენს სადმე დუქანის დარაბის წინ ძიაბამდა, შემოვიდოდა სამკითხველოში, ჩუმიად მიჯდებოდა სადმე კუთხეში და თავაულებლივ კითხულობდა გაზეთებს.

მე არ მინახავს, რომ ის ვინჯეს გამოლაპარაკებოდეს. მუდამ ნაბადში იყო გამოხვეული, ზამთარ-ზაფხულ ნაბადს არ იშორებდა. დიდრონი თვალეში, მოგრძო, მსხვილი ცხვირი, წაბლისფერი, სქელი ულვაშები და მოკლედ წვეტივით შეპარსული წვერი, რაღაც არასასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა. პოლიციის ხალხს ოტია ერიდებოდა, ჩინოვნიკებთან ნაცნობობა ხომ სრულებით არ ჰქონდა. საღამომდე იჯდა ხოლმე სამკითხველოში, მთელი იმ კვირის გაზეთებს ვადაიკითხავდა და ისევ სოფლისაკენ გაუდგებოდა გზას.

დაბაში ლაპარაკობდნენ, რომ ოტია შერყეულია, თორემ ისეთი ნასწავლი კაცი უსამსახუროთ როგორ მოიცდისო.

*) იხ. ჟურ. „მნათობი“ № 11-12.



ასე მიდიოდა წლები, ოტიას შესახებ ხან მოუხირობდნენ, ხან მოუკლებდნენ—ეს იმის კვალობაზე, სხვა რამე კიდევ საზღვარსაღმოსავლეთით, თუ არა დაბის კორიკანა დედაკაცებს.

მასხოსს, ჩვენს დაბაში ერთს წელიწადს ვილაყ ქალი ჩამოვიდა ქალაქიდან მისი მცნობი დაბაში არავინ ყოფილა. ამ ქალმა გამოაცხადა:

— უშვილობის წამალს ვაშხადებ. ვისაც უნდა, რომ შვილი აღარ იყო-ლიოს, ოცდახუთ მანეთად ისეთს წამალს მივცემ, რომ შვილი მისდღემწი აღარ გაუჩნდებაო.

ამ ამბავმა ერთხანს სრულებით დაჩრდილა ოტიას თავისებურსა და ახირებულ საქციელზე ლაპარაკი. შვილოსნობის წინააღმდეგ მოაქიმი ქალმა, მართლაც ბევრი მუშტარი იშოვა, მაგრამ მისმა მოცემულმა წამალმა რამოდენიმე დედაკაცი გამოასალმა წუთისოფელს და ამის შემდეგ ისიც გაიპარა უნიშნოთ დაბიდან.

სხვა რამ კიდევ ასეთი ამბებიც გამოეროდა ხოლმე ჩვენი დაბის ცხოვრებაში და მაშინ ოტიას შესახებ ლაპარაკს თავს მიანებებდნენ. მართალია, ოტია მთელი თავისი ცხოვრებითა და ყოფა-ქცევით სრულებით არ ჰგავდა სხვებსა და დანარჩენებს, მაგრამ ხოლოს ამ საარაკო სანახაობას ჩვენმა დაბამ თვალი და კური შეაჩვია, ხანდახან გაანზღებელი დედა, თუ დაწყევლიდა ხოლმე უჩა შვილს.

— უეჭური ხარ, ურებელიძის ოტიას გამოეგვანე, შე მიწა გასაწყვეტო, შენო!

ერთხელ ოტიამ დასტურ მთელი ჩვენი მახრისა და დაბის ყურადღება მიიპყრო.

— ურებელიძის ოტია თქვენი ყოფილა და ორი კაცი მოუკლავსო, — ამბობდნენ ყველგან. პირველი ახალი ამბავი შეიქნა ეს ორი კაცის მოკლა, რატომ მოკლა, რა იყო მკვლელობის მიზეზი, ეს არავინ იცოდა დაბეჯითებით. ზოგი ამბობდა, პირაქეთ შემოდავებიან და გაულანძლავთო, ზოგი ოტიას ამტყუნებდა.

გაიარა კიდევ ერთმა წელიწადმა და ოტია კვლავ გამოჩნდა დაბაში, იმავე ტანისანოსით, იმავე ცხენზე, ისევ ფოსტას მიაშურა, ისევ წერილები გააგზავნა, ისევ წიგნების დიდი კონა წამოიღო ფოსტიდან და სამკითხველოში შევიდა გაზეთების საკითხავად.

ამბობდნენ:

— სულში ვეჭილი კი არ აუყვანია, თვითონ ილაპარაკაო.

— მე შენ გეტყვი, სწავლა აკლია, თუ—იტყოდნენ ხოლმე ამის გაგონებაზე, —საწყალმა მამა-მისმა თუ რამე ქონება და შეძლება გააჩნდა, ყველაფერი მაგის სწავლას გადააგო, მაგრამ მაგისაგან არაფერი ხეირი არ უნახავს არავისო.

ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენს დაბაში პირველ წერიებს ეაწყობდით მუშათა შორის და სოფლად მუშაობის დაწყებას ვაპირობდით. ერთხელ კრებაზე, როდესაც მომავალი მუშაობის გეგმას ვადგენდით, ერთმა ანხანავმა შემოიტანა წინადადება:

— ამ საქმეში ჩვენ თუ ოტიას ჩაეყოლიებთ. იცოდეთ, ბევრ რამეს გაგვიკეთებსო.

მეფეგზავნეთ შუამავალი, ოტიას არც უარი ეთქვა, არცეკუფებებში მიეცა. ამის შემდეგ ის ერთხანს კიდევ სადღაც გადაიკარგა და, ბრყველა: (რჩეუ) გაპოჩნდა დაბაში პარდაპირ მოვიდა ჩვენთან და გამოავიციბადა:

— მზათა ვარ ვიმუშაო და ორგანიზაციის ყოველივე დაეაღება ავას-რულლო.

პარტიული პროგრამა ოტიას თავისებურათ ესმოდა. მის მაშინდელ ლაპარაკში ბევრი რამ იყო ისეთი, რომელიც სრულებით არ უდგებოდა მარქსისტულ მოძღვრებას. სამაგიეროთ ქარბობდა პიროვნული გაბედულების წინ წამოწევა და ამ გაბედულთა მოქმედებით რევოლუციონური მოძრაობის ვალდებულების მცნება.

ოტია არ იყო აზნაური, მაგრამ მამა-მისი თავისთავს გლეხად მაინც არ სთვლიდა.

ჩვენ, ბატონო. მიძიებლები ვახლავრთ, დეპუტატსკი საბრანიეში ჩვენი აზნაურობის ქალაღლი დაიკარგა, მაგრამ უსათუოდ გამოინახება, რაც დრო იქნება და ჩვენ აზნაურობას დავეიმტკიცებენო, — ამბობდა ის თავმომწონედ.

ოტიას კი თვითონ სასტიკათ სძულდა ეს „კეთილშობილი წოდება“. სძულდა კიდევ უფრო მღვდლები და სამღვდულოება.

— წელიწადი ისე შემობრუნდება, რომ ეკლესიის კარებთან არ გევიღის, რამდენი ხანია ზიარება არ მიუღია, აღსარება არ აუვლიაო, — ლაპარაკობდენ მის შესახებ.

მოძრაობის მოლონიერების დროს ოტიას სხვადასხვა აზირებული თვისებები გამოიჩინა. ორგანიზაციულად მუშაობას ის უარყოფდა, თავის მუშაობაში არავის არაფერს ჰკითხავდა. არ უფვარდა ანგარიშის მიცემა. ის კუთხე, ის სოფლები, სადაც ის მუშაობდა, მხოლოდ მას სცნობდა და მასთან ჰქონდა საქმე.

დეკემბერში, აჯანყების დროს, ოტიამ გამოიყვანა თავისი რაზმი, რომელსაც განსაკუთრებული ნიშანი ჰქონდა დაეკრებული მკლავზე, ეს რაზმი, მის მეტს არავის ემორჩილებოდა.

აჯანყების დამარცხების შემდეგ ოტიამ ფეხი არ მოიკვალა დაბიდან. იქვე ახლო სოფლებში დაიარებოდა და განაგრძობდა თავისებურ მუშაობას.

ოტია ჩინებულათ იცნობდა ქართულ ლიტერატურას, მეტადრე ძველს, ამიტომ მის ლაპარაკში ის იმდენათ მარქსის სიტყვებს კი არ იმოწმებდა ხოლმე, რამდენადაც სხვა რომელიმე ძველ მწერალს. განსაკუთრებულად უფვარდა მას ამ სიტყვების ვახსენება:

— „წყალნი წივლნენ და წამოვლნენ, ქვიშანი დარჩებიანო!“

იტყოდა ხოლმე ის, როდესაც ჩვენ დამარცხების შემდეგ ვურჩევდით, რომ რაზმი დაეშალა და თვითონაც სადმე მოფარებოდა. მაშინ მან გადაჭრით უარი თქვა, მაზრიდან სადმე წისვლაზე.

— დამარცხებაში უნდა გაძლება და გამკლავება, თორემ გამარჯვებაში უცელა შენთან იქნება, ბრალიანი და უბრალოცო, — ამბობდა ოტია.

— კი მართალია, — ვეუბნებოდით ჩვენ იმას, — მაგრამ დამატებებს დროს რომ სხვანაირად უნდა მუშაობა. ეხლა ბრძოლამ სხვა გზა უნდა გაიფიქროს. საჭიროა ფარულად მუშაობა, — ვეუბნებოდით ჩვენ. ის უარზე იყო.

— სიგლაზეა, მეტი არაფერი, იარაღს ჯერ არ უნდა მოკიდო ხელი და, თუ მოკიდებ, ან მტერი უნდა დაამარცხო, ან თავი უნდა წააგო, — იყო მისი პასუხი. მაშინ ამ პასუხით გამოგვისტუმრა ჩვენ მან; ეს ამ რამოდენიმე თვის წინად იყო.

ამ ხნის განმავლობაში საქმე ისე წავიდა, რომ ოტია უნდა დათანხმებულიყო თავის რაზმის დაშლას. მეც ამის იმედით მივდიოდი ეხლა იმასთან. გზა უფრო გრძელი გამოდგა, ვიდრე მე მქონდა წარმოდგენილი, შეიძლება არც ისე გრძელი იყო ეს გზა, მაგრამ დაღალულ ადამიანს რა არ მოეჩვენება. ბოლოს, როგორც იქნა გადავალწვიეთ.

ოტიას საფარები მოეწყო და ბინიდან რამდენიმე მანძილის მოშორებით მზვერავები დაეყენებია. ტყეში ყოფნა თითქოს სრულებით არ დასტუბოდა მას. ერთი რამ ცვლილება ის იყო, რომ გძელი ჩოხა-ახალოხისათვის თავი დაენებებია და მოკლე ტყავის კურტკა ეცვა.

— იცოდე, კარგ რამისათვის არ მოხეიდოდი შენ აქ, — შემომეგება ოტია.

— ჩემი აქ მოსვლა სრულებით მოულოდნელი იყო ჩემთვისაც. მაგრამ, ასე კი მოხდა, — მიუღვებ მე.

— მოდი შე კაცო, ერთი შენც გასინჯე ეს ჩვენი ცხოვრება, რა უჭირს... თითქოს საყვედურს ამბობდა ოტია.

კვლავ რაზმის დაშლასა და თავის მოფარებაზე ჩამოვუგდე ლაპარაკი. ის თითქმის თანახმა იყო, მაგრამ ჯერჯერობით მაინც არ აპირობდა ჩემი რჩევის შესრულებას.

— ჯერ ეს მახრა უნდა გავწმინდო და შემდეგ ვნახოთ, იქნება, მართლაც, მაგრე აჯობოსო — მითხრა მან და ამით დააბოლოვა მან ეს ჩვენი შესაიფი ამ საგნის შესახებ.

— ეხლა, თუმცა ძალიან მოგვიანებულია, მაგრამ ცოტა ვჭამოთ რამე. ჩვენი ღარიბი სუფრა არ მოგეწონება, მაგრამ ჩვენ ამაზე უკეთესი არაფერი გვაქვს, — სთქვა ოტიამ. იქვე მყოფ რაზმელებს დაუძახა.

ცეცხლის პირას მდებარე მოვეუგეით. აქაც იგივე ცივი ქაღი და ყველის მეტი არაფერი გააჩნდათ. ლინის მაგივრად აქაც არაფერი მქონდათ. ოტია უბრალო წყალის მეტს არაფერს სვამდა. გაფათავეთ ვახშაში.

— ეხლა მომიყვანეთ ის, — მოკლედ გაცხაბრძანება ოტიამ.

— დაესწარი ამ ჩვენ საქმეს, — მითხრა ოტიამ და თვითონ ხელის აბგიდან ფრთხილად ტყავში გამოხვეული უბის წიგნი ამოიღო.

— ის სულ-ძალი სტრატეგიების უფროსი გვყავს მოსაკლავი, ვერაფრის გზით ვერ მივუღეით. ალბათ, შენც იცნობ, კოტია ბერუაშვილი, დეკემბერში ესერების რაზმს მეთაურობდა. რეაქციის დაწვეებისთანავე პოლიციის სამსახურში შევიდა და ეხლა მთელი ქვეყანა მისაგან შეწუხებული. სოფელი არ არის, რომ ვინმე არ მოეკლას, სოფელი არ არის, რომ ვინმე არ დაეწვას. ამ ერთი

კვირის წინად ისეთი საშინელი საძაგლობა ჩაიდინა, რომ მისუქცუცუცულე აღარ შეიძლება, უსათუოდ უნდა მოვსპოთ, რათაც არ უნდა დაგვეტყოს

— რა ჰქნა ამისთანა?

— რაღას იზამდა ამის მეტს?! ერთს სოფელში მისულა სტრანეიკებით, გამოჩენილა ვიღაც ენის მიმტანი და უთქვამს ამა და ამ კაცის ოჯახში, რაზმელად გაეარდნილი ბიჭი რომ არის, ის ეხლა სახლში მოვიდა და იქ იმაღლებათ, მივიდნენ, დაესხნენ თავს. მართლაც, ჩვენი რაზმის ბიჭი იყო. ბიჭი მოკლეს იქვე ეზოში, შემდეგ მამა ბოძზე მიადებს, კახაკები და სტრანეიკები კი დაერივნ სახლში და ეზოში:—ძროხა დაჭკლეს, ქვევრები მოხადეს, ღვინო რაც დალიეს-დალიეს, რაც არა და გაუფუჭეს. სახლში გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავდა, ის გააუპატიურეს. მამას ყველაფერი ეს აყურებინეს. ბოძზე მიბმულს პირში თურმე ღვინოს ასხამდნენ და ღბრძანებდნენ.

— შენი შვილის სადღეგრძელო დალიეო. ამის შემდეგ მისი სიცოცხლე აღარ შეიძლება. აი აგერ მიწერია მისი კაი კაცობა, სათითაოდ ჩანიშნული მაქვს, სად რა საქმე ჩაიდინა. ამას ველარ ეპატივებთ. პირველი ტყვია ჩვენი იმას უნდა მოხედეს.

სწორედ ამ დროს რაზმელებმა მოიყვანეს ერთი ვიღაც ხველი აწოწილი შუა-ხანზე გადაცილებული კაცი.

— დაჯექი, — მოკლეთ უთხრა მის ოტიომ.

— არა მიშავს რა, ნუ წუხდებით.

— მე არაფერს ვწუხდები, შენ თუ არ შეწუხდები. ხო, აქ იმიტომ მოვიყვანე, რომ აღსარება აგაბრონიო.

— თუ რამის დანაშაუე ვარ, ბატონო, ახლავე გამაქვრეთ, ვინ არის წინააღმდეგი, მაგრამ, იცის ღმერთმა, მე არაფერში მინათათი არა ვარ.

— მაგას ეხლავე ვნახავთ, ხარ თუ არ ხარ.

— იცის ხალხმა და ქვეყანამ, მე ცამდე მართალი ვარ.

— ჩვენც ვიცით გოჯასპირ, ჩვენც ვიცით.

— თქვენ, ბატონო, ვინ შემოგკადრათ, თქვენ ყველაფერი იცით, მაგრამ მაგისთანა განათლებული კაცი ბრძანდებით, კი არ უნდა დაუჯეროთ იმ ცხვირ მოუბოკელ სოფლის ბიჭებს.

— ხმა, კრინტი, თორემ ეხლავე გავათავე. იცოდე, შეუბრიალა თვალები ოტიამ მოხუცს.

ის რაღაც საკოდავით ამიჯიგდა, მუხლებში მოიყვია და თითქოს თავის გადარჩენას აპირებსო, ორივე ხელეუბი პირის სახეზე აიფარა.

— დავედე მანდ და უჭრი დამიგდე. შენ არ ბრძანდებოდი, რომ დააწვევიე ირაკლი ქათამაძის სახლი? გენიშნა?! ხომ?!!

— შენ არ ბრძანდებოდი, რომ ამოუძებნი სტრანეიკებსა და ჯარს და დაასხი თავზე ივანე ქლიზაძეს? ხომ მართალია, ხომ? მართალია, თუ არა, მე გვეკითხები, შენ?

— რა უქნეს იმ ბიჭს, ის ხომ იცი? იცი, თუ არა, მე შენ გვეკითხები?!!

— რა ვიცი, ბატონო, მე მაგისი არაფერი არ ვიცი!!



- აბა, შენ თუ არ იცი და მე ვიცი! ის ბიჭი დახვრიტეს, რამე ღამეს.
- მე რა ვიცი, ბატონო, მე რა შუაში ვარ.
- ხარ, თუ არა ხარ, ეს მე მკითხე, სტრატეგიების ვერსიის შესახებ დაძვრები, თუ მე?
- არა ბატონო. როგორ ვკადრებათ...
- ის მე ვიცი, რაღაცა მეკადრება და რაც არ მეკადრება. ყოველთვის ასე ვინდა იცხოვრო? არ ვინდა აიღო ხელი სოფლის შეწუხებასა და აოხრებაზე?
- შევედი ბატონო, თუ რამე შეცდომა მქონდეს, მაპატივე, შენი მუხლის ქირიმე.
- პატივება ღმერთს თხოვე, მე რას მთხოვ!
- აი ეხლა რა მითქვამს შენთვის, ყური დამიკვდე... — ოტია იქვე რაზემეს მიუბრუნდა.
- მომიტანე საწერ-კალამი და ქალაღი.
- აი რა მითქვამს შენთვის, აიღე ხელში ეს საწერ-კალამი და იმ შენს მეგობარ კაცს წერილი მიიწერე.
- რა მივწერო ბატონო, შენი ქარიმე, მიღღემში მიმიწერია იმ ოჯახ-ამოსაგდებისათვის რამე!
- მაგ სხვა დროს ილაპარაკე, ეხლა ის ქენი, რაც გითხრა, თორემ შენი აღსასრულის წუთი მოსულია.
- რაზემეს მოიტანა საწერ-კალამი, ერთი ნახევი ქალაღი და ხის მორზე ნაბადი გადააქარა.
- აბა, მარჯვეთ, რაც გითხრა, ის დასწერე. ოტიამ უნიდან ამოიღო ქალაღი და მიაწოდა დატყვევებულს.
- აი ეს ხომ შენი დაწერილია, სწორეთ შენი დაწერილია, აღარ გახსოვს, როდის დაწერე და ვის გაატანე?
- გოჯასპირს ხმა აღარ ამოუღია.
- გადაწერე ყველაფერი პირწმინდათ, მაგრამ ერთი ადგილი უნდა შეცვალო, შენ მას დღეს-დღისათვის სწერ, ეხლა მაგ რიცხვის მაგივრად ზეგის რიცხვი დასწერე.
- მიწაზე გართბული გოჯასპირი წამოიწია, წელმოწყვეტილი ძალღივით მიფოფხდა კუნძთან. ძლივს-ძლივობით მოახერხა კალმისათვის ხელის მოკიდება.
- მარჯვეთ, არ შეგეშალოს, თორემ ქალაღი აქ ჩვენ აღარ გვეშოვება, — მიამახა ოტიამ.
- ოტიას ველარ ვცნობ, მის სახეზე საბედისწეროთ ელვარებს მრისხანე შავი თვალები.
- რომ ველარაფერს ხედავს ეს ჩემი დასაფსები გამოსახედავი ამ ღამეში... საცოდავთ ჩიწქმუტუნა გოჯასპირმა.
- მიუხაეთეთ, — მოკლედ სთქვა ოტიამ.
- აღარ შემიძლია ამ ამბავის ყურება, თითქოს ყველაფერი ეს სიზმარში ხდება, ჩემს გარშემო რასაც ვხედავ. მინდა მოეშორდე აქაურობას, მინდა დავიწყებას მივცე თავი.

— რა სასტიკია ადამიანი, რა შეუბრალებელია კაცი, საცოდავიც ეს გოჯასპირიც, მაგრამ მეგისაც რომ არ სცოდნია ადამიანის შეკრძნობა და უკრილი დათვივით დადის იქეთ-აქეთ პატარა მანძილზე, სხვის უწყის გაადადვამს, ისევ შემოტრიალდება.

— გაათავა, — მოუჭანა ერთმა რაზმელმა ოტიას ქალაღდის ფარატიანა. ოტია ცეცხლს მიუახლოვდა, ქალაღდს თვალი გადაავლო. ქალაღდი მოკეცა, ჯიბეში ჩაიდვა და რაზმელს უბძანა.

— წაიყვანეთ!

— ნუ დეიდებ, ბატონო ოტია, ჩემი ობლები ცოდვას, არასოდეს ამიერიდან მე... — საცოდავით მოთქვამს გოჯასპირი.

— ერთი გაჰყევით, — ამბობს ოტია. მოხუცს ერთი ჩამოშორდა, მეორე გაჰყვა. როცა გოჯასპირი და მისი გამყოლი კარგა მოწორებით დასცილდნენ იმ ადგილს, ოტიამ მოიხმია მეორე რაზმელი.

— გენო, იცი ზომ, რაც ვითხარი. ნაძრახ ღელემდი მიიყვანეთ და იქ... მანამდე ხელი არ ახლოთ. ზედ ეს ქალაღდი დაადევით გულზე. ოტიამ უბის წიგნიდან პატარა ფურცელი ამოიხა და ზედ რამოდენიმე სტრიქონი დააწერა.

— ასე იჯობებს, სხვას არ დააბრალებენ, მე მომკითხონ, მე ვარ პასუხისმგებელი...

გენო აჩქარებული ნაბიჯით შეერია ბნელს.

— ეხლა ბიჭებო, მოდით ერთი, რომელიმე გადადით იქ, გადაღმა და ზურას უთხარით ჩემს მავიჯრად, რომ ორი კარგი მსროლელი ბიჭი გამომიგზავნოს.

— ზურაზე უკეთესი მსროლელი ვინღა იქნება. — წარმოსქვა ვილაკამ.

— არა, ზურა ნუ, ზურა აქვე მქირდება, მაქვს საიმისო საქმე. ბნელში ვილაკ კიდევ ერთი გამოერჩა და გაუყვა ხრიოკებს...

— სირგო, შენთვის მომინდვია ეს საქმე. დღეს დღისვენე, ხვალ საღამოზე კი შენ და ის ორი ბიჭი უნდა გადაბვიდეთ საკირეს თავში, ზომ გამოვივლია — იქეთკენ. ამ სულძაღლის წერილი უნდა გაატანო იქედან ვინმე სანდო ბიჭს, რომ დაბაში მიიტანოს და სტრაჟნიკების უფროსს გადასცეს. იცოდე, სანდო ბიჭი უნდა იყოს, მიიტანოს და თვითონ მაშინათვე გაჰქრეს, რომ ხელი არაინ მოჰკიდოს, ვინ იცის, იქნებ ექვი შეიტანოს ვინმემ. ისინი გამოივლიან იმ გზით; ზომ იცი დამწვარი ბოჯირი რომაა, მეტი გზა მათ არა აქვთ. აქ უნდა იმარჯვოთ და ისე არ უნდა დაბრუნდე უკან, რომ ჩვენი ისმაილას მკვლელები არ გააგზავნოს საიქიოსაკენ.

ითაბირეს, მოისახრეს და გადასწყვიტეს, რომ უმჯობესი იყო ანალამავე წისვლა.

მეც იმათ გაუყვი.

მინდა რომელიმე სოფლამდე ჩავიდე და იქედან მე თვითონ როგორმე გაიკვლეე გზას. ოტიამ არ მიჩინა.



— მოიცადე და რამოდენიმე დღის შემდეგ პირდაპირ ექვეყნე ვეფხვიან, მეც იქნებ მიქვს საქმე და უნდა წავიდეთ.

მე მაინც წასვლა ვამჯობინე. შევიპირე, ძ-ში სად უნდა ვეკითხე. დავშორდით ერთმანეთს. სოფლამდე კარგა ხანი სიარული დაგვჭირდა. ინათლა, ჩვენ კიდევ ტყეში ვიყავით.

ახირებული ცხოველია ადამიანი. გაჭირვებისა და საჭიროების დროს, თურმე, სრულებით არ უნდა მას არც ძილი, არც დასვენება. მეც, აკერ ორი დამის უძილარი, სრულებით არ ვგრძნობ ძილის საჭიროებას. მუხლებიც შეეწვია ამ აღმართ-დაღმართს. გაათენებისას ერთი ჩვენგანი, სწორეთ ის, რომელსაც ოტიამ მისცა სხვადასხვა დავალება, მოფრთხილებით გაემართა სოფლისაკენ. ჩვენ ტყეში დაერჩით.

კარგა შებინდებული იყო, როდესაც ის უკან დაბრუნდა.

— გლახა მახარობელი მოვდივარ. ის პირძაღლები თურმე გუშინ ყოფილან ამ სოფელში, აქედან კი სად წავიდენ, კაცმა არ იცის. შეიძლება უკან დაბრუნდენ, შეიძლება სხვა სოფელში წავიდენ, უთქვამთ კი—ჩვენ აქ ჩქარა დავბრუნდებით და მაშინ, თუ არ გამოტეხილხართ, არ გიჩვენებთ რაზმელები სად არიან, შავ დღეს დაგაყენებთო.

შეიქნა ბჭობა და თათბირი.

— იქნებ აქ მივაგნოთ სადმე იმათ კვალს,—სთქვა ტანმოჩილმა რაზმელმა, რომელსაც ნაზდის ქული ეხურა და ეტყობოდა, რომ ის ქართლელი უნდა ყოფილიყო.

— აქ კი ვნახოთ იქნებ, მაგრამ აქ ჩვენ იმათ რას ვაფუქვავდებით,—შეედავა მეორე.

— რამდენ კაცს ამბობენ, რამდენი იყოო.

— არ ვიცი, ამბობენ სტრაცნიკები იყო მარტოო,—სთქვა ამზის გასაგებათ წასულმა.

გადასწყვიტეს, რომ ღამე სოფლისათვის თავი მოველოთ და დამწვარი ბოგირის ყელთან ჩასაფრებოდენ. მე იმათ აქვე დავშორდი, სოფლის გზაზე გამოვედი და დაბისაკენ დავადექი. ამ სოფლის გზები მე კარგად ვიცი, ბევრჯერ გამომივლია, თითქმის სოფელი არ არის ისეთი, რომ მე რამოდენჯერმე არ ვყოფილიყო. მართალია, ტანისამოსი არ მიწყობს ხელს, მაგრამ რა გაეწყობა? თუ პირდაპირ არ შევხებე ვინმეს გზაში, ისე არაფერი მიჭირს.

ერთ ორლობეში ძაღლები გამომიდგენ. აღარ შეიძლებოდა შეუმჩნეველათ გავლა, მეც ვარჩიე რომელიმე მოსახლისას შევსულიყავი.

სწორედ ამ სოფელში მე ერთი კარგი ნაცნობი გლეხი მყავს. ჩემსობისას, როდესაც მე ამ სოფელში დავდიოდი სამუშაოთ, ის ასისთავად იყო არჩეული. იმისაკენ მივაშურე. მასპინძელი სახლში დამიხვდა. ცოტა არ იყოს შეეშინდა ჩემი სახლში შეშვება, მაგრამ მე იმ ღამეს ფეხის ვადგნა აღარ შემემძლო, ამას ისიც კარგად ატყობდა, ამიტომ ძალა-უნებურათ შემიპატივა.

ჩემს მასპინძელს გიგო ჰქვია. სოფლის პირობაზე გვარიანა შეძლებული გლეხია, ქალაქში ნამყოფი და ბათუმის ქარხნებში ნამუშევარი. შეგნებული კა-

ცია, მაგრამ მეტის-მეტად ფრთხილი და გაუბედავი. იჯანყების დროს კი სოფლად დარჩა, რაზეში არ ჩაეწერა და, ალბათ, ამის წყალობითაა, რომ გადაარჩენილა კიდეც.

— შენისთანა სტუმრის მოსვლა კი არ უნდა ეწეინოს კაცს, მაგრამ, ზომ იცი, ჩემო ალექსი, რა დრო დაგვიდგა. სოფელში ათასი ჯაშუში და გამცემი გამოჩნდა, მეშინია, წერილი ცოლშვილის პატრონი ვარ. მე რომ რამე გამიჭირდეს, ჩემს ოჯახს რაღა ეშველება? — ზოდიშს იხდის გიგო.

ვაიმედებ, რომ დიდხანს იქ არ მოვიცდი, რომ დილა ადრიათ გავეუყვები გზას. მაქვს მხოლოდ ერთი სათხოვარი: — იქნებ რამენაირად სოფლის გლეხური ტანისამოსი მიშოვოს. რაც უფრო ძველი და გლახა იქნება, ჩემთვის ის აჯობებს, სამაგიეროთ ჩემსას დავუტოვებ. არც ჩემი ტანისამოსია დიდი რამ საგანძური, მაგრამ მაინც უკეთესია და ვინც გამიცვლის, წაგებული არ დარჩება.

— მაგას ქე მოგიხერხებ, შე კაცო, — მეუბნება გიგო. გიგოს სახლი მალ-ლომზე სდგას, უკან გადასახედავი კარები აქვს დატანებული, იქედან კაცი ვერ მოადგება მის ეზოს, კიშკარი კი შორსაა დატანებული. ეზოში ფრთხილი ძაღლი უბია გიგოს. ასე რომ, გასწრება აქედან ადვილია.

— კი არაფერი გიჭირს, მაგრამ, თუ ვინიცომაა რამე ამბავი დატრი-ილდა, იცოდე ამ კარებიდან გადახვალ, ეზოს გადაღმა ფხეკია, იმას ჩაყვები, კიდეც რომ დაჩოჩდე არაფერი გიჭირს, იმას იქეთ კი ისეთი შამბარია, სამი წელიწადი რომ გეძებონ მწვეარ მეძებრებით, ვერაფერ მოგნახავს.

ტანისამოსი გამოვიცვალე. ნამდვილ სოფლის ბიჭს დავემგზავე და იქვე ჩამოვჯექ. გიგო სიფრთხილისაგან თვილს ძილს არ აკარებს. ზის ჩემთან ერთად, ოთახში. ბუხარში ცეცხლი გვინთია და მიყუება თავის ამბებს.

— რომ იცოდე, რა ამბები იყო ამ სოფელში. დღე ერთი იყო და კაზაკების ამოსვლა ორი და სამი. ჯერ ის იყო, რომ ხაზინიდან გატანალი ფული გააწერეს სოფელს და ყველას გადაგვახდევინეს. შენდგე მოგვდგენ.

— თქვენ რაზელებს ინახავთ, უსათუოდ მოგვეციოთ, თორემ ზეკუციას ჩაგყენებთო. კიდე ხელახალა ჩვენ ზენით გავიწერეთ კარგი მოზრდილი თანხა და ჩაეხარეთ სტრანგელების უფროსს. იმ ერთ ხანზე მოგვეშვენ. ეხლა კი ისევე დაგვოწვენ წვალება. აგურ, გუშინ იყვენ და დაგვეშუქვენ. ალბათ კიდე ჩამოივლიან და, თუ კიდე არ შევაცეცხლეთ რამე არ მოგვასვენებენ.

— შენ მაინც ძალიან გადაარჩენილხარ, არ მოგკიდეს ხელი? — ვეკითხები გიგოს.

— ჩემი ამბავი პირდაპირ საარაკო იყო, — მეუბნება გიგო. მე ზომ ასის-თავად ვიყავი სოფელში, ეს ქვეყანამ იცოდა, მაგრამ ჩვენს ბედზე აქ ჩვენ ამ სოფელში ერთი კაკალი ახნაური არა გვყავს. გლეხობაში კი პირი მაგრათ გვქონდა შეკრული. დაგვიკარეს ყველა, ვინც ვიყავით ასის და ათისთავები, აკურავს კახკულარიაზე და იქიდან დაბაში გვიპირობდენ წაყვანას, მაგრამ ჩვენ პირი შეკვარით და ყველამ ერთად განუცხადეთ:



— ჩვენში არაერთარი ახალი თაობა არა გექონია, მაგრამ, ვინაიდან მთავრობის ხალხი აღარ დაიარებოდა და ყურადღებას არავენ გვაქცევდა, ჩვენც რამოდენიმე კაცი ვირჩიეთ, უწინ რომ ხევისთაგებს ვირჩევდით, იმ წესით და დავავალეთ, რომ ქურდობა და ავკაცობა არ განენილიყო სოფლათქო. არ ვიცი დაიჯერეს, თუ არ დაიჯერეს, მაგრამ მეორე დღეს პრისტავი და სტრანეიკების უფროსი ამოვიდა, გამიხმეს ცალკე და გამომიციხადეს.

— გაგიშვებთ, თუ სოფელს შეასმენთ, ზეგ ამ დრომდე, თუ ორას თუმანს ფულს მოგვიკრიბავთ და ჩაგვაბარებთო“. სხვა რა ჩარა იყო, ჩვენც დავეთანხმეთ, მოვკრიბეთ დიდის გაჭირვებით ეს ფული და ჩავაბარეთ. ერთი სიტყვით, უნდა ვითხრა მართალი, რომ ადამიანის მარცხი არ მომხდარა ამ ჩვენს პატარა სოფელში, თორემ შეიდი პირი ტყავი გაგვამტრეს. პირდაპირ გასაქცევით გვაქვს საქმე.

გიგოს ლაპარაკში მე ისე ჩამძინებოდა, რომ ვერც კი ვავიგე, როგორ მივწოლილვარ გაუხდელათ სკამ-ლოგინზე. მტრედის ფრათ ნანათლები არც კი იყო, გიგომ რომ გამაღვიძა.

— აბა, ალექსი, ნულარ დეიგვიანებ, თორემ ხალხი წამოიშლება და მერე სულ ვეღარ გახვალ სოფლიდან, ვინმე დაგინახავს.

ნაკლული ბოთლიდან ორი ღვინის სტაქანი არაყი ჩამოასხა, ერთი თვითონ გადაჰკრა, მეორე მე შემომთავაზა.

— დილაზე უხმოთ კარგია, ჭაჭის არაყია, მოყვარე მყავდა სტუმრათ, იმან ჩამომიტანა ერთი ბოთლი, თორემ, ხომ იცი, ღვინო არ მოდის, დალიე, დილით კარგია.

დავლიე.

გიგომ ტებილისკვერის ნახევი გამომიწოდა.

— აბა აბლა, გზა მშვიდობის, ჩემო ალექსი. არც კი გამომყოლია გარეთ, ისე გამომისტუმრა. ჯიბეში წამოსვლისას ორი ჩუჩხელა ჩამიდევა.

ამ სოფლიდან მე ერთი მოკლე გზა ვიცი, ტყის ფერდობზე მიდის, იმ გზას გავყვეი. სოფლის ხალხს ჯერ კიდევ სძინავს. უხმოთ დაღუღულმა არაყმა მე ცუდი დღე დამაყენა, თავი მიბრუნეს, ამოვიღე ნასაგდღევი ჩუჩხელა და ნელ-ნელა დავწყე.

— არა, ნამეტნავათ შეკრულია რკალი. ქალაქში რაც აშბავი იყო, ხომ ვნახე,—სოფლად კიდევ უარესია. მართალია, ოტია არ ანებებს თავს ბრძოლას; მაგრამ, რა ფასი აქვს ამ ბრძოლას! ოტია, პიროვნული და პირადი გაბედულობის გზას ადგია. მასიური მოძრაობის შეცნება მას არა აქვს, მნიშვნელობა მასიური მოძრაობის მას არ ესმის. მისთვის ეხლა დადგა პირადი განხედლობის გამოჩენის დრო, მაგრამ რევოლუციისათვის კი რამდენათ საქიროა და სასარგებლო მისი ამ კლდეებსა და ღრეებში ხეტიალი, ამას ის არ კითხულობს. მე რომ მკითხოთ, სარგებლობა კი არა, საზარალოცაა მისი აქ ყოფნა. პოლიციას მისი აქ ყოფნა სოფლისათვის დაუსრულებლად შეწუხების და იძულების მიყენების საბაბს აძლევს. პოლიცია და ჯარი ოტისას დასდევს, ოტია ტყეშია და-

მალული, იქედან ხანდახან მალულად გამოდის და მოულოდნელად წაქრატის ხოლმე, ხან სტრანეიკებს დაუხედება, ხან კახაყებს სროლას აუტყხავს.

ოტიას ვერ ჩაიგდებენ ხელში, სოფელს კი იკლებენ და აწიოკებენ. არა, რამე უნდა ეშველოს ამ საქმეს. სრულებით არაა საჭირო ეხლა ასეთი მოქმედება. მასიური მოძრაობის განვითარების დროს კი შესმის, მაგრამ ახლა, ასეთს პირობებში...

ჩემს მახლობლად, არ ვიცი მარჯვნივ, თუ მარცხნივ უეცრათ იპეჭა რაღაცამ. შემდეგ თოფის კაკანი მომესმა. რაღაც ამბავია. მე მოვინაცვლე ადგილი და უფრო ღრმად შევედი ტყეში. უეჭველია ოტიას გამოგზავნილმა ბიჭებმა მიაკვლიეს სტრანეიკების კვალს, სროლის ხმა ისე ისმის, რომ, აქედან ეს ადგილი შორს არ უნდა იყოს.

კიდევ განსაცდელი, კიდევ ფათერაკი. თითქოს დოღში გაშვებული ცხენი ვიყო, წინ გადასახტომ საფრთხეებს რომ უკეთებენ, გადავხტი ერთზე, ორზე სამზე, ოთხზე მაგრამ კიდევ რომ არის, და ვინ იცის კიდევ და კიდევ რამდენი შემზვდება. აღარ მინდა ხტომა, აღარ შემიძლია, დავიღალე, დავიქანცე. მეც აღამიანი ვარ, გამოძვლია ხტომის უნარი.

* * *

დიდი ხანია ისვრიან, მოფარებულში ვზივარ და ვუცდი...

— „გაქვს, თუ არა უფლება, რომ აქ იჯდე, მაშინ, როდესაც იქ აღამიანები სიცოცხლეს სწირავენ იმ საქმეს, რომლისთვისაც შენ გიმუშავებია?“

— „რა უფლება გაქვს, რომ აქ გაჩერდე, იმით არ ამოუდგე გვერდში?“

— „შენ არ მოგწონს ის ბრძოლა, იმგვარათ ბრძოლა, უპასუხებს ის ვიღაც, მუდამ თავის გადარჩენაზე რომ ზრუნავს.“

— „რას ჰქვია—არ მოგწონს, რა უფლება გაქვს შენ მოიწონო, ან დაიწუნო, ედავება მეორე, რომელიც სასტიკად ემტერება იმას, მუდამ გონიერსა და მოსაზრებულად ნაბიჯის გადადგმის მრჩევლად რომ დასახლებულა ჩემს არსებაში.“

— „არ მოგწონს?! რა კარგი თქმაა სწორეთ, რა კარგი ლაპარაკია, რა კარგი თავის გამართლებათ?“

— „ოტიას ეინის საქმეა, იმას რომ თავი დაენებებია მუშაობისათვის, რომ ვასულიყო ამ მაზრიდან, მოფარებოდა, მაშინ არც ეს სროლა და ელვტა იქნებოდა.“

— „არა ხარ მართალი, შენ ეხლა ჭალაქში იყავი, იქ ხომ არ არის ოტია, მაშ იქ რატომღია სროლა და დავიდარბათ?“

მე გარეშე მოწამე ვარ ამ კამათში. ერთი რამ აშკარაა, იქ ხალხი თავს არ იზოგავს, შეიძლება სცდებიან, მაგრამ თავისი სიცოცხლით უნდათ სხვას ჭირი და უბედურება მოაშორონ. ეს ცხადია, ეს აშკარაა, ამას ვერსად წაუხვალ. მე კი აქ ბუჩქებში ვზივარ დაუსრულებელ მსჯელობის ჩიხების ყურეებს ვებეთქები, გამოსავალი ვერ მიპოვნია.

„სად ვიქნები, ნეტავი, ვაის ამ დროს?—ვევითხები მე ჩემს თავს.“

ვაისათ, შეიძლება არსად არ იქნე, მოვლენ აქ და რაზმელებზე გულმოსულები შენზე ამოიყრიან ჯავრს.

— „განა რა უნდა მიქნან?“



— „დამიჭირავენ“!

— „არა, კი არ დაგიჭირავენ, წაგიდებიან წინ, გაწვავლებენ, გაწაჭებენ და შემდეგ სიციცხლეს გამოგასალმებენ.“

— რა არის ეს სიციცხლე? რატომ ასე ვართ შეკირული და შედუღებული სიციცხლესთან?

— ღირს სიციცხლე იქ, სადაც ადამიანის ღირსებას აღარაფერი ფასი არა აქვს? სადაც ყველაფერი გათელილი და გაჭედილია??

ნაწყვეტ-ნაწყვეტით მიხტის აზრები, ერთი მეორესთან გადაუბმელი, ერთი მეორესთან შეუთანხმებელი, ერთი-მეორესთან მტრულად განწყობილი. ხანდახან ყოველივე ეს სწყდება, ჰქრება აზრთა მსვლელობა. რაღაც შავი ზოლი გაივლის ხოლმე ჩემს წინ, უსაბო, უშინაარსო.

დრო მიდის, მიდის, არც იჩქარის, არც იყოვნის, მიდის ისე, როგორც უვლია, დასაბამიდან და დასასრულამდე ასე ივლის.

— იქნება, მაშასადამე, ყოველივე ამის დასასრულიც.

იყო დრო, როდესაც არაფერი არ იყო... და „ღმერთმან შექმნა სამყარო არარაისაგან“, ასე მასწავლიდნენ სამრევლო სკოლაში.

მაშინ მე ეს მჯეროდა. მჯეროდა, რომ სადაც ზევით—ცაში ხავერდით მორთულ სასახლეში ზის ერთი მოხუცი, რომელიც არც ბერდება, შეიძლება ახალგაზრდაც არასოდეს არ ყოფილა; ის სასწავლებელში არ დაიარება, მაგრამ ყველაფერი იცის, არ ჰყავს მას ისეთი ბოროტი და ავი მასწავლებელი, როგორც ჩვენ, ყოველ დღე შიშველ ხელის გულზე სახაზავს რომ გვირტყამს.

ღმერთი არ სჭამს ლობიოს, დედა-ჩემი რომ გვიკეთებს იმისთანას. მას თავ-თავი საქმელები აქვს ყოველთაისი, ყოველ დღე ისეთ საქმელს მიირთმევს, როგორც შობა-ახალ-წელიწადზე გვიმზადებენ ხოლმე ჩვენ სახლში.

ღმერთი—ღმერთია, ყველაზე მეტი ფული მას აქვს—ის ყველა მდიდარზე უფრო მდიდარია, ყველა ნასწავლზე უფრო ნასწავლი, ყველა ღონიერზე უფრო ღონიერი. ერთი ნეკის მიკარებით წააქცევს ჩვენი დაბის სულყველაზე უფრო ღონიერ ფალავანს.

ასე მეგონა მე, ასეთი იყო ჩემი რწმენა...

სრულებით მიწყნარდა ყველაფერი.

უნდა გამოვიდო ამ ტყიდან და გზას დავადგე. გზაზე გლეხი მოდის, ურემს მოაჭრიალებს, აჩაბა ურემზე ფიჩხი დაუდევს, სოფლისაკენ მიიქვს.

— გამარჯობა, მივესალმე, როდესაც გაუუსწორდი.

— გაგიმარჯოს, მომცა მან პასუხი, ხარებს შეეხმარა და ჩვენც ერთმანეთს დავშორდით.

— პატარა მომიცადეთ, მომაწია უკანიდან გლეხმა. ურემი გაუჭერებია და ჩემსკენ მოდის.

— უკაცრავად ქე ვარ, მაგრამ, თქვენ მგონია, ალექსი უნდა იყოთ, ხომ?

— მართალია, ალექსი ვარ.

— ისე შეგიცანიო მეც. ჩვენს სოფელში რამდენჯერ გამოსულხაროთ ახალთაობის დროს საქადაგებლათ.

ვაკვირდები, ვერ გაეიხსენე.

— მე ახალთაობის დროს, აქ, სოფლებსავე მიმიშვირებოდა, ხედავს სადაც მე წუხანდელი ღამე გავათიე, ათისთავად ვიყავი... თქვენ არ გეხსენებოდათ, მართალია, ეხლა საით მიბრძანდებით?

— მინდა დაბაში ჩავიდე, იქ საქმე მაქვს ცოტაოდენი, იქიდან კი, ალბათ კიდევ წავალ სადმე, ჯერ არ გადამიწყვეტია.

— კეთილი, მაგრამ, როგორ ენდვეთ ეხლა გზას? თქვენ იქნება არც კი იცით რა ამბავი ხდება გელში, წითელ წყაროსთან, გემახსოვრებთ, იქ ჩვენ უწინ კრებებს ემართავდით ხოლმე—სწორეთ იმ ალაგზე...

— არა, არაფერი არ ვიცი, რაფა, რა მოხდა?

— რალა მოხდება ამის მეტი. სტრაეის უფროსს დახვთენ იქ რაზმელები და ბომბები ესროლეს. სულ ლუკმა-ლუკმა დაუგლეჯიათ. სტრაენიკები ერთხანს ესროდენ—მთელი ორი საათი ვახურებულნი სროლა იყო, ახლა წავიდენ ალბათ. დაბაში ჩავლენ და ჯარს ამოიყვანებენ. ამ გზას ამისთანა დროს კაცი რაფა ენდობა.

— კი არ ენდობა, მაგრამ მე დრო ხელს არ მიწყობს, რაც შეიძლება ჩქარა უნდა ჩავიდე დაბაში, თორემ არ ივარგებს.

— არის ერთი საცალფეხო გზა, მოჭრით გადახვიდოდით და არც არავინ შეგეფეტებოდათ.

— როდი ვიცი საუბედუროთ.

— აბა, ჩვენ ასე ვქნათ, მე ამ ურემს მივაჭრიალებ რამენაირად სახლში და იმწამსვე გამოვბრუნდები. თქვენ აქ, ამ ალაგზე დამიკადეთ. ასე, გზაში კი ნუ ვაჩერდებით, ტყეში შეიწიეთ პატარა, საათში, საათნახევარში მე აქ გავნდები და მე გადაგიძღვებით დაბამდი.

ჩემი პასუხისათვის არცკი დაუცდია, ხარებისაკენ გაეშურა, შესძახა, სახრეც გადაუჭირა და აჩქარებით გაუყვა სოფლისაკენ.

ისევ ტყეს მივაშურე.

ნეტავი ერთი წიგნი მაინც მქონდეს რამე თან წამოღებული. ჩემი საფარიდან მშვენიერად მოსჩანს გზა, გზიდან კი ჩემი დანახვა შეუძლებელია. თუ საგულდაგულოთ არ იცის ვინმემ ჩემი აქ ყოფნა, ისე ვერავინ მომაგნებს.

ის-ის იყო ვაპირებდი ჩამოვდომას, რომ შარა-გზაზე ცხენების თქარათქური შეიქნა. ათი-თორმეტი სტრაენიკი სოფლისკენ მიაჭენებდენ ცხენებს.

—მართლაც რომ ყოველ წუთს ბეწვზე ჰკიდია ჩვენი სიცოცხლე. ეს ბედი ათუ იღბალი, მაინც ახირებული და გიემავი რამ უნდა იყოს. ცელქობს, გათამაშებს, ხან დაგანახვებს ამ ვანსაცდელს, ხან მოვარიდებს.

არა, „ვერ მოიტანს სულ ყოველთვის კოკა წყალს“, ერთხელაც იქნება...

სტრაენიკები სოფლისაკენ მიაქანებენ ცხენებს.—უსათუოდ დაეწევიან იმ გლეხს, არ უნდა დაპარაკი. რაზმელებზე გაბრაზებულები, იმაზე ამოიყრიან გულსჯავრს.

— წუნკალი ცხოველია ადამიანი. ვინ იცის, იქნებ, თუ ხელში ჩავიგდეს, თავის-თავის გადასარჩენად, მე მიმცეს პირში იმ სტრაენიკებს, გაიელვა თავში.

მიწყნარდა ცხენის ფეხის ხმა. ისევ სიჩუმემ მოიკო არე-მარე. თავს ვე-
კითხები, რა ვქნა:

— დავრჩე და მოვეუცადო, თუ არ დავრჩე. იქნებ სტრატეგიკურად მეს ხმა
არ გასცენ. იქნებ ის დაპირებულ დროზე მოვიდეს. სჯობს დავუცადო, სულ
ერთია, ჩქარა დაღამდება და ღამე გზის დანდობა ძნელია.

მოუცლი.

ნელა მიიზღაზნება დრო. რა უჭირს, ცოტა მოუჭქაროს, მაგრამ იმის რა
ესაქმება ჩემს ვასაქირთან? მისთვის სულ ერთია.

— დედამიწა მზეს უტრიალებს, მზე გაჩერებულია თავის ალაგას; არ
იძვრის. ჩვენ კი გვეგონია დედამიწა გაჩერებულია და მზე ტრიალებსო².

ასე გვისხნიდნენ სკოლაში.

მაგრამ რას უშველის ჩემს მდგომარეობას იმის ცოდნა, რა რის გარშემო
ტრიალებს. გინდ იტრიალოს, გინდ გაჩერდეს. ოდნავაც ცოტა მოუჭქაროს, მაგ-
რამ მოჭქარება არ შეიძლება, არ უწერია ასეთი კანონი ბუნებას.

ბუნების კანონი უძრავი და ურყევეია, არ შეიძლება მისი გარყევა, მისი
გაქანება, მისი შეცვლა.

მზე ყველასათვის ანათებს თანაბრათ და თანასწორათ.

ვინ იცის რა ხალხი ცხოვრობდა ოდესღაც ამ მიწაზე, ამ სერებზე, ამ
ტყეში, მე რომ ეხლა ვემალები სტრატეგიებს. იქნებ ერთ დროს აქ სულ სხვა
მცენარეები იზრდებოდა, სულ სხვანაირი ნადირი და ფრინველი ბინადრობდა
ხალხიც სხვა იყო. იქნებ სრულებითაც არ ყოფილა აქ—ამ ადგილას ადამიანი...

დრო მაინც ნელა მიიზღაზნება, ნელა მიდის დრო და ამ ხნის განმავლო-
ბაში, ვინ იცის, რა მოხდა, ეხლა რა ხდება და, რა მოხდება.

ამდენ ხანს ის მეურმე უნდა ჩასულიყო სოფელში; ალბათ კიდევ გამოხ-
სნიდა ხარებს.

აჰ, მივიდა, ხარები გამოხსნა, ამას დაახლოვებით ათი წუთი მაინც უნდა.
მაშ, მაშ მოვეუცადო უნდა ათი წუთი...

ვუცლი...

გავიდა ათი წუთი!

ეხლა ის სახლში შევიდა. სახლში ალბათ ცოლშვილს უნდა დაუბაროს
რამე. იქნება სახლში სტუმარი ვინმე დახვდა, მაშ, ხომ არ შეიძლება ასე ერთ-
ბაშად მისვლა და წამოსვლა? ამბავი, ხაბარი უნდა გამოიკითხოს, თავისი
უთხრას, მისი მოისმინოს.

ამასაც დრო უნდა...

მაგრამ ეს სტრატეგიები, ალბათ, სოფელში არიან ეხლა და სოფელს აწი-
ოკებენ. რა სცხელა იმას, რომ ოჯახი, სახლი, კარი მიატოვოს და შენ გამოგი-
დგეს ტყეში. თუ თვითონ გადარჩა, შენს გადარჩენაზე რატომ უნდა იზრუნოს?

ის დროა, სოფლად რომ იტყვიან დღე-ღამე გაიყარაო. ეს აღარც
დღეა, არც ღამე. მზე ჩასულია, მაგრამ ბინდი ჯერ არ ჩამოწოლილა.

ჩუპ, გამოჩნდა რაღაც ლანდი გზაზე. ფეხაჩქარებით მოდის, იქით-აქეთ
იყურება.

ვინ არის ნეტაეი? ვინ უნდა იყოს? ის, ჩემი ნაცნობი მეუღლე არ უნდა იყოს, არა ზგავს იმას, ეს ახალგაზრდაა, ის შუა ხნის კაცი ეგონებოდა, ჭული მოიხადა, ნელა დაუსტვინა. გაკვირებული ვარ, არ ვიტყვი, რომ ეს არ ვიცი აქ რა უნდა. კიდევ გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი, კიდევ შეჩერდა. არ ვიცი, ვინ არის, იქნებ სტრატეგიებმა გამოგზავნეს, უნდათ გამიტყუონ. ვინ იცის, იქნებ, ესეც გადაცმული სტრატეგიაა.

ვინც არ უნდა იყოს, უნდა გამოუჩნდეს, ამ ტყეში ხომ არ დავრჩები ვათენებამდე? დავიძარ ადგილიდან. ახალგაზრდას თვალს არ ვაშორებ. შემოესმა ჩემი ფეხის ხმა, ეს მას არ გააკვირვებია—აღმათ იცის მე უნდა გამოვჩნდეს ამ ალაგას.

მივდივარ.

ოტიასთვის გამორთმეული ბრაუნინგი ჯიბეში მაქვს, ეხლა გამახსენდა მისი არსებობა. თუ რომ ბოროტი განზრახვა აქვს, ერთ ადამიანს ამითაც მოვერევი.

— მე ილარიონმა გამომგზავნა თქვენთან, მეუბნება ახალგაზრდა.

— რომელმა ილარიონმა?

— ილარიონმა გამომგზავნა, თქვენ შეგხვდით ამ ადგილზე!

— მართალია შეხვდა, მაგრამ ის რატომ აღარ მოვიდა თვითონ?

— იმიტომ აღარ მოვიდა, რომ ის ეხლა დაკავებულია. სტრატეგები წამოსწევიან გზაში, დაჭერილი მოიყვანეს, თავ-პირ დამტვრეული, კანცელარიაში არის დამწყვდეული. საიდუმლოდ გადმომცა. „ამა და ამ ადგილზე ახალთაობის მქადაგებელი მიცდის ტყეში, მე იქ ვეღარ მივალ და შენ რამენაირათ უშველეო“.

— იცი კი, რა უნდა მიშველო, რაში მჭირდება დახმარება?

— თუ კი რამე შემიძლია, შევლას როგორ დავამადლოთ, რამდენჯერ მიხახახართ თქვენ ჩვენ სოფელში რომ მოდიოდით ახალთაობის დროს.

— კეთილი, ჩემი შველა ისაა, რომ, თუ იცი, აქ ერთი მოსაპურელი საკალღებო გზა ყოფილა სადღაც, იმ გზით უნდა გადამიყვანო დაბაში.

— გზა კი არა, რამდენი ყვავის ბუდეა ამ ტყეში ის ვიცი, ისე გადავიყვან, რომ ერთმა სულდგმულმაც ვერ შეიტყოს თქვენი აქ ყოფნა.

— საქმე ისაა,— მითხრა ახალგაზრდამ რამოდენიმე ხნის შემდეგ, რომ ასე ხელკარიელი სიარული არ გვარგებს. გზაში მოგვშივდება, თუ ცოტა რამ საქმელი არ ვიშოვეთ, ისე ვერ გადავალო.

ახალგაზრდა შეჩერდა.

— მე უბედურმა თავიდან ვერ მოვისახრე, ილარიონსაც არ უთქვამს დაბეჯითებით. არ შეიძლებოდა ჭვერი ლაპარაკი, ვინმე შეიტყობდა... დავბრუნდეს სოფელში, შორსაა... თავის თავს ელაპარაკება.

— არა, წავიდეთ, აქ ერთს ალაგას ერთი მოსახლე მეგულება, იმას გამოვართმევ რამეს.

— შენი სახელი? კეთხავ ახალგაზრდას.

— ჩემი, ბატონო, გაბრიელი, გაბოს შიძახიან სოფელში.

— აბა, რა, ჩემო ვაბო იცი, მოდი ეხლა მაგეებზე ნულარ დაგკარგავთ დროს, კიდევ რამე არ წამოგვეწვიოს. წავიდეთ ბარემლა.

— კი წავიდეთ, მარა მოგეწვივდება, გზაში მოსიარულეთს შეეშება, იმის მგზავრობა გროშ-კაპიკათ არ ღირს, დავეარდებით.

— ჩვენ შარა გზით მივდივართ. მე არაფრად მეხალისება ამ შარაზე სიარული, მაგრამ აღარ მინდა ვაბოს თავი შევახსენო. მივდივართ, მივყვებით შარის ნაპირს. მარჯვნივ ტყე მოგვდევს, თუ პირდაპირ არ შემოგვხდა ვინმე, მოვასწრებთ ტყეში გადასვლას, თავის მოფარებას.

გავიარეთ დაახლოვებით ორი ვერსი. ვაბო შეჩერდა.

აქ ამ მოსახვევთან რომ მივალთ, მე დაბლობში გადავალ, იქ რამოდენიმე მოსახლე გლეხი ცხოვრობს, იქ ჩავალ და რამეს გამოვიართმევ. თქვენ კი ტყეში მომიკადეთ.

ბარემ კი არ მინდა ტყეში ჯდომა და ცდა. მაგრამ სხვა რა ჯანი მაქვს.

ვაბო შემიძღვა, ადგილი ამირჩია და თვითონ კი თავვე დაეშვა. რაც მართალია-მართალია, მეც ძალიან შშია, მაგრამ, მარტო ჩემზე რომ ყოფილიყო ამ საკითხის გადაწყვეტა, მე ამ დროს არ დავკარგავდი. ვაბოს, მართლაც არ დაუგვიანებია დიდ ხანს, ჩქარა ამოვიდა, ორი ჭადი და ერთი წველა ყველი ამოიტანა.—არაყი მატანეს, მაგრამ არ წამოვიღეო, — სთქვა მან.

— აბა, ვაბო, თუ ძმა ხარ ნულა დავიგვიანებთ.

— როგორ გეკადრება. ეხლავე ვაუდგებით გზას. იქ ერთი სანდო კაცი მყავს, მთელს ამ სოფლებში, რომ დღიაროთ, იმაზე საწყალსა და გაჭირებულს ვერ ნახავთ, მაგრამ მივსთანა მონდომებული ამ ახალ-თაობის საქმეზე მეორე არ მოიძებნება. თავი მოიკლა, რომ გვიგო, არ უნდოდა თქვენი ასე გაშვება, მთხოვა აქ ჩამომგვარე, ამაღამ აქ მოუსვენებ და ხეალ დილით მე თვითონ გადავიყვან სადაც საჭირო იქნებაო.

ჩვენ ისევ შარა გზას დავადექით. ვაბო, აღბათ, ატყობს რომ მე ამ გზაზე სიარული არაფრათ მომწონს.

— ერთს პატარას კიდევ გავივლით, შემდეგ იმ ადგილას, ხელით მანიშნა, იქ, დამწვარ ღობილოს ვეტყვით ჩვენ, წყაროსთან არის ტყეში შესასვლელი ბილიკი, იმ ბილიკს გავუყვებით.

როგორც იქნა მივალწვიეთ წყარომდი, წყალი დავლიეთ.

მეტი დალიეთ, თორემ ტყეში რომ მოგწყურდეს, ერთ წვეთ წყალს ვერხად ვიშოვიო, გამაფრხილა ვაბომ. დავლიე კიდევ, რამდენიც შემეძლო და შევუდექით აღმართ-დაღმართ ოღრო-ჩოღროების თელვას.

კარგია ტყე განთიადისას, მაგრამ საშინელი და საზარელია ის დაღამებულში. ბნელ უმთვარო ღამეს.

იმ ღამინდელი ჩვენი თრევა-წოწიალი მართლაც საარაკო რამ იყო გაჭირვება ბევრი გამოივილია, მაგრამ იმ ღამისოდენი გაჭირვების მნახველი მე არ ვიყავი. ერთს აღაგას ვაბოს ფეხი დაუსხლტა და რომ ბუჩქის ტოტისათვის ხელის წავლება არ მოესწრო, უძირო უფსკრულში გადაიმტვრეოდა.

მთელი ღამე სიარული ვეღარ შევძელით, მეტის-მეტად მოვიქანცეთ. გადავწყვიტეთ შეგვესვენებია და როცა ინათლებდა, მაშინ გაგვეგრძელებოდა მოგზაურობა:

— გზაც აღარა გვაქვს ბევრი მაინცა და მაინც, ადრე საუზმობამდე ჩავალთ ხელს, — მაიმედებს გაბო. დავეგეკით, წამოღებული ჭადი და ყველი ძლიან გამოგვადგა ამ დაღალულზე.

— ერთი რამე მაქვს საკითხავი, — მითხრა ქოლოს გაბომ, როცა კამა მოვიტავეთ.

— თქვენ, ხომ ყველაფერი იცით, ერთი ეს გამაგებინეთ, ტყული საქმე ხომ არ არის ეს ახალთაობის საქმე?

— არ მესმის, რას ჰქვია ტყული საქმე, გამაგებინე.

— რალათი გაგაგებო, მე იმას ეკითხულობ, მართლა შეიძლება თუ არა ჩვენი გამარჯვება? ამდენი ჯარი, ამდენი სტრატეგიები, კაზაკები, ამდენი პოლიცია, ყველაფერი ეს მთავრობას ეხმარება, ჩვენ რანაირათ შეგვიძლია, რომ მათ მოვერიოთ? ერთი თოფიანი კაცი, რომ შემოვიდეს ეხლა ჩვენს სოფელში, ყველას იმას უზამს, რასაც მოისურვებს. ჩვენ სოფელში, ისე დაგვაცლევინებს ყველაფრიდან ხელი, რაც კი რამე იარაღის ნასახი სადმე მოგვეტყებოდა, ყველაფერი მოხიკეს და წაგვართვეს. ის კი არაა. ჩვენ ამ მთებში და კლდეებში ვცხოვრობთ, ნადირისაგან მოსაგერებელი უბრალო ფილთა თოფებიც აღარ შეგვარჩინეს. იმას ვამბობდი, რანაირათ უნდა მოვერიოთ ჩვენ მთავრობას, რისი პატრონი, რისი მქონე??

— იარაღი უნდა ვიშოვოთ. ეუბნები ჭაბოს, მას ჩემი პასუხი, ვატყობ, არ მოსწონს.

— კი ბატონო, მაგრამ სად ვიშოვოთ? ვინ მოგვცა ეს იარაღი, რამდენი უნდა იშოვოს კაცმა. მე ერთხელ ქუთაისში ვიყავი, იქ ერთი დიდი სახლი მარვენეს, თურმე ჩეხაო რქმევია, ამ ჩეხაოში სულ თოფები არის თურმე საესე. იქ რაც თოფები ყოფილა, იმის შეასედიც არ გვქონდა ჩვენ ყველას, დეკემბერში რომ აჯანყება იყო — მაშინ.

— ვიშოვით, არაფერია, მაგ არ არის თავი და თავი, საჭიროა მხოლოდ ხალხს შეგნება ჰქონდეს და მოინდომოს ბრძოლა.

არც ეს პასუხი მოსწონს ჩემს თანამგზავერს.

— სურვილი რას ჰქვია? მომეცი ეხლა მე საყოფად იარაღი და ხელს, თუ გინდა, მთელს ჩვენს სოფელს შეიარაღებულს გამოვიყვან, არავინ არ დაერიოდება, არც დიდი, არც პატარა. ის კი არა ბებრები და ქალებიც კი გამოვლენ, ისე ვართ ჩვენ მაგ სტრატეგიებისა და კაზაკებისაგან შეწყუბებული.

მე, რამდენათაც თვითონ მესმის და გამეგება, ვუხსნი შეიარაღებულ აჯანყების მოწყობის პირობებს. ეუბნები, სხვათა შორის, იმასაც, რომ შესაძლებელია ჯარის ერთი ნაწილი მიეშროს აჯანყებულ ხალხს.

ამ ადგილზე კვლავ გამაწყვიტია სიტყვა გაბომ.

— არა, ბატონო, მაგ არ დეიჯერო. წარმოუდგენელი საქმეა. ამაზე მეტი მაგალითი იქნება?! აგერ ამასწინაზე, ჩვენში ერთმა კაზაკმა ჩვენ საქმე გვიქნა

ჩვენს გადაღმა, მთლად მიყრუებულს ალაგას არის ერთი სოფელი, სულ ახალი ჩასახლებული სოფელია, ოცი-ოცდახუთი მოსახლე თუ იქნება, თურმე იმ სოფელში მიდიოდენ სტრანეიკები და კაზაკები. ჩვენ სოფელზე გამოვიდნენ ჩვენსას უწინ იყვენ და იმხელობაზე, ბევრი აღარაფერი წაუბდენიათ. ერთი კია, რომ ჩვენში ღვინის მოსავალი არ იცის და მოსახლეს ისე ვერ ნახავ, რომ თითო-ოროლა ბოთლი არაყი არ ედგას სახლში. მოწვევტილ ალაგას ვცხოვრობთ, ისაა—არაყია ჩვენი ექიმოცა და წამალიც. რუსის ამბავი ხომ მოგვხსენებათ, სულით მიხედენ მგონია, მაგ ოჯახქორები. დაერიენ და სადაც კი შეისწრეს, ყველგან გადმოანგრიეს ყველაფერი იმ ოტკის გულისათვის. ისე ღვინო როდი ჰყვარებიანთ, როგორც არაყი.

კარგი, დათვრენ, გილეშენ და დაეყარენ, ვინ სად, ვინ სად. ჩვენ, ახალგაზდებს სული კისერში მოგვებჯინა. გვინდა ერთი დავეყოთ ჰერეზიებით რომ არიან დაყრილი და ხელიერთპირად ამოვხოკოთ ყველა, მაგრამ სოფლის ვაფუქების გვეშინია. მთავრობას კაზაკები რამ გამოუღია, ამ ერთ წყებას დახოცა. მეორე წყება ამოვა და მთლად მოსპობს მთელს სოფელს. ერთი კი ექნით: ორ კაზაკს, რომ ებინათ, თოფები მოეპარეთ. იმ ღამე! მათ თოფების მოპარვა არ გაუღიათ. დილაზე დატურეს დუდუკი, წამოცინდენ. ეს ჩვენი, თოფები რომ აღარ აქეთ ისინიც წამოდგენ. მოძებნეს. თოფები, თოფები აღარსადაა. უნდა გეყურებიანთ, რა საცოდავ დღეში ისინი ჩავარდენ. გამხელის ქე ეშინიათ, დაგვსჯიანო. თურმე თოფის დაქარგვისათვის დიდი სასჯელი ჰქონიათ, უკატორლოთ ვერ გადარჩებოდენ.

ჯარი დაფანტულია მთელ სოფელში, შეიკრიბენ უბნა-უბნა და გაუდგენ გზას. ეს ორი კაზაკი აღარ გამოჩენილა. სოფელში დარჩენ. ჯარი წვევიდა, ისინი აქ არიან სოფელში, დადინ კარიდან კარზე და მოსთქვამენ როგორც პატარა ბავშვები. შეგებუნდა, მართლაც შეგვეცოდებოდა. ეს ამბავი ახლა მთელმა სოფელმა გეიგო. ზოგს მართლა ეკოდება, ზოგს კი შეეშინდა მაგათი გულისათვის ჩვენც გლახა დღეს დაგვაყენებნო.

შეიქნა ლაპარაკი, მთელმა ხალხმა მოიყარა თავი და გადაწყვიტეს, რომ თოფები გამოგვეჩინა. მაგრამ ეხლა, მიტანა არ გინდა, სად გინდა რომ გამოუჩინო, თუ ეხოში გამოჩნდა ვისმესას, ვიცით, რომ იმას შემდეგ დაწვა და აწიოკება არ ასცდება. შემდეგ ასე გადავწყვიტეთ. ის ორი თოფი გაეიტანეთ სოფლის გარეთ და გზის პირას დაედევით. ვანიშნეთ, რომ თქვენი თოფებისათვის ჩვენ ხელი არ მოგვიკიდებია, მაგრამ ამა და ამ ადგილას გზათ გამომვლელს ენახა, მიდით იმ ადგილას, იქნებ მართლაც იქ იყოსთქო.

კარგი, მიეხვედრეთ ეს. საყველ-პურო რუსული ქე იცის რამოდენიმე კაცმა ჩვენში. წავიდენ კაზაკები იმ ალაგას, მართლაც ქე არ დახვდათ თავისი თოფები! ჯერ გაეხარდათ, ბავშვბივით ხტოდენ სიხარულით. მერე, რა ჰქნეს იმ ურჯულბობაში! მოიკიდეს თუ არა იარაღს ხელი, შემოუტრეს სოფელს. ატებეს სროლა, ორი კაცი მოგვიკლეს, რამოდენიმე დაგვიტრეს, ბევრს მათრახით ვაუსიყეს თავ-პირი და ამის შემდეგ გაუდგენ გზას. ეხლა, თქვენი ქირივით, ეს მიბძანეთ, ამის მქნელი სალდათია, თუ კაზაკი, ის უღალატებს ხელმწიფეს და ხალხს ამოუდგება გვერდში?!



ჩემი პასუხი კიდევ იმნაირივე იყო.

მე ვარწმუნებ გაბოს, რომ ერთი და ორი კაცის საქციელით შეიძლება ასე გადაწყვეტილად მთელ ჯარის შესახებ ლაპარაკი. ვეუბნებ, რომ იქნებ არიან მუშები, რომლებიც, სანამ ჯარში წაიყვანდნენ, წრეებში დაიარებიან, რომ ისინი არასოდეს ხალხს არ ესვრიან და სხვ.

გაბოს მაინც არ სჯერა, ასე, ამ ლაპარაკში კარგა ხანმა და დრომ გაიარა. დაძინება არ შეიძლება. ტყეში ისეთი სიგრილეა, რომ შეუძლებელია ძილი. ძილ-ღვიძრათ ვზივართ. სალაპარაკო რაც გვექონდა ჩამოვითავეთ. ხანდახან ტყეში ისმის რალაც გაურკვეველი ხმაურობა. არის ერთი წყება ნადირი და ფრინველი, რომელიც ღამე დაეძებენ საკბილოს, თავის სარჩენს. ჩვენ ცუცხლი გვინთია და ამიტომ, ალბათ, ჩვენ არ გვეკარებინან. მონადირე ადამიანი ამის შესახებ მთელს პოემას დასწერს, მე ეს ამბავი არ მესმის.

მე მხოლოდ საშინელ დაღლილობას ვგრძნობ. ძარღვები დაჭიმულია კიდევ ცოტაოდენი და მე აშკარად ვატყობ, რომ რალაც სისულელეს ჩაივლენ, დამეკარგება მოსახრების ძაფი, ავისა და კარგის გარჩევის უნარი.

გარიჟრაჟზე ავდექით და კვლავ გაუდექით გზას. დაბა დაბლობშია მდინარის ვაღმა-გამოღმა ნაპირზე ვიწრო ხეობაში გაწოლილი. უკვე მოსჩანს რკინისგზის ლიანდაგის ზოლი. იქ გადაღმა, ჩვენი სახლია. დიდი ხანი არაა, რაც მე ამ სახლში აღარ შევსულვარ, მაგრამ ამ ცოტა ხნის განმავლობაში რამდენი ამბავი მოხდა.

გაბო, ვეუბნები ჩემს გამყოლს, მე აქ ბევრი მიცნობს, იქნებ ხიფათი რამე შემემთხვეს, შენ რატომ უნდა გაება ნახეში.

მადლობა გადაუხადე და დაეშორდი.

რამდენჯერ ამოვსულვარ ხოლმე ამ სოფელში, როდესაც ჩვენ გახურებულ მუშაობაში ვიყავით გაბმული. აქ გვექონდა ჩვენ „ტენიკა“ მოწყობილი.

ის სახლი და ის მოსახლე, მგონი გადარჩა პოლიციას.

ვერ შიავნეს.

ორგანიზაციის ხარჯით ავაშენეთ ერთი მოზრდილა სახლი. ეს სახლი ერთ აქაური გლეხის იყო, კანონით იმას ეკუთვნოდა, ფული ჩვენი მიცემული ჰქონდა. ის გლეხი ერთ ხანს ბათომის ქარხნებში მუშაობდა. შემდეგ, როცა ქარხნებში მუშაობა აღარ იყო, როცა ეს ქარხნები დაიკეტა, ის სოფელს დაუბრუნდა. ძმებს გამოეყო და ჩვენი მიცემული ფულით სახლი ააშენა. სახლის აშენების ამბავი არავის ვაკვირებია. სოფელში მესობლებში ლაპარაკობდნენ:

— ბათუმში რომ იყო, კასირი გაუცარცვიათ და იმ ფულით აშენებს სახლსო. სახლი კობტათ იყო სერზე წამოკომული, უკანა კედელი მაღალ ბრცს ებჯინებოდა. ამ უკანა კედლიდან შესავალი იყო გაკეთებული ერთს პატარა გამოქვაბულში, სადაც ჩვენ ფურცლებს ვბეჭდავდით.

სახლის პატრონი ეზოში და გარემოში მუშაობდა ვაშალებით. იმ დროინდელ კრებებს ის თითქმის არც კი ეკარებოდა, ახალთაობას წინააღმდეგობას არ უწევდა, მაგრამ მოწინავეებშიაც არ ერია. სოფლის მოძრაობაში მოწინა-



ვეებში ვინც იყო, მათაც არ იცოდენ, რომ კირილე კეთილშობილს სტამბა იყო გამართული.

კირილემ წინებული ბოსტანი გააშენა, კვირეში ორჯერ მაინც ჩამოჰქონდა ხოლმე დაბაში მწევანილი ვირზე გადაკიდებული ვოდრებით.

ეს ვირი და ეს ვოდრები აქაური სოფლელების სამასხაროთ იყო გადაქცეული.

— ვის უნახავს ეს კირილე ამ თავის ქონებას და ფულსო, ამბობდნ ხოლმე მის შესახებ, ცოლს მაგ არ თხოულობს, სახლი კი ისეთი წამოიჭიმა, რომ ახლა პატარძლის მეტი არაფერი არ აკლია მის კედელ-ყურესო.

კირილე ამ ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევდა. სტუმრათ არავის პატიობდა, თვითონაც არავის ეძალეზოდა. ხანდახან სოფელში ახალთაობის ძვირსაც გაიგონებდით მისაგან, მაგრამ ისეთს მაინც არაფერს ჩადიოდა, რომ სოფელს მისათვის ბოიკოტი გამოეცხადებია.

— ისეა, თავის სარგებლობის კაცია. შენი არ უნდა თავისას არ შეგარჩენს — იტყობდნ ხოლმე მის შესახებ.

სოფლელები იმასაც უსაყვედურებდნ ხოლმე:

— ფულიან კაცს ჭგავს, ტანზე არ იცვამს, საჭმელს მგონი ცარიელ ლობიოს მეტს არაფერს იკარებს, ყოველ კვირას სამეზობა მწევანილს მაინც გააყიდის, ფულებს აგროვებს და რომ შეესესხულო, კაპიკს ვერ გაავდებინებ ხელიდანო.

კირილეს სახლი ცალკე იყო, სოფლიდან ცოტა მოშორებით იდგა. მინდოდა იქეთკენ შემეველო, შორიდან მაინც თვალი ვადამეველო, მაგრამ ვამჯობინე გზა შემემოკლებია და დაბაში უფრო ადრე ჩავსულიყავი. ხიდზე გავლას ნავით გასვლა ვამჯობინე, მეც ამის კვალობაზე მოვისახრე გზა.

— ნავისაკენ ლობეებზე და ეზოებზე გადავლით შეიძლებოდა მისვლა. სანაოს რომ მივადექი, სწორედ ამ დროს, მეორე შრიდან გზაზე რამოდენიმე კახაკმა და სტრანჯიკმა გამოიარა. ეტყობოდა ვიღაც დაჭერილი მიჰყავთ. დაუკვირდი, გამიჭირდა ცნობა, მაგრამ გულმა მითხრა, რომ ის ჩვენი კირილე უნდა ყოფილიყო. მას ცალი ფეხი ბათილში პოლიციასთან შეტაკების დროს დაჭრილი ჰქონდა და რაღაც უცნაურათ კოჭლობდა. მე ამითი უფრო ვიცანი ის. ლობეს დავფახლოვდი და როდესაც კახაკებმა გაიარეს, მოვასწარი თვალის მოკვრა.

უშეველია კირილე იყო.

ინგრევა, იშლება ყველაფერი. მიუგნიათ, მაგრამ ნეტავი როგორ? ალბათ ვინმე გამცემი გამოჩნდა. ჩვენს ორგანიზაციაში რამოდენიმე კაცმა იცოდა სტამბის არსებობის ამბავი, იცოდენ ისიც, სად იყო ეს სტამბა მოწყობილი.

— ალბათ ვასცა ვინმემ. რა ფუჟოთ, ჩვეულებრივი ამბავია. ასეთი ამბები ასეთს პირობებში ჩვეულებრივიცაა, მოსალოდნელიცა და აუცილებელიც. მივადექი ნავს, მენავეს პირი ავარიდე. ჩემს გარდა ორი კიდევ სხვა ზის ნავში, ერთი მეორეს ელაპარაკებოან.

— კირილე კეთილშობილსას წუხელი რომ ამბავი მოხდა!

— რა ამბავი?

— რა და ის, რომ თურმე კირილეს სახლში მოწყობილი ჭკონებია ისეთი რამ, რომ ერთი ხელის დაკარგვით მთლად შექცეოდა მთელი ეს დაბა აფეთქებია. სულ ბოძებებით იყო იქაურობა თურმე გამოტენილი.

— გეიგე ეხლა შენ ადამიანის რაზე. მაგისტანა წყნარი და ხალხიდან გამოსხლეტილი ადამიანი მეორე არ ყოფილა მთელს ჩვენს სოფელში...

— ასე კი მოხდა. წუხელი მთელი სოფელი იყო ამ გათენების ხანს წამოვიდნენ.

— რას უზამენ თუ იცი?

— რა ვიცი, ალბათ დახერხდნენ, ან დაახზობენ. ხელმწიფის მოლაპარაკებებს ეხლა სასტიკად მოჰკიდეს ხელი.

— რას არ მოესწრება ცოცხალი ადამიან — იზარმაკად ჩაილაპარაკა მოხუცმა მენავემ, ხელზე დაიფურთხა, ხელის გული ერთმანეთს გაუსვა, საჭე-სარი აიღო ხელში და ნავეი ნაპირს დაუპირდაპირა.

ჩვენ ნავიდან გადმოვხტით და თავ-თავის გზის ვეწიეთ.

ალიხანოვ-ავარსკიმ „ბრწყინვალეთ“ გაიმარჯვა.

მთელი დაბა ხელიერთპირად გადამწყვარია.

დაბელი მელქეშეები დამფრთხალი და შეშინებული შხათ არიან თავისი ხელით დაიჭირონ და მიკვარონ პოლიციის ახალ-თაობის ხალხი.

უბრალო მრსახლეები მიუჩნებულან.

დაწვასა და დაჭერას ისინი, მართალია, გადარჩენ, მაგრამ პოლიციის თარეშიდან არც ისინი არიან თავისუფალი. დღე ერთია, და ხან ერთს დაიბარებენ პოლიციაში, ხან მეორეს; ხან რა შარს გამოიგონებენ, ხან კიდევ რას, ემუქრებიან დაჭერით, გადასახლებით.

— თუ ამდენი და ამდენი არ გიშოვია, არ მოგიტანიაო გაგაციმბირებთო. სხვების დასაშინებლად ბარე ორი-სამი სრულეებით უდანაშაულო მოსახლე მართლაც დაუჭერიათ, გადაუსახლებიათ. დანარჩენები დაშინებული და დატუქსულია იმ ზომამდე, რომ პოლიციელის ლანდის დანახვის ეშინიათ.

მუშები? დაბაში ბევრი მუშები არასოდეს არ ყოფილა. რკინისგზის სახელმწიფოებში ეხლაცაა ასოდე მუშა, მაგრამ ამ ას კაცში ერთი ნახევარი მაინც შორეული, ჩამოსული ხალხია. ისინი იმ თავიდანაც არ ეკარებოდნენ რევოლუციონურ მოძრაობას, ეხლა კი შათ სათოფეზე ვერ მიუდგები. დანარჩენები შეშინებულია; უფროსების გული მომადლიერებას სცდალობენ, თვალეში შეჩერებიან. მოფარებით, ფარულად თუ ვისმეს ნახავ, თვალეებს იჭეთ-აჭეთ აცეცებს, ეშინია.

— არავენ დამინახოს, არავენ გამცეს, არავენ დამაბეზლოსო.

არის რამოდენიმე მუშა, რომელიც სულითა და გულით მონდომებულია, რომ მუშაობა კვლავ გამოაცოცხლონ; ისინი არავეითარ სახეფათო საქმეს არ დაერიდებიან, მაგრამ მეთაურსა და წინამძღოლს ვერავეს ხედავენ. სხვა ორგანიზაციებთან კავშირის ძაფი გაწყვეტილია, ადგილობრივი მეთაურები კი ვინც იყო, მეტი ნაწილი დაფანტულია, ერთი ნაწილი კი პოლიციისა და მთაერობის

ხალხს დღეში ათჯერ მაინც შეფიცავს ხოლმე, რომ ისინი ვერცხვად დაიქონიან. უკუნისამდე მთავრობის მტრობასა და ორგულებას აღარ გაივლებენ გულში.

შეიძლება თუ არა აქ რაიმეს გაკეთება? ვეკითხები—ჩემს თავს. საეჭვოა ძალიან, მაგრამ ცდა მაინც საჭიროა, —უნდა ვცადო.

წუხელი დაბინძვებისას შემოვალე უკანა ეზოდან ჩვენი სახლის კარები. ერთი ოთახი ისე გავიარე, რომ არაფერს ვეძებდი. მეორეში რომ გავდი, დედა-ჩემი შემომეფეთა წინ. ხელში ოთახის დასაგველი ცოცხი ეჭირა. ჩემი დანახვა ისე გაუჭვირდა, რომ ცოცხი ხელიდან გაუვარდა, ადგილიდან ვეღარ დაიძრა და ხმის ამოღება ვეღარ მოახერხა.

—რას შვრები დედა-ჩემო, როგორა ხარ, ვერ მიცანი?

— შეილო, ალექსი, ვინ დინახა ჩემმა დასაფსებმა თვალებმა.

— მე ვარ დედა, მე, ნუ გეშინია, მოვედი შენი ნახვა მინდოდა. ხომ მიყურეფ, არაფერი მიჭირს!

— ასე გაუჭვირდა, შეილო, შენს მტერსა და ავის მსურველს, როგორც შენ გიჭვირდეს, ჩემო დედა!

ტირის საწყალი დედა-ჩემი ყელზე მეხვევა და მწარეთ პუტუნობს.

— შეილო აგვიკლეს შენი გულისათვის. საწყალს მამა-შენს დღეში ათჯერ მაინც დეიბარებენ პოლიციაში.

— შენი შეილი მოგვევარე, თორემ დაგიჭირავთ. გადავასახლებთ, შენ სახლ-კარს ცეცხლს წაუტიდებთ და გადაგწვავთო.

— ეხლა სად არის მამა?

— ეხლა შეილო, ეს-ესაა ეხლა გავიდა გარეთ, სანამთე ქურჭელი წვილო, ნამთი გამოგველია, იმის საყიდლათ წვეიდა. შოვა სადაცაა.

— ბავშვები?

— ბავშვები შეილო, ქე არიან კარგათ, ეზოში დარბიან, კისერს იტეხენ, ბრიყვები არიან ჯერ და შეუსმენელი. ერთად-ერთი მოსწრებული შეილი შენ გვეყვდი, შეილო, და შენ ასე უკულმა წვიყვანე შენი საქმე.

კუთხეში ჩამოჯდა სამუცხა სკამზე და თავსაფრის ყურით იწმენდს ცრემლებს.

— კარგია, დედა, თუ გიყვარდე, ცრემლებს ნუ დამანახებ. ცოცხალი ადამიანის გამოტორება არ გამოგონია. განგებითაა, თუ შემთხვევით, ჯერ-ჯერობით არაფერი გამჭვირვებია.

— კი, შეილო, მაგრამ როდემდის? როდემდის უნდა ირბინოთ აგრე, ტყის ნადირივით? გუშინესწინა აქ ამბავი მოხდა, რა დეინახა დედა-შენის დასაფსებმა თვალებმა. ორი ისეთი ვაგაკი მოეკლათ ქედის-უბანში... მერე იმ ურჯულოებს ურუმზე დეეწყოთ შემის ძელებივით და ასე ჩამოატარეს მთელი ბაზარი, ხალხის შესაშინებლათ. ორიოდე აღაბი ჩითი მინდოდა მეყიდა, იმაზე წევედი მე უბედური; ნეტავი ფეხი მომტეხოდა, სულ არ გავსულიყავი გარეთ, რა დეინახა, რა დეინახა ჩემმა თვალებმა.

— რა ვუყოთ, დედა, ასე იციან ბრძოლამ, ნებაყოფლობით ნიკოლოზი ტახტს არ დაინებებს თავს.

— ის კი არ დაანებებს, შვილო, მაგრამ, რომ ვერ შეგინდის უნდა დაანებოთ თავი. ამდენი ჯარი აქ ჩამოყარეს; რამდენი კაზაკი, რამდენი სალდათი, ვინ ხართ, ამდენი ჯარის გამკლავება რომ შეგიძლიათ?

— არა უჭირს რა, დედა-ჩემო, მაგ ჯარი სულ მაგრე არ იქნება, მაგენიც მოვლენ ჭკუაზე ადრე თუ გვიან.

იქნება ჭე მევიდენ შვილო, ვინ ამბობს, მაგრამ მანამდი რამდენ ხალხს გააფუქებენ. მთელი ეს დაბა ისე გადაწვეს, რომ მარტო ორიოდ დუქანი დარჩა. შედუქნები მინც ისე არიან კბილებ დაღესილი, რომ სათოფეთ არ დაგინდობენ...

მამა-ჩემმა ნათი ამოიტანა დუქნიდან, მოუკიდეს ლამფას, უკანა ოთახში დაესხედით, ბავშებიც შემოიკრიბენ ეხოდან. დედამ სუფრა გაგვიშალა.

— აჰ, მოგივიდა, შენი ნასწავლი შვილი, — გაჭირდვით ელაპარაკება ჩემს გასაგონათ მამა-ჩემი დედას.

— ხომ უყურებ, რა კარგათ გამოწყობილია, რა არის ბიჭო, ეს რა ჩაგვიკვამს? — ეხლა პირდაპირ მე მომდგა მამა. — რა ჩამიცვამს, და ის რაც უნდა მეცკეს. სოფლებში დავდივარ და სოფელელის ტანისამოსი მაიცვია. უფრო ადვილად შეიძლება... მამა-ჩემმა სიტყვის დათავება აღარ მაკალა.

— ყველაფერი ყველაფერი მარა შე ურჯულო, რაზე მიქენი ასეთი საქმე თუ რამე გამაჩნდა და მებადა, შენს სწავლას გადავატანე თან, შენი იმედით ვიყავით შენი მშობლებიცა და ეს ბავშებიც. ჩვენ მოვხუცდით, აღარ შეგვიძლია ამ ბავშებს პატრონობა არ უნდა? ის კი არა მეც შენი გამოისობით დაჭერასა და გადასახლებას მპირდებიან. რაზე მიქენი ეს საქმე. გესწავლა შენთვის, არ აყოლოდი ამ ლეთის პირიდან გადავარდნილ ოხრებს, რა გიჭირდა?

— დავანებოთ, მამა-ჩემო, მაგის ლაპარაკს თავი, მე ამ გზას ვადგივარ და თავის დანებება არც შემიძლია და არც მინდა, რომ მინდოდეს არ შემიძლია გაიგონეთ და შეისმინეთ ეს!

— რატომ არ შეგიძლია, გუშინწინ ვეზი-ნაჩალნიკმა დამიბარა, კაბინეტში შემეიყვანა თავისთან, სკამი მომაწოდა და ასე მითხრა:

— ვიცო, რომ შენც სწუხარ შენი შვილის ამბავს, ამიტომ მე შენთვის მიჩვენია, რამენაირათ ხმა მიაწვდინე, რომ მოვიდეს და თავის ფეხით გამოცხადდესო. სიტყვა მომცა პატიოსანი, ცოლშვილი დაიფიცა:

— არაფერს არ ვერჩით, ოღონდაც მოვიდეს და ურჩობას თავი დაანებოსო.

— კარგი დაგეშართოს, მაგრამ რომ მიიტყუილონ და მერე აღარ გამოუშვან?

— შენი საქმე არაა— გულმოსულათ შეუღრინა მამამ დედა-ჩემს, შენ არავის გამოუწვევიხარ ამ საქმის გასარჩევათ.

— კარგი, აგრე იყოს, მამა-ჩემო, მე მივალ, გავემცხადებო, მაგრამ, რომ რამე ავი შემემთხვეს, მაშინ მე ნურაფერს დამიბრალებთ, ვუბნები მამას, ვფიქრობ, რომ ეს უფრო იმოქმედებს იმაზე.

— ღმერთმა არ იცის თქვენი თავი და ტანი... ვეღარ ამბობს ისე გადაჭრით და დაბეჯითებით.



— მაინც რა გინდა, რას აპირობ, როგორ გინდა შენი ცხოვრების წაყვანა, ასე საღაბანასავით უნდა ეთრიო შენი წუთი-სოფელი?

— არა, რატომ?! მოერჩებით ამ საქმეს, ნიკოლოზს ჩამოგვტყეპს! და ამერე თავისუფალი ცხოვრება გვექნება.

— მანამდი არაფერი გიქამიით შენ და შენ ოტია ჯადარეულს, ტყე-ტყე რომ დარბის, იმას.

— ნუ წყველი მამა-კაცო, ისედაც, ხომ უყურებ, რა დღე ადგიათ, შეედავადედა.

— კი არ ვწყველი, გული მომდის. მაგისოდენა ბიჭები ეხლა მთელ ოჯახს უფლიან, მაგ კი აგრე დეებეტება უსაქმოთა და უსარგებლოთ. რა მაგის საქმეა ნიკოლოზის ჩამოგდება? თუ ჩამოსაგდება, სხვამ გააკეთოს, სხვამ იტეხოს კისერი, რაღა შენ უნდა მიაკლა თავი! შენ მშობლებს მიხედო, ის არ გირჩენია! არის შეძლებული ხალხი, იმათ რა უჭირთ, იმათმა ითაონ, იმათ რა გაჭირვება ადგიათ კარზე, მე შენ გეტყვი საქმელი აკლიათ, თუ სასმელი ტანი, თუ ფეხი!

— მდიდარი და შეძლებული მოძრაობაში სრულებითაც არ მიიღებს მონაწილეობას, მათ ისედაც კარგი ცხოვრება აქვთ.

— აბა, შენმა თავის ვახეთქამ შენ და შენისთანა ცხვირმოუხოცელი ბიჭები ჩამოაგდებთ ნიკოლოზ-ხელმწიფეს. რუსის ხელმწიფეს თათრის ხონთქარმა ვეარაფერი დააკლო და თქვენ გინდათ ეხლა მისი დამორჩილება?

მამა-ჩემი უსწავლელი ადამიანის პირობაზე, ცხოვრებაში ჩახედულ კაცთ ითვლება. უყვარს ძველი წიგნების კითხვა. მის დაკვირვ უჯრაში, ვიცით ეხლაც აწყვეია „არჩილიანი“, „ვისრამიანი“ და სხვა კიდევ რაღაც ეამთა ვითარების გამო ფურცლებ გაყვითლებული წიგნები. აქვს სახარება და რაღაც კიდევ სხვა ისტორიული წიგნები, რომელშიაც ქართული ქორონიკონით არის აღნიშნული სხვადასხვა შესანიშნავი ამბები. მამა-ჩემს ეს წიგნები დიდ საგანძურათ მიაჩნია. არაეის არ გვეკარებს ამ წიგნებისათვის ხელის მოსაკიდებლათ.

უწინ, როცა დედა-ჩემს კამოდის გასაღებ კლიტეებს მოვპარავდი ხოლმე, უსათუოდ ამ ყუთს მივაშურებდი, ამოვალაგებდი ამ ძველ წიგნებს და დიდი გულმოდგინებით ვათვალთვრებდი მათ. ეხლაც გამოურია მამა-ჩემმა თათრის ხონთქარის ამბავი, ალბათ, იმ წიგნებიდან ამოკითხული გახსენდა.

— მე აქ დიდ ხანს ვერ მოვიციდი, სხვაგან მაქვს საქმე, ვეუბნები მამა-ჩემს. მე ეხლაც წავალ. ვინ იცის, იქნებ ვინმემ შეიტყოს ჩემი აქ მოსვლა, თქვენ შეგიწყუხებენ. მე წავალ..

— სად წახვალ, შეილო, ამ უდროო დროს, გამომეტირა დედა.

— წავალ, დედა-ჩემო, ჩემი დარდი ნუ გექნებათ, მე გზას მოვნახავ. მაზრის უფროსს კი მამა-ჩემი თუ ასე ეტყვის კარგი იქნება.

— რაო, რაო, რას ამბობ? ჩამოერია მამა!

— რაო და, თუ მაზრის უფროსს ჩემი ნახვის სურვილი აქვს, ცოტა მოიცადოს, ეხლა არ მკალია მის სანახავად და შემდეგ ან მე თვითონ მივაკითხავ, ან და სხვა ვინმეს პირით შევეუთვლი მოსაკითხს.

— არ მოიშალო, არ მოიშალო, შენმა თავის გაძლებამ, მივეყვებოდი ლაპარაკი, უკანასკნელად მისაყვედურა მამა-ჩემმა.

წამოველი.

დაბის ბნელ ქუჩებში მოძრაობა მიწუნარებულთა. სინათლე და განათება არასოდეს არ ყოფილა ამ ქუჩებში სახარბიელო, ეხლა კი სრულებით ჩაბნელებულია მთელი დაბა. დამწვარი დუქნის ქვითკირის კედლები გაშიშვლებული ღონჩხებივით აწოწილი დგანან და თითქოს ცას შესჩივიან თავიანთ უბედურებას. მართლაც რომ ბრწყინვალეთ გაიმარჯვა ალიხანოვის ურდოებმა. ჩირალდანივით ალაპლაპებული გზა მისდევდა მისი ჯარების მსვლელობას. დასწვა და განადგურა ყველაფერი, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა.

ეხლა ქუთაისში ზის ალიხანოვი. ქუთაისი მთელ დასავლეთ საქართველოს ჯამუშების და ჯალათების ბუდეთ გადაიქცა. რევოლუციონური მოძრაობა, რომელიც ასე ფართოდ მოედდა მთელს რუსეთს, საქართველოშიაც მძლავრათ ეხეთქებოდა ძველი წესწყობილების ზღუდეებს, მაგრამ მთავრობამ ერთი კიდევ მოიკრიბა ძალა, ერთი კიდევ შემოუტია აბოზოქრებულ აზღვეებულ ხალხის უკმაყოფილების კოჭრიანტელს. მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. მოხდა გაუგებარი და გამოუცნობელი რამ. ხალხის ტალღა შედგა. ერთ ხანს ერთს ადგილზე შეჩერდა და მალლა აწეული ერთბაშად ძირს დაეშვა.

კურთხეულია ჩვენებური უმთვარო ღამე. ორ ნაბიჯზე ვერაფერს გიციობს; შეიძლება შენც ვერაფერს იცნო, მაგრამ მე ან კი რათ შინდა ვინმეს ცნობა. ისიც კმარა, თუ მე არაფერს მიცნო. ჩემი გზა კი მე კარგათ ვიცი. ვიცი, სად უნდა მივიდე, როგორ უნდა მივიდე, რომ არაფერს დამინახოს.

ვინ იცის, იქნებ, ბიქტორიც ველარ დამხედეს ისეთს გუნებაზე, როგორც უწინ, იქნებ იმასაც გაუტყუდა გული. ვასაკვირია, რატომ არ მოკიდეს იმას იქნამდე ხელი. ეხლა ყველა საექვთო მეტყვენება.

ალიხანოვის ჯარმა მართო ამ მედუქნეებზე კი არ გაიმარჯვა. მედუქნეებს დუქნები დაეწვა, მედუქნე დუქანს ააშენებს. ეხლაც გაუკეთებიან რაღაც ფარდულები, ფიცრული კარვები აუშენებიათ, იქ ვაჭრობენ. არის იგივე სამიკიტნოები, სახაბაზოები, ფართლისა და საწვრილმანო საქონელის დუქნები. მედუქნეები თავისას ამოიღებენ, მაგრამ სოფლად გლეხების, აქ კი მუშების თავშიაც რომ მომხდარა ცვლილება!

გაბოს არ სწამს რევოლუციის გამარჯვება, თუმცა ძალიან მოწადინებულია, რომ რევოლუციამ გაიმარჯვოს.

სწამს ოტიას რევოლუციის გამარჯვება?—არ ვიცი. შეიძლება კიდევ სწამს, კიდევაც არ სწამს; მისთვის, საზოგადოთ, ეს საკითხი არ არსებობს. ის იბრძვის და ბრძოლა თავისთავად ისეთი და იმგვარი, როგორიც მას მიაჩნია და მოსწონს—მისთვის ყველაფერია. შედეგს ის არ კითხულობს.

მუშები? ვნახოთ, რა გუნებაზე შემხვდება ბიქტორი და მაშინ ვიტყვი.

ბიქტორი აქაური როდია, ქვემოთიდანაა ამოსული. მამა-მისი რკინისგზის დარაჯი ყოფილა სადღაც სამტრედიის ახლოს, მატარებელს გაუტანია. დედა აქაური ქალი ჰყავს ბიქტორს. აქ გაიზარდა ის ობლობაში და ვაჭირვებაში.

დედა-მისი დღიურ სამუშაოთი ირჩენდა თავს. ხან სხვის სარეცხს რეცხდა, ხან მიცვალბულის მომვლელად დაუძაბებდენ, ხან რკინისგზის აბაწიწი დაჭკონდა წყალი, ვინ იცის, რას არ წვალობდა, რას არ კიდებდა ეს დედა-კაცი ხელს, რომ თავი შეენახა და თავისი ერთა შვილი გამოეზარდა. პატარაობისას ბიქტორი სკოლაში გააბარა, მაგრამ დიდ ხანს ვერ შეატანა საწყალმა თეკლემ. ხუთმეტი წლის იყო, რომ სასწავლებლიდან გამოიყვანა და დებოში მიიბარა შევირდათ. ეხლა ბიქტორი ვაჟკაცია, დედა-მისი დაბერდა, მუშაობა აღარ შეუძლია, ოჯახში თუ გააკეთებს რამე წერილმან საქმეს. ბიქტორს ცოლი ჰყავს და პატარა ბავშვები.

ორგანიზაციაში ბიქტორი საიდუმლო საქმეებისათვის გვყავდა მიჩენილი. მას ჰქონდა კავშირი სტამბასთან. ის იყო სხვა საიდუმლო საქმეების შემსრულებელიც. დეკემბერში ისიც გამოვიდა, თოვ-ქვეშ დადგა. ეს, როგორც ჰგავს, არ ჩაუთვალეს მას დიდ დანაშაულად, ამიტომაც არ მოკიდეს, ალბათ, ხელი.

ბიქტორი... მაგრამ, როგორ მოხდა, რომ სტამბას მიგვიგნეს, კირილე დაიჭირეს. კირილეს ამბავი ბიქტორის გარდა ვინ იცოდა ჩვენს ორგანიზაციაში? იცოდა, მართალია, რამოდენიმე კაცმა, მაგრამ ის სხვები ახლა აქ აღარ არიან. ნუ, თუ, ნუ, თუ???

ბიქტორი სახლში დამხვდა, მაგრამ, შევატყვე, უდროო-დროს მივედი. მას არც გაკვირვებია, არც გახარებია ჩემი მისვლა. თითქოს შეპირებული ვიყავი ამ დროს მოსვლას. ცალ-უბათ გამარჯვება მითხრა და უბრალო ხის სკამი გამომიწია დასაჯდომათ.

— ბიქტორ, რას შერებით, როგორაა აქ ჩვენი საქმე, როგორც იქნა ჩამოვალწიე თქვენამდე ქალაქიდან მოგდივარ... სიტყვა ენაზე შემოჩა, ბიქტორი ჩემს ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევს.

— რა დაგემართა, ბიქტორ, რა მოგივიდა, ვეკითხები მას. მისი საქციელი სულ აღარაფერს არ ჰგავს.

კვლავ გამახსენდა ჩემი ეჭვები. ნუ თუ მართლაც ესაა ამ საქმის ჩამდენი???

— ბიქტორ, აქ მე შენთან საქმე მქონდა პატარა...

ბიქტორი უცბათ წამოდგა, მძიმეთ გაიარა ვიწრო ოთახის სივრცეზე, თითქოს რალაც დიდი ტვირთი აწევს და იმის მორგევა უჭირსო. გაჩერდა ჩემთან, ტუნზე ხელი დამადგა, ხელი გაიჭნია და ყრუთ მითხრა.

— ნუ, ჩემო, ალექსი, ნუ, ნურას მეტყვი, მე არაფრის, მე ვერაფერს... მე ნურაფერს მეტყვი, არა ვარ მაგის ღირსი.

— რა დაგემართა?

— მე დამემართა ძმაო, დამემართა, ისეთი რამ დამემართა, რომ ეხლა უმჯობესია აქ, ამ ქვეყანაზე აღარ ვიყო ცოცხალი.

სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს მიცვალბულის ყოფილიყოს სადმე ამ სახლში, ცივმა ჟრუნტელმა დამირბინა. მხოლოდ ეხლა შევატყვე, რომ ბიქტორს ადამიანის ფერი აღარ ედვა.

— წავიდეთ ალექსი აქედან, წავიდეთ, აქ მოკლა ალექსი შემიძლია.

ადგა, თავზე ქული დაიხურა, მეორე ოთახის კარები შეაღო, კარის სიგდურისათვის ხელი არ გაუშვია, რამოდენიმე წუთს ასე იყო გარინდული, გაქვავებული, შემდეგ ისევ ფრთხილად გამოიხურა კარები.

— წავიდეთ, — მოკლეთ მითხრა მან.

გარეთ გამოვედით.

ბიქტორი წინ მიდის, მე უკან მივყავები. არც კი ვიცი, სად მივყავარ. ხმას არ იღებს. ბნელია ღამე, დაბის ორღობეებში დიდ ხანს მილასლასებს ორი შავი ლანდი. დაბას ორთავე შარეს შალღობი ახლავს. ამ შალღობისაყენ მრავალ ალაგას მისდევს საცალღებო ბილიკები. ერთს ასეთს ბილიკს გავყვებით. კარგა მანძილით მოეშორდით ქალაქს. ბოლოს ბიქტორი შეჩერდა. ჩამოჯდა.

— დავედეთ, — მითხრა ბიქტორმა, დავედეთ, ალექსი, შენ მაინც უნდა გაგაგებინო ჩემი უბედურება, თორემ გასკდა ეს გული, ეს საფერანე, აღარ შემიძლია ამის მეტი.

ალარაფერი მითქვამს, მეც უსიტყვოთ იქვე დავეშვი, ბიქტორი დიდ ხანს კიდევ გაჩუმებული იჯდა.

— როდის ჩამოდი? — მკითხა მან ბოლოს.

— როგორ ვითხრა, დაბაში მე ამ საღამოს აქეთა ვარ, ისე კი...

— აბა, შენ არ გეცოდინება, რომ კირილე დაიჭირეს, ჩვენი ტეხნიკა ნახეს.

— ვიცი, მოკლეთ მიეუფე მე.

— როგორ, საიდან ვაიგე ეს ამბავი? მაგრამ ის მაინც არ გეცოდინება, ვინ გასცა ჩვენი სტამბა?

— არა, ეს არ ვიცი!!

— არ იცი?, მაშ მე გეტყვი. ის სტამბა მე გავეცი, კირილე მე დავაჭერინე... მე ვქენი ეს საქმე, მე გავეცი სტამბა, მე დავაჭერინე კირილე, მე გავეცი...

— ვაჩერდი, რა გაყვირებს. ბიქტორი ხმას უმატებს და თითქოს თვითონაც უნდა გაიგოს თავის ნათქვამის აზრი.

— არა, ვესმის, მე გავეცი სტამბა, მე, მე, მე, მე!!!

— დაწყნარდი ბიქტორ, არ შესმის შენი საქციელი, შენი ლაპარაკი. როგორ მოხდა, რა მოხდა. შენ, როგორ გასცემდი სტამბას? არ მჯერა.

— დაიჯერე, ალექსი, დაიჯერე!!!

ბიქტორი თავდაღმა დაემხო, ყრუ ჭეითინი, მოკლე-მოკლე სლოკინი მოწვედა ჩემს ყურს. ბიქტორი ტირის, ტირის, როგორც ვალახული ბავში. ბავშს მოედრები, დააყურებ, მაგრამ როცა ვაჟ-ვაჯი ტირის, მას, ვერ მომისაზრებია, როგორ უნდა მივუდგე. გაჩუმებული ვზივარ, სიტყვა ვერ მითქვამს. არ ვიცი, რა უნდა ვთქვა, რა ვუთხრა. ან მმართებს კი ნუგეშის თქმა? ბიქტორი გამცემი გამოდგა, ამბზე მეტი რაღა საბუთია საჭირო, თავისი პირით ლაპარაკობს. გაჰყიდა ამბანავი, უღალატა საქმეს, თვითონ აღიარებს. მერე, რომ ტირის,

რაღა ატირებს? სინდისი აწუხებს?! რისი მაქნისია სინდისი, თუ რომ მაშინ ვერ შეგაჩერებს, როცა ლალატის სიტყვა ამოდის შენი პირიდან, მაშინ შენ ენა ქურდულად ასწავლის მტერს ამხანაგზე თავზე დასხმის გზას?!

ბიქტორი ტირის, ოხრავს, მიწაზე აგდია. მოკვდა ბიქტორი ჩვენთვის, მოკვდა ბიქტორი საქმისათვის... სჯობს ბარემ ისე მომკვდარიყო, როგორც სხვები. ჩვენთან იყო, მამაცურად ეკავა თავი, მტრების ბანაკში გადავიდა და მხდალ დიაცს დამზგავსებია. რა ვაე-კაცის საქმეა ტირილი!

— შენ არ დამიჯერებ, ალექსი, ნუ დამიჯერებ, ან კი მე ვინ ლა რა უნდა დამიჯეროს, მაგრამ ჩემს თვალზე ცრემლი არავის უნახავს, მეც არ მახსოვს, რომ თვალზე ცრემლი ჩამომვეარდნოდეს. მე თვითონ გამკვირებია, კაცი მქონდა გულის მაგივრად. ბავში ვიყავი, როცა მამა-ჩემი მატარებელმა გაიტანა, ძლივს მახსოვს ეს ამბავი. იმდენად მამის სიკვდილი კი არ მახსოვს, რამდენადაც ის, რომ მამის სიკვდილის შემდეგ ერთს დღეს ჩვენსა მოვიდა რუხე მაზარაში გამოწყობილი დეზებიანი ჯანდარში და დედა-ჩემს თუ რამე ებადა, გარეთ გამოუყარა და ჩვენც გარეთ გამოგვავლო. შემდეგ დიდი ბოქლომი დაადო იმ პატარა ქვიტკირის საყარაულოს, სადაც ჩვენ ეცხოვრობდით. მასუკან არ ამომშორებია გულიდან მათი სიძულვილი. გავიზარდე ტანჯვაში და წვალებაში, დედა-ჩემი რას არ აკეთებდა, წილებზე ფეხს იდგამდა. რაც უფრო მაგრათ ურტყამდა გაქირვება, მით უფრო მეტად ხრიდა წილს, მით უფრო დაბლა უკრავდა თავს ყველას, მე კი... ჩემთან ერთად იზრდებოდა ეს სიძულვილი. თქვენ—სხვებს იქნებ წიგნებში ამოგიკითხავთ მდიდრებისა და მათი მფარველი მთავრობის სიძულვილი, მე ეს ცხოვრებამ მაჩვენა და დამანახვა.

სხვა რა გითხრა ალექსი, ბევრი გაქირვება გამომივლია ჩემს ცხოვრებაში. თუთხმეტი წლიდან სამუშაოთ წაველი, მასუკან ჩემი მარჯვენით თავს ვიჩიქნე, მაგრამ თავი არ მომიხრია, ბატონისათვის ბატონი არ მითქვამს. დანარჩენი შენც კარგათ იცი, რაც გამიკეთებია მოძრაობის დროს. მე, შეიძლება, მაკლდა შეგნება, არ ვარ იმდენათ განვითარებული, ცოდნა არა მაქვს, მაგრამ ვის ნახავ სხვას, რომ ჩემსავით სძულდეს ეს წესწყობილება, ეს წესი, ეს სამართალი, ეს უკუღმართად მოწყობილი ქვეყანა? და რაღა მე უნდა შემხვედროდა ასეთი საშინელი უბედურება.

— რა მოხდა, მაინც? რატომ არ იტყვი?

— რაღა გითხრა. სტამბასთან კავშირი, შენ იცი, მე მქონდა. ჩემს ამხანაგებს ეს არ უნდა ცოდნოდა, არც არავის სცოდნია. არავისათვის მითქვამს. ყველას დაეუმაღლე, არავისათვის გამიმხელია, იმიტომ რომ საქირო იყო დამალვა, საიდუმლოდ შენახვა. მაგრამ სახლში... რატომ არ დაიქცა ის დღე, როდესაც მე ეს დედა-ჩემს გაუხილვე. მაგრამ ჩემს გაცივებულ გულში, ჩემს სიძულვილით საესე არსებაში, რომ იცოდე, რა განსაკუთრებული ალაგი ეკავა დედის სიყვარულს. მარტო ის მიყვარდა მე, მარტო იმას ვანაცულებდი მე ჩემს თავს. ცოლ-შვილს მოვეყიდე, ჩემი საკუთარი შვილები მყავდა, ახლაც მყავს, მაგრამ დედა-ჩემის სიყვარული ამითი არ დაჩრდილულა. ერთს უბედურს დღეს, რაღაც ეშმაკები შემიჯდა, დედა-ჩემს გავანდევე ეს საიდუმლოება. ვიფიქრე, მე სულელში.

რომ ეს მოხუცებული ადამიანი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს მატყინებისა და დიდ-კაცების სამსახურში გაატარა, შეისვენდა, მიხედვით „პანტონის“ სპონსორებისას რამეს.

რა საჭირო იყო ამის თქმა, არ ვიცი, იქნებ ძველებურმა ბავშურმა სულ-მოკლეობამ წამძლია.

ბავშობისას რომ მოვიდოდი ხოლმე ეს გულჩახვეული ბავში, არაგის რომ არ ვეკარებოდი, მუდამ განმარტოვებული რომ ვიდექი ჩემთვის გვერდზე, საღამოობით დედას გამოუტყდებოდი ჩემი გულისთქმას, ჩემს ბავშურს ოცნებასა და ფაქტებს იმას გავანდობდი ხოლმე.

ეს იმ დროს იყო, ჩვენ დამარცხებამდე. დადგა რეაქცია. მე ერთ ხანს თავი მოვაფარე, შეძებდენ, დაჭირვას მიპირობდენ. შემდეგ, როცა პირველმა ტალღამ გადაიარა თავი დამანებეს, ისევ საქმესა და სამუშაოს შევუდექი. რამოდენიმე ჩვენს ბიჭებს მოვუყარე თავი და ნელ-ნელა დანგრეული ორგანიზაციის აღდგენის იმედი გექონდა. გამცემი და ჯაშუში ეხლა ბევრია. ალბათ, შეგვიტყვის. შემდეგ რა მოხდა მე აღარ ვიცი. ერთიკ ვნახოთ, ერთს დღეს ერთმა სანდო კაცმა უთხრა თურმე ერთს ჩვენ ბიჭს საიდუმლოების ქვეშ, რომ ბიქტორის დედა საღამ-საღამოობით პრისტაეთან დაიარება და რალაცას ელაპარაკება მარტოდ-მარტო კარჩაკეტილ ოთახშიო.

იმ ბიჭს, რომ ჩემთვის ეს თავის დროზე გაემზილა, იქნებ რამე ღონისძიებას ვიხმარდი, მაგრამ იმან ეს მე არ მითხრა. არჩია, თურმე ჯერ დაბეჯითებით გავიგებ და შერე ვეტყვიო. აი ამან კიდევ უარესად დამლუპა. თურმე რა უქნია იმას—იმ ჩვენ ბიჭს—შენ იმას ვერ იცნობ, ახალი გადმოსულია ჭალაჭიდან. დაუყარაულებია და მართლაც კვალი-კვალ მიჰყოლია, როცა დედა-ჩემი მისული პრისტაეთან. ეს ამბავი მან სწორეთ იმ ღამეს მითხრა, როცა ჩვენი სტამბა დაიჭირეს. აი ამ მდგომარეობაში ვარ ეხლა მე. რა ვქნა, რა გზას ვეწიო??

— დარწმუნებული ხარ, რომ იმის ნათქვამია, სხვა ვერ გასცემდა?

— არავენ, არც ერთმა ძემ ზორციელმა ის ადგილი სხვამ არ იცოდა.

— იქნებ მიაკვლია...

— არა, არაგის არ მიუკვლევია. ის კი არა, და იმ ბიჭმა სწორეთ ასე მითხრა იმ ღამეს.

— დედა-შენი რომ გამოვიდა პრისტაეის სახლიდან, მაშინათვე პრისტაემა იასოული გააგზავნა სტრატეგიების ყაზარმაში და ნახევარ საათის შემდეგ სტრატეგიებითა და ყაზახი რუსებით გაღმა წავიდნო. სწორეთ იმ ღამეს მოხდა სტამბა იმ ღამეს დაიჭირეს.

სათქმელი აღარაფერი მქონდა. ან კი რა უნდა შეთქვა.

— კარგ დროს მოდი შენ ჩემთან ალექსი, შენ იყავი ჩემი პირველი მასწავლებელი და გზის მჩვენებელი, ახლაც შენ უნდა მირჩიო რამე.

— რა უნდა გირჩიო, ბიქტორ ჩემო. მოხუც ადამიანს რა ჭკუა მოეკითხება. რა ვუყოთ... რაც ქნა, ქნა. არ ვქნა უკეთესი იყო, ეხლა რაღაი...

— არ შეთქვა უკეთესი ის იქნებოდა, შემაწყვეტინა ბიქტორმა, ჩემი ბრალია ყველაფერი, ჩემი ბრალია!!!

სინამდვილეში ჩამოწვა. ჩემს თავში აზრები თითქოს გაყინულნი იყვნენ და არაა
შინდა, არც განძრევა, არც სურვილი მაქვს არაფრის. მოდუნებულნი ვართ და
— გამიგონია, ბოლოს დაიწყო ბიქტორმა, რომ ჭალაქში ერთმა ძმამ

თურმე, მეორე მოკლა ჯაშუშობის გულისათვის. ეს კიდევ მესმის: ძმა ძმა
მოკლა, მაგრამ შვილმა დედა რანაირად მოგვლა, ყრუ დედა-ბერი, მერე დედა,
რომელმაც ძუძუ მაწოვა, რომელიც მშვიერი და მწყურთალი, როცა ვინმე დიდ-
კაციის სახლში წამოძღვეულს ლუკმას მე ნომიტანდა და იმითი მე მასაზრდობდა,
თვითონ კი მშვიერი ათენებდა და აღამებდა. მერე ისიც ჩემი ბრალია, რამ
შრჯიდა, რატომ დავიგდებლე ენა, რატომ ვუთხარი...

— რა გითხრა ბიქტორ, მაგების გაყვლა არ გვარგია. რაც მოხდა-მოხდა.
ეხლა სხვა საქმეც ბევრი გვაქვს, სხვა რამ უნდა მოვისაზროთ. სამუშაო ბევრია,
გამკეთებელს კი ბევრს ვერავის ვხედავ.

— არა, არა მე ეხლა არაფერი შემიძლიან. ორში ერთი: ან თავი მოვიკლა,
ან ის უნდა მოვკლა. მეტი გამოსავალი არ არსებობს. და არ შემიძლიან.

ბიქტორი ადგა ქიან-ქიანით, იბრუნა პირი დაბისაკენ და არც კი მოუხე-
დია უკან, ისე წავიდა.

მე ერთ ხანს იქვე ვიყავი, შემდეგ ავდექი და მახლობელ სოფლი-
სკენ გავყევი. აქ ამ სოფელში ბევრი შყავს ძველი ნაცნობები. აქ ცხოვრობს ჩე-
ნი გიორგი. თუ დაჭერილი არ არის, იმისას შეიძლება ცოტა ხანს თავის შე-
ნახვა.

სოფელს ძინავს, მე ფეხაკრებით მივდივარ, გიორგისას მისასვლელი გზა
მე კარგად ვიცი. გიორგი სახლში დამხვდა.

იღბალია ესეც.

უფრო მეტი იღბალი ისაა, რომ გიორგის სახლში არაფერი არ ჰყავს, თურ-
მე, აშკარად. დღეობაზე წასულა ყველა დიდიან პატარიანა. გიორგი მარტო
დარჩენილა სახლში.

— იცოდე, ალექსი, მოგელოდი, მოგელოდი, ღმერთმანი. რაღაც ისეთი
სიზმარი მქონდა ამ კვირეში. სულ შენი მოსვლა მენიშნებოდა. კარგი გიქნია,
რომ გაგიხსენებია და მოსულხარ, აქ ისეთი საქმე გავაჩალოთ ისევე, რომ შენი
მოწონებული.

გიორგი ცოტა ამჩატებული კაცია. მისთვის დაბრკოლება არ არსებობს,
ყველაფერს ალტაცებით უყურებს. ის დარწმუნებულია, რომ მთავრობის დამ-
ხობა სულ ახლო ხანად უნდა მოხდეს. გიორგი ღარიბათ ცხოვრობს, მაგრამ თა-
ვის სიღარიბეს უურადლებას არ აქცევს.

— ნიკოლოზს რომ ჩამოვაგდებთ, ყველაფერი ჩვენი იქნებაო, ამბობს უდა-
რდელად გიორგი, როცა ამაზე ეტყვიან.

— მანამდე, შენ თუ არაფერი გააკეთე, სიმშლით სული ამოგტყრებათ,
შენცა და შენს ცოლშვილსაცო. გიორგი არხეინათ ხელს ჩაიქნევს და რაღაც
კრიმინალურებს შემოძახებს ხოლმე. მეზობლებში მას კუჟინაკლულის სახელი აქვს
შერქმეული.

— რას შერები გიორგი, როგორ მიდის ჩვენი საქმეები?

— საქმეებს რა უშავს, კირილე კუთელიძისას წუხელისა წინ კანკანისითი საწყობი უნახავთ ბომბების, რომ თურმე მთელი ამ ქალაქისა წყვე შეიძლება— და, აღტაცებით მეუბნება გიორგი.

— კი, მაგრამ ქე გიხარია მაგ ამბავი, პოლიციას ჩაუგდია ხელში...

— რა ვუყოთ რომ ჩაუგდია, შენ გგონია ყველას ჩაიგდებს. ერთი ნახეს, მაგრამ მაგისტანა ბომბები რამდენია კიდევ სხვა ალაგას შენახული. აბა, თუ კაი ბიჭებია ყველას შიავნონ, ყველა მოსძებნონ. ვერ შიავნებენ. ხალხი ნუ გადაუდგება მთავრობას, თორემ ხალხის მომრევი ვინ არის. არ შეიძლება, არ შეიძლება, ლაპარაკობს გიორგი და რალაცას ფუსფუსობს, კედელ-ყურეს ერეკება.

— გიორგი,—ვეუბნები მას, კახაკები ხშირად დადიან ამ სოფელში?

— კახაკები კი დეთორევიან, მაგრამ რა უნდა უქნას კახაკებმა ამდენ ხალხს, რას უზამს თუ იცი? არ მიყვარს მე ეს შენი ნიკოლოზი და კახაკები და სტრახნიკები შემაყვარებს მის თავს, თუ როგორაა შენი საქმე?

* * *

დაბაში ვერაფერს გავხდი.

შეუძლებელია ამ ჯამათ იქ მუშაობის დაწყება.

ქუთაისისაკენ გადავინაცვლე. ისევ ფეხით დამჭირდა სიარული. აქ რკინისგზით მოგზაურობა ჩემთვის სრულებით შეუძლებელია. სადგურებზე სწორეთ ის სალდათები ყარაულობენ, რომელსაც დეკემბერში ჩვენ იარალი აცყარეთ. სოფლა-სოფლა კი კიდევ შეიძლება, ავათაა თუ კარგათ, გავლა.

ქუთაისი მოღრუბლული და მოღუშული დამხვდა.

აღიხანოვმა მაგრათ ჩაკორტნა ქუთაისიც, მაგრამ აქ მაინც ვერ ვაბედა ის, რაც ამ პატარა დაბებში და სოფლებში. აქაც არის დამწვარი სახლები და მალაზიები, მაგრამ ქუთაისი მაინც ქალაქია და მას ეს იმდენად არ ეტყობა.

ჯერ არავინ მინახავს, არც ერთს ნაცნობს არ შევხვედრივარ და არ ვიცი არაფერი ქუთაისის შესახებ. არ ვიცი, მაგალითად, აქ ჩხრეკენ, თუ არა ქუჩაში ხალხს ისე, როგორც ქალაქში.

დილა-ადრინანი იყო, სადგურის ახლოს სამიკიტნო დამხვდა ერთი გაღებულ-ლი, ვარჩიე იქ შევსულიყავი. ვიფიქრე, ცოტას დავნაყრდები და დროსაც წავათრეე, ხანი გაივლის, ხალხი ქუჩაში გამოვა და უძვევლია, ვინმეს ვნახავ მე-თქი.

დახლიდარი ახალი ამდგარი იყო, ნამძინარეე თვალებს იფშენეტდა. ამ საქმეს კარგა ხანს მოუნდა. შემდეგ, ზანტათ მიტრიალდა, ზანტათ დაიხარა ძირს და დახლის ქვეშ რალაცას ძებნა დაუწყო.

— მეთოდი, ბიჭო, მეთოდი, დაიძაბა იქიდან. თავი ზევით არც კი აუ-ლია.

— ბატონო, გაიგონა სამხარეულოდან პატარა ბიჭის ხმამ.

— ბიჭო ეს ჩემი ფეშტემალი, რა იქნა, რომ ვეღარ მივავენი, შენ ხომ არ-სად მივიჩქმილავს?



— არაჰ ბატონო, მკირცხლათ გამოეგება იგივე წარადგინოთ სწავლად. — მე ბატონო სრულებით არ მინახავს თქვენი ფეხები.

— აბა, ვინ ჯანდაბამ და ჯარბანამ ნახა, რომ არ ვიცი. დახლიდარი ისე კრუსუნებს. თითქოს ვებერთელა ჭვირთი აწევს ზურგზე და თავი ველარ აუწევიანო.

ბოლოს, როგორც იქნა, ამოძყო თავი ზევით. ხელში ჭუჭყით შეკმული ტილოს ნაჭერი უჯავია. წელში გასწორდა, ფეხები გაიდგა, თითქოს ემინია არ წავიქცეო და ტანს ორთავე ფეხი ბიჯგებებით შეუყენა იქეთ-აქეთ. ის ჭუჭყიანი ტილო ორთავე ხელით წინ წამოსწია, გაშალა, ხორტები მონახა და წელზე შემოირტყა. ამის შემდეგ კიდევ ამოიწმინდა თვალები. სახეზე უქმყოფილება შემამჩნიე, როცა მე დამინახა.

— რას მიირთმევთ—მკითხა ისე, თითქოს მეუბნებოდა—შენ რომ პატიოსანი კაცი იყო, ამ უთენია, აქ რა მოგარბენინებდით?

— რა გეჭნებათ? ვკითხე მეც.

— ამ დილაზე ჯერ არაფერი არ გვაქვს. პურიც არ მოგვიტანია ჯერ-ჯერობით.

— თუ დღეს არ მოგიტანიათ, გუშინდელი პური ხომ ვაქვთ მორჩენილი?

— გუშინდელი კი აღარა გვაქვს, მარა პურს ქე მოვატანიებ.

— ხომ ვერაფერს შემიწვავთ?

— ვერა, ვერაფერს. ჯერ ხორცი არც კი მოგვიტანია.

— კეთილი, მაშ ერთი არაყი დამალეფინეთ და ჩემს გზას გაუდგები, როდი მცალია საჯდომათ.

— რომელს მიირთმევთ ჭაჭისას, თუ პურისას?

— რომელიც გერჩიოთ, სულ ერთია.

— ჭაჭის ვირჩევნიათ, დილაზე ჭაჭის არაყი სჯობს.

დამისხა ერთი დიდი ჭიქა, ხმელი პურის ნატეხი მომაწოდა ჩასაყოლებლათ. დავლიე, ფული გადაუხადე და გარედ გამოვედი.

ქუთაისის გული და სული ბულვარი იყო ყოველთვის, იქ იკრიბებოდა ყოველთვის ბრალიანი და უბრალო, საქმიანი და უსაქმო ხალხი. აქ იცოდნენ ჩამოჯდომბა გძელწვერიანმა ქუთაისის ებრაელებმა, რომლებიც მთელი საათობით ობვრასა და კენესას უნდებოდნენ.

ქალაქს აჩქარებული მაჯის ცემა უნდა ჰქონდეს, ქუთაისი გამონაკლისს შეადგენდა ყოველთვის. აქ გასაჩქარებელი, მოსასწრები და დასავგიანებელი არაფერი იყო. ყოველთვის მოასწრებ „გასართობში“ შესვლას ბულვარის, თავში რომ არის: დღე და ღამე ღიაა. კამათელის ვაგორებას, კარტის თამაშს ვადა და დრო არა აქვს—ყოველთვის შეიძლება. ყოველთვის მოასწრებ ბულვარის გარშემო შემოვლას. ქუთაისის საქეიფო ადგილები დღე და ღამე ღიაა, ფული იყოს, თორემ დროს ტარება ყოველთვის შეიძლება. არც ვარჯა ისეთი დროს ტარება, თუ კი აჩქარდი.

ქუთაისი თავად-აზნაურობის ბანკის დამატებაა, ყაზარმების ქალაქია, ბლომათაა ჩინოვნიკები, აფიცრები, მოწაფეები. სასწავლებლებიც ხომ ყაზარმას ჰგავს. მოწაფეები სალდათებს, მასწავლებლები აფიცრებს.

ქართული
ლიტერატურა

- მე მაინც ბულვარს უნდა მივაშურო, იმას იქით გზა არაა.
- ალექსისა მოციქულსა, ალექსისა თავ-კაცსაო, ალექსის ვახლავართ... ვინ უნდა იყოს?! ხელში სიმონა შემრჩა, ქალაქში დაეშორდი. აქ შევხვდი.
- ბიჭო, ალექსა ხარ შენი?
- მე ვარ, მაშ ვინ ვიქნები, მე ვარ, მაგრამ შენ რა გინდა აქ?
- ღმერთმა რომ არ იცის იმერელი ზოხონიკეების თავი.
- რას იღანძღები ამ დილა-ადრიათ, შითხარი, გამაგებინე, შენ აქ რამ ჩამოგიყვანა?
- ბარემლა არ ჩამომიყვანა, მაგრამ გაჭირვებამ ასე იცის შეილოსან.
- მაინც?
- აღარ გახსოვს ჩემი სიმამრისას რომ კოტრილობდი?
- მახსოვს, როგორ არ მახსოვს, კინალამ დამიჭირეს იმ ბინაზე.
- შენ და შენისთანეებს ვინ დაიჭირავეს, შეილოსან? შენ გზას გაუდექი, იქ კი შვიდენ. ყველაფერი გადმოაქოთეს. ის ბებრუტანა და აი ის გოგონა, შენ რომ გეხვეოდა ყელზე— ელო, ორთავე გაქაჩეს და მეტეხსა შინა ამოაყოფინეს თავი. არ ვიამა მაშა? ხომ არ ვიამა, შენი ელო ქალი ეხლაც მეტეხში ზის, ბებერიც იჯდა მაგრამ გამოუშვეს. მთლად ვადაირია ის პირძალღი, ვანა. შორი-ახლოს აღარ მიკარებს. ჩემზედაც ეჭვი შეიტანეს, დამიჭირეს, რა არ შეიტხეს, რა არ შემთავიხეს, რას არ დამეშუქრენ, მაგრამ ვერაფერს გახდენ და ძალა-უნებურათ უნდა გამოვვშვიოთ. აკი კიდევ გამომიშვეს. მაგრამ ქალაქში დარჩენის უფლება აღარ მომცეს და მეც ამ თქვენს დასაქცევ ქუთაისში ვარჩიე გადმოსახლება.
- ელო, ზის, მართლა?
- ზის, ძმაო, ზის, გაიგე რომ ზის და კარგა ხანსაც იქნება კიდევ. იმას რალაც მიწერ-მოწერის ქალღღებები უნახეს. ვაჰ, შენ მაგას თავი დაანებე, გადამაყრუა, სანამ მეტეხში ვიყავი: დღე ერთი იყო, ოცჯერ, ორმოცჯერ მაინც შეიტხავდა ხოლმე შენს ამბავს. ამისთანა გაგონილა, შენი ჭირიმე, — მე რა ვიცი ვებნები იმ ოჯახქორს, ვილაც ზოხონიკა იმერელია მეთქი. დაიჭირავენ, აქ მოგვგრიან და იქუცქუცით მეთქი.
- რამდენი სიცოცხლე და სიმკვირცხლე აქვს ამ ქართლელ ტეტეიას. ვინ თქვა, რომ ზემოტურები ყველა ზანტი და ზარმაცი ხალხიაო.
- სად მიდიხარ? შეკითხება სიმონა.
- აქ ჩამოველი, მინდა აქაური ამხანაგები ვნახო.
- რომ ჩამოსულხარ, ამის მეც ვხედავ, მაგრამ აქაურ ამხანაგებს, ბიჭო, შარილი წააყარე და სხვენზე გადაჰკიდე, კატამ არ შეგიქამოს. ყველა ისეა მიმალული, რომ თოვის სასროლზე ვერ მიეკარები.
- შენ აქ რას აკეთებ?
- რას ვაკეთებ და ვმსახურობ, სამსახურში ვაპირობ შესვლას, შემპირდენ. მე, ჩემო ძმაო, ზემღემერი ვარ შენი მოწონებული, თვეში კაი რვა თუმანს მპირდებიან.
- ხომ არ იცი სად შეიძლება აქ ჩენების ნახვა?



— არ ვიცი ბეჯითად. პატარა მოიცადე და ბულვარში ჩაუხუჭიან
ყველანი ერთად, იქ ნახავ!

მინდობისა

დაეშორდი სიმონას.

ამ ხალხის ნახვა, მართლაც, რომ სახათაბალოდ გადამექცა. მივდივარ ქუ-
თაისის ნაცნობ ქუჩებზე. აქაც სხვადასხვა ალაგას სალდათები ჩაუყენებიათ.
გული საგულეს არც აქ აქვთ, როგორც ჰგავს. თბილისის ქუჩიდან ბალახოვა-
ნისაკენ არის ერთი რაღაც საცალფეხო შესახვევი, რომელიც ვუბერნატორის
ბაღის გვერდით არის გაკრული, ამ გზა-წვრილით მოვინდომე გავლა. სწორეთ
ის იყო მთელი ეს გზა ჩამოვათავე, ქუჩაში ვაპირობდი გამოსვლას, და ამ დროს
პირდაპირ შემომიტია ქუჩაში მყოფმა გოროდოვოიმ.

— შენ რომელი ხარ, აქ რომ დაძვრები, ვინ მოგცა აქ სიარულის უფლება?

— მე გზაზე გამოსვლა მინდა, რა უფლება უნდა გზაზე გავლას, პირველად
არ გამივლია ამ გზაზე და მეორეთ.

— შენ არ იცი, რომ აქ აკრძალულია სიარული?

— არა, არ ვიცი.

— აბა, შე შენ გაუფრებიებ, თუ არ იცი, რომ წაგიყვან პოლიციაში,
მაშინ...

მომეშვა, ფეხები დამიბარტყუნა და ისეც თავის პოსტზე გაჩერდა. მე ფეხ-
აუჩქარებლად შემოვყვევი ქალაქის შუაგულისაკენ. გამახსენდა სიმონას სიტყვები,
ელა გკითხულობდაო, გულში თბილად შემოანათა ამ სიტყვებმა, მაგრამ, ვის
აქვს ეხლა ამ ფიქრების ვაყოლის თავი. არა, ჯერ ეს ხალხი ენახო, ეს საქმე
მოვილიო, მერე, მერე სადმე თავისუფალ ალაგას, თავისუფალ დროზე.

აი აგერ შესახვევი, ამ შესახვევში თვალმა თავისით მოძებნა დაბალი ქიშ-
კარი.

— გაგახსენდა ყოველი კარგი, აქ არ ცხოვრობს ჩენი ზარნაშო. პატარა
კაცია, დიდი უღვაშები აქვს. ისაა პირველი კონსპირატორი, საიდუმლო საქმე-
ების მოქახრაცება ემარჯვება. ქუჩაში რომ შეგხედეს ევალახათ ხმას არ გაგცემს.

მე დიდათ არ ვათასებ მის კონსპირატიულ ნიქს. ზარნაშოს რომ ჰკითხო,
მხოლოდ ერთი რამით შეიძლება პოლიციის ყურადღების აცდენა.

— კარგი ტანისამოსი უნდა გეცვას, კარგათ უნდა იყო გამოწყობილი.
პირი თავის დროზე უნდა მოიპარსო, პერჩატკები უნდა ჩაიცვა, გალსტუკი უნ-
და გქონდეს გაკეთებული.

— ამაშია ჩემო ძმაო ძალა, იცის ხოლმე ზარნაშომ.

მე, რომ მკითხოთ, ის მხოლოდ ოსტატობს, ჩვენ გვატყუებს. პატარაა, ჩია
კაცია, უნდა გამოწყობილობით მაინც მიიქციოს ხალხის ყურადღება და ხალხის
კი არა, უფროს ქალიშვილების. იმითთან ჩენი ზარნაშო ისე მოუშვებს ხოლმე
გუდას პირს, ყველაფერს ელაპარაკება ტყუილსა და მართალს. საიდუმლოს არ
გაანდობს, მაგრამ მის კვენხას საზღვარი არა აქვს.

ერთ რამეში დაცდილი მაქვს, უსათუოდ იღბალი გამომყვა: საჭირო დროს
ყოველთვის შემხედება ხოლმე ის, ვისაც ვეძებ. იქნებ ზარნაშოც სახლში დამ-

ხედეს. მით უმეტეს, რომ ჯერ აღრეა და ასე აღრე ის სამსახურში წაე-
დოდა.

ზარნაშო მარტო-ხელა კაცია, მაგრამ, ვინ იცის, სად ათევს მარტო-ხელა
კაცი ლამეს, მოეწყინება ცარიელ ხმელ ლოგინზე გორიალი და იქნებ შეუდგეს
საძებარს. მაინც ვნახო, იქნებ სახლში იყოს.

მივაკაკუნე, ისემც კარგი დაგემართოს, კარები თვითონ ზარნაშომ გამოიღო.
— რა კარგია, რომ სახლში მოგისწარი, შენ რომ არ მენახე, აღარ ვი-
ცოდი სად წავსულიყავი, შევაგებე მე შესვლის უმალ. ზარნაშო ნამძინარეგია,
ვერ არის კარგ ვუნებაზე.

— შენი ღდინი არ იყოს, რამ მოგიყვანა ეხლა აქ? მეუბნება ის, თითქოს
ხუმრობაში უნდა გამოაყოლოს, მაგრამ არც ხუმრობა გამოდის, არც სერიოზუ-
ლად ნათქვამი.

— უკაცრავათ, ძილი გაუფთხე შენს აღმატებულებას. რა გიჭირს, ერთ-
ხელ რომ ცოტა დილით აღრეც აღგე.

— შენ არ გიჭირს და კიდევაც ამდგარხარ და მე აგრე აღრე ვერ ავდგე-
ბი, არ ვარ მიჩვეული ბოსიაკურ ცხოვრებას.

მოიცა, ჩემო ზარნაშო, დაგიჭერენ, ჩაგაჯენენ რკინის გალიაში და მა-
შინ ნახავ, როგორ უნდა ტკბილად ძილი და გვიან აღგომა... ვეუბნები ზარ-
ნაშოს.

— დამიჭირეს და ჩამაჯინეს, მაგრამ ვერაფერიც ვერ დამაკლეს. უბატო-
ნით ხმაც არ გაუციათ, მაგრამ, თუ შენისთანა ბოსიაკებმა არ მომიხვენეს, მა-
შინ მართლა დამიჭირავენ და აღარც გამომიშვებენ.

ეს ხუმრობა ხუმრობას აღარ ჰგავს. მინდა სერიოზულად მოველაპარაკო ამ
კულდაპრეხილ ჩიტს.

— კარგი, თავი დაეანებოთ, მე საქმეზე ჩამოველი. ქალაქიდან 3-ში გამო-
მავზაენეს სამუშაოთ. დაბაში გამოვიარე, დავიწყე მე.

— კეთილი, კეთილი, მაგრამ მე რათ მიყვები შავ ამბებს, ჩემი საქმე რომ
არ არის!

— აბა ვის უთხრა?

— მიგასწავლი, ვისაც უნდა უთხრა, მე კი ჩემო ალექსი, რამოდენიმე ხნით
განთავისუფლებული ვარ ყოველგვარი საქმეებისაგან კონსპირატიული მოსახრე-
ბებით. არაფერს არ ვეკარები, ხეალ დილით მე ამ ბინიდანაც გადავდივარ.
ისეთს ადგილზე ეჭირაობ ბინას, რომ შენისთანა ბოსიაკები იქ ველარ შემობე-
დავენ.

რაღაც ყალბი, რაღაც არაბუნებრივი იყო მის ხმაში. მის საქციელში, მის
მოპყრობაში.

ეს აღარ იყო ძველი ზარნაშო, რომელიც, მართალია, უწინაც ბუზღუნებ-
და ხოლმე, მაგრამ მაინც საქმის კეთებით იყო გატაცებული. ეს სხვაა ვილაც,
ამასაც გამოსცვლია „გუნება“, მაგრამ თავისებურათ. უწინ, როდესაც ის თავის
კარგათ ჩაკმის თეორიას მოჰყვებოდა, ჩვენ მას საცინათ ვიცდებდით, თვითონაც
იცინოდა. ერთმანეთს ვალიზიანებდით. ეს არ სდებდა ჩვენს შორის ზღერასა და
ზღუდეს.

ებლა ზარნაშო სხვაი, ის მეტი-მეტი აშკარა ტუჩამრგვალებებს ჩემს სოფელურ მორთულობას. სკამი როცა დავიდღი და ჩამოვჯექვარ, ცხელს რა-ღაც იღო, რაღაც მორთულობა მისი ტანისამოსის. ზარნაშომ მაშინათვე ამ თავის საგანძურს მოხვია ხელი და შორს გადასდო.

დაიხურა გული, გულლით აქ ვერაფერს ვიტყვი. ესეც წასულა ხელიდან, თუ შთლად არა, სანახევროთ მიინც.

— აბა, ერთი მითხარი, ვის ეუთხრა და სად ენახო?

— გეტყვი, შე კაცო, გული ნუ კი მოგივა.

— გული რაზე უნდა მომივიდეს, საქმე მაქვს და საქმის გაკეთება მინდა. გულის მოსვლას რომ გავეცე, შორს წამიყვანს.

— კარგი, კარგი, შემაწყვეტინა ზარნაშომ, საათის ათამდე სადმე გაიარ-გა-მოიარე, ქუჩები დაათვალიერე, სწორედ ათი საათი რომ შესრულდეს, მიდი ბა-ლის ქუჩაზე... ზარნაშომ დაწერილებით მანიშნა სად უნდა მივსულიყავი, ვინ უნდა მეკითხა, რა უნდა მეთქვა და სხვადასხვა.

— იქ დავგზდებუბა ამხანაგი ბეტრე, შენ იმას ვერ იცნობ, მაგრამ ნაცნო-ბობა საჭირო არ არის, უთხარი ჩემი სახელი. იმას გადაეცი ყველაფერი რაც გასაკეთებელია, ის გააკეთებს.

— ქუჩებში, როგორაა საქმე, ხალხს არ ჩხრეკენ?

— როგორ არ ჩხრეკენ!

— პასპორტს არ კითხულობენ?

— კითხულობენ, აბა!

— მაშ, მე ათსაათამდე იქ ვერ მივალ, არა?

— არა, ათ საათზე აღრე იქ ვერავის ვერ ნახავ!

— კეთილი!

ავდექი, არც კი დავშვიდობებოვარ, კარები გამოვიგდე და გარეთ გამო-ველი.

„— ქუჩები დაათვალიერე“,

„— ქუჩებზე ხალხს ჩხრეკენ, აბატიმრებენ“.

„— ბოსიაკები ჩემსა ველარ შემობედანვენ!!!“.

გამახსენდა ყოველივე ეს, როცა დილის სიომ შემოკრა და ჩემს ცალთა ბლუზა-შარვალში სიცივის ნემსები შემოღწევა.

— არა, მაინც ნუ გაიტენ გულს. „წყალნი წაელენ და წამოელენ, ქვიშანი დარჩებიან!“ ოტიას სიტყვები მომადგა ენაზე.

მეტად აირია, მეტად აიწყნა ყველაფერი. რასაკვირველია, გამობრუნდება საქმე, უკეთეს დროსაც მოვესწრებით, მაგრამ ეხლა ჩვენ გვიჭირს, გვიჭირს, იმი-ტომ რომ ჩვენი ლაშქარი დაინგრა, დაიშალა. მტერმა მარტო იარაღით კი არ გვაჯობა, გაბრწნა და სულმოკლეობა შეიტანა ჩვენს ბანაკში. ბევრია ისეთი, რომ თავის გადარჩენაზე ფიქრობს, მეტი აღარაფერთარი დარდი აღარ აწუხებს. ზოგი ამას მალულად და რაღაც „კონსპირატიულ მოსაზრებებს“ აფარებს, ზოგი მზიარულად და უტიფრად აღიარებს: „ჩვენმა საქმემ წაიჩოქა, ვაშჯობინე ცოლის თხოვა—ოჯახს მოვეციდეო“.

არის ერთი წყება ხალხი, რომელსაც, ბიქტორის არ იყოს, უნდა მუშაობა, მაგრამ ხელი და ფეხი შეზოქილი აქვს. ოჯახი, ცოლი, შვილები უნდა, რა ძნელი ასაწევი ტვირთია ყოველივე ეს, ისიც ასეთს მძიმე დროს.

ოტია გმირობას დასდგომია, ისიც „თავის კიას“ ახარებს.

ორგანიზაციაში არეუ-დარევაა. ჩვენი მოწინააღმდეგე მეგობრები მენშევიკები ყოველთვის დროს მიჰყვებიან, ეხლაც მოუმარჯვეს ამ დროს ახალი მოძღვრება.

— საჭიროა მასიური მოძრაობის გაღრმავება და იმ კანონიერ ფარგლებში ჩვენი მუშაობის მოქცევა, რომ მთავრობას მუშების დაქერის საბაზი გამოეცალოთ ხელიდანო. რა, რა მშვენიერად უდგება ეს ფილოსოფია ამ დაქინებულ გუნებაზე მყოფ ხალხის განწყობილებას.

ჩვენებშიაც არ არის ერთი მიდგომა. ზოგი ისე უყურებს დღევანდელ მდგომარეობას, რომ მათ ვერც კი გააჩნევს ოტიასაგან, ზოგი ჯიუტათა და დაქინებით მოითხოვს ძველი გზის გაგრძელებას. მაგრამ ამ ძველ გზასაც უნდა გადახედვა, გადათვალთვლება. დღევანდელი მუშაობა ამ ახალ პირობებს უნდა ეხამებოდეს, მაგრამ მკაფიოთ და გარკვეულად ამისი მთქელი ჯერ არ გამოჩენილა.

ჩვენ დიდ დროს ვანდომებთ კამათს ისეთი საკითხების გამო, რომელსაც სადღეისოთ, სახვალისოთ აღარაფითარი მნიშვნელობა არა აქვს, სამაგიეროთ სრულებით არა გვაქვს სადღეისო სახვალისო მუშაობის გეგმა და გზა.

ენახოთ, რას მეტყვის ის ახალი ვილაც ჩამოსულა აქ, მაგრამ ჯერ რომ აღრუა.

მაშ შეუდექი, ჩემო ალექსი, „ქუჩების დითვალთვრების“, თუ კი ვინმემ დაგიჭიროს, რა ვუყოთ, ზარნაშო კონსპირატიული მოსახრებებით თავს არიდებს საქმეს და არ შეიძლება მის ბინაზე მოცდა, ამასაც გაგება და მიხედრა უნდა ზომ? დიალაც რომ უნდა და მეც „ვათვალთვრებ“ ქუჩებს. ერთ წიგნის მალაზიის წინ ჩაეიარე, ამ მალაზიის პატრონი, ერთ დროს ჩვენკაცობდა, ეხლა რალაც უხერხულად პირი ამარიდა.

— გაგიკვირდეს, რომ ვილაც ვაჭარი თუნდ რომ წიგნით ვაჭარი, პირს გარიდებს? ვანა ამხანაგი არ იყო, რომ იგერ ამ რამოდენიმე წუთის წინ გამომაგლო ბინიდან. არ ღირს ამისათვის ყურადღების მიქცევა.

კიდევ მაქვს ბარე ორი საათი, საით წაეიდე, ორპირის ქუჩას გავეყვი. აქ აღარავინ არ მეგულდება ჩემი ნაცნობი და მეგობარი.

ეპ, რა კარგი დრო იყო! ამ ქუჩაზე გავატარე მე ჩემი ბავშობა. ამ უბნებში, გვერდზე გადაწოლილ ფიქრული სახლებით რომაა უთავბოლოთ მოყენილი, აქ პირველად ჩამეწვეთა მე ყურში გრძნეული სიტყვა, რომელმაც სულ სხვა ფერი მისცა ცხოვრებას, სულ სხვა შინაარსი და იერით შემოსა ყოველივე და ყველაფერი. იი იმ დაბალ სახლში იყო, რომ ებეკდავდით მე და გრიშა სქელი ფელამუშევით შედედებულ რალაც წამლებით შეხავებულ წებოზე ფურცლებს.

კარგი დრო იყო, დიდი იყო აღტაცება! არ იყო მოლაღვა, მოქანცვა. ეხლა გრიშა, სადღაც უცხოეთშია. თავი აქვს, ალბათ, ჩარგული წიგნებში. კითხულობს გაზეთებში რუსეთის ამბებს, იცის რომ აქ რეაქცია მძინეარებს, არ ეშურება აქეთ წამოსვლას. მაშინ კი...



მახსოვს ერთ ღამეს თეთრად გავათენეთ, გვინდოდა მტკვარსა წამკედელი პატარა „სტანოკი“ გავვეკეთებია. ნიგვზის სქელი ფიცარი ზოგჯერ სქელი რკინა დავაკარით, გვინდოდა იმაში გავვემაგრებოდა აწყობილი ასოები და ფურცელი დაგვებტედა.

ბევრი ვიწვალეთ, არაფერი გამოგვივიდა.

ჩვენ ხელში შალაშინი მრუდეთ მუშაობდა. არ იქნა და ვერ გავრანდეთ ის ფიცარი ისე სწორა, რომ თორთო-ჩორთო ადგილები არ დარჩენილიყო. თავი დავანებეთ.

აი იმ განაპირა სახლში იყო, რომ ვიკრიბებოდით, კვითხულობდით, ბოვდანიოვის წიგნს „Краткий курс экономической науки“.

გამახსენდა იმ დროინდელი ჩვენი კამათი, ჩვენი დავა. ზოგი მაშინათვე გადაგვკერდზე, მაშინათვე დაიწყო მტკიცება, რომ მარჯისში არ არის მეცნიერულად დამუშავებული მოძღვრება.

ეს იყო, იყო, ყოველივე და აღარ განწეორდება, როგორც არ განმეორდება გუშინდელი დღე.

წარსული იმ საუკუნეთა უფსკრულს მიემატა, რომლებს სათვალავი აღამიანს ჯერ ვერ მიუგნია.

დღევანდელი დღე ეს არის, რასაც ვხედავ.

ხვალინდელი კი, ვინ იცის რას გვიზადებს, რას გვიქადის...

იმ ეზოს ჩაუარე, სადაც ერთ ხანს ეცხოვრობდი. თუმანს ვაძლევდი ხარჯისა და ბინის ქირას. ქერიეი ქალი იყო, წვრილი ბავშვები ჰყავდა. ამ დილა-ადრიახანდ სწორედ ამ ქალს ვხედავ, ეზოს წინ გამოსულა და სოფლიდან მომავალ გლეხს ქათამს ევაჭრება. მე პირი ავარიდევ, მოსახვევში შეეუბნევი, ქურდულათ მივიხებდე იქეთკენ. ჩემი ყოფილი დიასახლისი ძალიან გულმოდგინეთ იხედება ჩემსკენ. ალბათ, შემიცნო, მიცნობდა, რასაკვირველია, განა დიდი ხანი გავიდა მასუკან, ან რა გამომცვლიდა მე ისე, რომ ვეღარ ვეცნე.

ორლობეში გავიარე, საგიეესკენ წავედი. ამ უბანში ცხოვრობს განთქმული მკითხავი ფხაკაძის ქალი.

— მოდი შევალ იმ ქალთან, იქ ყოველთვისაა ხალხი. თითო ოროლა კაცი მაინც ყოველთვის უტდის. იქ მოვიცილი პატარას, შემდეგ ავდგები, წამოვალ, მოვიმიზეზებ, — დრო აღარა მაქვს, სხვა დროს შემოვივლი მეთქი.

ეზოში ორი ურემი დამხვდა. ერთზე მწოლიარე ავადმყოფი იყო, საბან-გადაფარებული, მეორეზე რალაც ნივთები ეწყო. ამ მეორე ურემთან შევებში ჩაცმული ქალი გაჩერებულყო, ელაპარაკებოდა მამა-კაცს, რომელსაც ხელში კონა ჩალა ეკავა, ხარებისათვის უნდოდა მიეცა საკვებათ.

— ამისთანა მკითხავი, ჩემო მამლო, მეორე არ არის ამ მთელ ქუთაისის ღრუბენიაში. უსათუოთ გვევიგებთ, რითი არის მაგ საცოდავის შეილი ავით.

— მე ჩემო, სურბულა, არაფერი არ მწამს მკითხავების, მე, თითოთ რომ ჩამომვიდო, არ მწამს და ვერ ვიწამებ, შენ კი, ჩემო კეთილო, როგორც გერჩიოს

ისე მოიქეცი. მე ამ ჩალას დაუყრი ხარებს და პატარას გვეყვით, ცხენში რაღაც-რაღაცები დამაბარეს საყიდლოთ, იმას ვიყიდი და ქე ჩამოვიტყობო.

ქალი გრძელ ფიცრულ სკამზე ჩამოჯდა, მამა-კაცი კი ქალაქისაკენ ვიეშურა.

მე ეზოში შევედი. წინა ოთახში, სადაც მიმსვლელი ხალხი იცდიდა, შესვლის უშუალო სტრაენიკის პაგონები შემომეფეთა წინ. დასწყევლოს ღმერთმა, სადაც არ მოელი, იქ წაემტკრევი უბედურებას თავზე. გარეთ გამობრუნება აიღარ იფარგებს, შევედი ოთახში და კედელზე გაკრულ სურათებს დავუწყე თვალიერება, ზურგით სტრაენიკისაკენ მივბრუნდი.

სურათზე ვითომც შამილის ტყვეთ წაყვანის ამბავია დახატული. ხის ძირში ზის ვიღაც გენერალი, მის გვერდით— რუსულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი აფიცრები არიან, მოშორებით მოდის შამილი, მასაც რამოდენიმე მთიელი მოჰყვება. სურათი უწნოთაა დახატული, თუმცა ბრკევილა საღებავები არ დაუშურებია მის გამკეთებელს.

მთელი სამოცი წელი იბრძოდენ მთიელები, არ უნდოდათ დამორჩილება, მაგრამ ძალამ ძალას აჯობა, შამილი დანებდა მტერს, მთის არწივმა ქედი მოიხარა რუსეთის მეფის ლენერალის წინ, ბრძოლაზე ხელი აიღო. ცალი თვალით ამ სურათის ქვეშ მოთავსებულ წარწერას კვითხულობ, ცალი თვალით იქეთ ვიხედები, სადაც სტრაენიკი მეგულება.

— ვისია, ხარებმა ვიშვა, შემოიძახა ვილაცამ ეზოდან. მეც ამ შემთხვევით ვისარგებლე და გარეთ გამოვედი.

საათი არა მაქვს, მაგრამ, ათი საათი იქნებ უკვე შესრულებულია, ფრთხილად გავყევი მოხვეულ ქუჩებს.

მივედი დანიშნულ ალაგას. ვიკითხე, როგორც ზარნაშომ მასწავლა.

ვიღაც ახალგაზრდა შემიძღვა და ოთახის კარი გამიღო. პეტრე, ზარნაშომ ასე მასწავლა მისი სახელი, წიგნს კითხულობდა, ხელში კალამი ეკავა და წიგნიდან რაღაცას იწერდა. კითხვისათვის თავი არ დაუნებებია, საღამოზე პასუხი არც კი გაუცია. ჩაათვა საწერი. შემდეგ კალამი თავის ალაგას ჩასდო, ჩუმათ შემომხედა და თვალებით, ხმა არც კი ამოუღია, ისე მკითხა, რისთვის მოსულხარო.

მე აეუხსენი ჩემი მოსვლის მიზეზი და მიხანი. ის გაჩუმებული იჯდა. არ ვიცი, ჩემს ნალაპარაკებს უგდებდა ყურს, თუ სხვა რამეს ფიქრობდ. ხმელი პირისახე, პატარა თვალები, კიდევ უფრო პატარა დიბალი შუბლი, სქელი შავი თმა და პატარა თავის კუდივით დაგრეხილი უღვაშები. არ ახდენდა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ჩემი ახალი ნაცნობი კაცი.

— მაშ, თქვენ კ—ში მიდიხართ?

— ვაპირებ, მივუგე, ასეთი დავალებით ვარ გამოგზავნილი ქალაქიდან.

— კარგი, როდის წახვალთ?

— ეს იმდენათ ჩემზე არ არის დამოკიდებული, რამდენათაც სხვადასხვა გარემოებებზე.

— მაგალითად?

— მაგალითად, მოვახერხებ, თუ ვერა მატარებლით წასვლაზე ფეხით დამჭირდება სიარული.

— სხვა?

— სხვა ის, რომ ცოტაოდენი ფულიც დამჭირდება. მე აქ გროში არ ჩამომყოლია.

— რამდენი გეყოფათ?

— სამყოფს ვინ ამბობს, ერთი ორიოდე მანეთი მაინც რომ იყოს, ისიც კარგია.

— ფულს ვიშოვით.

— სხვა, ვარდა ამისა, მინდოდა მიმელო თქვენგან დარიგება მუშაობის შესახებ.

— მთავარი ამ ქმად ისაა, რომ... ჩამომიღვა და სათითაოდ ჩამომითვალა არც ერთი წერილმანი არ დავიწვებია. თვითფულზე შექერდა, თვითფულის შესახებ იმდენი სიტყვა, რამდენიც ეკადრებოდა თვით ამ საკითხს, მის მნიშვნელობას ჩვენს მუშაობაში. არც მეტი არც ნაკლები.

წამოსვლისას ვუთხარი დაბის ამბავი, ვთხოვე, იქნებ აქედან ვინმე გააგზავნოთ იქ სამუშაოთ მეტი.

— მე ავალ მომავალ კვირეშიო, მითხრა მან და სანამდე მე დავეშვიდობებოდი, თვითონ გამომიწვირა ხელი.

ამასაც მოვრსი. ელა დამის ვასათვეი უნდა ვეძიო. ფულის გულისათვის პეტრემ ხელისათვის დამიბარა. წავედი ბულვარისაკენ.

ქუთაისში მყოფი ადამიანი ბულვარის წერაა, ბულვარს ვერ ისცდები.

მეც უნდა მოვიხადო ეს ვალი. მაგრამ საბულვაროთ რომ არ ვარ გამოწყობილი, ეს ტანისამოსი ბულვარისათვის არ გამოდგება, მაგრამ ეხლა ტანისამოსს სად ვიშოვი და კიდევაც რომ ვიშოვო, ვინ იცის, როგორ გამომადგება ეს ტანისამოსი სოფლად ყოფნის დროს. დავაპირე ბულვარს იმ კუთხიდან მივდგომოდი, სადაც ის ებრაელების უბნის სათავეს ებჯინება.

პეტრემ ცივით მიწილო, ცივით გამომიტუმრა, არც ერთი სიტყვა არ უთქვამს მეტი, მხოლოდ საქმის შესახებ გამომიკითხა, მხოლოდ საქმის შესახებ მომცა პასუხი და, რომ მეტ ხანს არ დავრჩენილიყავი, თვითონ გამომიწოდა ხელი. ქვის სახე, რომელზედაც არც ერთი კუთხი არ მოძრაობს, ყველაფერი საქმისათვის, არაფერი იმის მეტი, რასაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს საქმესთან.

ის სადათ ცხოვრობს, მხოლოდ, იმ საქმეს აცეთებს, მხოლოდ საქმეზე ფიქრობს. ადამიანის ამბავი მას არ აწუხებს, არ აფიქრებს. კარგია ასეთი კაცი საქმისათვის. მაგრამ რომელი საქმე გაკეთდება ისე, თუ ადამიანმა ადამიანური თვისება არ გამოიჩინა, საქმე საერთო გვაქვს, მაშასადამე, ერთი უნდა გვემონდეს კირი დი ლხინი.

— კარგია, თავი დაანებე. შენ ამადამინდელ ლამეზე იფიქრე. საით ვქნა პირი, ვის მივადგე კარზე?

მეტი ჯანი არ არის, ისევ სადგურისაკენ უნდა წავიდე, მაგრამ სადგურზე რომ სალდათები არიან, სალდათები, რომლებსაც ჩვენ იარაღი ავყარეთ? არ იყარვებს სადგურისაკენ წასვლა.

ჯერ მაინც ადრეა წავალ, ქალაქს გარედ მწვანე ყვავილასზე, — ერისი-
საკენ, იქ იქნებ საღმე მყუდრო აღაგას საღამომდე თავი შოვადეგრო, — დასრულებით,
შემდეგ რაც იქნება.

— როდემდე უნდა ირბინოთ ნაღარივით, მეუბნებოდა დედა-ჩემი. მართ-
ლაც, როდემდე გაუძლებ ასეთ ხერხილს. ძნელია ასეთი ცხოვრება. კ—ში იქ-
ნებ სხვა ამბავი დამხედეს, შეიძლება იქ სხვა პირობებია, მაგრამ აქ საშინე-
ლებია.

კვლავ სიმონას არ შეეფეთე წინ! ის ესლა მართო როდილაა, ვილაც ქალი-
სათვის გამოუდევს მკლავი-მკლავში და ისე მოდის.

— აი დაგწყუელოს ღმერთმა, რაღა სულ მე უნდა შემეჩებო დღეს, — მო-
მადხა სიმონამ, როდესაც საფინჩიის აღმართი აეთათვე და მოსახვევში ვაპირებ-
დი გაბრუნებას.

— მოდი, ბარეშ-ლა მოდი, ჩემს მხეთუნახავსაც გაგაცნობ. იცნობდეთ. ეს
გახლავს ის ყმაწვილი, შენ დაიას რომ თვალები აქვს გადმობრუნებული ტირი-
ლით, აი ამისთვის.

— სიმონ, რა იცი, მე და ჩემმა ღმერთმა, არა გრცხვენია, — დატუქსა
ქალმა.

— ამას ჰქვია, რა გქვია ბიჭო შენ, შე ოჯახ-დასაქცევო, მაგათი ამბავი
ჩემო თინა, ხომ იცი, დღეს ერთი სახელი აქვთ, ხვალ მეორე. ეს გარეშობას
გააჩნია.

— ნახე ვინმე აღეჭი-ჯან.

— კი ვნახე, ვინც მინდოდა.

— ვერა, ბიჭო, ვერ გინახავს და, თუ ნახე, კარგი არაფერი გითხრეს, ისე
გატყობ, არ გეტყობა, როგორ გაქვს, შვილოსა, ყურები ჩამოყრილი?! ღამის გა-
სათევი თუ გაქვს?

— ოჰ, როგორ არა, მაქვს.

— აბა, დეიფიცე! რომ არა გაქვს, მე კარგათ ვიცი. შენ მომიკვდე ის
თქვენი ზარნაშო, რომ გყავთ აქ, ის შეგიშვებს უხლა შენ სახლში, ან და ის
ქალაქიდან რომ არის ჩამოსული, რა ჰქვია. პეტრე ჰქვია, თუ პავლე. ვიცნობ
მაგ ხალხს, განა არ ვიცნობ. მოდი, ისევე ჩემსას მოდი. იმისთანა ლოგინში ჩა-
გაწვინო, რომ... ჩემი ცოლის მზითვები მაგის მეტი რაღა შემჩა. მოდი, ელოს
წერილებსაც წავაგებით, თინას სულ იმას ავალენს, შენი ამბავი რამენაირათ
შეატყობინოს.

სიმონამ ქუჩის სახელი და სახლის ნომერი მითხრა. სათუთო შეგპირდი და
გამოვემშვიდობე. დამშვიდობებისას თინამაც მთხოვა.

— თუ მოხვალთ, ძალიან დაგიმადლებთო.

ენახოთ, იქნებ მართლაც მივიდე.

საფინჩიის შემოღობვით. წყალწითელას გადახედე, ვიხეტიალე ტყესა და ღრე-
ში. შემდეგ ქალაქის განაპირა სამიკიტნოში რაღაც უში და უგემური კერძი
ვჭამე და ისევე ქალაქისაკენ ვჭენი პირი. ამაღამ აღმათ სიმონს ვესტუმრები.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

„ვიკვამთ მშვიდობით!“

(ნაწევრი „ცხოვრების კარცელიდან“ *).

ავვისტოს მხეს გადაეწეა აქა-იქ ამოსული მცენარეები. ნაცრისფერი ველი თავისი სიციარიელით მგზავრს სულის უხუთავედა. კასპიის ზღვა, რომელიც თანდათან გვმორდებოდა, რწყავდა ქვიშიან ნაპირებს და სცდილობდა თავისი თეთრი ტალღებით დაეთარა მათი მოღუშული სიტიტვლე.

მულანის უდაბნოა. არ მოსჩანს არც ერთი ხე, არც ერთი მწვანე ბუჩქი, არც ერთი ფრინველი. თითქოს მოელი სიციკტვლე საშინელმა ხანძარმა გადაბუგაო. დაუტოვებია მხოლოდ კოდოები, რომელთა მილიარდებიც განუწყვეტლივ ირევიან ვაკონებში სიციხისაგან დასუსტებულ მგზავრთა სხეულის დასაფლეთად. დაუტოვებია აგრეთვე მინდვრის თავეები და ხელიკები. შესაზარია მათი რბენა ეკლებში, თითქოს ამ ქვეყნის პატრონები იყვნენ და რაც უნდათ, მას ჩაიდნენ. ღამე კი, მით თანამდებობას ასრულებენ ქაობების უამრავი ბაყაყები, რომელნიც თავიანთი ყიყინით არღვევენ არემარის მუდროებს. ეს თავისებური კონცერტია, რომელიც ერთგვარ თანაგრძობას იწვევს ამ უსამართლოთ მოძულეებულ ცხოველთა მიმართ.

ნივდიოდი ტვილისში. მივდიოდი იმისთვის, რომ ლიტერატურის ასპარეზზე მომეძებნა ჩემი ცხოვრების მიზანი. შრავალმა წელმა განელო მას შემდეგ. ახლა ჩემი გადაწყვეტილება დონკიხოტობა მგონია, იმ დროს კი ვისმეს რომ ეთქვა ჩემთვის პატარა ერში მწერლობა თავის განწირვის ნიშნავსო, — უსათუოდ, გაეზრაზდებოდი. სწეულება დიდხანს მქონდა გამგდარი და არც ერთი რჩევა არ გამეყრნავდა, ვინაიდან ვერ მიწველეს უახლკარო და უმწერო დედიჩემის ცრემლებმაც კი, რომელთაც გამომშვიდების უკანასკნელ წუთებში ისე უხვად დაასველეს ჩემი მტრადი. ძალიან კარგად ვიცოდი, ბაქოში რომ დავრჩენილიყავ, ერთ დღეს მეც ვამდიდრდებოდი, როგორც მალე ვამდიდრდნენ ჩემი ტოლები უმნიშვნელო გამოწავლისით. ამისათვის დიდი რამ არ იყო საჭირო — ცოტა ჭკუა, საშუალო ენერჯია და ნაკლები კავშირი სინიდისთან. ორი მქონდა, შესამეს მოპოება კი ვერ შევძელ.

მატარებელი მეტად მძიმედ მიდიოდა. ერთი წელიწადიც არ იყო, რაც რკინისგზა გაეგვანათ. შემანქანეს ეშინოდა უბედური შემთხვევისა, მით უმეტეს,

* დაბეჭდა „ლესაბაც“-ში (განთავადი), № 3, 1929 წ. ეს კრებული გამოცემულია საქართველოს მწერალთა ფედერაციის სომხური სექციის მიერ.

წინა დღეებში საბარგო მატარებელი დამსხვრეულიყო. ზოგჯერ ქაქუჩები და სხვა მღვანელები სადგურთან ვისვლამდე ჩერდებოდა. არ იცოდა როდის დაემთხვებოდა ხელახლად, ფშვინავდა და ქაქანებდა, როგორც გულის ტკივილისაგან მიხრწნილი მოხუცი. მთელი ღამე არ დამეძინა თუ ბუღის, თუ აფორიაქებული ფიქრებისაგან, რომელთა ღერძსაც მომავლის გაურკვეველობა შეადგენდა.

დილით სურათი გამოიცვალა. მულანის უდაბნო უკვე გავევლო. მარცხნივ და მარჯვნივ ვაჩინდენ მცენარეები, რაც ასე ენატრებოდათ ჩემ თვალებს, რადგან რუა წელიწადი ვადაამზარ და ვადამშრალ ბაქოში ვცხოვრობდი.

ველახის სადგურზე, ჩვენს ვაგონში ძალზე ჩასუქებული კაცი შემრვიდა. დიდი ხურჯინის ქვეშ ქმინავდა, გმინავდა. მოუახლოვდა ჩემ სკამს, გვერდზე შემომხედა, ჯერ სახეზე დამაკვირდა, მერე ხურჯინი მხრებიდან ჩამოიღო და ჩემს პირდაპირ დაჯდა, ნამდვილი თუ გნებავთ—ვაგორდა ბამბის ტომარასავით.

— უპ, უპ.—წარმოსთქვა მან, ქუდი მოიხადა, გვერდით დაიგდო და სუფრის ოდენი დიდი ფერადი ხელცახოცი სახეზე ოფლი მოიწმინდა.

მერე თავისი სქელი ულვაშები გაისწორა და მომესალმა:

— გამარჯობა.

— ვაგიმარჯოს,—უუპასუხე ნახევრად სერიოზული, ნახევრად დაცინვის კილოთი.

— სად მიხვალ?

— ტფილისში.

— ჰო, ეგ კარგია, მეც ტფილისში მივდივარ,—განავრძო უცნობმა ყარაბაღულად. კარგი ქალაქია, ძალიან მიყვარს. ცოლად ტფილისელი ქალი შეყავს. წელიწადში ორჯერ—სამჯერ მივდივარ საქეიფოდ. ტფილისში კარგი ბალებია: ორთაქალა, კრწანისი, აეკალა. ჩენი ბეხის წყარო მათთან ისე მოვა როგორც თხა იორლა ცხენთან: ქუთისთვის ვამზობ...

კაცს უნდოდა უქველად ესაუბრა, როგორც საზოგადოდ, ეს მსუქან ადამიანებს სწევიათ. მარტოობა მეც რომწინდა, ამიტომ სიამოვნებით გადავეცი მის განკარგულებაში ჩემი ყურები, მით უმეტეს, მისმა გარეგნობამ პირველ წუთიდანვე რაღაც თანავრძობა შთამბერა.

— კითხვა სირცხვილი არ იყოს: რა საქმის კაცი ხარ?—კითხა მან და თან ხელები სქელ მუცელზე დაიწყო.

— არაფრის.

გაოცებულმა შემომხედა სახეზე და თავისი სქელი ულვაშების ქვეშ დაბნეულობის ნაპერწკალი გამოისროლა. მაგრამ მე არ მეწყინა.

ხელში მეკირა სქელი ჯოხი, რომელსაც ვიშველიებდი მოტეხილი ფეხის მორჩენის შემდეგ.

— რა კარგი ძალის საცემი ჯოხია, ტფილისში დაგპირდება,—სთქვა კაცმა.

— რატომაც,—უუთხარი უწუნად,—თუ ძალლი მოისურვებს ჩემ კბენას, ვცემ.

მიმიხვდა ნათქვამს და დანუშდა.



შემდეგ საღვურზე ვაგონიდან გადაველ ჩაის დასალევედ, როდესაც დაეპრუნდი, მუხოზელმა მკითხა:

- ეე, ბიჭო, რად კოკლომ?
- ფეხი მტკივა.
- რა დაგემართა?
- მომტყდა.
- მოგტყდა!
- დიახ, მომტყდა, მაგრამ ეხლა კარგად მაქვს, მხოლოდ ცოტათი მტკივა.
- პოო, — ყურადღება მომაქცია. — მაშ კარგი, რომ შე შეშვედი, დაგესმარები: დოსტაქარი ვარ.
- დოსტაქარი?
- დიალ, დოსტაქარი ვარ. ჩემი სახელი ვაგონილი გექნება: ავარა ბიჭები ოსტატს მუხანას მეძახიან, მაგრამ ნამღვილი ჩემი სახელი მიხაილ ბეგ არუშანოვია. შთელი კავკასია მიცნობს. ხუთას სულზე მეტი მოტეხილი ფეხი და ხელი მომიჩინია. მდიდარი ვაჭრები, გენერლები და პოლკოვნიკები სულ ჩემთან მოდიან. აბა, გენაცვალე, მიჩვენე ფეხი, ენახო.

ფეხი ავიწიე და დავდე ოსტატ მუხანას მუხლზე. მან ჩოხის სახელო გადიწია, თავის ზორციანი და თმისანი ხელით რამდენჯერმე გამისინჯა ფეხი და თავის ქნევით მითხრა:

- აფსუს, აფსუს. ვინ ვაგისწორა ძვალი?
- ერთმა შენისთანა დოსტაქარმა, დედაკაცმა.
- დედაკაცმა? — გაიმეორა ოსტატმა მუხანამ ღრმა ზიზღით, — იმიტომ არის, რომ ფეხი გაუფუჭებია.
- როგორ თუ გაუფუჭებია?
- დიალ, ერთ ადგილას ფეხი ვატეხილია, მეორე ადგილას ძვალი ამოვარდნილა. მაგ დედაკაცს არც ვატეხილი შეუტკავს კარგათ და არც ამოვარდნილი ჩაუსვამს თავის ალაგას.
- ნუ თუ?
- გეუბნები, — აღტაცებაში მოვიდა ოსტატი მუხანა, — ეგრე რომ დასტოვო, ფეხი დაგილბება.
- დამილბება!..
- ერთის სიტყვით, ფეხი დაგილბება და შეიძლება საოპერაციოც ვაგინდეს, გესმის რას ნიშნავს ოპერაცია?
- ვიცი, ესე იგი ფეხს მომჭრიან, რაღა.
- დიახ, ბერხით მოგჭრიან და გადაადგებენ, რომ სხეული არ მოიშხამოს და არ მოკვდეს.
- მაშ, შენი აზრით, რა უნდა ვქნა?
- ჩემი აზრი ის არის, რომ ფეხი ხელახლა უნდა მოვიჩინო.
- როგორ?
- ეგ ოსტატმა იცის!
- თქვენ შევიძლიანთ მომიჩინოთ?

- მაშ, ჭკვის კოლოფო, მე არ ვითხარი, ოსტატი ვარე მყოფი უნდა!
- ნივრამ ძალი უკვე განავრებულა, როგორ შევიძინებთ ჩვენს ხანაში?
- სწორეთ ოსტატობაც მაგაშია. ჯერ უნდა მაგ ძალი ქალის გაკეთებული დაეშალო.
- დაშალოთ ფეხი? რითი უნდა დაშალოთ?
- ცხერის დღმით.
- დღმით?—გავამეორე გაოცებულმა.
- დიახ, ცხერის დღმა უნდა გაეთხოვო და ფეხზე დაგადო. ორი კვირის განმავლობაში ძვლები დარბილდება, დღმასავეით.
- ზერე?
- დარბილების შემდეგ ძვლებს ამოვიღებ. ერთმანეთს მოვაშორებ და თითო თითოს კარგად, კობტად თავის ნამდვილ ადგილას ჩავსვამ, გატეხილსაც რიგიანად შევკრავ. ერთი თვის შემდეგ ადგები და კაკაბივით დაიწეებ რბენას, აღარც იკოჭლებ, აღარც გეტკინება, ტფილისში მისვლისას ჩემთან მოხვალ. მე ჰაელაბარში ვიქნები, ჩემი სიმაზრის სახლში. უსაბი გვეოა რომ იკითხო, გასწავლიან. ჩემი სახელიც კარგა დაიხსომე— ნიხაილ ბეგ არუშანოვი. ხელფასზედაც მოვილაპარაკებთ, ჩემი ტაქსა მაქვს. შენ ის მითხარი, ლიბერალი ხარ თუ კონსერვატორი?
- არ მესმის!
- მინდა ვკითხო, შშაკაიანი (ლიბერალი) ხარ, თუ მეღვაკაიანი (კონსერვატორი)?
- მაგას რა კავშირი აქვს ჩემ გატეხილ ფეხთან? ვკითხე და ფეხი მისი მუხლიდან ჩამოვიღე.
- მე შშაკაიანისთვის ერთი ტაქსა მაქვს, მეღვაკაიანისთვის კი—მეორე.
- ვის ფეხს უფრო იაფად არჩენთ?
- ვაგიზარაინ, რომ შშაკაიანის ფეხს, მე თავისუფალი მოაზრე ვარ-ლიბერალი.
- ფეხი ხომ არც შშაკაიანია და არც მეღვაკაიანი.
- იმასაც სხვა ფასი აქვს. შენ მითხარი, რომელსა სცემ პატივს გრიგორ არწრუნის თუ პეტროს სიმონიანის?
- ორივეს.
- ეგ როგორ იქნება, სომეხი კაცი ან ერთ მხარეს უნდა იყოს, ან მეორეს. ამის გარეშე რწმენა არ არის. გირჩევ, არწრუნის ბანაკში ჩაეწერო. არწრუნი ჩვენი დროების წინასწარმეტყველია, რაფეიც მის გვერდით არის, როცა კარგა ჩასცხებს ხოლმე უნამუსო სამღვდულოებას, მიამება. ძალიან ღონიერი კალამი აქვს. ის რომ სწერს, სწერს და ბოლოში სამ წერტილს დაუსვამს, მესმის, რის თქმაც უნდა. მის სამ წერტილს დიდი აზრი აქვს. ყოჩად, ამ დღეებში კიდევ შეამკო ერთი კარგად ეჩმიადინი. კაცი სიმართლეს ამბობს, რაღა! ახლა ერისათვის ეკლესია და მონასტერი საჭირო აღარ არის, ამბობს—საჭიროა სკოლა, თეატრი და ლიტერატურა. იკოცხლოს გრიგორ არწრუნის, რაფეიც მის გვერდით არის. ჰო, ერთი მითხარი, თქვენ ბაქოშიაც არის ხოლმე, ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის ცემა-ტყეპა?



არის.

— შუშაში თითქმის ყოველ დღე ვჩხუბობთ. რამდენჯერმე ვიწყობოდნენ მივტყუებთ წელვაკანები. მე რომ ერთს თავში ვდრუხე, ჩაიკუნტა. ერთ სხვასაც კბილები ჩაუმტვრიე. ახლა ცოტა გაიშინდნენ. ჩვენი პარტია დღე-დღეზე ღონიერდება. ვაჰ, მუცელი მეწვის შიშხილისაგან, ერთი ენახოთ, ამაში რა არის. და ხურჯინი მუხლებზე დაიდო. ოხვით და ხენეშით ამოიღო დიდი შეკრული ლურჯი სფერა და გაშალა სკამის სიგრძეზე. ერთი მეორეს მოჰყვა ლაეაზები, მოთალი, ყველი, თევზი, მოხარწული კვერცხები, ხიხილალა, ბატენის ერთი მთელი თეძო, ერთი ქათამი, კიტრები, თეთრი ბოლოკი, ხახვი, პრასა, წაწმადი, ტარხუნა. ხურჯინის მეორე განყოფილებიდან ამოიღო ერთი ტიკპორა ღვინო. ტიკის ყელი შორთული იყო წითელი ხელოვნური ვარდით.

— მოპრძანდი, მიირთვი,— მიმიწვია და თითონ დაუყონებლივ საჭმეს შეუღა.

დიდის სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას მის მდიდრულ სუფრაში. რომ ვაღლილ სადგურზე არ შესაუხმნა.

არა ნგონია, ისტორიულ შარას მუცელში უფრო მეტი მოთავსებულყო, ვიდრე ჩემი თანამგზავრის მუცელში. ნაინც ვავითიქრე: ნახევარი დღის მგზავრობისათვის რად წამოუღია ამდენი საჭმელი მტკი. მაგრამ ხუმრები წუთი არც კი იყო გასული, რომ ბატენის თეძო და ქათმის ნახევარი უკვე გაჰჭრა. ვავითიქრე, თუ ოსტატი მუხანა ლიბერალობაშია იც ღონიერია, როგორც კამაში, ვაი კონსერვატორებს! რაც შეეხება სმას, აქ იმდენად ხარბი არ იყო.

— იცი, მე ღვინოს სმა მარტოს არ მიღვარს, ამიხსნა თავისი თავშეკაება, — ამხანავი უნდა მევანდეს, რომ კიქა-კიქაზე დაარტყა, მადა უნდა ვაგესხნას. არ ვიცი — გაძღა თუ არა ოსტატი მუხანა. ბოლოს სუფრაში მოაგროვა დარჩენილი საჭმელი, ხურჯინში ჩასდო და სიტქვა:

— შუშინდან ველახამდი უძილოდ ვარ, ცოტას მივწვები.

სიტქვა და თავი ხურჯინზე დასდო. იმ წუთშივე ჩაიძინა. მკედლის საბერველივით დიდხანს დიდოდა და ჩადიდოდა მისი უწვევლებელი მუცელი. ხმა მალლა ხერინავდა და მგზავრთა შორის პროტესტსა და რისხვას იწვევდა.

სამი საათის შემდეგ ვანჯის სადგურზე ჩვენი ვაგონი ახალი მგზავრებით გაიგხო. მეტი წილი თათრები იყენენ ტყავის უწარმახარი ფაფახებით და ხანჯლებით. შემოვიდა აგრეთვე ერთი სომხის მღვდელი გულზე დიდი ვერცხლის ჯინჯილებიანი ჯვრით. გამხდარი, მალალი ტანის კაცი იყო, ქალარა წვერით, მეტად ხშირი წარბებით და მრისხანე სახით. იგი დაუყონებლივ მოთავსდა ჩემ გვერდით. „ღმერთმა გაეკურთხოს“ — მოთხრა, თუმცა მე არ მოთქვამს — „საეკურთხე მამაო“ —ო. სწორეთ იმ დროს გამოიღვიძა ოსტატმა მუხანამ, თავი ასწია და, რა დაინახა თავის პირდაპირ მღვდელი, ჩემ ხზარეს დაიხარა და დაბალი ხმით მოთხრა:

— გვიხსენ ეშმაკისაგან!

მერე მიუბრუნდა მღვდელს და ჰკითხა:

სად მიდიხარ, მამაო?

— ღმერთმა გაკვრთხოს, შვილო, — უპასუხა მღვდელმა მარკსსა და მკერებზე ხელი გადაისვა.

— მადლობელი ვარ. მე გეკითხები, სად მიდიხარ?

მღვდელმა მარჯვენა ხელი ყურთან მიიტანა, თავი გადიწია ოსტატ მუხანასაკენ და უთხრა:

— ცოტა მაღლა ილაპარაკე, კარგად არ მესმის.

ოსტატმა მუხანამ გაიწეოდა თავისი კითხვა.

— ჯერ-ჯერობით ტფილისში მივდივარ, მერე ემშიაძინში უნდა წავიდე — უპასუხა მღვდელმა.

— შირონის მოსატანად ხომ არა?

— არა, მივდივარ ჩემი ყოველწლიური აღთქმის ასასრულებლად.

— და კამილაჯის მისაღებად, არა?

— კამილაჯა დიდიხანია მაქვს, ამ ჯვართან ერთად მივიღე.

— როგორ იყიდე, მამაო, სწორეთ სთქვი.

— მე ფულით არ მიყიდნია ჯვარი და კამილაჯა, მივიღე ჩემი დიდი ხნის სამსახურისთვის, წმიდა გამნათლებელი სამოციქულო ეკლესიის სამსახურისთვის.

— მესმის; იმ ეკლესიის, რომელმაც ჩვენი ერის სახლი დააქცია, — წარმოსთქვა ოსტატმა მუხანამ. უნდოდა უსათუოდ ჩხუბი გაემართა მღვდელთან.

მღვდელს თვალები სიბრაზისაგან ანთებულნი ნახშირით გაუბრწყინდა.

— როგორც ეტყობა, ბატონო, თქვენ ან წყუღული ლიუთერაკანი ხართ, ან ერის დამლუბველი მშაკაკანი, — წამოიძახა მან გააცეცხლებულმა.

— დიახ, მშაკაკანი ვარ და ვამაყობ, კიდევ! — უპასუხა ოსტატმა მუხანამ და ხელემა მუცელზე დაიდო, — გონება ბნელთა სულთამხუთავო! თუ რამე გაქვს სათქმელი, მობრძანდი, სთქვი, ჩვენ მხათა ვართ.

— მშვიდობით იგემეთ თქვენი ზღარბი არწრუნნი!

— თქვენც მშვიდობით იგემეთ თქვენი ქოჯაკი მელა პეტროს სიმონიანცი.

— არწრუნი ერის შოლალატეა, რუსის მთავრობის უნამუსო მოჯამაგირე.

— პეტროს სიმონიანცი ემშიაძინის მოწაფეა, მისი მარამი პურით სცხოვრობს. გეორგ მეოთხე კათალიკოსის დროს მღვდელ მანდაქუნთან ერთად მან გაძარცვა ემშიაძინის სიმდიდრე, მოიპარა ძვირუასი თვლები მუხეუმიდან და მათ ადგილას ყალბი თვლები ჩასვა. ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცით.

— ეგ ტყუილია, ცილისწამებაა, უნამუსო მშაკაკანების მოგონილი ზღარბებია!..

— ტყუილი თქვენი გამოგონილია. თქვენ ყველაფერს იგონებთ, არწრუნს შეურაცყოფას აყენებთ, ის სუჟთა კაცია, უმანკო, როგორც მოციქული ან ვანდევლი. რაფვიც მის გვერდით არის.

— კარგი ვანდევლია: ის არ იყო, სხვას ცოლი მოსტაცა?

— არავის არ შეუძლიან სხვისი ცოლის მოტაცება, თუ ქმარი თანასწორი მფარველია თავისი ცოლისა. ეგ თქვენი მელია პეტროს სიმონიანცია, რომ ნერსესიანის სასწავლებლის ღამაზე მოწაფეებს... ღმერთო, შეგცოდდე!..

— გაბუნდი, შე ურცხვო, შე უნამუსო!



— არ გაეჭოდები, თუ გინდ, თოკი კისერში წამიჭირებ, მე სულერთს ვამბობ...

გინგლიჩიშვილი

ბრძოლა გამწვავდა. ორივე ცდილობდა, თავისი ნათქვამი დაედასტურებინა ხელების ღონიერი მოქნევით, სახის საზარელი დაღრუჯით და, მეტადრე, ყელის-თვის ძალის დატანებით. ოსტატ მუხანას ხმა წკრიბდა იყო, როგორც ზურნა, მღვდლისა კი—ბოხი, როგორც დოლი. საერთოდ კი მუსიკა არც იმდენად სასიამოვნო იყო. თათარ მგზაურებს არაფერი ესმოდათ, იცინოდნენ. მათგან ერთ-მა თათრულად სთქვა: მღვდელი გაცოფდაო.

მე ვცდილობდი ხან ერთი დამემშვიდებინა, ხან მეორე, მაგრამ იმაოდ. ძალზე გაბრაზებული იყო მეტადრე მღვდელი: ფერა წაუვკადა, თვალადან ნაპერწკლები სცვიოდა. ზოგჯერ წამოხტებოდა ნაკბენივით, ზოგჯერ დაჯდებოდა ღონიერად. ვერცხლის ჯვარი მის მკერდზე ხტუნაობდა, გვეგონებოდა მასაც აბრაზებს სამღვდელოების წინაღმდეგ მიმართული ოსტატ მუხანას გაცეცხლებული მჭულვარება.

ბოლოს მეც ჩემი წილი მერგო პატივცემული მოძღვრის რისხვიდან, როდესაც გაუფრთხილებლად გავაგონე, რომ მეც ეკლესიის როლს ერის დაცვის საქმეში ვათავებულად ვსთვლი შეთქი, მაშასადამე, მხარს ვუჭერდი ოსტატ მუხანას თავისუფალ აზრებს.

— თქვენ თავისუფალი მოახრენი კი არა, — დაიყვირა მღვდელმა, — თავისუფალი უაზროვნო ხართ!

მერე მარჯვენა ხელით ჯვარი ასწი-დასწია და სადღესასწაულო კილოთი დაუმბატა:

— მე, უფროსი მღვდელი სტეფანოს მუშკარიანი, ამ ჯვარის სახელით გწყევლით თქვენ! ვწყევლი იმ პურს, რომელსაც თქვენ სჭამთ, იმ წყალს, რომელსაც სვამთ! გწყევლით თქვენ და თქვენ მახლობლებს წმიდა გამნათლებელი სამოციქულო ეკლესიის სახელით!

ამ წყევლამ, როგორც ეტყობოდა, გავლენა მოახდინა ოსტატ მუხანაზე. შევნიშნე, რომ შეირყა და ფერი ეცვალა. მაგრამ მღვლევარება შეიკაფა და უთხრან

— მამაო, დაწყნარდი.

— არ დაეწყნარდები, ვიდრე შენ სატყვებს დედა ეკლესიის შესახებ უკა: არ წაიღებ და არ მოინანიებ!

— მამაო, შენ შენი აზრი გაქვს, მე ჩემი, სირცხვილია ჩხუბი.

— სირცხვილია არა ჩხუბი, არამედ თქვენთან ჯდომა, თქვენთან ლაპარაკი და თქვენი სახის დანახვა!

არ ვიცი, რით ვათავებოდა ეს სანახაობა, რომ ჩვენთვის დახმარება არ გავწია ერთ მეტად უპრალღ ვარემოებს... ოსტატ მუხანას გაუპაძრობას.

თავისი უკანასკნელი და სუსტი რეპლიკის შემდეგ, ოსტატმა მუხანამ ხურჯინი ასწია, დაიღო მუხლებზე და გახსნა. კვლავ გაჩნდა მდიდარი საქმელი და ტიკქორა.

რამდენადაც ოსტატ მუხანაზე გავლენა მოახდინა უფროსი მღვდლის სტეფანოს მუშკარიანის წყევლამ, იმდენადვე გავლენიანი გამოდგა მღვდლისათვის

ოსტატ მუხანას სუფრა, იმ განსხვავებით, რომ ოსტატ მუხანას მუხანასი უფროა.
 მღვდელი კი გაწითლდა.

სიჩუმე და მშვიდობიანობა ჩამოვიარდა. მღვდელი უცებ გაჩუმდა, თითქოს
 იმ წუთში ვიღაცამ საცობი დაუკო მის სასასო.

როდესაც მე კვლავ უარი განვაცხადე ჭამაში მონაწილეობაზე, ოსტატმა
 მუხანამ მღვდელ სტეფანოს მიმართა:

— მობრძანდით, მამაო, მიირთვიეთ! აზრი აზრია, პური კი ყველასთვის
 არის გაჩენილი.

დარწმუნებული ვიყავი, რომ მღვდელი პირველ ხანს მაინც უარს იტყოდა
 თავის თავისუფალი მოაზროვნე მტრის მასპინძლობაზე. მოხდა წინააღმდეგი. მიუ-
 ხედავად იმისა, რომ მიწვევა არ განმეორებულა, მან გადაიწია ანაფორის სახე-
 ლობი, გადიწერა პირჯვარი და სთქვა:

— ვიგემოთ მშვიდობით...

თარგმ. სომხ. ლ. კარაბეტიანიხა.

Purgatorium

ა მ ბ ა ე ი.

პარკეტის იატაკის გაკრივლებულ გასანიღულ რომბებს გარდი-გარდმო სკრის შიშვე საწერი მაგიდა. დიდებულად ამართული, როგორც ძეგლის კვარცხლებეი. მაგიდაზე სასტიკი წესრიგია. ქვის გაპრივლებულ შესადგამზე ბუდეებივით ჩადგმულია ორი შუშის საწერელი. რომელნიც ლურჯ მუდს იისფერ და წაბლისფერ ჩრდილებს ჰფენენ. კალმების ჩასადები ისე გამოიყურება. როგორც ტროპიკული გაშლილი ყვავილი. ჯარისკაცებივით ჩამწყრივებულია ტელეფონის სამი ამარატი. განაპირა—პატარა აპარატია, საათის ციფერბლატის მსგავსი მჩენებელით და დაკლანილი. როკოს სტილის სასმენი მილით. შუა აპარატი ჩვეულებრივი ტელეფონია, მაგიდაზე დასადგამი, საქალაქო. მესამე—ზორბა. თვალში საცემი, პასუხსაგები, მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროებისთვის. გვერდით ძველებური ნავეით ქანაობს პრეს-პაპიე. ამით მოსდევნ უჯრები, ყუთები, თაროები. კედელზე ერთად-ერთი სურათია, მეტად უბრალო, რაც არ ეგუება მდიდრულ პორტიერებს, მწვანე ტყავის უზარმაზარ დივანს, საფარძლებს, ნოხებს.

ასე უყვარს ტიმოფეი ანდრეევი ბაშკიროვს. ეს ოთახი მისი სამუშაო კაბინეტია ტრესტის შენობაში, იმ ტრესტის შენობაში, რომელსაც იგი მეთაურობს.

ტრესტის სქემაც იქვე ჰქონია. — კედელზე, სადაც თავმჯდომარის მდივანი ზის. ამ სქემის თავში გამოყვანილია წრე, რომელიც ტრესტს გამოხატავს. ამ მთავარ წრიდან სხვადასხვა შრისკენ გავლებულია ხაზები, რომელნიც სკრიან სხვა წრებს, კვადრატებს, რომბებს. წრეები, კვადრატები, რომბები შეფერადებულია ლურჯი და წითელი საღებავით (ჰქონდა მხატვარს ასეთი საღებავი). წრეები, კვადრატები, რომბები გამოხატავენ ფაბრიკებს, სარეწაოებს, საწყობებს. ზოგან ხაზი შეერთებულია შეუფერადებელ წრესთან—ეს ტრესტის განყოფილებაა. ეს რეული ნახატი—ტრესტის ადმინისტრაციული მექანიზმია.

ხოლო ტრესტის თავმჯდომარედ ტიმოფეი ანდრეევი ბაშკიროვია.

ტიმოფეი ანდრეევი იმ ცნობილი პასუხისმგებელი კომუნისტია. იგი ზის დიდ საწერ მაგიდასთან, აწყარუნებს ტელეფონის სამივე ამარატს და დადის „ფიატ“-ის მანქანით.

ტრესტის სქემაზე ცენტრი — ის წერტილი, რომელსაც მანქანის მძღველები ნიშნავს ტრესტის კანცელარიას, აქედან მიდის საბრძოლოებისა, სარეწაოებისა და საწყობებისაკენ.

ტიმოფეი ანდრეევიჩი ყოფილა ფაბრიკებში, სარეწაოებში და საწყობებში. უნდა გამოეტყუდეთ, იქ წასვლას კარგა დიდი მანძილის გაეღა სჭირია — ხუთი დღე მტვრიან შეხუთულ ვაგონში. უნდა გამოეტყუდეთ, ამ ფაბრიკებსა, სარეწაოებსა და საწყობებში უსიამოვნო სუნია, დათრინულ ტყავის სუნზე უფრო მაგარი, დამძალებული ყველის სუნზე უფრო აუტანელი. მაგრამ ეს სიმდიდრის მომცემი და საჭირო საქმეა.

როდესაც ტელეფონი წყარუნს იწყებს, სასმენი მილი ხელში უნდა აიღო. ამას ნოითხოვს ტელეფონის დისციპლინა.

ტიმოფეი ანდრეევიჩმა აიღო მილი შუა ტელეფონიდან. დაიცადა. ვიდრე ზარი მომავებრებელ წყარუნს შესწყვეტდა, მილი უერთან მიიტანა და დაილაპარაკა:

— ტელეფონთან ბაშკიროვია. ვინ ლაპარაკობს?

ტიმოფეი ანდრეევიჩის ლაპარაკის კილო ღირსებით არის აღსავსე, მის მიმოხვრაში დაუდევარი რწმენა გამოსკვივის. მილი აიღო, დაილაპარაკა, ეს კი ნიშნავს, რომ იგი უტრს უგდებს, რომ ტიმოფეი ანდრეევიჩი ბაშკიროვი ტრესტის თავმჯდომარეა, საყოველთაოდ ცნობილი კომუნ...

— რაო, რას ამბობთ? ვინ ლაპარაკობს? არაფერი არ მესმის.

მილის თხელ ფირფიტებში ბგერები ირევიან, ლაპარაკი ჯერ მკვეთრად გაისმა, შემდეგ სიტყვებმა წყნარად და დალაგებით იწყეს დენა, როგორც წყალში, რომელიც ბრძოლის შემდეგ გზას გაიკვლევს. ბაშკიროვის სახეზე გაოცება ჯერ თვალებში გამოხატეს. ჭოღლა, ციემა, ღრმად ჩამჯდარმა თვალებმა. ორივე თვალი გაუგანიერდა. შემდეგ ალი, ბიბილოებიდან დაწყებული, უტრებს მოედო. პირი გააღო, ნესტოები დაებერა გაოჟულიანებული ხელისგული ხორკლიან მილს მიეკრა. შემდეგ კისრიდან კეთამდე, იმ ადგილამდე, საიდანაც მელოტი იწყება, გველივით გაისრიალა სიცივის სუსხმა.

— მერე, მერე? — იკითხა ბაშკიროვმა, მას შემდეგ, როცა ლაპარაკი შესწყდა (რა უძღურია ხმა! — გაიფიქრა ერთბაშად). — მერე, მერე?

ტელეფონში სწრაფად გაიწყრილა ორიოდ სიტყვამ კიდევ, მერე სიჩუმე ჩამოვარდა.

— გმადლობთ, ამხანაგო, რომ მაცნობეთ...

ბაშკიროვს ესმის აპარატში, როგორ დაკიდა მოსაუბრემ სასმენი მილი.

მის უტრებში ირევა ელექტრონის ხმაური. შემდეგ მოულოდნელად გაისმა ქალის მკვეთრი, ცივი ხმა:

— ლაპარაკობთ?

— ა-არა.

— მაშ დადეთ მილი!

— ჰო, მართლაც!

ბაშკიროვმა მილი დაადგო, ესმის—როგორ გულნატკენად გამწკრილა აპარატმა, და მისი თვალები პატარა ტელეფონის ციფერბლანტს მტკუნდა. ისარი მე-მ ნომერზე გადაიყვანა და თითი თეთრ ფოლაქს დაჭირა. მილში გაისმა ზარის შორეული, ყრუ ხმა. სიჩუმე. კვლავ დაჭირა თითი ფოლაქს. ამ დროს ვილაქამ იმ მხარეს სტაცა ხელი მილს და მოისმა მკვეთრი ხმა:

— ვინ გნებავთ?

— უჯრედის მდივანი სკვორცოვი მანდ არის?

— ყველანი წავიდენ. აქ აღარაფერ არის.

— ვინ ლაპარაკობს?

— მაშა, დამლაგებელი. თქვენ ვინ გნებავთ?

მართალია—ხუთის ნახევარია. კანცელარიაში აღარაფერ არის. უკეთესია, რომ სკვორცოვი აღარ არის იქ. რა დახმარება შეუძლიან? მხოლოდ ჭორებს მოსდებს. ეხმაკმა იცის, რა ამბავია! მაგრამ როგორ მოხდა ყველაფერი ეს? ყოვლად გაუგებარია. რაშია საქმე? არაფერი შესმის.

მისი თვალები, როგორც მომწყვდეული ნადირის თვალები, გასაძრომს ეძებენ. მართლა, აპარატი, აი მესამე აპარატი—3-84. მაგრამ რად მიკანკალებს ასე ხელი? სამი... ოთხმოცდა... ოთხი... გეორგი ფილაპოვიჩი.

მილის ცივი ლითონი აგრილებს მის გახურებულ ყურს. აპარატი სდუმს. მხოლოდანი ცეცხლს უკიდებს მის ნერვებს.

...დიღა, კომისარია... მოხუცი... ვთხოვ... უბრალოდ ვთხოვ... რა არის? რად სდუმს აპარატი? ჰო, მართლა, დღეს სამშაბათია, 5 საათიდან დიდი კომისიის სხდომაა, კომისარი ხომ იქ არის. ეჰ, უნდა ვინმეს მოველაპარაკო, რჩევა ვთხოვო. მაგრამ ვის? წავალ იგორთან. მოადგილესთან. ჭკვიანი კაცია, ერთგული ამბანავი, არაფერია, რომ უპარტია.

— კრიშკოვთან წავალ.

ხელს სტაცებს პორტფელს. წაუყითხავი ქალაღები უჯრაში სკვივა. სასწრაფოდ ჰკეტავს უჯრას. პალტო კუთხეში ჰკიდია, ქუდი, პატარა ტროსტი (იდიოტობაა: ამ ხამთარს ბერლინში გერმანელებმა შეაჩუჩეს იგი, რეზინ-აკრული ტუფლებიც). პალტოს სურნელების სუნე ისდის.

— სურნელება?

ახლა ამაზე ფიქრის დრო არ არის. თუ როგორმე გამოვძვერი, თუ როგორმე წავაფუჩქე ეს საქმე, დავალწიე თავი—ბოლოს მოვუღებ ამ სურნელებას და ბევრ კიდევ სხვა რამეს მოვიშორებ თავიდან, დიღა.

— მოვიშორებ?

ეს სიტყვა მტრულად ხვდება, მაგრამ იგი თავს არიდებს, არ უნდა გამკლავება თავის აზრებთან. ქუჩაშია, არ შეიძლება დაყოვნება.

— ტიმოფევი ანდრეევიჩ!

— ვინ არის?

მოფერი ფილაქანზე დგას და გაკვირვებული შეკუერებს თავმჯდომარეს.

— განა, ფეხით აპირებთ წასულას?

— მ? პო, მართლა... რასაკვირველია, მანქანით. ავტოკარდი. დასწყველოს ეშმაქმა!..

— სად მიბრძანებთ?

— კრიმკოვთან.

— შესმის.

კული ნიშანია, დამაფიწყდა, რომ მანქანა მოკლდა. სისულელეა, არავითარი ნიშანი არ არსებობს! მაგრამ რა უნდა უთხრა კრიმკოვს? როგორ უნდა გადაეცე? პირდაპირ ვეტყვი, რომ...— შეძრწუნებულმა იბრუნა პარი ამ აზრისაგან. მანქანა სრიალით უხვევს ქუჩების კუთხეებში. აი საპარადო კარი, რამდენიმე საფეხურია ასავლელი. ზარი. ნაცნობი ლამაზი მოახლე ღიზა.

— კრიმკოვი შინ არის?

— ელენა ივანტიევა ტანთ იცვამს.

— თითონ კი არ დაბრუნებულა?

— ჯერ არა.

კარი რამდენიმე წუთით გაუბედავად ქრიალებს. შემდეგ ღიზა ღიმილით თავს უკრავს. და ბაშკიროვი მარტო რჩება ცივ, ნახევრად ბრელ კიბეზე. საფეხურებით ქვემოთკენ ეშვება. ქუჩაში გასვლამდე დაინახა ავტომობილი—მწყობრი ღიზაზე, გაკრიალებული. შოფერი საქესთან ზის. საქეზე გადაშლილია ვახეთი. შოფერი ვართულია კითხვაში.

— ივანოვ, შეგიძლიანთ გარაჟში დაბრუნდეთ.

— შესმის!

მანქანამ დაიგუჯუნა და მსუბუქად დაიძრა. მანქანა, რომელმაც ბენზინის ოდნავი სუნი დასტოვა, სწრაფად შორდებოდა ბაშკიროვს, მოსანდა მხოლოდ უშნო უკანა ბორბლები, ნომრის ყვითელი ციურები და პატარა სანათური, როგორც უკანდან მიმგდარი ნაძალადევი მგზავრები, მოსახვევიდან თითქოს ირონიულად თავს უკრავდნენ.

მრავალი წლის შემდეგ ბაშკიროვი პირველად დაიბნა ცხოვრების საკითხების წინაშე. ქუჩაში წინ და უკან მიმავალი ვერ ამჩნევდნენ მას და ისიც ვერაფრის ხედავდა. ფეხებს მისი ტანი მისდა უნებურად მიჰქონდათ. ტროტუარი სველი იყო, აქა-იქ ხედებოდა ჩალრმავებული ადგილები, რომლებსაც ანგარიშმიუცემლად უვლიდა. გადაუხვია ბალისაკენ. ბალში სველი ფოთლები ეცემოდა. რამდენიმე ბავშვი გაკრიალებულ ვახეზე დარბოდა. მათ შემოდგომის პალტოები ეცვათ. ბაშკიროვი მახლობელ სკამზე დაეშვა.

— ჩავიფალ...—სთქვა ჩუმიად. შემდეგ ჩაფიქრდა, გაუქნდა რამდენიმე წუთით და კვლავ გაიმეორა:

— ჩავიფალ...

სახლები, ხეები, ბალის მოაჯირი მაგარ კედლად წარმოუდგა და თავი ტყვედ იგრძნო. მოიკუმშა, დაილია. თავი პალტოს საყელოში ჩაზიდა, ხოლო ფეხები წინ გაიშვირა. ფეხზე რეზინ-აკრული „ამერიკული“ ფეხსაცმელი უფერულად ბრწყინავდა. ფეხსაცმელის ყვითელ ტყავს წითელი იერი დაჰკრავდა. ეს ფეხსაცმელი მზიარულ, უზრუნველ ლაქად ეცა თვალში. შემშოთებულმა ფეხები სკამ ქვეშ დაშალა.

ბაშკიროვის მთელი არსება ერთბაშად შიშმა მოიცვა. იგრძნო გულის მომწვეტი მარტოობა.

— ვისთან წავიდე? კრიმკოვთან არ შეიძლება, ეს არა სკალიან, გარდა ამისა... ვასილიევთან?... არა! იქნებ თან?... არა... არა... ეჰ, ვაეფანტე მეგობრები! ზომ ვერ მივალ ასეთი საქმით საღამოს ჩაიხე...

ელავდენ ტრამვაის ვეგონები, ისმოდა მათი ხმაური და რეკა.

— მომაგონდა! გრიშინი! იმასთან წავალ...

ბალის კუთხეში, აფთიაქიდან დაურეკა გრიშინს. ვიდრე ტელეფონს შეეერთებდნენ, კანკალმა აიტანა. არის კი იქ?

Allô!

— ვინ ლაპარაკობს?

— გრიშინ, შენა ხარ?

— ჰო, გრიშინი ვარ.

— ვასია, ბაშკიროვი გელაპარაკება. დადხანს დარჩები საშხაბ... კომისიაში?

— დავრჩები დააბლოცებით ერთ საათს კიდევ?

— შეიძლება შენთან შემოვიარო?

— შემოიარე.

— გმადლობ, ამ საათში მოვალ...

— კარგი ნიშანია, რომ იქ არის. საუცხოო ნიშანი!—მოიცვა სიხარულმა მთელი მისი არსება.

ბავშურად მოიჯახუნა აფთიაქის კარი, სწრაფად ჩაირბინა კიბე და მიმოიხედა. სწორედ ამ დროს მოსახვეეში გამოჩნდა ტრამვაის საქირო ვეგონი. რათა არ გაესწრო, ბაშკიროვი გასაჩერებლისკენ გაქანდა. ოღრო-ჩოღროებში რეზინიანი ფეხსაცმელის წყალობით ფეხი უსხლტებოდა, თხუთმეტი ნაბიჯის შემდეგ უკვე იგრძნო, რომ სული ეხუთება. აკანკალებული ხელით ჩაეჭიდა ასასვლელს და შეეარდა ვეგონში. გაშვერილი ხელიდან ორშაურიანი გაუვარდა. დაიკაევა. იგრძნო გულისრევა, სისხლი თავში აუვარდა—ორშაურიანი იატაკის ქღეში გაიჩხირა. გულმოსულმა სტაცა ხელი და თითი გაიტალახიანა. როდესაც ბილეთი მიიღო, სასწრაფოდ გაიწმინდა ბილეთით თითი და გატალახიანებული ქალღი დამალა.

როდესაც კომისიის შენობის ცალიერი ტალახი გაიარა, ცივი ჩხვლეტა იგრძნო გულში.

— აი სად მოვეყვი...—მაგრამ ფიქრისთვის დრო აღარ რჩებოდა.

გრიშინის კაბინეტი მესამე სართულში იყო. კიბეზე *ორ-ორ საფეხურზე ალაჯებდა და კვლავ დაეწყო სულის შეხუთება.

— ეჰ! მივეჭიე ავტომობილებს და ტყავის სეარძლებს... უბედურო ბუასილიანო ბიუროკრატო!—მაგრამ ეს მსუბუქი, თამამი კილო შეუფერებლად ეჭვენა.

ნახევრად ბნელ კარიდორში ერთი წუთით შეჩერდა, მაგრამ სულ უკვე დაკურავდა კარების წარწერებზე.

სულ უკვე
ეროვნული
გინგლიფოსება

ვ. ი. გრიშინ. კ./კ. სავრასოვ.
გამომძიებლები.

— რა უნდა ვქნა, თუ სავრასოვი აქ არის? მე ამ კაცს (ბოდიშს ვიბდი. ამხანაგო) არ ვიცნობ. უხერხული იქნება მასთან ლაპარაკი, თუმცა ამ დაწესებულებაში სულ ერთია.

გრიშინი მარტო იჯდა. მეორე მაგიდა ცალიერი იყო. ბაშკიროვმა სკამზე დაედო თავისი პალტო, პორტფელი და კუდი, მაგრამ ჯოხი ხელში დაიტოვა — სალამი ვასიას! გიშლი!

გრიშინი იღიმება. ნაპრისფერ პერანგზე ნაცრისფერი გალსტუხი აქვს ვაკეთებული. აცვია ცისფერი პიჯაკი. ყვითელი მოშვებული უღლაშები, თხელი, უკან გადაეკრებილი მოთეთრო თმა, კითხვითა და მოლოდინით სავსე ცისფერი თვალები.

— ნახევარ საათს წავართმევ.

— კეთილი.

— ერთწუთიანი პაუზა... ეს წუთი აჩქარებს ბაშკიროვს, ხელს უშლის, არ აკლის გრძნობა ვაშლოს. მაგრამ არც აზრის მოკრების ნებას აძლევს. არ აძლევს ნებას ზორადან დიწყოს, გონიერად, კივად, ოდნავი ირონიული კილოთი. ეს წუთი აჩქარებს, როგორც ტუსაღს საკანის დარაჯი.

— წარმოიდგინე, პარტიიდან გამოშრიცხეს...— და როდესაც მან პირველად გაიგონა ეს სიტყვები, მის მიერვე პირველად ხმამაღლა წარმოთქმული, იგრანო მათი სიმართლე, შეუპოვებელი სიმართლე.

ასე არ ფიქრობდა დაწყებას... ამით არ უნდოდა დაწყება, მაგრამ როცა დაინახა, როგორ მიიღო გრიშინმა ეს სიტყვები, როგორ წამოიწია წინ, როგორ ასახეს მისმა თვალებმა გაცემა, ბაშკიროვი მიხვდა—როგორ უნდა დაეწყა.

— დიად, წარმოიდგინე. ნახევარი საათის წინად რაიკომიდან დამირეკა ამხანაგმა, სერიოზულმა კაცმა და, ამას გარდა, არც შეიძლება ამისთანა რამით ხუმრობა, და მითხრა, რასაკვირველია, სავსებით საიდუმლოდ, რომ სამეულმა გამოიტანა გადაწყვეტალება.

— გამოშრიცხეს?—კითხა გრიშინმა.

— გამოშრიცხეს. ამას წინად საერთო წესით... ჩვენ უჯრედში სამი კვირა უკვე გათავდა საქმე, მაგრამ მე ეს-ეს არის დაებრუნდი კისლოვოდსკიდან და გამოეცხადი სამეულში... თუმცა ამას არავითარი კავშირი არა აქვს საქმესთან.

— მაგრამ მიხეზი, რა მიხეზით?

— მე თითონ ვკითხულობდი. ამხანაგი ამბობს: გადაგვარება, მოწყვეტა პარტიისაგან... კარგია კიდევ, რომ არ ამბობენ—„უცხო ელემენტი“.

— სამეულში ვინ იყო?

— მე ვიცნობ მხოლოდ ერთს—სევეალდს, ძველი ბოლშევიკი.

— სევეალდი, ვიცნობ.

გრიშინი რბილად ეპყრობა, ყურადღებით. აშკარად ვერცხვანაწიროვის ბედი ინტერესებს.

მაგრამ რატომ არის ასე დამშვიდებული? რატომ არ წამოხტება, პროტესტს არ განაცხადებს? რატომ არ მეუბნება: „ტიმოშა, ეს გაუგებრობაა, საჭიროა განსაჩივრება, აუცილებლად საჭიროა“-ო? რას ეძებს ამ ტელეფონის წიგნაკში? რას დააკაულა და თავისი შეთხელებული კეფა გამოუშვერია?

გრიშინმა მოსძებნა ნომერი, აიღო სასმენი მილი, წყნარად წარმოსთქვა ნომერი, აპარატში ტკაცანი გაისმა. შეაერთეს.

— სევეალდი? იან ოსიპოვიჩი? შენა ხარ ბებერო? გრიშინი გელაპარაკება. რომელი? საკონტროლო კომისიიდან, გრიშინი. ტიშინი კი არა, გრიშინი. ჰო, ჰო. რა საქმეზე? ეხლავ გეტყვი. აი აქ, ჩემთან, კაბინეტში, ზის ჩემი ძველი ამხანაგი, ბაშკიროვი... ჰო, სწორედ ის, ტიმოფეი ანდრეევიჩი. დიდი ხანიაო? რასაკვირველია. ცხრამეტი წლიდან. მერე? საიდან იცის? კერძო გზით... სირცხვილია? მოელაპარაკე შენი აპარატით. მაშ როგორ, გამორიცხეთ? ნუთუ? ჰმ! მძიმე შემთხვევაა. მერე, დარწმუნებული ხართ? არა, ეჭვი არ შემდის, რასაკვირველია, არ შემდის ეჭვი. მაგრამ მე, მგონი, კარგად ვიცნობ... ვიცნობდი? შეიძლება, შეიძლება.

ბაშკიროვი თითქო ნემსებზე ზისო. ტელეფონიდან კვლავ ისმის უსიამოვნო ლაპარაკი. გრიშინი ზოგჯერ თავს იქნევს და ამბობს:

ჰო, ჰო, მერე?

რატომ უთხრა რომ აქ ვზივარ? მაგრამ სულ ერთია. ბაშკიროვმა დაასვენა, რომ გრიშინი მის მხარეზეა. ძველი მეგობარია, ცხრამეტი წლიდან ერთად იყვნენ, გარდა ამისა, ოცში, მგონი, შაბათობაზე იყვნენ ყაზანის სადგურზე. პასუხსაგები შაბათობა იყო. იღიზმა იცოდა ასეთი რამეების გამოგონება... განელეს წლებმა...

დადებულმა მიღმა მოულოდნელად გაიბზრიალა აპარატზე. გრიშინმა თავი ასწია.

— რაო?

სწორეა.

— რა არის სწორე?

— თითქოს გამოგრიცხეს.

რას ამბობს სევეალდი?

— ამბობს, არის მძიმე, დადასტურებული ფაქტებით.

— დადასტურებულიო? ჩემთვის რომ მაგაზე არაფერი უთქვამთ?

— ეგ დასაშვებია, შეიძლება ფაქტების გამოკვლევა დამნაშავეის დაუკითხავად. შენ ჯერ-ჯერობით არ მოგელაპარაკებინან. გადაწყვეტილება ოფიციალურია არ არის და უცნაურია რომ გაიგე ეგ ამბავი...

— მერე, ფაქტები საიდან აიღეს?

— შესულა განცხადება და მოულოდნელად ყველაფერი დადასტურებულა.



— მერე, რა ბრალს მდებენ?

— გადაგეარებას, კლასობრივ ალლოს დაკარგვას... ცხელი კონკრეტულად და სამსახურებრივ ასპარეზზე. ვერ არის საქმე სანუგეშო. პირის ქედვე სპეკოთა და პარტიული მოვალეობის თავიდან აცილება, ეთიური უმართებულებანი და სხვა.

— ყველაფერი ეგ ჩემთვის სრულიად მოულოდნელია.

— მით უარესი, თუ თვითონ ვერა გრძნობ.

— მერე, რას ფიქრობ შენ?

— ვერაფერს გირჩევ. ხეალ მიგიწვევენ რაიკომში და იქ მოგელაპარაკებინ... ყველაფერი იმაზე დამოკიდებული...

— შესმის. მაგრამ, ვასია, აი რას გეტყვი: მაინც, თუ საჭირო იქნება, შენ ხომ აქა ხარ, შენ გამოცდილი ხარ ასეთ საკითხებში...

— ვეცდები, რამდენადაც შემიძლიან სარგებლობის მოტანა...

— გმადლობ, წინდაწინვე გმადლობ! ხელს აღარ შეგიშლი, ვხედავ. ჯერ არ ვაგითავებია საქმე.

ქუდი, პალტო, პორტფელი, ტროსტი. კუნთები მუშაობენ, ფილტვები ბერით ივსება, პირი რაღაც სიტყვებს ამბობს, მაგრამ ტვინი დამზობილია, როგორც გაბრუნებული ხარი. გასაოცარია, საიდან არის ეს ძალა, რომ ახერხებ აუღელვებლად თავის დაჭერას, ასეთი სიტყვების წარმოთქმას?

— ნახეამდის!

უკვე გასცდა კარებს. ირგვლივ დაბშული კარიდორია. ახლა შეიძლება კუნთებმა აღარ იკრუნონ სახეზე, შეიძლება ნება მისცეს ქუთუთოებს დაშვან თვალეზე. მაგრამ ყველაფერი ეს ერთი წუთით... ტვინი უკვე გონს მოდის, უკვე ენთება აზრის სანათურები... არა, სანათურები კი არა—ენთება ხანძარი, ლაპლაპებს ელევა... ახლა ყველაფერი ნათელია! როგორც შხამი სისხლს, უკმაყოფილების გრძნობა ედება მთელ გულს. უკმაყოფილება, პროტესტი, შეურაცხება, აღშფოთება.

— შეე? შე, ტიმოფეი ბაშკიროვი, გამომრიცხეს? ჯერ კიდევ ვნახავთ რაშია საქმე... ხეალ შეეხედებით, შეეხედებით პირისპირ... ამხანაგებო... გაჩვენებთ ვინცა ვარ...

ქუჩა. საჭიროა დაცდა, ვიდრე რამდენიმე ავტომობილი გაივლიდეს.

— დასეირნობენ აქ ავტომობილებით...

რა თქმა უნდა, კერძო ცხოვრებაში შეიძლება ზოგიერთ რამეზე გამოდავება. გამოდავება? არა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მართლაც... ესეამ. მაგრამ ვინ არა სეამს? ერთი ვიკითხოთ... განა თითონ ის... მაგრამ ეს საქმეს არ ეხება. ქალები... მერე და რისთვის არიან ქალები? რა თქმა უნდა, სწორი არ არის, მაგრამ თითონ ისინი არ გასვენებენ. ჰმ... ყოფა-ცხოვრება... და ფული... დიპლომ... მაგრამ ეს ხომ არავინ იცის... არავინ! კრიმკოვის გარდა... არა, შეუძლებელია.

ტანჯვისაგან შუბლს ნამი ედება.

— არა, არავინ იცის ეს...რომ იცოდენ... შეუძლებელია...



რას გვითხებოდნენ სამეულში? რომელი წლიდან არის მარტის წვერაღ-
ცხრაას თორმეტიდან, დიად, თორმეტიდან, როცა ბოჭულის წყლის კელი
გამოსჭრა. დამცველმა კარგად წაიყვანა საქმე, სამხედრო სასამართლოდან გადა-
ატანინა... გადასახლება ხუთი წლით. შორეული ჩრდილოეთი, პოლიტიკურ გა-
დასახლებულთა ბანაკი; იქ პირველად შეჭვდა კომისარს, ლექციებს კითხულობ-
და. იქ იყო სეველდიც, სად არის ეხლა ივან გავრილოვიჩი? ამბობენ, როსტოვ-
შიაო. დიად, ბაშკიროვი მალე გადაიჭკა საყვარელ კაცად გადასახლებულთა-
თვის: მომღერალი, მოცეკვავე, გარმონის დანკერელი, სულში ჩასატყუარნი ყმა-
წვილი—ყინულზე აცურებდა მოდარაჯე რაზმს, პირველი მეთევზე. მართალია,
მარტისხში მოისუსტებდა. თხუთმეტში, როდესაც „ბებრები“ დაობდნენ—შეი-
ძლება თუ არა სოციალისტმა მეფის სამშობლო დაიკვას, ბაშკიროვი მოხალისედ
ჩაეწერა ფრონტზე. კომისარმა მოიწონა მისი განზრახვა, ივან გავრილოვიჩი ჯერ
მოიღუწა, მერე ხელი ჩაიქნია:

— ბოლშევიკები ფრონტზედაც გამოდგებიან.

ბაშკიროვი ფრონტზე წავიდა. ციმბირის მსროლელთა ბატალიონი დენა-
ზე იდგა გერმანელების წინააღმდეგ. ბაშკიროვმა გადასწყვიტა, მართლა დაემსა-
ხურებინა მეფის წყალობა. მაგრამ შეუძლებელია იცოდეს ვინმემ ეს. და დაიშ-
სახურა კიდევ: ზედი-ზედ მიიღო ორი ჯვარი. უკვე უნტერ-ოფიცერია, ლაბა-
რაკია მის გაგზავნაზე პრაპორშჩიკთა სკოლაში. ბაშკიროვს, კატორგელს,
მკვლელს, სოციალისტს, ბოლშევიკს ოფიცერთა სკოლაში ჰგზავნიან. მაგრამ რე-
ვოლუციამ წაშალა ყოველივე ეს. ბაშკიროვი მიტინგზე გამოდის, ბაშკიროვს
ირჩევენ. ირჩევენ ბატალიონის, პოლკის, დივიზიის კომიტეტებში. და ბაშკიროვ-
მა ყველას დაანახა—რა კაციც იყო. დივიზიამ შეტყვზე უარი განაცხადა. ჯერ
კიდევ შემოდგომა არ იყო დამდგარი, რომ ბაშკიროვის დივიზიას ბოლშევიკური
დაივიზიის სახელი გაუფარდა. ივან გავრილოვიჩი მინსკში მოჰყვა მაშინ, როცა
ბაშკიროვი არმიის დეპუტატთა ყრილობაზე გამოვიდა. ეს შეხვედრა ჰემარი-
ტად საჭირო იყო. ამის შემდეგ ყველაფერი წყალივით წავიდა. ივან გავრილო-
ვიჩმა ოთახი დაიქირავა ჭალაქის ვანაპირა უბანში, ბაშკიროვი კი სასტუმროში
ცხოვრობდა, და წამოვიდა ინსტრუქციები, მითითებები, ბრძანებები, რეზოლიუ-
ციები. მოქმედებდნენ ხელი-ხელ გადაბმულნი, ბოლშევიკური დისციპლინით.
თერამეტში, ზაფხულში. ბაშკიროვმა ბრიგადით დონის ფრონტისკენ გაუხვია.
რა დრო იყო!.. საუცხო დრო!.. ბრიგადა. დივიზია. ფრონტის ერთი უბანი.
როდესაც წითელმა არმიამ ომსკი აიღო, შტაბში დაკითხვის დროს, დაინახა
იგი კაპიტანმა კრიმკოვმა, უკაცრავად, პოლკოვნიკმა... ყოფილმა... ახალგაზრდამ,
პკვიანი თავის პატრონმა (ეშმაკმა წაიღოს მისი თავი!). კრიმკოვმა იცნო „უნ-
ტერი“ ბაშკიროვი. კრიმკოვმა იკისრა ავტოცია კოლჩაკოვის აფიცრების შო-
რის და მათი გადმობირება წითელ არმიამში. კრიმკოვი ავტოციას ეწვეა, კრიმ-
კოვი აწყობს საქმეებს. მან შეუბრალებლად გასცა აფიცრთა ჯგუფი, რომელიც
აჯანყებაზე ფიქრობდა. და კრიმკოვი ბაშკიროვთან ერთად რჩება ფრონტების
ლიკვიდაციამდე.

იგორ ალექსანდროვიჩმა ნდობა „დაიშახურა“.

პოლონეთის ფრონტზე ხელმძღვანელობდა დიეიზიას და, როგორც უფრო-
სები აღნიშნავენ, საესეებით დამაქმაცოფილებლად.

ბურუსშია გახვეული ეს წლები. ფრონტის შემდეგ მსსსკში მსსსკოტ ზან-
ზარებს დისკუსიის ციებ-ცხელებიანგან. ახალი გარდატეხის წინ რესპუბლიკა,
რომელმაც ბოლო მოუღო შეიარაღებულ მტრებს, თავისი ფილტვებით ხარბათ
ისუნთქავს ჰაერს. ბაშკიროვი დემობილიზაციის წესით თავს ანებებს არმიას.
საამშენებლო მუშაობა ძალუმ მზრებს მოითხოვს. ბაშკიროვს კი მზრები ერთ
საყენზე აქვს გაზიდული. მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, დიპლომატია.
ბრძოლა ბანდიტიზმთან. ვაჭრობა. არჩევანი დიდა. ბაშკიროვმაც აირჩია.

ვაჭრობა ცოცხალი საქმეა. ეგუება კიდევ მის გულს. კარგია, წავეთავტრებთ.
დისკუსიის აბობოქრებულ ქვაბს ყრილობის რეზოლიუციის რკინის სახე-
რავი ეხურება. ყრილობა მოუწოდებთ ერთგულთ: ახალ ბრძოლისაკენ. საქიროა
ბოლშევიკური ფხიანობა.

ყრძო კავიტალის გადარჩენილი ნაშთები, არალეგალურ საქმეზე დამ-
დგარი ყრძო ინიციატივა გამოყენებულ უნდა იქნას როგორც ბორბლის ძალა...
გამოყენებულ უნდა იქნას დროებით... ახალი ეკონომიური პოლიტიკა. აი კრიმ-
სოვიც. იგი აღარ ატარებს მეტროლის ფარაჯას. მაგრამ მისი ჩვეულებრივი
პალტოს ქვეშიდან მოსჩანს მეთაურის ნიშნებ-აკლილი ფრენი. კრიმსოვი უკვე
სპეცია, კომერციული მრჩეველი. იგი უკვე გატარებულია ბრძანებაში და მისი
მწვანე ფრენი შეიცვალა საქმიანი კაცის სერთუკით, ახლად შეყრილი სერთუ-
კით. გახამებულ საელოს აბრეშუმის გალსტუხი ამშვენებს.

დიდი საქმიანი დღეები დადგა, ორგანიზაციის წლები: დღეს ვაჭრობენ
რკინით, ხვალ გაპყიდიან ყველასაგან დავიწყებულ მარხილებს, ზეგ ტყავს მიპ-
ყოფენ ხელს. აქ არა თუ სპეციალობას შეიძენ, — ადვილად მიღწევ სტაბილიზა-
ციასაც სტანდარტიზაციასაც. ტრესტი დაამტკიცეს. ტიმოფეი ანდრევიჩი ბაშ-
კიროვი ტრესტის თავმჯდომარეა, იგორ ალექსანდროვიჩი კრიმსოვი — კომერ-
ციული დირექტორი. და გაჩაღდა საქმე. მეორე წელიწადს — გამგზავრება აესტრა-
ლიაში, ინგლისში ცოდნის შესაძენად, გერმანიაში — საქმეების გამო, ამავე წელს,
გახაფხულზე, იზა ალექსანდროვნა კრიმსოვა, ტანადი, წარმტაცი, ცხრაშეტი
წლის მოცკვავე ბალეტში, მომავალი კინო-ვარსკლავი, ბაშკიროვის მეუღლე
ხდება.

ბაშკიროვი ტრამეიაში ჩაჯდა. გადასწყვიტა — კრიმსოვს მაინც მოელაპარა-
კოს. როცა მივიდა, კრიმსოვი უკვე პალტოში იყო. ელენა იგნატიევნა აქაქარ-
ბდა ქმარს: სხვაგან მიდიოდენ.

— იგორ, შენთან ძალიან სერიოზული საქმე მაქვს.

— სასწრაფოა?

— მეტად სასწრაფო!

კარი მოიხურა. კრიმსოვნა, სთხოვა დამხდარიყო.

— გისმენ.

— აი რა იგორ! (ეპ, კიდევ ვერ დაიწყო ისე). მე მინდოდა მომელაპარაკ-
ნა შენთან... სჯობია გვიან, ვიდრე არასოდეს. პო იმ ფულზე...



ქართული

— არ მესმის, რაზე შელაპარაკებით. მერე, რით არის მსჯელობა?

— მერე გაიგებ. ვთხოვ მომისმინო. წლინახევრის წინად შენ პირველად მასესზე ხუთასი მანეთი, როცა ალიმენტის საქმე გავარიგე ჩემ მაშინდელ კოლთან.

— ჰო, გასესზე, მერე?

— როცა დაეპირე პირველი 50 მანეთის მოცემა, შენ გაიციინე და ამ ფულის ალების ნაცვლად, კიდევ მომეცი 300 მანეთი.

— მართალია.

— მერე... რამდენი მომეცი სულ?

— არ დამითვლია, ტიმ. ჩვენ ხომ, თუ სიმართლე გინდა, უცხონი არა ვართ. ამას ვარდა, შენ უკანასკნელ წლებში არ გყოფნიდა პარტმაქსიმუმი და მე ხელს ვიწყობდი.

— გამიგონე, შეტად სერიოზულად გეკითხები: საიდან აიღე ის ფული? კრიმცოვმა უგებურად ჩაიღომა.

— პატივცემულო ამხანაგო თავმჯდომარე! მესმის თქვენი სიტყვის აზრი. შენ გაწუხებხს სინიდიის ქვეწა, გინდა დაარღვიო საკუთარი შვიდლობიანობა. მე ხომ რამდენჯერმე ვთხოვე, თავი არ შეიწუხო ამისთვის. ერთხელ კიდევ ვთხოვე—დამშვიდდე, ეს ფული... ვერ გამიგია, რა გაინტერესებს? ტრესტის ბუხ-ბალტერია, ხალდი ფული სალაროში, ჩვენი ფინანსიური ურთიერთობანი,—ყველაფერი, უკანასკნელ გროშამდე რიგზეა, ხომ გესმის? თხუთმეტი ინსპექციაც რომ მოვიდეს, არაფერი იქნება, მინდა კიდევ მოვიდეს... შეტია ამაზე ლაპარაკი. ხომ ხედავ, შენ თითონ გელიძება. კარგად იცი რომ ჩვენი წმინდა მოგება შარშან ორ ნახევარ მილიონს უდრიდა. წელს ცოტა მეტსაც მივიღებთ.

— არ შეიძლება გაეიგო, რატომ?

— აი სწორედ ამაზე მინდა ხეალ შენთან მოლაპარაკება. ჩემ მიერ მიღებული ცნობებით, ჩვენს დასამზადებელს ადგილებში, შუა აზიაში, ბალახი გადახმა, ცხვარი იხოცება... პოლიტიკურად ამის დასაბუთება აელანისტანის ამბებით შეიძლება.

— ის, რომ ცხვარი იხოცება?

— ი-იგორ!— მოისმა კაპასი, ატირებული ხმა მეზობელ ოთახიდან.

— ახლავე, ლელუქკა, ამ წუთში. მერე?

— შენ ამბობ, რომ ჩვენი ფინანსები წესრიგზეა?

— უნაკლულად. ბევრიც რომ ეძებონ, ვერაფერს გამოიხრევენ.

— მაშ კარგად ყოფილა საქმე.

კრიმცოვი წამოდგა, პალტოს ლილები შეიბნია და, აჩქარებულმა სიძეს შეხედა.

— ტიმ, შენ დღეს რაღაც უცნაური ხარ. რამ გაგიფუქა გუნება?

— განა მეტყობა?

— ძალიან.

— მოულოდნელად უგუნებოდ გავხდი. მომაგონდა ის ფული და გაეიფიქრე, ცუდი სარჩული ხომ არ უდევს-მეთქი.

კრიმცოვმა მოკუტა თავისი კვიანი, მუდამ მხიარული კვირები დასაწყის სახეზე გაიღევა იმ ავადმყოფურ-ირონიულმა ღიმილმა, რომელიც მისი მისდევს ხოლმე, როცა კაცს მაზოლზე ფეხს დაადგამენ და თან ბოდის მოხდასაც მეტად ჩასთვლიან.

— სისულელეა!

— კარგი, იგორ, მაგრამ მაინც ვთხოვ, მიიხრა—საიდან მოდის ეგ ფული?

— ვერაფერი სიმახვილეა, ტიმ. მოდის. შენ რა გესაქმება? ეს კრიმცოვის ქონების ნაშთია.

ბაშკიროვის სიბრაზე ახრჩობდა, მაგრამ მან ამ სიბრაზის დასამალავად ღიმილს მიმართა.

სტყუის, აშკარად სტყუის, მე კი აქ დოცლაპიად ვაჩვენებ თავს.

— მერე, ბევრია კიდევ დარჩენილი მაგ კრიმცოვის ქონებიდან?

— მილიონი, არც მეტი და არც ნაკლები! ჰა-ჰა!

— იგორ!

— მე ახლა არა მცალიან. იქნებ ფულისთვის მოხვედი? წარმოიდგინე, ველარ მოვისაზრე. მე ხომ ამას წინად მოგეცი ოთხასი მანეთი.

— იგორორ!—მოისმა უფრო გაბრაზებული ხმა.

— მოვდივარ! ნახვამდის. ზვალამდის. თუ ფული გჭირია...

ბაშკიროვი მარტო დარჩა ოთახში. ერთხანს ნაცემივით იჯდა და ერთ წერტილს შეჭყურებდა. უფრო და უფრო აწვებოდა ბოღმა. ბაშკიროვმა იგრძნო სრული მარტოობა. შემაშფოთებელი, უიმედო მარტოობა.

ერთბაშად გაახსენდა. ეს ამბავი დღინის ფრონტზე მოხდა. ცხრაას თევსმეტ წელს. ღამე იყო, დასაზვერად წასულნი, ცოცხით უახლოვდებოდნენ მტრის სანგრებს. წინ მიუძლოდა სხვებს. უცბად რაღაც ხმელმა და მსუბუქმა გაიტკაცუნა და ფეხთქვეშ ნიადაგი გამოეცალა. თავში ერთბაშად გაუღევა: ჩავვარდი მგლის ორმოში, გერმანელების მიერ გათხრილ ორმოში. მისდა იღბლად, ცურვით ეშვებოდა. ჩავარდა ზედა ტანით, მისი თოფის ხიშტი ორმოს რბილ კედელს შეერტო. ამან შეაჩერა დავარდნა. წვეტიანი ბალოები მხოლოდ მის ფარჯას მოედო. ფსკერზე მუხლამდე ჭის წყალი იდგა. როდესაც ფეხზე დადგა და ხელი შეახო თავის ზაფანგის კედლებს, გაშეშდა. მისი გული სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, იგრძნო აუტანელი სიმწვავე, თითქო შავი ხიშტი ჩაურქვესო. განძრევა არ შეიძლებოდა. გერმანელები ხომ ყოველ შემთხვევისთვის ბალოებზე ხელის ყუმბარებსაც ამავრებენ, და აქ სადღაც მუხანათი ზონარიც უნდა იყოს, საკმაოა ხელი შეახო... ბაშკიროვი გაიჩინდა. მომწყვდეული, მარტოდ-მარტო. მხოლოდ ზემოდ, ორმოს გარღვეული სახურაეიდან მოსჩანს ერთი ვარსკვლავი. ბაშკიროვი მუხლამდე წყალში იდგა. მაგრამ წყალზე საზარელი, ბალოებზე ლორწოიან კედლებზე და ყუმბარებზე საშინელი მარტოობა იყო. მკენარით საესე, ჭუჭყიანი სანგარი ახლა მიშინდევდ, რბილ კუთხედ მოჩვენა. ასეულის უხეშა, ოდნავ უსიამოვნო ამხანაგები—ყთილ, კარგ შეგობრებდა.

ასეთმა მდგომარეობამ გარეყრაეებამდე გასტანა. გათენებისას ორივე მხრიდან დაიწყო ჩვეულებრივი საარტილერიო დუელი. ბაშკიროვი მოკეცა მოწი-



ნალმდეგეთა ბანაკებს შუა, მარტოდ-მარტო, მისი არსებობა უწყობდა, მას ანგარიშს არავინ უწყევდა. ოჰ, რომ შეიძლებოდა აქედან *საქმის* დაძვრენა, ხელების აწვდენა ორმოს ნაპირებამდე—ვაჩვენებდი მათ. ოთხზე ხოხვით მიუღწევდი ჩვენებამდე, ვერას დანაკლებს ვერავითარი ცეცხლი, ტყვია-მფრქვევების ჯოჯოხეთი, ყუმბარების სეტყვა, უკან დაებრუნდებოდი, ჩვენებთან მივიდოდი. ბაშკიროვს ზურგზე სიციფემ დაურბინა. მარტოდ-მარტო ორ ცეცხლის შუა. მარტოდ-მარტო მუხლამდე ტალახში, არც იცი, სად არის ის ყუმბარა, რომელიც შეიძლება ყოველ წუთს გასჭდეს.

ბიჭოს, მკონი, არავითარი ყუმბარა იქ არ არის, გერმანელებს დაავიწყდათ. დაენდნენ ორმოს სიღრმეს და პალოებს. პალოებმა უშველეს, სწორედ პალოებმა, ბაშკიროვმა დაახვია პალოებს ფარაჯა, აცოცდა ზევით, გასდო გარდი-გარდმო თოფი და გადასახლების დროს შეთვისებული ტანთვარჯიშობის წყალობით თავი ამოპყო. ამოძვრა. ვათენდა. შენიშნეს. დაუნიშნეს. ბაშკიროვმა მაგრა შეისუნთქა—ოჰო, აგერ მარცხნივ ნახევრად დანგრეული სახლი, ჩავარდნილი ადგილი, მერე ჩვენები. დაიწყო ნადირობა (იღბალიც ასეთი უნდა!), ყოველი მხრიდან ზუ-ზუნი ისმოდა. მაგრამ არაფერია. კიდევ ათი ნაბიჯი. ხუთი კიდევ. დანგრეულმა სახლმა გადაარჩინა. მაგრამ გერმანელები ყუმბარებს არ იშურებენ. ამავე დროს თავისიანებმა შენიშნეს. მიწის სანგარზედაც კი ავიდნენ. ხელებს იქნევდნენ, ყვიროდნენ. გვირად მიიღეს.

ახლა? სად წაეალ ახლა?

ვრიშინმა სთქვა, არც ისეთი ტრაგედიას. არის კიდევ გზა—უკან, მისებ-შიო. კვლავ იქ, საიდანაც ცხრაას თორმეტში ამოცოცდა. იქნებ ნიენი-ნოვგოროდში დაებრუნდე, კვლავ მჭედლად ან უროს-დამკერელად. მე, ბაშკიროვი!

კბილები, აუკაწყაწდა.

სახლისკენ!

სახლში ბაშკიროვს ბარათი დახვდა. უცხო, ფუჭი სიტყვები, შეურაცხყოფელი სიტყვები: იზა შეიღამდე უცდიდა. ხომ დაჰპირდა ერთად თეატრში წასვლას, მაგრამ ბაშკიროვი აღარ მოვიდა. ისევ რაღაც სულელური სხდომა. იზა თეატრში წაეიდა გრაფ კოტურბინსკისთან ერთად.

— გრაფი!

ბაშკიროვმა დაჰმტუნა ბარათი და გაჯავრებულმა ზურგს უკან გადაისროლა: ქალაღის გუნდა სარკეს მოხვდა. ტუალეტის მაგიდაზე შუშა გადაბრუნდა და სითხემ ბუყ-ბუყი იწყო. ბაშკიროვს ესმოდა ბუყ-ბუყი, მაგრამ არ იძროდა. ვაიფიქრა უზრდელობაო, მაგრამ შუშა თავის ადგილას მაინც არ დადგა.

— გრაფი!

კოტურბინსკი, როგორც ბაშკიროვს გადასცეს, უმუშევარი კინო-მსახიობი იყო, მაგრამ რეჟისორის მსგავსად იცვამდა. რევოლიუციამდე, იმავე გადმოცემით, გრაფი იყო, გრაფის ნაშიერი ლეკვი, რომელიც აქ დარჩათ. მტოცავი არსება, თავხედი, ვითომდა კეთილშობილების მატარებელი. მისი ამ ოჯახთან

დაახლოვება იზას ახირების შედეგი იყო. იგი ყველასაგან მოუფრთხილდა და უკუტურ-
ბინსკისთვის გრაფი ეწოდებინათ.

გინგლიჩიშვილი

მოსამსახურეები სახლში სრულიად სერიოზულად გრაფს ეძახდნენ. ამის
რამდენჯერმე უკვე მოჰყვა სკანდალი. ბაშკიროვიც უსიამოვნების თავიდან ასა-
ცილებლად, რამდენჯერმე გრაფად მონათლა.

ბრ—ბ—ბ!

ამ წუთს მან შევეთრად იგრძნო თავისი ოჯახური მდგომარეობის, თავისი
ყოფა-ცხოვრების მთელი სიყალბე. იგრძნო ანტისაბჭოთა ანგდოტების კულტის
გაბატონება, შეუწინეველი ანტისემიტიზმი, რომელიც უფრო და უფრო
იღვამდა ფესვებს ზნე-ჩვეულებაში. თანდათან ჩვეულებად გადაიქცა ურთიერ-
თის მიმართ „ბატონის“ ზმარება. ძალა არ შესწევდა გაელაშქრა ამის წინააღმ-
დეგ, ვერ გამონახა სერიოზული საბუთები დროზე მოვლო ბოლო მისთვის, ამ
აღამიანებს შორის ვერ აღიჭურვა სათანადო ავტორიტეტით, რომ გადაჭრით
დაეგმო ყოველივე.

— საზიზღრობაა!

ამ მაინუნს გრაფს უწოდებდა.

მასთან ერთად იზა თეატრში წავიდა, უცდიდა ქმარს შეიდს საათამდე.

ბაშკიროვი მიმოიხედა. ეგრედ წოდებულ ბუღდუარში იყო. ოსმალურ ტახტ-
ზე აბრეშუმის გადასაფენი დატყუპებული იყო. თვალი ააბრიადა. ამ ოთახში ყვე-
ლაფერი მტრულად განწყობილი, სასიზღარი მოეჩვენა. კედელზე ცოლის სუ-
რათი ეკიდა. იზას ღიმილში უზომო სიკარიელე გამოსჭვიოდა. მზრებში... არა,
იზა ჯერ თითქმის ბავშვია, საჭიროა მისი აღზრდა.

საჭირო იყო, დიალ. ამ აზრმა გული არ დაუშოვნინა. ბაშკიროვი აშკა-
რად იგრძნო, რომ ეს თავის მოტყუებაა. საერთოდ ყველაფერი თავის მოტყუ-
ება იყო, ყველაფერი, რასაც უკანასკნელი წლების განმავლობაში აკეთებდა—
განუწყვეტელი თავის მოტყუება. ბაშკიროვი გონს მოვიდა მხოლოდ მაშინ, რო-
დესაც ქუჩაში იყო. მიდიოდა. მიდიოდა წყნარი ანგარიშიუცემელი ნაბიჯით,
იყურებოდა შიგნით, თავის არსებაში, და გარეშემო ვერაფერს ხედავდა. გვერ-
დზე ავტომობილმა ჩაუსრიალა. წავიდეს, სთქვა თავისთვის, რად მინდა, და
მოულოდნელად კომისარზე გული მოუვიდა. დიალ, პირველად შევამჩნიე მასში
ასეთი ბატონ-კაცური ცხოვრება. მან ბევრი რამ გაამართლა ჩემ თვალში იმი-
დან, რაც თითონ შე ჩავიდინე. და როგორც ლეკრად აენთო, ისევე უეცრად
დამშვიდდა. შერცხვა. ტყუილია. მხოლოდ თავს ვიმართლებ, მათ ცხოვრებაში
ყოველსავე ამას სხვა შინაარსი აქვს. მაგრამ მას ღმობიერ განწყობილებას მო-
ულოდნელად ურჩობა შეეკიდა და მან სასწრაფო გადაწყვეტილება მიიღო. ამან
უცბად გამოაცოცხლა და თითქო მიმართულება გამოუნახა. მის ნაბიჯში გაქრა
ანგარიშიუცემლობა, ფეხს აუჩქარა. კუთხეში შეხედა კომისარის ავტომობილს,
რომელიც გარაეში ბრუნდებოდა.

— მით უკეთესი!—სთქვა.

კომისარმა დაღლილი, დათენთილი სახით მიიღო. დიდ ოთახში არ შეი-
წვია, მაგრამ ღია კარიდან იქ დიდი საზოგადოება დაინახა. შხამიანად გაიფი-
ქრა: „დღეს ხომ ნარკომის მეუღლის მისაღები დღეა“.

მაგრამ ამავე წუთს გულწრფელად შეიბრალა კომისარი. მან დახლოებულ წრეებში ამბობდნენ—ვერ ახერხებს თავისი მეუღლის მსახურების აღაგმვასო.

პატარა კაბინეტში ისხდნენ. მოახლემ ვაზა მოიტანა, ხილით. კომისარმა აიღო ყურძნის მტვეანი და ხარბად დაუწყო ჭამა. საწყალმა, ალბად, ეს არის გადაყლაპა სადილი, და მე დასვენებასაც აღარ ვაქვლი.

— რას მეტყვით, ჩემო მეგობარო?—ჰკითხა კომისარმა და კარგად ნაცნობმა ღიმილმა სიცოცხლე მოჰქვინა მის სახეს, მხოლოდ თვალებიღა გამოხატავდნენ დაღლილობას.

— გეოვრგი ფილიპოვიჩ, ძვირფასო, უბედურება შემემთხვა.

— რა არის, რა მოხდა?—და სწრაფი მოძრაობით, რაც ბაშკიროვს გადასახლების დროიდან აბსოვდა, კომისარმა ცხვირზე ხელი მოისვა. თვალები ერთბაშად გაუცოცხლდა.—რა მოხდა? ვაიმეორა.

— პარტიიდან გამომრიცხეს,—სთქვა ბაშკიროვმა განგებ ჩუმად.

— შეუძლებელია!—კომისარმა ყურძენს თავი გაანება, თითქო პირში გამწარდაო, და ხანმოკლე ფიქრს მიეცა, რომლის დროსაც რამდენჯერმე მხნედ მოუსვა ხელი ცხვირს.

ბაშკიროვი შეჰყურებდა და ახლა, როცა თავისი ბოღმა გადასცა, გულზე მოეშვა. ჩაფიქრდა. რატომ არაიენ ეუბნება კომისარს, რომ არ ვარგა ასე ცხვირის ცოდვილი. ელენა ივნატიევნა კარგ ვაკვეთილს მისცემდა. მეც ხომ ვიცოდი წკაპუნი, გადამაჩვიეს. რასაკვირველია, ამ ბურთულებმა ზოგი რამ მასწავლეს.

— სთქვით უფრო ვასაგებად, მიმართა კომისარმა.

— მე თითონ არ ვიცი, რაშია საქმე. ამას წინად სამეულის წინაშე წარვდექი, მაძღვედნენ ჩვეულებრივ საანკეტო კითხვებს, მხოლოდ სევვალდი ჩამაცვიდა ცოტათი. ხომ იცნობთ სევვალდს?

— რა თქმა უნდა, ვიცნობ. მეტად მტკიცე კაცია...

— სწორედ მაგაშია საქმე. და აი დღეს დაშირკვა ამხანაგმა რაიკომიდან და საიდუმლოდ მაქნობა—თითქოს იყოს გადაწყვეტილება... ხეალ მიწვევენ რაიკომში, რომ კისერი გაუშვირო.

— ში... სევვალდ? მომითმინეთ, მეგობარო... კომისარის უბის წიგნის ჩამონაკერი ოქროსფრად ბრწყინავს. კომისარმა თვალი ჩაავლო წიგნაკის ანბანს. მოისმა მშრალი ტკაცანი ტელეფონის აპარატში. კომისარმა რბილად გადასცა ციფრი: ყური მიუგდო, სკამზე გასწორდა.

— სევვალდია?.. მიცანი? გამარჯობა, გამარჯობა, როგორ არა, ვეყავი გადაწყვეტიტეთ. ცოტა გაგრძელდა. ფიქრობ, სახელმწიფო საგეგმო კომისია კმაყოფილი იქნება. მაგრამ ახლა სხვა საქმე მაქვს, მინდა გკითხოთ ჩენი ახალგაზრდა ამხანაგის—ჰო, ბაშკიროვის შესახებ... საიდან ვიცი? გავიგე. რას ამბობ? შეუძლებელია... როგორ? შერე, დადასტურდა?

დადასტურდა? რა დადასტურდა? მინდა ვიცოდე, რა დადასტურდა? ბაშკიროვის ტენი, როგორც გამხმარი ჭალა, მთლად აღმუთოების აღშია გახვეული. მაგრამ აღი მალე ქრება. კომისარმა სასმენი მილი დასდო. მოტრიალდა.



— რაო, რა სთქვა სევეალდმა? იკითხა ბაშკიროვმა, მგერკემ მისთვის უკვე სულ ერთი იყო, რა სთქვა სევეალდმა—სულ ერთი.

— სახუმარო საქმე არ არის... თქვენ, მეგობარო, ბიუროკრატიზმს გაბრალებენ და იმას, რომ ტრესტის საქმეებში სათანადო მონაწილეობას არ იღებდით... და კიდევ სხვა რამეს...

— რას კიდევ?

— იქ თითქოს გადაწყვეტილია მოახდინონ დაწერილებითი რევიზია. ვარდა ამისა, თქვენ ამხანაგურად არ მოქცევით ერთ კომკავშირულ ქალს. კიდევ თქვენ მთელი წლის განმავლობაში არ დასწრებიხართ თქვენი უჯრედის სხდომას...

— იმ წლის განმავლობაში, რომლიდანაც ექვს თვეს საზღვარგარედ ვიყავი.

— მერე რა, ექვსი თვეც დიდი დროა.

— რაც შეეხება რევიზიას—მოხარულიც ვიქნები. ტრესტი მტკიცედ სდგას, წელიწადში სამ მილიონ ნახევარს იძლევა— ეს სახუმარო არ არის...

— ამბობენ, ათი მილიონის მოცემაც შეუძლიაო...

— ათის?

— კომკავშირულ ქალთან რალა შეგემთხვია?

— ფულს ვაძლევ. სიმართლე თუ გნებავთ, ვაძლევდი, ბავში უკვე მოკვდა. რაც შეეხება ათ მილიონს—ყოვლად შეუძლებელია. უნდა ვითხრათ, გიორგი ფილიპოვიჩ, რომ ავლანისტანის ამბებში უკლი გამოგვჭრეს.

კომისარს სახეზე სიცოცხლე გაუქრა. ჩაფერფლილი თვალებით შეხედა ბაშკიროვს, რომელმაც კვლავ იგრძნო მწარე მარტობა.

— სევეალდი რალს ამბობს?

— სევეალდი... ჰო... არაფერს...

— თქვენ, გიორგი ფილიპოვიჩ, რას მეტყვიით?

— მე, მეგობარო... ასე მოულოდნელად მოხდა... აი გიყურებთ და... ადამიანი ხომ მასალა... მოხდება ხოლმე, იფიტება ადამიანი... ბრალდება სერიოზულია. მოსწყდით მასებს, პარტიას.

— მერე?

— მთავარი ის არის, რომ დროზე გაუკეთოთ ჯამი წარსულს. ჩემის აზრით, ერთად-ერთი ხსნა უკან დაბრუნებაა—მასებში, სადაც შეიძლება წინანდელი ძაღლის ალდგენა.

ბაშკიროვი წამოიძვრა აღმოკიდებული, სტაცა ხელი პორტფელს და გულის გამოშვითავე ღვარძლით წამოიძახა:

— უკან! გინდათ ისევ მგლის ორბოში ჩამავდეთ მაშინ, როცა საჭირო აღარა ვარ? თვითონ იხტუნეთ!

კარებს მივარდა, მის თვალეში გაიელვა კომისრის გაოცებულმა სახემ. ბაშკიროვმა კარები მოაჯახუნა და, როგორც ყუმბარა, კიბეზე გაეარდა. მისმა ტვინმა ცხადად შეიგნო, რომ უნებმად და უსამართლოდ მოიქცა. მიხედა, რომ შეცდომა ჩაიდინა, მაგრამ ამოზეთქილმა რისხვამ დააცხრო მისი გახურებული

გული. უნდოდა ტრამეიაში ჩამჯდარიყო, როცა მის წინ თანდასწრებულ ტაქსი გაჩერდა. უსიტყვოდ ჩაჯდა მანქანაში და სახე მობრუნებულ შოფერს თავისი პირველი ცოლის მისამართი გადასცა. როდესაც მისამართი უთხრა, იგრძნო, რომ უნებურად ჩაიღინა ეს.

ვარიამ დღეს რამდენჯერმე გაიელვა მის მეხსიერებაში, მაგრამ მან ეს აზრი არც ერთხელ ახლო არ გაიყარა. ახლა კი, როცა კომისრის ბინიდან გამოვიდა და მტანჯველი მარტოობა იგრძნო, მოუთმენლად მოუნდა მისი ნახვა.

— წავალ ვარიასთან. ყველაფერზე გულახდილად მოველაპარაკები. ვარია ხომ, სხვა არა იყოს რა, ამხანაგიც არის.

ავტომოზბილი ნაცრისფერ სახლთან გაჩერდა. შოფერმა იკითხა—დაიცადოს თუ არა.

— საჭირო არ არის!—მკვახედ მიუგო ბაშვიროვმა.

ვარია შან იყო. ორმა ოთახმა (ერთი მოზრდილი, მეორე—პატარა, ნახევრად ბნელი) ცხადად გაახსენა ის წლები ომის შემდეგ, რომლებიც მან იქ გაატარა. ოდნავ წიწველი კედლები, „წვრილბურჯუაზიული“ ელფერის შპალერი, სუფთა უბრალო ლოგინი, მაგიდა, იაფი სურათები, მაგრამ ამასთან ერთად სინათლე და სისუფთავე. ფანჯარასთან გახუნებული საკერავე მანქანა.

ვარია ისე მშვიდად შეხედა, თითქო ელოდო. პატარა დედაკაცის შავი თვალებიდან ოდნავი შეშფოთება და ფარული სიხარული გამოკრთოდა.

— ტიმოშა, ტიმოფეი ანდრეევიჩ, საიდან, როგორ?

— მარტო ხარ, ვარიუშა?

— არა, პატარა ოთახში ვოლოდია მეცადინეობს.

იმ დროს, როცა ტიმოფეი ანდრეევიჩი პალტოს გახდას შეუდგა, ვარიამ ჩამოართვა პორთფელი, ხოლო ტროსტი პირისაბანზე მიაყუდა. პალტოს გახდის დროს ტიმოფეი ანდრეევიჩმა კვლავ იგრძნო სურნელების სუნი. მოულოდნელად გაახსენდა, რომ ვოლოდიას უკვე 17 წელიწადი შეუსრულდა და მხოლოდ ერთი წელიწადი ღა უნდა იხადოს აღიმენტი. ვოლოდია ხომ მაშინ დაიბადა, ცხრაას ცამეტში. ვარიას უნდოდა გადასახლებულ ქმარს გაჰყოლოდა, მაგრამ მშობიარობამ ვოლოვდაში შეაჩერა.

— რას იტყვი?—პკითხა ვარიამ, როცა დასხდენ.

ტიმოფეი ანდრეევიჩი მოხერხებულად დაჯდა, ფეხები განზე გასდო და შინაურულად მიესვენა სკამის ზურგს, ისე რომ სკამი აჭრაჭუნდა. ცოლს შეხედა, ძალიან კარგად იცოდა, რომ ვარია მისგან პირს არ იბრუნებს. კარგად იცოდა ისიც, რომ ეს პატარა შავგვრემანი დედაკაცი აქტიური კომუნისტი, რომელიც მთელ დღეს დაზგაზე მუშაობს, რომელიც მესამედ აირჩიეს საბჭოში და მეორე წელიწადია უკვე პარტიის რაიონული კომიტეტის წევრად არის, — ეს დედაკაცი ვაშაიასავით მისი ერთგულია, და მიუხედავად იმისა, რომ მან ყოველად საზიზღრად შიანება თავი სწორედ მაშინ, როცა მისი „ვარსკვლავი“ ამობრწყინდა, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად სცხოვრობდა სხვა ქალებთან, მიუხედავად ყველაფრისა, დიად, ყველაფრისა, თუ იგი ახლა თითოთ ანიშნებს, ეს პატარა დედაკაცი გვერდში ამოუდგება, თავისი მოკლე ბავშური ხელებით მო-

ეხვევა, მერდზე მიაკრავს გონიერ, მაგრამ მორჩილ თავს, მარტო უსვამს მუშაობისაგან გამაგრებულ ხელის ვულს. და თუმცა ვარია აღმერთებს თავის წვილს, ვოლოდიას, ისევე ძლიერად, როგორ ძლიერადაც ამ უკანასკნელს სძულს საკუთარი მამა, თუკი საქმე არჩევანზე მიდგება, იგი გვერდში ამოუდგება თავის ქმარს, თავის ყოფილ ქმარს, ტიმოფეი ანდრეევიჩს. აი სწორედ ამიტომ, როდესაც ბაშკიროვმა წახედა თავის ყოფილ ცოლს, მის ტუჩებზე ღიმილმა გადაირბინა. იცოდა, რომ ის, რასაც ამ ემად იტყვის, არაფრით არ ეგუება მის ღიმილს, მაგრამ მაინც იღიმებოდა. იღიმებოდა ფართოდ, კმაყოფილად, მფარველურად, ვარიას თვალეზმაც იწყებს მოუსვენრად ხაშხაში.

— რა არის ტიმოშა, რა გინდა სთქვა?

ბაშკიროვმა დასძლია ღიმილის ნაძაღვობა, სერიოზული სახე მიიღო და ჩუმად, რომ მეზობელ ოთახში არ გაეგონათ, სთქვა:

— ცუდად არის საქმე, ვარია, პარტიიდან ვანობრიცხეს.

ერთს წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ მოულოდნელად, გაოცებული თანაგრძნობის ნაცვლად, ვარიამ წყნარად სთქვა:

— მე მოველოდი მაგას.

— მოელოდი?

— ჰო, მოველოდი. იცი ტიმოშა, — სთქვა მან და პირდაპირ სახეში შეხედა ქმარს, — მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ როდისმე ასე უნდა მომხდარიყო.

ბაშკიროვი გაოცდა. გააოცა იმან, რომ არ აენტო, არ აღელდა, რომ პირიქით, დამშვიდებული იყო და რაღაც ობიექტიური ცნობისმოყვარეობა ალაპარაკებდა.

— მერე, რატომ მოელოდი, არ წეიძლება გაგიგო?

— ეჰ, ტიმოფეი, ისე ლაპარაკობ, თითქოს შენ თითონ არ იცოდე, — და მის წავ თვალეზში მტრულმა ნაპერწკალმა გაიფლავა.

— ვთქვათ, არ ვიცი, (და იმავე წუთს გაიფიქრა: მართლაც არ ვიცი). ვთქვათ, იმდენად დავბრმავდი, იქამდე მივედი, რომ ვერაფერს ვხედავ.

— ხუმრობ?

— არა, სერიოზულად გეუბნები.

— თუ აგრეთ, შემიძლია გითხრა. გეტყვი ჩემს აზრს. ხომ იცი, კარგად გიცნობ.

— მართალია (და ბაშკიროვი გამოუტყდა თავის თავს, რომ მართლაც ასეა).

— მაშ, ყური დამიგდე. — ვარიამ მაგიდაზე გადასაფარებლის ბოლო გაასწორა და ასწია სახე, რომელზედაც ბაშკიროვმა შენიშნა საქმიანი, ოღონდ მტრული გამომეტყველება, რაც წინად არასოდეს არ შეუმჩნევია. — თუ ასე ძალიან გინდა, შემიძლია გითხრა.

— მეტად საინტერესოა.

— მაშ ასე. ჯერ ერთი — სვამ. ხომ მართალია?

— ვსვამ, მერე?

— სვამ ხშირად და თავდავიწყებამდე. უცხო ხალხებთან, უცხო ქვეყნებში, კლემენტთან, ისეთებთან, რომელთაც პირველად ხედავ. შემდეგ გიყვარები, როგორც ქალაქის თამაში.

— ეგ საიდანღა იცი?

— მართალია თუ არა?

— ვთამაშობ, ზოგჯერ, წერილზე.

— დიად, თამაშობ. მცირე თანხაზე. ერთხელ 400 მანეთი წააგე, კოლის ძმა დაგეხმარა. ხომ მართალია?

— მართალია. მერე?

— უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში შეიდეჯერ შეირთე კოლი.

— განა გშურს?

— ხოლო პარტიის შესახებ აღარაფერი იცი. მოსწყდი შენსავე მუშებს, არც კი იცი, როგორ ცხოვრობენ, როგორ მუშაობენ, რით სუნთქავენ ისინი შენს ქარხნებში, საწყობებში და სარეწაოებში. ქედმაღლობას იჩენ უხეშობაში, კმაყოფილებაში, არ მუშაობ.

— მოიცა. ამბობ—არ მუშაობო.

— ჰო, არ მუშაობ. მხოლოდ ხელს აწერ ქალაქდებას. ადასტურებ სხვის ნაწერ-ნააზრევს. სხვისი ნაწერ-ნააზრევის დაჰადასტურებელი, პასუხისმგებელი კომუნისტი ხარ. ხელსაწერ და არ იცი, რა სწერია ქალაქდში, ხოლო ტრესტზე წარმოდგენაც კი არა გაქვს. შენი ადგილი დაიჭირა შენმა კოლის ძმამ, კრიშკოვმა.

— ეხედავ, კარგად გაწვდიან ცნობებს.

— ჰო, კოტა რამ ვიცი. ვიცი ისიც, რომ ეს კიდევ ყველაფერი არ არის.

— ყველაფერი არ არის?

— რა თქმა უნდა, არ არის. ეს მხოლოდ გარეგანი მხარეა, დასანახი, ის კი, რაც შიგნით არის, მხოლოდ წარმოდგენილი მაქვს.

ბაშკიროვი გრძნობს, როგორ ერევა სიბრაზე, როგორ ენთება მის გულში ცეცხლი. მაგრამ ერთბაშად ახალმა აზრმა მოიკცა.

— ვარია, კვევრდები, მითხარ, შენ ხომ არ შეიტანე ჩემზე განცხადება საკონტროლო კომისიაში?

ბაუზა...

— მე შეეიტანე.

— შენ?

და ბაშკიროვმა ასწია მუშტი, რომელიც არა ერთხელ დასტეხია ვარიას ზურგს და ბეჭევებს. მაგრამ სწორედ ამ წუთში იღება ქარი და შედის მისი შეილი, ელოდია—მაღალი, მოყვანილი, მხარ-ბეჭიანი და შავგვერემანი. მუშტი პაერში ჰკიდია. იფშტურში ისე ადგია, როგორც მუნდირი გვარდიელს.

— ხელი არ ახლო! გეუბნები, ხელი არ ახლო!

— ხომ ხედავ დამცველიც აღმოჩნდა. — გაიღიმა ბაშკიროვმა.

— დრო არ არის თუ?—ხადაბლა, მაგრამ მკვებედ მიუგო ვარიამ.

— განცხადება მაგას არ შეუტანია, მე შეეიტანე, მაგან მხოლოდ გაასწორა, —სთქვა ელოდია.



— ერთი სიტყვით, ორივემ.

— არა, მე ვამბობ, რომ მარტომ დავწერე. დამახინჯებდათ, რომ ტრესტში იჯექ და არც კი იცოდო, რომ მთელი თვის განმავლობაში მე ვხელმძღვანელობდი იქ მსუბუქი კავალერიის მუშაობას.

— როგორ მოხვდი იქ?

— სულ უბრალოდ. თქვენმა კომკავშირელებმა ვერაფერი გააწყვეს. კომკავშირელებს ადვილად უსწორდებოდათ, განუკითხავად ერგებოდით, და რაიკომმა მე გამგზავნა დასახმარებლად. ბოლო დროს ერთბაშად ორი კომკავშირელი დაითხოვეთ.

— მაგ ორის შესახებ არის უჯრედის დადგენილება. შფოთის თავები იყვნენ.

— მე რე, საიდან იცი? შენი უჯრედი ხომ ამტკიცებს ყველაფერს, რასაც შენ უბრძანებ. სკვორცოვი შენი ყურმოჭრილი მოსამსახურეა. უჯრედის მდივანი, პა-პა! უბრძანებ ზემოდან ყველაფერი კარგად არისო, კომკავშირელები წინააღმდეგს ხედავდნენ, და იწყეს მათი გარეკა. მთელი უჯრედი კრიმცოვს ხელში უჭირავს.

— კრიმცოვს?

— რასაკვირველია. სკვორცოვიც გამოტყდა, როცა მუხრუჭი მოუჭირეს.

— სკვორცოვი?

— დიალ, სკვორცოვი. ყველაფერია ტრესტში—მეფეც და ღმერთიც, შენ კი მხოლოდ მისი ჩრდილი ხარ. სამი კვირა გავიდა, ვიდრე მოვახერხებდი, რომ საბუხალტრო წიგნები ეჩვენებიათ. კინალამ შენთანაც მოვედი. მაინც შენებმა უქმად არ გაატარეს ეს სამი კვირა. ჩვენ გავიგეთ, რომ მოანგარიშე აპარატი ლამ-ლამობით მუშაობდა, საინტერესოა ეიცოდეთ—მიეცი თუ არა ამ ზედმეტ მუშაობაში, ლამის მუშაობაში?

— აღარ მახსოვს.

— ჩვენ ვიცით, რომ არ მივიცია. აი როგორი ერთგული ბუხალტერი გყავს! მუქთად მუშაობენ ლამ-ლამობით...

ბაშკიროვის თვალწინ სკდებოდა მტრის მიერ გამოსროლილი სიმართლისა და ტყუილობის ყუმბარები, ის კი რომელიც წუთით ადრე დათვური გაცოფებით ყველას გათელვას ლამობდა, ხაფანგში მომწყვდევს კურღლეულით იგდა.

— მაშ მაგრეა საქმე?

— სწორედ ასეა,—მიუგო შვილმა.

— ერთის სიტყვით. შენ საკუთარი მამა...—სთქვა ბაშკიროვმა ღიმილით.

— ასეთ საკითხებში ოჯახური ურთიერთობა არ არსებობს!—მიუგო ბრაზიანი კილოთი ვოლოდიამ.

— დიალ, დიალ...

ვარიამ ანიშნა. ვოლოდიამ ციკად შეხედა მამას და თავის ოთახს მიამუხრა, მაგრამ კარი მაგრეა არ გაიხურა.



ვარიამ შეუმწინველად ფუსფუსებდა, ჩუმი ნაბიჯით დადიოდა ქუჩაში და უკან ირთახში, და მოულოდნელად მაგიდაზე გაჩნდა ჩაიდანის, სამიჭრისა და სანჯიას, თეთრი პური და კიდევ რაღაცები. ყველაფერი ეს ღრმა სიჩუმეში გაკეთდა. ხმა არავის ამოუღია. ტიმოფევი ანდრეევიჩი თავჩაქინდრული იჯდა. ფანჯრიდან მძიმედ გადმოხტა კატა.

-- მურზიკ!

-- ჰო, მურზიკი. აღარა გეცნობს. იშვიათად მოდიხარ ჩვენსა.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, უფრო ღრმა სიჩუმე. ვარიამ კიბეებში ჩაი ჩაასხა. ჭურჭლის ოდნავმა წყრილმა ბაშკიროვი გონს მოაყვანა.

-- პარტიის გარეშე ვერ წარმომიდგენია ჩემი სიცოცხლე, — სთქვა მან თითქოს თავისთვის.

-- უნდა მიპხვდე, ტიმოშა. შენ პარტიის ნდობა დაჰკარგე.

-- რატომ დავკარგე პარტიის ნდობა? ანთაო ერთბაშად და მის ხმაში კვლავ გაისმა წყნის კილო.

-- ხომ გამოვრიცხეს?

-- გამოვრიცხეს. მაგრამ ხომ შეიძლება განსაჩივრება? მეც განვასაჩივრებ. დამიჯერებენ იქ, სადაც მიცნობენ. ჯერ კიდევ მოვილაპარაკებთ ხვალ. დიალ, ფაქტია ეს.

-- საეჭვოა, — სთქვა ვარიამ.

ბაშკიროვმა ვერ გაიგონა ეს სიტყვა. იგი თავის აზრებში იყო გართული, ყურს უგდებდა იმ მხსნელ საბუთებს, რომლებიც მის თავში ირეოდნენ.

-- მე, ბაშკიროვი, არარაობას არ წარმოვადგენ. რაო? განა მე გუშინ შევედი პარტიაში? დღეს დილით მეგობრულად შელაპარაკებოდა ე. კ-ის წევრი, ხვალ კი რომელიღაც სამეულმა უნდა მითხრას — მიბრძანდით. ეს ხომ... ჩემი ავტორიტეტი, დიალ, სწორედ ჩემი ავტორიტეტი უთვალავმა მძიმე წლებმა შექმნეს.

მაგრამ ხმ ბაშკიროვმა იგრძნო, რომ მისი აზრები უქმია, უშინაარსო, ნიჟი დაგს მოკლებული.

-- რას ამბობ? — ჰკითხა ცოლს და სახე მიიბრუნა მისკენ.

ბაშკიროვმა გაიწია ჩაისკენ. კიბიდან იგრძნო, ამ სახლის გარდა, არსად სხვაგან არ განცდილი სურნელება ჩაისა. ბაშკიროვმა იცოდა, რისაგან იყო ეს. ვაახსენდა, რომ ვარია ჩაიში ურევს რაღაც გამხმარ ფოთლებს, ეს საიდუმლოება მან სოფლიდან ჩამოიტანა. ჩაი ცხელი იყო, ლამაზაჟე დაასხა და ძველებური სიამოვნებით შეეჭკა, როგორღაც შეუმწინველად მაგიდას ვოლოდიაც მიუჯდა. ბაშკიროვს, ვარიასთან ლაპარაკში გართულს, არ შეუმწინვია.

-- ვთქვათ, ყველაფერი მართალია. მე რე, რა მოხდა ისეთი? ვთქვათ, მკორე შეცდომა მომივიდა, კრიმცოვს მართლაც ბევრის ნება მიეცეო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს ხომ არც ისეთი დიდი დანაშაულია. მე რე რა? მინდოდა ცოტა მომესვენა. იყო დრო, როცა ვიტანჯებოდით: გადასახლება, საპყრობილებები, რევოლუციის ქარიშხალი, ფრონტები. ახლა კი სიწყნარეა. ხომ უნდა იყოს ისეთი დრო, როცა ადამიანს შეეძლოს ოდნავ შეისვენოს, თავისუფლად ამოისუნთქოს, იგემოს ცხოვრების სიტყბო. მაშ რისთვის ეცხოვრობთ?

ბაშვიროვს თავალში ეცა თავისი ქორწინების ბეჭდის შემქმნელი ვეღარება და უტბად იგრძნო, რომ იგი თავის ძვირფას საზღვიარ-გაფრუვებულ ქორწინებას-შია, ოქროს შესაბნელებით და მყვირალა ვალსტუხით, რაც ასე არ ეგუებოდა იქაფრობას. ეს არის, ახლა ნათქვამში საკუთარში სიტყვებში შეიკრთო. არასოდეს არ უგრძენია ასე ცხადად, თუ რამდენად დაემორჩილა კრიმცოვის ვაყლენას, ეს ხომ მისი ფორმულაა, მის მიერ დასახული ცხოვრების თეორია.

— უსტრიალოვს ძალიან გაუხარდება პირადად რომ გაგაცნობდეს, მოულოდნელად სთქვა ვოლოდიამ.

— რა სთქვი?

— უსტრიალოვი, სმენოვებულების პროფესორი, იმან არ შექმნა ეგ თეორია, რომელსაც შენ პრაქტიკულად ანხორციელებ.

ბაშვიროვს მთელი სახე აენტო, შუბლიდან კისრამდე, მაგრამ ერთბაშად მოვიდა გონს, მოკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე. შეაჩერა მრისხანების აფეთქება და ნახევრად ხუმრობის კილოთი მოიგვრია:

— კბენა გკოდნია! ჰა-ჰა!

— შენ კი საუცხოო პლატფორმა გაქვს, — მიუგო ვოლოდიამ მკვახედ, — „მოსვენება“, „იგემო ცხოვრების სიტყბო. კარგი გემოვნებაა! განა შეიძლება ახლა დასვენება, ცხოვრების „გემოს გაგება“, ისიც პარტიელისთვის? არც კი ვიცი, რა ფუნქციონირებს ამ ეპიკურის ფილოსოფიას. დალლა შეიძლება, ეს გასაგებიც არის, მაგრამ დალლილი, ნოქანცული ბოლშევიკი ხომ შეებულებას იღებს, ავად-მყოფობით, და პატიოსნად აბარებს საქმეებს. შენ კი ვის ჩააბარე საქმეები? კრიმცოვს? განა საქმეები იმისაგან მიიღე?

ვოლოდია წყნარად ლაპარაკობდა, გულისტყვივით, გაუციხავად. ბაშვიროვს აზრი ეყინებოდა. ვარია ხან ქმარს შეპყრებდა, ხან შვილს. ბაშვიროვმა უკვე დალია თავისი ჩაი, ვარიამ კვლავ დაუსხა, დაუდგა წინ და, როცა ვოლოდიამ ლაპარაკი გაათავა, სთქვა:

— სწორედ, სწორედ, ჰო.

ბაშვიროვმა ხელი არ ახლო მეორე კრქას, ადგა, პალტო ჩიცვია. ლილუბის შეყვრის დროს ერთ წუთს შეჩერდა, გაიფიქრა: დროა გადასცეს მომავალი თვის აღიმენტი, მაგრამ ამ დროს გაახსენდა, რომ ის ფული, რომელიც ჯიბეში ედო, ჯამაგირიდან არ იყო, და შერცხვა ამ ფულის მიცემა.

შვილს ხელი არ ჩამოართვა. როდესაც უკვე კარებთან იყო, უთხრა:

— ძალიანაც ნუ გააზვიადებ. სიტყვა-სიტყვით როდი უნდა გაიგო ჩემი ნათქვამი. შენ, შვილო, ფანტაზია გაკლია.

ვოლოდიამ რაღაც მიუგო, მაგრამ ბაშვიროვმა კარის კრაქუნში ვეღარ გაიგონა.

იმ დროს, როცა იგი ცოლთან იყო, ვარედ ქარი ამოვარდა. ქისკართან აბრა გამწარებული ჭანაობდა. ქარს საიდანღაც მოჰქონდა სუნი ნახშირის კვამლისა, რომელიც ქუჩას ეფინებოდა. ბაშვიროვი ტრამვაიში ჩაჯდა და სახლში წავიდა. დერეფანში ბლომად ეკიდა პალტოები, ოთახიდან კაცებისა და ქალების ხმა მოისმოდა. კარი მოსამსახურე ქალმა გაუღო. ბაშვიროვმა ჰკითხა.



- ვინ არიან ჩვენთან?
- ყველა ჩვენი ნაცნობია...
- მაინც ვინ?
- იგორ ალექსანდროვიჩი...

— კრიმცოვიც აქ არის? აი რა, ჩემო კარგო, შედით იქ და კრიმცოვი შეუმჩნეველად გამომიგზავნეთ, არავის უთხრათ, რომ აქა ვარ.

ტიმოფეი ანდრეევიჩი თავის ოთახში შეიპარა, აჩქარებით გაიხადა პალტო, სკამზე დააგდო, იქვე დააგდო პორთფელი, ქუდი და ტროსტი. კრიმცოვის ნაცვლად იზა შევიდა. იგი ნახევრად შიშველი იყო ახალგაზრდა, ნისგან სურნელუბის, სპირტის და თამბაქოს სუნით მოდიოდა.

— რა არის, იზა? ვანა სწევთ?—კითხა ბაშვიროვმა.

— არა, მე და გრაფმა ბრუდერშაფტი დაელიეთ. მერე ვაკოცეთ ერთმანეთს, ალბად, თამბაქოს სუნით ამიტომ ამდის.

ბაშვიროვმა თავისდაუნებურად მუშტით მოიწმინდა ტუტები, რომლებზედაც ჯერ კიდევ გრძობდა ცოლის კოცნას. რბილად, ღმილით (რომ ტეტიად არ სჩვენებოდა) სთხოვა:

— მიყავით სიკეთე, გამოგზავნეთ თქვენი ძმა ჩემთან.

იზა ერთ წუთს შეჩერდა. ბაშვიროვმა იცოდა, რომ იგი რამეს იტყოდა, რომ მოტრიალდება და გაჯავრდება: „უსვინდისო! მთელი დღე არ მინახავს! ხეირიანადაც კი არ გააკოცებს“.

მაგრამ იზას ხმა არ ამოუღია, მხოლოდ უცნაურად ჩაიხითხითა. ბაშვიროვმა მარტო ახლა შეამჩნია, რომ მთვრალი იყო. ხედავდა მზრების თვალის-მომპრელ სითეთრეს, ზურგის კობტა მოყვანილობას. მოკლე ქვედატანი მუხლს ზემოდანეე ამიშველებდა ფეხებს და ააშკარავებდა ხაზების მთელ ეროტიულობას. ყოველსავე ამას აორკეცებდა აბრეშუმის წინდების გამჭვირვალობა და თეთრეულის სითხელე. ბაშვიროვმა პირი იბრუნა. იზა კარებს მოეფარა. მაგრამ ტიმოფეი ანდრეევიჩმა მაშინვე მოუსვენრობა იგრძნო. სწრაფად დნებოდა ის წუთიერი ზიზღი, რომელიც მასში მთვრალი ცოლის დანახვამ გამოიწვია. იგრძნო, როგორ აუვარდა სისხლი თავში, როგორ მოედო მთელ მის არსებას სურვილის ტალღა. მივარდა კარებს, რომ უკანვე დაებრუნებინა ცოლი, რომ დაეკბინა, გაეთელა ეს ახალგაზრდა, მაგარი, სისხლით საესე სხეული. მაგრამ ცოლი დერეფანში აღარ იყო. სასადილო ოთახის კარები გაიღო. მოისმა მრავალი ხმა. ბაშვიროვმა შუბლზე ხელი გადაისვია. ცდილობდა დამშვიდებებს, თავის შერცხვენას. უცბად ცივი წყალი მოუწინა, ხახა ამოუშრა. და თითქოს პირვანდელ აზრს დაუბრუნდაო, საწერ მაგიდასთან მივიდა, უჯრა გამოაღო, რევილვერი ამოიღო და მარჯლის უკანა ჯიბეში დამალა. მაგრამ რა წამს ჯიბეში მძიმე რევილვერი იგრძნო, მაშინვე მიხვდა, რომ იგი მეტია და უხერხულიც სატარებლად. უნდოდა რევილვერი ისევ უჯრაში ჩაედო, მაგრამ ამ დროს კრიმცოვი შევიდა.

— რა ამბავია? სადა ხარ? გრაფმა ისეთი ანეგდოტები იცის, როგორიც თავის დღეში არ გამოიგონია. საინტერესოა, სად იგონებენ ასეთ მახვილ ანეგდოტებს?

- იგორ, მინდა სერიოზულად მოგელაპარაკო. მარკინული
- რაშია საქმე? დღეს უკვე მეორედ მელაპარაკები. მინდელიწმინდა
- ბაშკიროვს კინალამ წასცდა გულახდილი სიტყვები, მაგრამ თავი შეიკავა, გაიფიქრა—არა, ამაზე შერეო.
- მითხარი, თუ კაცი ხარ... მე მაინც მინდა გამოვარკვიო იმ ფულის საქმე. რამდენი შპართებს შენი?
- არ ვიცი, რა მოგდის,—სთქვა კრიმკოვმა და სიგარის ბოლი გამოუსვა პირიდან.—გარწმუნებ, არსად არაფერი ჩამიწერია პროკუროროსთვის, პაპა! იცი რა, უმჯობესია, საქმე გავაკეთოთ. მინდა გავაცნო...
- ვინ?
- გახსოვს, უკვე გელაპარაკე ალი-შირუმბაევეზე. შესანიშნავი კაცია. მან ერთი წინადადება მოგვქცა.
- რაშია საქმე?
- ხომ გახსოვს, ამას წინად ჩვენი წარმომადგენელი ხივაში ჩიოდა, რომ ჩვენი სახმობი ქარხანა მხოლოდ ზარალს იძლევაო. არაფერი სარტა არ არის შემდეგშიაც შევინარჩუნოთ იგი. გეხსმება, რომ დაეწერეთ მოხსენება ამ ქარხნის ლიკვიდაციის შესახებ, საჭიროდ ვცანიოთ მისი ლიკვიდაცია ახალი, დიდი ქარხნის აგებამდე, რაც უკვე გათვალისწინებულია ჩვენი საწარმოს გეგმით.
- ტყუილია, ტყუილია, გაუელვა ბაშკიროვს თავში. არც ერთი სიტყვა არ არის მართალი. დამაკადე, ახლა კი დაგიჭერ!
- ალი-შირუმბაევი იქაური კაცია, თითონაც აქვს რამდენიმე წერილი სარეწაო, კარგად იცნობს ადგილობრივ პირობებს. გვთხოვს, გადავცეთ ქარხანა იჯარით, ჩვენ ალი-შირუმბაევეს იმდენს ავაძრობთ, რამდენიც ამდენი ხნის განმავლობაში ვიზარალეთ. ამასთან ვალდებულს გავხდით შირუმბაევეს მთელი თავისი პროდუქციის მტკიცე საბაზრო ფასებით ჩვენვე მოგვეყიდოს.
- შერე, რას ამბობს შირუმბაევი?
- მართალია, ინაზება, მაგრამ საჭირო არ არის, დიდხანს გავაჭვიანუროთ მოლაპარაკება, უნდა მოვაწეროთ ხელი პირობას.
- შესმის.
- ერთის სიტყვით, თანახმა ხარ?
- რა თქმა უნდა... მხოლოდ რამდენიმე სიტყვის ნება მომეცი. ვთქვათ, მე დაეთანხმდი. შირუმბაევი იღებს საზარალო სახელმწიფო ქარხანას და აძლევს სახელმწიფოს დიდ იჯარას. ერთის სიტყვით, ორივე ზარალს კისრულობს. რა უცნაური კაცი ყოფილა ეს შირუმბაევი!
- უცნაური შენი ლაპარაკია! შენ რა, გაწუხებს შიბაევის საქმე თუ იმას ხომ ყველა იცნობს შუა აზიაში.
- შენ გინდა სთქვა, იცნობს, როგორც კერძო კაცს.
- პო, როგორც კერძო კაცს.
- შენ საიდან იცნობ შიბაევეს?
- მაკერებებს, რომ არ გახსოვს. ჩვენ ხომ უკვე სამი წელიწადია მასთან საქმიანი ურთიერთობა გვაქვს. შირუმბაევი ჩვენ გვაწვდის იმ საქონლის დიდ ნაწილს, რასაც იქ ამზადებს.



ქართულში
გინგლიჩიძის

— დანარჩენს რაღას უწერება?
— პევენერის მოსკოვის კანტორამაც ხომ უნდა იცხოვროს რითმე? აი სწორედ ახლა შევძლებთ ბოლო მოუღოთ პევენერს.

— ერთის სიტყვით, შირუმბაევი ჩვენი ვასალი ხდება. იქნებ ჰქნა სიკეთე და ამისნა, რა ანგარიში აქვს შირუმბაევს?

— ეგ მისი საიდუმლოებაა.

— მაშ ნება მომეცი ავიხსნა ეგ საიდუმლოება. მთელი საქმე ის არის, რომ ჩვენ ჩვენი ქარბნის მუშებს ამ აზიელ ვაჭარს ვუგდებთ ხელში, მონებად ვუბდიოთ მას. აი მისი ანგარიში.

— შეიძლება. ეგ მხოლოდ ამტკიცებს, რომ შირუმბაევს სიცოცხლის დიდი უნარი აქვს.

— სწორედ ამიტომაც მე ვერ დავადასტურებ მაგ ხელშეკრულებას.

— ვერა?

— ვერა.

ასეთი ბოლო კრიმკოვისთვის ყოველად მოულოდნელი იყო. ორი წელიწადია ტრესტში ყველაფერს აკეთებდა, ისე მოქმედებდა, როგორც მოესურვებოდა. ორი წელიწადი უკარნახებდა თავის სურვილს, უკარნახებდა რბილად, მოხერხებულად, ტკვიანურად, ზოგჯერ საკმაოდ აშკარადაც, და ახლა პირველად მოუხდა შეტაკება.

— ერთის სიტყვით, უნდობლობას მიცხადებ?

— ჰო.

— მაგის უფლება არა გაქვს. ბოლოს და ბოლოს, მე ტრესტის კომერციული დირექტორი ვარ.

— ეგ არაფერს ნიშნავს.

— ტიმ, არაფერი მესმის. ცუდ გუნებაზე ხარ, ალბად, რაღაც უსიამოვნება შეგემთხვა. რა ჩვენი ტრესტის საქმეა! რა საქმე აქვს ჩვენ ტრესტს იმასთან, რომ შირუმბაევი ტყავს გააძრობს თავისავე აზიელებს!

— მაგრე ფიქრობ?

— რა თქმა უნდა. ჩვენი ტრესტი კომერციული დაწესებულებაა და არა საქველმოქმედო საზოგადოება.

— გავიწყდება, რომ ტრესტი საბჭოთა დაწესებულებაა.

— არ მავიწყდება და, თუ სიმართლე გინდა, მე უკვე მოვაწერე ხელი პირობას და დღეს დამიბრუნეს კიდევ იგი სანოტარო კანტორიდან.

— მოაწერე ჩემ მაგიერ?

— სრული ჰეშმარიტებაა.

ბაშკიროვის ხელი რევოლვერს წაეტანა, მისი თრთოლვარე თითები დაეჭებდნენ იმ ხორკლიან წერტილს, რომელიც სიკვდილის კარს აღებს. მისი ტეინი სისხლით იესებოდა. ტიმოფევი ანდრეევიჩი სავარძელში ჩაეშვა, თითქოს თავში დაჰკრეს რამეო. ცხადად დაინახა თავისი თავი, უმწეობა, თავისი ყინულზე გაცურება, დაინახა ის საზღვარი, რომლის ზღუდესაც მან მიიღწია. ნათლად შეივნო, რა შორს იყო მისგან ცხოვრების, რევოლიუციის, მშენებლობის საკით-

ხეში, ყოველდღიური ბრძოლის საკითხები, როგორ ირეოდნენ, როგორ უნდა მო-
რეული, უცხო ამბები და მოვლენები, და იგი მკვდარი და ცუდი მითითებით
დაწორდა თვალუწყვედნელი მანძილით.

— მაშ ასეა,—სთქვა მან მიმქრალი ხმით. და ერთბაშად დაებადა სურ-
ვილი—დაიჭირონ, ამხილოს ეს კაცი. ასწია თავი და პირდაპირ თვალეზში შე-
ხედა კრიმცოვს.

— მითხარი, მხოლოდ ტყუილს ერიდე. მითხარი გულახდილად, სულ ერ-
თია, ჩემთვის ცხადია ყველაფერი, რამდენი მიიღე მაგ აზიელისაგან?

კრიმცოვი ერთი წუთით შეკრთა. მაგრამ, როცა ბაშკიროვის სახეზე აღელ-
ვება და აბნეულობა შენიშნა, მომენტით მოხერხებულად ჩასთვალა აშკარა მოლა-
პარაკებისთვის; მის ტუჩებზე კინიკური ღიმი ალიბეჭდა. მან წარმოსთქვა:

— მეოთხედი.

— რას ნიშნავს მეოთხედი?

— ოპერაციის წმინდა მოგების მეოთხედი.

— მანეთობით, მანეთობით რამდენი იქნება.

— ასე, დაახლოებით... ჯერ არ დამითვლია... იქნება 35 ათასამდე.

— ერთი წლის განმავლობაში?

— არა, ახლა 10 თვეა დაარჩა.

კრიმცოვმა შეანელა თავისი გესლიანი და გამომწვევი კილო და, ოდნავ
აღელვებულმა, იწყო გულახდილი ლაპარაკი.

— იცი, რას გეტყვი, მე მგონია, შენ და იხა პარიზში უნდა წახვიდეთ.
იხა არ ისვენებს, მოითხოვს წასვლას. ვფიქრობ ამისთვის ათი-ათასამდე გადაე-
დოთ, ზოგი რამ უნდა ვიყიდოთ.

— ათი ათასი. შპ. მარტო ათი ათასი?

— მაგრამ აქაც ხომ საჭიროა ფული?

— კიდევ ვისგან იღებ ფულს?

— ხომ იცი, პევენერსაც არსებობის საშუალება უნდა მიეცეთ...

— უჰ, ურიებისაგან იღებ ფულს! შენ ხომ არ გიყვარან ურიები?

— ხდება ხოლმე ისე, რომ ასეთ საქმეებში კაცი ზოგჯერ თავის სურვი-
ლის წინააღმდეგ იქცევა.

ლაპარაკი შესწყდა, გაიყინა. კრიმცოვს უსიამოვნოთ ეჩვენა ეს. აქარებით
დაილაპარაკა.

— შენ ზოგჯერ მეღავებოდი, მაგრამ გულში უნდა გამოეტყდე: საჭიროა
ფიქრი ხელინდელ დღეზედაც... მე ვიფიქრე ჩვენთვის. ხომ ხედავ, ახლა ყვე-
ლაფერი იცი. არ მინდოდა ამაზე შენთან ლაპარაკი, მაგრამ აღარ მოისვენე, ცნო-
ბისმოყვარეობა გამოიჩინე.

— კარი მაგრა და ერთბაშად გაიღო. შემოვიდნენ იხა და გრაფი. გრაფის
უკან გამოჩნდა სქელი შავვერემიანი სახე, პატარა, ოდნავ ელამი აზიური თვა-
ლებით.

— იგორ! გაანებე მაგას თავი, წამოდი! გრაფმა კიდევ გვიამბო, საუცხო-
ვოა!—მერე მიუბრუნდა კმარს და ზიზღით წარმოსთქვა:— ტიმ, სადაგლად იქ-
ცივი.

ბაშკიროვმა ანიშნა ცოლისძმას და მან ყველანი გაიყვანა, უკონოები ან-
დრეევიჩმა გამოსწია საწერი მაგიდის შუა უჯრა, ამოიღო იქიდან მთელი შეკ-
ვრა თეთრი ქაღალდი და ჩადო პორტფელში. ჩაიკცა პალტო და ხელი ქულს
წაატანა. ამ დროს გაიღო კარი და კრიმკოვი შემოვიდა.

— ტიმ, საით? არ მესმის, რაშია საქმე, სთქვი, მოხდა რამე?

— არაფერი, — სთქვა ბაშკიროვმა, — სრულებით არაფერი.

— სად მიხვალ? — ჰკითხა დამშვიდებულმა კრიმკოვმა.

— საქმიან კლუბში შეხვედრა მაქვს დანიშნული 12 საათზე.

ბაშკიროვმა დერეფანი გაიარა, ოთახში როიალს უკრავდნენ, მოისმოდა
მტირალი, მოკანკალე ხმები... როდესაც ბაშკიროვმა მძიმე საპარადო კარი მიი-
ხურა, ერთბაშად სიწყნარე ჩამოვარდა, ყველაფერი ცხადი და გარკვეული გახ-
და, გარედ ის იყო, წვიმამ გადაიღო, ფილაქანი სველი იყო, ბრწყინავდა.

როდესაც ბაშკიროვი სასტუმროს დერეფანში შევიდა, ნაცნობი მორიგე
მიუახლოვდა და ხმა დაბლა უთხრა:

— მესამე სართულში მოხერხებული ნომერია.

— საჭირო არ არის, მარტო ვარ, მომეცი კარგი ოთახი და გამომიგზავ-
ნეთ საწერელ-კალამი.

— არის 7 მანეთიანი, მეორე სართულში.

ბაშკიროვმა ჩერვონეცი გადასცა და გასაღები გამოართვა.

ოთახში სასტუმროს შეხუთული პაერი იდგა, მაგრამ სიწყნარე და მარტოო-
ბა იყო.

— სიწყნარე და მარტოობა.

ბაშკიროვმა ვაიხადა პალტო და მიმოიხედა, დაიკადა, ვიდრე მოსამსახურე
მელანს და კალამს დასდებდა, შემდეგ მოუკიდა მაგიდის სანათურს და მაგიდას
მიუჯდა.

მელანი მეტად წყალ-წყალა იყო, კალმით მოურია, უფრო მუქი ფერი მიი-
ლო, მაგრამ პირველ ბწყარზევე უსიამოვნებას გადააწყდა: კალამს მკვდარი ბუზი
ამოჰყვა და ქაღალდი გაითხუპნა. გულმოუსგელელად გადასდო მელანი და კალ-
მისტარი, გადასდო აგრეთვე გაფუჭებული ქაღალდი და თვითმწერი კალამი ამოი-
ღო, პირველ სიტყვიდანვე ხელს უშლიდა სქელი კალამი, რომელსაც შეჩვეული
არ იყო, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ველარ ამჩნევდა მას და სწერდა. პირ-
ველ ხანებში შეჩერდებოდა ხოლმე, ჩაფიქრდებოდა, მაგრამ ერთი გვერდის დამ-
თავრების შემდეგ უკვე იწყებდა თავისუფლად და ძალდაუტანებლად წერა; სიტ-
ყვები ღარზე მიშვებული წყალივით მოდიოდა. სოჯგერ გაღვიძებული შეგნება
ცივი შუბივით ხედებოდა გულში:

— რას ჩავდივარ? საკუთარი ხელით ვიჭერი ყელს, ყველაფერს ბოლოს
ვუღებ.

მაგრამ ასეთ წუთებში თითქო უჯავრდებოდა თავის თავს:

— გასაქცევი აღარ არის, კმარა კულის ქნევა, წავიდა უსტრიალოვი. სწე-
რე ბაშკიროვ! სწერე პირდაპირ, აშკარად, დაუბოგავად! შენ ხომ მტერი ხარ,
ბაშკიროვ, იმ ფულს ხომ შენი ამხანაგების კისრიდან იღებენ შირუმბაევი, პეცხ-

ნერი და კრიმცოვი. შენ მათი მოკავშირე გახდი და, რაც უკლებლად უნდა გეცნოდეს, თავს იტყუებდი მათი თეორიებით ცხოვრების სიტუაციაზე, დასვენებაზე. შენ ფიქრობ, რომ პარტიაში დღეს არ შესულხარ, მაგრამ გავიწყდება, რომ შენ გვერდით ზის თეთრგვარდიელი, რომელიც ბედის ტრიალის წყალობით, გადურჩა დახვრეტას. შენი კლასობრივი ალლო დაილუნგდა, შენ ისწავლე გალ-სტუხების შეკვრა და დაიფიწყე მთავარი. ძილში გავგებარა უკანასკნელი ბრძო-ლები, ერთ ადგილს სტკენიდი და არც ერთხელ აღარ გავისროლია შენი თო-ფი. უარესიც ჩაიღინე, დიად უარესიც. ტყვიები გაფანტე, გადაყარე. ხელი ჩა-ყავ სალაროში, რომელიც შენ მოგანდეს, გაიარე უბედური, ეს არის ახლა შენზე დამდგარი ქვეყანა, ამ ქვეყანამ ხელი მოჰკიდა ისეთ დიდ საქმეს, რომლის მწვერვალსაც, გამოტყდი, შენ თვალს ვერ შეაწყვდენ. იპარავდი, ატყუებდი, მისდევ-დი გარყვნილებას, როგორც უსუსური ბავშვი, ბურჟუის ბავშვი, რომელიც მამის სალაროდან ფულს იპარავს საყვარლებისთვის. საკუთარი დედა გაიარე, გა-ძარცვე პარტია, რომელმაც ახლა პანლური ამოგვკრა, რადგან იგი სასტიკი, ოო, სასტიკი დედაა. ხომ იცოდი ეს?

წერილად დაწერილი რვა ფურცელის უკანასკნელი სტრიქონის შემდეგ თავისი გვარი მოაწერა. ამოიღო პარტიფინგაკი, ქალაქი ოთხად მოკცა და ყველაფერი ეს ჩასდო ტრესტის დიდ კონვერტში.

როდესაც ყველაფერი მზად იყო, ფრთხილად შეატრიალა თვითმწერავი კალამი, და იგრძნო წყნარი, მშვიდობიანი დალილობა. დაამთქანა. როცა უკვე გაიხადა, გაახსენდა: ჩაყო შიშველი ფეხები ფეხსაცმელში, მივიდა კართან, გა-მოიღო გარედან ვასალები და დაკეტა კარი შეგინიდან. მისდო თუ არა თავი ბალიშზე, ჩაეძინა. ეძინა ღრმად, უსიზმროდ. მაგრამ პირველი, სხეულის გამახა-ლისებელი ძილის შემდეგ იწყო ტანჯვა—სული ეხუთებოდა, რალაც მძიმე აწყე-ბოდა, და ეს მალ-მალ მგორდებოდა. რამდენჯერმე გამოეღვიძა, გრძნობდა ოთა-ხის ჰაერის სიმშრალეს, ყელი ეწოდა, სვამდა თბილ, უგემურ წყალს გრაფი-ნიდან.

გათენებისას ჩაეძინა. გაღვიძა გამოცოცხლებული ცენტრის აღრზაურმა. იცვამდა, როდესაც დააკაუნეს. მივიდა კართან და შეუკითხავად გააღო. ოთახ-ში კრიმცოვი შევიდა.

— რა ამბავია ასე ადრე? რომელი საათია?

— თორმეტის ნახევარი.—კრიმცოვმა კარი მიხურა. პალტო გაიძრო და დაჯდა.

— საიდან გაიგე, რომ აქა ვარ? მაგრამ ერთბაშად მიხედა ამ კითხვის უპასუხობას; მათ არა ერთხელ უქეიფნიათ აქ გათენებამდის. ეს აზრი კრიმცოვის სიწმემაც დაადასტურა. კრიმცოვმა ამოისუნთქა.

— ერთი საათის წინად იზამ დამირგვა, დილის შვიდ საათზე გკითხულობ-დენ, შენთან ყოფილან.

— საიდან?

— სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოდან, რასაკვირველია.

— შერე?

— გეყოფა... შენ უკვე გუშინ იცოდი ყველაფერი და მტრურობისგან იმიტომაც წახვედი სახლიდან. კარგად მოქცეულხარ, კვიციანურად. მაგრამ შენ ბინახე, რა თქმა უნდა, ჩასაფრებულნი არიან. იხამ ბუღღარიდან მოახერხა დარტყა.

— ბუღღარიდან?
— ჰო, თავაზიანობა გასწიეს და იქ არაფერი დააყენეს.
— ზედმეტი თავაზიანობაა, — გაიფიქრა ბაშკიროვმა და ხმამაღლა სთქვა:
— ხედავ, რა მოხერხებულად მოქცეულა, არ მოველოდი იმისაგან.
— რაშია საქმე, არ იცი?
— როგორ არა, ვიცი, გუშინ პარტიიდან გამოამრიცხეს და, როგორც ეტყობა, საქმეს სხვა მიმართულებასაც აძლევენ.

— დაგაბეზღეს?
— არ ვიცი.
— შერე, რას ფიქრობ?
— მინდა თავი დავიცვა.
— ეგ ცოტა არ იყოს, გულუბრყვილობაა. ხომ განსოვს მავალითები?
— შენ რას მირჩევ?
— შენ ადგილას მე თავს არ დავიმსირებდი მათ წინაშე. ხომ იცი, ისინი თავზე ხელს არ გადაგისვამენ. მე საკითხს ამოწურულად ჩავთვლიდი და ზურგს შევაქცევდი მათ.

ბაშკიროვს წინადაც გაუგონია კრიმოვის ლაბარაკი, მაგრამ ახლა ყურს სჭრიდა „ისინი“, „მათი“ „მათ წინაშე“.

— მაშ როგორ უნდა მოვიქცე?
— ტიმ, მე ფრთხილი კაცი ვარ. ამისი მოლოდინი ყველა ჩვენგანს უნდა ჰქონდეს, ზოგს აღრე, ზოგს უფრო გვიან. აი პასპორტი, ამ შეკვრაში კი თანხაა, კარგა დიდი თანხა. ნახევარი საბჭოთა ფულის ნიშნებით, ნახევარი დოლარებით. წადი ტფილისში, მე წერილს გავგზავნი ბათოში. ფულის მეორე ნახევარს სტამბოლში მიიღებ.

— რამდენია აქ?
— რვა ათასი.
— შერე?
— ორი თვის შემდეგ იხა წამოვა.
— კარგი.
— აი, ხომ ხედავ...
— მოიტა ჩქარა! ვის გვარზეა პასპორტი?
— პერბერტ სეტენზონის.
— რას ნიშნავს?
— ესტონელი ხარ, კარგად იცი რუსული, მიდიხარ მოსკოვიდან ოსმალეთში, კომერსანტი ხარ.
— ძალიან კარგი.
— მაშ ეგრე, აილე, მაგრამ იცი რა? კარგი იქნება, თუ სააგარაკო მატარებელით წახვალ შორეულ. სადგურზე.

— კარგი, კარგი. ბავშვი არა ვარ. დამშვიდებული იყავი და მშვიდობა გავაყვით.

— მაშ ნახვამდის, ტიმ.

— ნახვ... შენა, შენ თვითონ მალე წახვალ?

— იმიზეზა დამოკიდებული...

— კარგი, წადი, წადი.

კარი მიხურია. ბაშკიროვმა სწრაფად გაათავა ჩაცმა. პასპორტს დახედა. მოსჩანდა მისი ფოტოგრაფიული სურათი, ტრესტის მიერ დამზადებული საზღვარგარეთის მგზავრობისთვის.

— ეტყობა საფუძვლიანი ურთიერთობა აქვს, ასე უცბად ყველაფრის მომზადება! — საბჭოთა ფული მსხვილ ჩერგონცებად იყო, დოლარები — ასიანებად, პორტფელში ჩააგდო.

— ყველაფერი საუცხოვო წესრიგზეა. — სთქვა თავისი საყვარელი ფრაზა.

კარიდორში გავიდა, მზენ ნაბიჯით გაიარა ვიწრო ფარდაგის ბილიკი. პირველ სართულში საკმლის სუნმა შეაჩერა. სასადილოში შეუხვია. აქ ცოტა ხალხი იყო, ერთ მაგიდასთან სამი უცხოელი იჯდა და ფართოხალს შეექცეოდა, მოითხოვა მაწონი, შაქარი მოაყარა და შესჭამა. სალაროსთან რამდენიმე ფორთოხალი აიღო, მერე გარედ გავიდა, ქუჩას შემოდგომის ხშირი ნისლი ეფინებოდა. პალტოს ღილები შეიკრა, საყულო აიწია და ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდა, იქ, სადაც ტრამვაის ვაგონები ჩერდებოდნენ. ვაგონები სწრაფად მისდევდნენ ერთი-ერთმანეთს, ჩაჯდა სადგურზე მიმავალ ვაგონში, როდესაც კონდუქტორი-ქალი ხურდას აძლევდა, უთხრა:

— ამ ბილეთით სადგურამდე მიხვალთ.

— გმადლობთ, ვიცი.

ტრამვაიმ გაიარა სტერდლოვის მოედანი და ნელა დაადგა თეატრის გასავალს, როდესაც ვაგონი ჩინურ კედელს გაუსწორდა. მოსახვევში ბაშკიროვი გადმოხტა. გარეშემო მიმოიხედა და ვერ დაინახა ის, ვისაც ეძებდა. დამშვიდებული მოტრიალდა, სწრაფად გადასჭრა მოედანი, საკომენდატოში შევიდა და ერთი თავისუფალი ფანჯრიდან თავისი საბუთები გადააწოდა.

მთარგმნელი ილია ადლაძე.

დასავლეთის ფრონტი უკვლავი

გაგრძელება¹).

კანცელარიაში ფაცა-ფუცია. როგორც სჩანს ჰიმმელშტოსს აუტეხია ეს აურ-ზაური.

პროცესიას სქელი ფელდვებელი მოუძღვის. სასაცილოა: ყოველი შტატის ფელდვებელი რომ მუდამ სქელია. მას შურისგებით ანთებული ჰიმმელშტოსი მოსდევს. ჰიმმელშტოსის ჩექმები მზვარეში კაშკაშებენ.

ჩვენ წამოვდებით. ფელდვებელი ჩხავის:

— სადაა ტიადენი?

რა თქმა უნდა, არაფერ იცის. გაბოროტებული ჰიმმელშტოსი თვალებს გვიბრიალებს:

— რა თქმა უნდა იცით, მაგრამ არ გინდათ გვითხრათ. აბა წამოშაქრეთ.

ფელდვებელი ირგვლივ იხედება. ტიადენი არსად სჩანს.

იგი უფრო თვინიერად ამბობს: ათ წუთში სამწერლოში უნდა გამოცხადდეს ტიადენი.

ესა სთქვა და გაბრუნდა. ჰიმმელშტოსიც თან გაჰყვა.

— მე ისეთი გრძნობა მაქვს რომ უახლესს სახანდაკო მუშაობის დროს გელის მავთულების გორგალს ხელიდან გაუვადებ და ჰიმმელშტოსს დავცემ ფეხზე.

ასე ვარაუდობს კროპკი.

ჩვენ კიდევ მრავალჯის მოგვიხდება მისი გაპამულეობა, იცინის მალულური. ჩვენ სასიქადულოდ მიგვაჩნია რომ ფოსტის შიკრიკს ჩვენი ახრი პირში მივახალოთ.

მე ბარაკში მივდივარ და ტიადენს ვატყობინებ რომ გადაიმალოს.

შემდეგ ჩვენ ადგილს ვიცვლით და კარტის თამაშს ვიწყებთ. ეს მაინც შეგვიძლია: კარტის თამაშში, გინება და ომი. არც ისე ბევრია ოცწლიანებისათვის, არა, ერთობ ბევრია ოცწლიანებისათვის.

ნახევარი საათის შემდეგ ისევ მოგვაკითხა ჰიმმელშტოსმა. არაფერ ატყუებს ყურადღებას. მან ტიადენი მოიკითხა, ჩვენ მხრებს ვიჩქრებთ.

¹ იხ. „მნათობი“ №11—12.

- უთუოდ უნდა მოსძებნოთ, დაეინებოთ მოითხოვს ჰიმმელშტოსი.
- რატომ? ეკითხება კროპკი.
- აა, თქვენც აქა ხართ?
- შე თქვენ ვთხოვთ გადაეჩვიოთ ჩვენთან შენობით ლაპარაკს.

ეროვნულნი
გინგლიჩოვიანი

ისეთის ტონით ეუბნება კროპკი, თითქოს თავათ ვინმე დიდი ბობოლა იყოს.

ჰიმმელშტოსი ისე გავიდა თითქოს ციდან ჩამოვარდაო.

- ვინ გელაპარაკებათ მერმე შენობით?
- თქვენ.
- მე?
- დიახ.

ჰიმმელშტოსი აენტო. საეჭვო თვალით შეჰხედა კროპკს და ვერც კი გაუგია თუ რა უნდა კროპკს? ყოველ შემთხვევაში თავს იკავებს და მორბილებული ტონით გვეკითხება:

- ნუ თუ არსად შეგხვედრიათ?
- კროპკ ბალახზე წამოწვა და ეუბნება:
- თქვენ ფრონტზე თუ ბრძანებულხართ ოდესმე?
- ეს თქვენი საქმე არ არის.
- შე მოვიტხოვ ამის პასუხს.

— კარგი, ეუბნება კროპკ და წამოდგება. ერთი გაიხედეთ იქითვე, პატარა ღრუბლის ნაფლეთები რომ მოსჩანს. ეს ფრანგული შრაპნელების კვამლი გახლავთ. ჩვენ იქ გახლდით ვუწინ. ხუთი მოჰქლეს, რვა დაიჭრა. ეს სულ უბრალო რამ იყო. როცა თქვენ იქითვე გამოისეირნებთ ჯარისკაცები სიკვდილის წინ ფრონტში ჩაგიდგებიან, გამოიჭიშებიან და თავაზიანად შეგვეკითხებიან: ნება გვიბოძეთ ვავიაროთ. თქვენისთანა ხალხს ვუცდით ჩვენ სწორედ აქ.

კროპკ ძირს დაჯდა, ჰიმმელშტოსი ცთომილსავეით გაჰქრა.

- სამი დღე კარცერი იქნება. ვარაუდობს კატ.
- შემდეგში შე შევუტევ.— ეუბნები ალბერტს.

მაგრამ ახლა აღსასრული დადგა. დღეს ვადათელის დროს დაკითხვა უნდა იქნეს. სამწერლო ოთახში ჩვენი ლოატიენანტი ბერტინკი ზის და სათითაოდ ეკითხება ხალხს.

მეც მომიწია მოწმობამ და განმარტებას ვაძლევ. თუ რატომ ამბობდა ტიაღენი.

ქვეშათსიობის ამბაემა შთაბეჭდილება მოახდინა. ჰიმმელშტოსი პირში დამიყენეს, მეც ჩემი ნათქვამი დაედასტურე.

მართალია ეს? ეკითხება ბერტინკ ჰიმმელშტოსს.

ჰიმმელშტოსი მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს მოჰყვა, მაგრამ დასასრულ იძულებული გახდა ეღვიარებინა, შით უმეტესს რომ ალბერტმაც ჩემი ნათქვამი დადასტურა.

- რატომ არავინ განაცხადა მერმე ამის შესახებ? გვეკითხება ბერტინკ.



ჩვენ ვსდუმვართო; მან თავით უნდა იცოდეს ასეთ რამეებზე, ჩვენ ვსდუმვართო რა ფასი აქვს ჯარში. ან შესაძლოა თუ არა საერთოდ ჯარში წავიდეთ? მან იცის კიდევაც. ლოატენანტიმა რიგიანად გაჯორა ჰიმმელშტოსი და ერთხელ კიდევ ენერგიულად ამცნო, რომ ფრონტი ყაზარმის ეზო არ არის. მერმე ტიადენზე მისდგა ჯერი. ბერტინკმა საკმაოდ გრძელი ქადაგება წაუკითხა ტიადენს და სამი დღის მსუბუქი კარცერი მიუსაჯა. კროპსს თვალი ჩაუკრა ბერტინკმა და ერთი დღის კარცერი აუწყა.

— ძლიერ ვწუხვარ, მაგრამ სხვანაირად არ იქნება. ეუბნება ლოატენანტი კროპსს. სიანს ლოატენანტი გონიერი ადამიანი.

მსუბუქი კარცერი საიმურია. აქ კარცერის მაგივრობას ყოფილი საბატე გვიწევს; აქ შეუძლიათ ორივეს სტუმრების მიღება. ჩვენ ვახერხებთ მათ მონახულებას. სასტიკი კარცერი სარდაფში დამწყვედვია იქნებოდა. წინად ჩვენ ასეთ შემთხვევაში ხეზე მიგვაბამდენ ხოლმე, ახლა ეს აკრძალულია. ხანდახან ჩვენც ადამიანურად გვექცევიან.

სულ ერთი საათიც არ დაყოვნებით ტიადენსა და კროპსს კარცერში და ჩვენც გავემართეთ მათ სანახავად. ტიადენმა ყოილიყო შემოგვაგება. მერმე დაესხედით და დაღამებამდე საკტი ვითამაშეთ.

რა თქმა უნდა, ტიადენმა მოიგო, მაგ გამოცეცებულმა.

წამოსვლისას კატ მეკითხება: შენ რას იტყვი შემწვარ ბატზე?

— ცუდს არაფერს, ვეუბნები.

ჩვენ საარტილერიო საქურველის საბარგულს შემოვუსხედით. ეს გზავრობა ორი პაპირისი გვიჯდება. კატს კარგად შეუსწავლია აქაურობა. საბატე ათასეულის შტაბს ეკუთვნის. მე გადაწყვეტიტე ბატის მოპარვა— და საინისო ინსტრუქციებიც მოვისმინე.

საბატეს გარს კედელი არტყია და კარს უბრალო ურდული აქვს გაყრილი. კატ კედელზე აცოცებისას მშველის. თავად სადარაჯოზე დადგა. მე ცოტა ხანს შეესდგეტი, რათა სიბნელისათვის თვალი შემეჩვია. მერმე საბატე შევიცანი. ხმაგამედლილი მივეპარე კარს, ფრთხილად გამოვაძვრე ურდული და კარი შევალე.

ორი მოთეთრო საგანი გავარჩიე. ორი ბატი! ეს ფრთხილ ცუდი ამბავია! თუ ერთს წავავლე ხელი, მეორე აყვირდება.

მაშ ორივეს უნდა მოვუსწრაფო სიცოცხლე და თუ მარდად არ ვიმოქმედე, საქმე გაფუტდება.

ერთი ნახტომით თავს დავესხი. ერთს წამსვე ვსტაცე ხელი, მეორეს ცოტა მოგვიანებით. ლანდის უსწრაფესად ორივე თავით მივახალე კედელს, რათა ამგვარად ისინი გამებრუბინა, მაგრამ საკმაო ღონე არ აღმომაჩნდა. ეს მელის კერძები საშინლად ახიხინდენ და ფეხებისა და ფრთების ბარტყუნი მორთეს. მეც გაცხარებული ვიბრძვი, მაგრამ დაღახვროს ეშმაკმა, რამდენი ძალა ჰქონია თურმე ბატს. ისინი ისე მაგრად იჭაჩებოდენ რომ მე ძალზე შემაქანეს. ამ სიბნელეში ხელეებზე ფრთები გამომესხა და თითქოს მეშინია ცისკენ არ გამაფრინონ, თანაც ისეთი გრძობა მაქვს, თითქოს ორი პაეროპლანი მკლავებზე შემამბესო.

აჰა, ხმაურობაც ატყდა. ერთმა მათგანმა საიდგანლად პატივს მისწირა და აყვილა. მე გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი და მან ღია კარებში გამასწრო. უცებ რაღაც დამეძგერა. წაეიქციე. ღრენა მომესმა. ძაღლია! განზე გავიხედე. საცაა უღწი შეცემა. მე გავინაბე.

დოვის ჯიშის ძაღლი. რამოდენიმე წუთის შემდეგ (და ეს წუთი მარადეამობას უდრიდა) მან თავი განზე გასწია და ჩემს გვერდით დაწვა. როგორც კი გავინძერი, მან ღრენა მოართო. მე დავეფიქრდი. ერთადერთი, რისი მოხერხებაც შევიძელი, ეს ის იყო, რომ რევოლვერს ხელი წამოგავლე. ყოველ შემთხვევაში აქაურობას უნდა გავეცალო ვიდრე ვინმე წამომესწრებოდეს. ნელ-ნელა წინა სწევ ხელს.

ისეთი გრძობა მაქვს თითქოს რამოდენიმე საათმა გაიარაო. გავინძრევი ოდნავ თუ არა, წამსვე ღრენა მოისმის. როცა რევოლვერი ხელში ჩავიდევ, ვგრძობ ხელი მიკანკალებს. გადავსწყვიტე: რევოლვერი შეემართო, ვესროლო და გადავბტე ვიდრე იგი თავს დამესხმოდეს.

ნელა ამოვისუნთქე და დაეწყნარდი. მერმე სუნთქვა მოვიპარე და რევოლვერი ავსწიე. გავარდა. ძაღლი აწყმუტუნდა, განზე გადახტა და მეც ამასობაში კარებს მივმართე და ერთ ერთ გაქცეულ ბატს გადავაწყვიტე.

სწორედ ჩვენიანების მწკრივმა ჩამოიარა, მათ ერთი ლოატენანტი ახლავთ. ლოატენანტმა თვალი გვკიდა და შემოგვძახა: აბა დაწინაურდით, დაუწინაურდით, მისდით მწკრივებს. და რასაც შე ცემატყეპით ვერ მივაღწიე, იგი ლოატენანტის სიტყვამ შესძლო. ჰიმმელშტოსს უფროსის მოკრძაღა, გამოუფიხლდა და მწკრივს გაჰყვა თან.

შე უკან მივსდევ და ვხედავ თუ როგორ ნიკუნტრუშებს ჩვენი ჰიმმელშტოსი. იგი კვლავ ყაზარმების ეზოების მამლაყინწაა. მან ლოატენანტსაც კი გაუსწრო და წინ მიფანდურობს.

კრიგალისებური ცეცხლი, გზის მომქრული ცეცხლი, ფარდისებური ცეცხლი, ნალმები, გაზები, ტანკი, ტყვიამფრქვევი, ხელბომბი. ო, ეს სიტყვებია, მხოლოდ სიტყვები, მაგრამ სწორედ ისინი შეიცავენ ამ ქვეყნიურ საშინელებას! სახე გაგვემურა, გონება დაგვიჩლუნგდა, ღონე გამოგველია. როცა შეტყევა იწყება, ზოგს მუშტებით მივერგვებით წინ, თვალეუბი დასისხლიანებული გვაქვს, ხელ-ფეხი დაღადრული, იდაყვები დაღურჯებული.

მიჰქრიან კვირეები, თვეები თუ წლები? არა, ეს მხოლოდ დღეებია. მომაკვდავების ფერმიღებული სახეები გვამცნობენ ხოლმე თუ როგორ მიჰქრის დრო. ვჰამთ, გაერბივართ, ვისვრით, ვკლავთ, შერშე აქეთ იქით დავეგდებით ქანც მიღებულინი რმხოლოდ ის გვანუგეშებს რომ ჩვენზე უღონონი, ჩვენზე მეტად დაჩლუნგებულნი, ჩვენზე უმწეონი მრავალნი არიან. უკანასკნელნი ისე თვალდაქცეტილნი შემოგვცქერიან, თითქოს ღმერთები ვიყვეთ, ვინაიდან ჩვენ ბანდაზან სიყდილის ხელიდან თავის დაძვრენას ვაზერხებო.

როცა რამოდენიმე საათის განმავლობაში მყუდროება ჩამოვარდება, ჩვენ მათ ჰქუას ვურიგებთ.

ო ეჭუ, დახე იმ მომფრინავ კოჭობს, ეს ჩვენსკენ მომავალი ნაღმია. მანდ იწყები, იგი ჩვენ აგვცდება. მაგრამ იგი აი ასე რომ მოდიოდეს. მაშინ თავს უნდა უშველო.

ჩვენ ვასწავლით მათ თუ როგორ უნდა შეიცნონ წვრილი შრაპნელის, კოლოს პუტუნის მაგვარი ზუზუნი. ჩვენ ვუხსნით ასალწვეულებს, რომ ეს წვრილი შრაპნელი უფრო საშიშია, ვიდრე დიდი ყუმბარები, რომელთა გრიალი შორიდანაც მოისმის ხოლმე. ჩვენ ვუჩვენებთ მათ თუ როგორ უნდა დაემლო ჰაეროპლანებს, ან თავი როგორ უნდა მოიხვედარუნო, როცა შემომტყენი სანგრებში შემოგვიცვივიან, როგორ უნდა წაუკიდო ხელბომბის ფალიას, მიწაზე დაცემამდის ათიწუთით ადრე ასაფეთქებლად, ჩვენ მათ ვასწავლით გრანატისათვის თავის ასარიდებლად როგორ უნდა ჩამალო მიწის ღრუში ელვის უსწრაფესად, ჩვენ მათ უჩვენებთ რამოდენიმე ხელის გრანატით თუ ვით ანგრევენ სანგარს, ან აფეთქების სისწრაფის მხრივ რა განსხვავებაა ჩვენსა და მოპირდაპირეს გრანატებს შორის.



დასასრულ ჩვენ მათ ყურადღებას გავხის გრანატების ტერაქსიკული და მათ კიდევაც უჩვენებთ ხერხს, თუ როგორ უნდა აიცილინოთ გვერდებიდან სიკვდილი ასეთ შემთხვევაში.

იხინი ყურადღებით გვისმენენ, კიდევაც გვიჯერებენ, მაგრამ როცა რია-რია ატყდება, იმდენად აღელდებიან ხოლმე, რომ ყოველივე აერევათ.

პაიე, ვესუტს ზურგი გაუბლიჩეს დ ფრონტს მოაშორეს. სუნთქვის დროს კრი-ლობიდან ფილტვები უჩანდა.

—გავთავდი პაულ. მეუბნება იგი კნესით და ტკივილისაგან ვახელეულებული საკლთარ მკლავს ებენს.

ჩვენ ვხედავთ თუ როგორ ცხოვრობენ თავის ქალა გადაძრობილი ადამიანები. ვხედავთ თუ როგორ გარბიან ფეხებ მოჭრილი ჯარისკაცები, როცა მიწის ღრუში ჩასაძვრომად მივრბივართ, ხშირად ადამიანის სხეულის ნაჭრები ფეხებში გვებორკება. ერთმა ეფრათერმა ორი კილომეტრი ვაიარა ხელეზე ჩონ-ვით, თანაც დამსხვრეულ ფეხებს უხმარად თან მიითარედა, ერთი ჯარისკაციც სანიტარულ პუნქტამდის მიჩოჩდა, თანაც ხელით იმაგრებდა გადმოსაცვენად განზადილ ნაწლავებს. ჩვენ წამდაუწუმ ვხედავთ უპირო, უსახო, ქვემო ყბა წართმეულ ადამიანებს. ერთ ვინმეს ორი საათის განმავლობაში კბილებით შეუკავებია გაჭრილი არტერიის სისხლის დენა, მზე ამოდის, მწუხრი დგება, გრანატები ზუზუნებენ, სიცოცხლე მიიწურა.

ოლონდაც, ის ამოღრუტნული მიწის ნაჭერი, რომელზედაც ჩვენ ეწვევართ, უსწორო ბრძოლაში გვიფარავს. მხოლოდ რამოდენიმე ასეული მეტრის მანძილი წაგვართვა მეტრმა. მაგრამ ყოველ მეტრზე თითო მკვდარი მოდის.



გამოგვეცალეს. გარინდებული ვდგავართ საბარგო ავტოებზე. როგორც კი კომანდა: „მავთულებს ერიდეთ“-ო მოგვესმის, წამსვე ვიჩოქებთ. როცა უკანასკნელად აქ გამოვიართ, ჯერ კიდევ ზაფხული იყო, ხეები ჯერაც მწვანით იყვნენ შემოსილი. ახლა მათ საშემოდგომო იერი გადაჰკვრიათ, ღამეც რუხვია და ნესტიანი. ავტოები შესდგნენ. ძირს ჩამოვიდვართ. ქრელი ბრბო ქოთქოთებს, მრავალ სახელის ნეშთი. გვერდით ვილაცების ლანდები სდგანან დ ათასეულეებისა და ასეულეების სახელებს ყვირიან. ყოველ დაძახებისას პატარა-პატარა ჯგუფები გამოეთიშებიან ხოლმე ბრბოს, საცოდავი დალეული, ტალახში ამოგინგლილი ჯარისკაცების ხროვა, ძლიერ მცირე ნაშთი.

ვილაცამ ჩვენი ასეულის ნომერიც წამოიძახა. ეტყობა ჩვენი ასეულს ფფროსია. სწანს გადარჩენილა, მხოლოდ ხელი აქვს შეხვეული. ჩვენ ვუახლოვდებით მას, და ამ ბნელაში კატი და ალბერტი შვეიცანი. ჩვენ ერთმანეთთან მივედით, მწკრივში ჩავდექით, შეეცქერით ურთიერთს.

ხელმეორედ გვესმის ჩვენი ასეულის ნომრების გამოძახება. რამდენიც უნდა იძახოს, ვერც ლაზარეთებში გამოეხმაურება ვინმე ამ ძახილს და ველარც სანგრებში.

კიდევ ერთხელ დაიძახეს: „მეორე ასეული აქეთკენ...“

შემდეგ ხმა დაბლა: მეტი აღარაფერი დარჩა მეორე ასეუფედგან, იგი სდუმს, და ხრინწიანი ხმით ამბობს: „—სულ ესაა ჩემი ბრძანება გავისმის: „დაითვალეთ“.

რუხვი დილაა. როცა ზაფხულში, როცა ფრონტიისაყენ გავემგზავრეთ, ჩვენ სულ 150 კაცი ვიყავით. ახლა გვცოცია, შემოდგომა დამდგარა, ფოთლები შრი-ლებენ. დაჭანკული ხმები მოგვესმის: „ერთი, ორი, სამი, ოთხი“ მოცდაათზე შესდგნენ. კარგა ხნის დუმლის შემდეგ ისევ მოგვესმის: „ხომ არაფერი დარჩა კიდევ?“ მცირე პაუზის შემდეგ ხმა დაბლა ამბობს: „დაჯგუფდით“—ისევ ჩაუწყდა ხმა და ძლივს წაიღულღულა: „მეორე ასეულო ნაბიჯით.... იარ....“

და მოკლე შწყვიანი რაზმეული, დაღეული რაზმეული ფეხების ბაკუნით შეეგება დილას. ჰმ, ოცდათორმეტი კაცი!....

გერმანულიდან თარგმნილია უ. ურდუელის მიერ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).



ტრინიტის უნივერსიტეტი
საქართველოს ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული მხატვრული მწერლობა

1929 წელს.

1929 წლის, მხატვრული მწერლობის მიმოხილველის როლი ფრიად უმაღური. უფერული და მდორე იყო გასული ლიტერატურული წელი. (ეს არ შეეხება პროლეტარულ მწერლობას, რომელზედაც ცალკე ვილაპარაკებთ). არ გამოქვეყნებულა არც ერთი ისეთი დიდი ნაწარმოები, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდეს. მწერლობას არ დაუსუფამს საკითხები, რომლებზედაც დაფიქრება და აზრის ამოძრავება შეიძლებოდა.

გაშლილი პროზის მაგიერ ცალმხრივი და იმპრესიონისტული მემუარული ლიტერატურა ფიქრობდა დამკვიდრებას; არ სჩანდა დიდი, ცხოველ-ყოფილი და მამოძრავებელი იდეები. ქაობი და შმორი დაეფულა „მცხოვან“ მწერალთა თავებს. ლიტერატურულმა სინესტემ მოიცვა მწერლობის საგრძნობი ნაწილი და ის უმოქმედობის წერტილზე გაიყინა; ჩვეულებრივად გამართული იყო სტანდარტული ლექსების „დოლი“.

იესებოდა ყურნალები, გამოდიოდა წიგნები, წიგნაკები: ლიტერატურულ-„ხეივანში“ ამაყად სეირნობდნენ მწერლები, მაგრამ მწერლობას დიდი არაფერი მიჰმატებია.

უკანასკნელ ხანებში გარკვეული და მძაფრი შეიქმნა „თანამგზავრობის“ კრიზისი. ფეხი მოიკიდა რევოლუციონური ლიტერატურის იდეის გაყალბებამ და წითელმა ხალხურამ.

ჩვენი ეს დებულებები რომ ლირიკულ დეკლარაციით არ მოგჩვენოთ, დამტკიცოთ ფაქტებით და მოვნახოთ მწერლობის მნიშვნელოვანი ნაწილის ასეთი უნუგეშო და საცოდავი მდგომარეობის მიზეზები.

საბჭოთა სინამდვილეში, საბჭოთა მწერლობას აქვს გაშლის პერსპექტივები. საბჭოთა მკითხველი ითხოვს მწერლობისაგან დახმარებას, სოციალისტურ მშენებლობაში ორგანიულ მონაწილეობას, იდეურობას და პოლიტიკურ სიმბივლეს. ყველა ამ თვისებებს, ცხადია, მოკლებულია ის მწერლობა, რომელსაც წარსულის სევდა ახრჩობს. მწერლები, რომელთაც არა აქვთ არავითარი ინტერესი საბჭოთა მწერლობის ზრდისადმი, ცხადია ავტორები იქნებიან უფერული და უნიათო ლიტერატურული წლისა.

მემარჯვენე მწერლობის მხატვრულ-ხარისხობრივ და რიყვეფიქციულ-დრუკობას, სოციალ-პოლიტიკური მიზეზები უღევს საფუძვლათა ზაფხულებზე კვირობის, მეფე ერეკლეს და საერთოდ თავად-აზნაურობის რომანტიკოსებს—წარსულის უსულო და დაშლილი წონხის იდეალიზაციის გარდა არაფერი დარჩენიათ. „საქართველოს ძველ სახელმწიფოებრივობის იდეაზე“ გულდამწვართა ჩივილი და მისი სახელით-რევოლიუციისადმი მოთხოვნილებების წაყენება, გამოყრუებულ დედაკაცების ხატზე-გადაცემის მუქარასა ჰგავს.

თავად-აზნაურობის ნაშთები სულს ლაფავენ. ეს ფეოდალური რაინდობა, როგორც კლასი დაღუღლია. მისი ძლიერება და საზოგადოებრივი მნიშვნელობა განადგურებულია. ცხადია, ეს არ ნიშნავს რომ ჯერ-კიდევ უმნიშვნელო. მაგრამ მაინც არ არსებობდეს—ორიოდე ხანჯლოსანი, თავადი—„ძმა-ბიჭი“. ისინი ჯერ კიდევ აქა იქ ბოვინობენ, მაგრამ როგორც საუკუნოების მსვლელობას ჩამორჩენილი სიმბინჯენი, არისტოკრატიული დევნებატები. ამჟამად ჩვენთვის საგულისხმო ის გარემოებაა რომ ეს ფენები საერთოდ იდეოლოგიის—ყრძოთ მხატვრული მწერლობის სფეროში კიდევ ცდილობენ ამა თუ იმ სიძლიერით თავის გამოქვლიანებას; ხშირად ჩამოყალიბებულ იდეოლოგიითაც გვევლინებიან. გავიხსენოთ ვერ. ქიქოძის დებულებები აღმანახ „არიფიონი“-ს ფურცლებზე. მისი ფეოდალური სევდა, „საქართველოს უღრან ტყეების და სურვიან ციხე-კოშკების“ რეაქციონური რომანტიკა. აბა რა არის თუ არა დევნებატულ თავადობის იდეური სიკოტრის ილიუსტრაცია კ. გამსახურდიას ლიტერატურული პოეზია (მთლიანად).

ფეოდალური იდეოლოგიის გავლენისაგან არ არიან თავსებით განთავისუფლებული არც ის მწერლები, რომელნიც საბჭოთა მწერლობის რიგებში ჩადგომას ფიქრობენ. ამის თვალსაჩინო ნიმუშია მწერალ ნ. მიწიშვილის მიერ „საქართველოს სახელმწიფოებრივობის მატარებელი ძალის“ შეძიებლობა.

მწერლობის ამ ფრთის საზოგადოებრივ მხატვრული ხვედრითი წონა, ფრიად მცირეა. მათი „საქმიანობის“ რეზონანსი ლიტერატურულ სალონებს და ერთეულ ოჯახებს არ ცილდება. ცხადია, ესენი არ კმნიან ლიტერატურულ დარს, მხოლოდ შმორი და სიმეავე შეაკვთ მწერლობაში.

მწერლობის ეს ფრთა—ბრძოლის ხასიათზედაც იყენებს თავს, მაგრამ ეს „ბრძოლა“ ბებრულ ჩიფჩიფის და ჩხირკველაობას უფრო გავს. ასეთ „ბრძოლისაგან“ განზე დგას ამ ფრთის მწერლობის ზოგიერთი წარმომადგენლები, რაც მათ სრულებით არ უშლის ხელს—უფრო მეტათ დასრულებული ფეოდალური მწერლობის ნიმუშები მოგვეცენ და აწარმოონ ბრძოლა არსებითი ხაზით. ამ მწერლებისაგან, უბირველეს ყოვლისა გამოირჩევა, „უბედური რუსის“ ავტორი—შალვა დადიანი. ამავე ფენას, მაგრამ თავისებური გადახვევებით, მიეკუთნება ფრიად საინტერესო და თვალსაჩინო მწერალი ნ. ლორთქიფანიძე. უკანასკნელი მწერლის შემოქმედებითი განვითარება ერთგვარ გარდაქმნის ნიშნებს ამჟღავნებს, ასე რომ მასზე ცალკე ლაპარაკი იქნება საჭირო.

1929 წელს, ბურჟუაზიულ ტენდენციების ზრდა მწერლობაში რთული ფორმებით მიმდინარეობდა; თუ 1928 წ. ბურჟუაზიულ მწერლობის აქტიუობა ფრიად



თვალსაჩინო შეიქმნა—ეს აქტივობა არ შემცირებულა არც ერთ წელს. მართალია არ გამოქვეყნებულა ამ აქტივობის სრულად შესაბამისი მშრომლებითი ნიმუშები, მაგრამ ეს უკვე მწერალთა უნარზეა დამოკიდებული. თვალსაჩინო ის არის, რომ ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში ფეოდალურ და ბურჟუაზიულ იდეოლოგიის ელემენტები მშვიდობიანათ თავსდებოდნენ ხოლმე ერთად. ბურჟუაზიულმა ფრთამ მწერლობაში მეტის „ნაყოფიერებით“ შესძლო დახურდავებულიყო წვრილ ბურჟუაზიულ განწყობილებებზე, (წვრილი ბურჟუაზია აქ იგულისხმება ისეთი, რომელიც ერთგულათ თანამგზავრობს ბურჟუაზიას) და შესაჩინობა—ობიექტულობის დაკვეთის დაკმაყოფილების ხაზით მიიმართებოდა. უიდეო, „პორნოგრაფიის“, „სიყვარულის სამკეთხედის“, სიწყნარის და კლასიურ მშვიდობიანობის მწერლობა—იმავე დანიშნულებისაა, როგორცაც აქტიური ბურჟუაზიული მწერლობა. ამ ხაზიდან ძალზე შორს არ არის დაცილებული არც წითელი ხალტურა—მიტმასნებითი ტენდენციების შედეგი, როგორც თანამგზავრობის გაყალბების სანიშნურო სახე.

მწერლობის ამ სხვადასხვა მაგრამ ერთი და იგივე საფუძველის და დანიშნულების მქონე ნაკადებმა შექმნეს ის უფერული და მდორე მწერლობა, რომელზედაც დასაწყისში ელაპარაკობდით.

მაშასადამე, მიზეზები ამგვარია: იმ კლასებს, რომელნიც პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში ნადგურდებიან—აღარ ძალზეთ ძლიერი მწერლობის შექმნა. ადგილი აქვს მათ გაანჩხლებას, კლასიურ ბრძოლის გამწვავებას მწერლობაში, მაგრამ ეს გარემოება მემარჯვენე მწერლობის სიძლიერის ნიშანი კი არ არის—არამედ პირიქით. აღსასრულის წინ ლიტერატურული მემარჯვენობა ცდილობს უკანასკნელ გაბრძოლებას. აქ ისეთივე მდგომარეობაა, როგორც საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

რეკონსტრუქციის პერიოდში კლასიური ბრძოლა უაღრესად მწვავდება. ანტი-პროლეტარული კლასები, ქალაქის და სოფლის (ეულაკობა) ბურჟუაზია გააფთრებით იბრძვის; ის ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, რომ ხელი შეუშალოს სოციალისტურ აღმშენებლობის ძველა-მოსილ მსვლელობას. ამ ბრძოლისათვის ის სცდილობს გამოიყენოს ყველა სფეროები; მათ შორის იდეოლოგიას უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს. პირიქით: ბურჟუაზია იდეოლოგიის სფეროში მეტი აქტივობის გამოიყვანებას სცდილობს. ამით აიხსნება მემარჯვენე მწერლობის შედარებითი აქტივობა.

საერთოდ ქართული მწერლობის დიდ ნაწილს და განსაკუთრებით მის მემარჯვენე ფრთას—ახასიათებს დიდი პრეტენზიები, მხატვრობის და იდეურობის ხაზით. მაგრამ ეს პრეტენზიები არ მართლდება არა მარტო 1929 წლის ლიტერატურული პროდუქციის ნიმუშებით, არამედ არც მთელი რიგი წლების ნიმუშებითაც.

დროა უკვე გაიფანტოს ის ზღაპარი, რომელიც გავრცელებულია თვით მწერლების მიერ, ვითომც—და მათ დიდი შესაძლებლობანი ჰქონდეთ, მაგრამ „ნიჟის“ ვაშლის საშუალება არ იყოს. „ეს თეორია“ მკიდროთ დაკავშირებულია ზოგიერთ მწერალთა სიწმესთან, მათგან ირე ნაყოფიერებასთან.

რევოლუციის პირველ წლებში, მართლაც, ადგილი ჰქონდა ლიტერატურულ საბოტაჟს. მრავალმნიშვნელოვან დუმილს. შემდეგ ზოგიერთ მწერლებს ეს დუმილი ქრონიკულ ავადმყოფობათ გადაქცევათ, — უკეთეს შემთხვევაში, ენა ისე დაუბლაგვდათ, რომ ძლიერი მხატვრული ხმის მაგიერ, ოდნავი კნავილი ძლიერს-ლა ისმის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის თავის კლასიური მიზეზები აქვს. კლასი ყდება და ისპობა; მასთან ერთად ყდება მისი მწერლობაც. ზოგი ახერხებს საკუთარი ბუნების გარდაქმნას, მაგრამ არა ყველა.

ესაა პირობები, რომელნიც „უშლიან ხელს“ ამ მწერალთა შემოქმედების გაშლას. ამავე მიზეზებით ამ ფენის მწერალთა შემოქმედებითი უნარი იწურება. მწერალთა საგრძობ ფენას ეუფლება შემოქმედებითი სიბერე — გამოფიტვა. ზოგის ლიტერატურული კარიერა უკვე კარგა ხანია დასრულდა. ზოგი უბრალოთ თავის უუნარობას მთავლიტის შიშით ხსნის. არსებითად კი მთავლიტი არავითარ შუაში არ არის. მწერალთა ეს ნაწილი ან არას დროს არ ყოფილა დიდი მხატვარი ან და დღეს რევოლუციონურ ენტუზიაზმის ხანაში, ვაცლდეფილი მასების გენიალობის ეპოქაში, თავის პატარა, უბადრუკი, რეაქციონური იდეებით, ობიექტურ ბუზღუნით ველარ ახერხებს მწერლობაში დარჩენას, მკითხველის ხელმძღვანელობას, მისთვის მხატვრული და აქტუალური მასალის მიწოდებას. გამომდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების და აქედან ლიტერატურის განვითარებიდან ეს სავესებით ბუნებრივი მოვლენაა. სავესებით გასაგებია ისიც, რომ „მелководная“ ლიტერატურის წარმომადგენლები, ცდილობენ მათი ღირსებისათვის რაიმე გასამართლებელი მიზეზები მოუნახონ ამ მხატვრულ უნიათობას, იდეურ სიკოტრეს და მრავალმნიშვნელოვან დუმილს. სინამდვილეში კი ამ დუმილს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. უბრალოთ: მათ სათქმელი არაფერი აქვთ და აღარც უნარი აქვთ ამ თქმისა. ის კი რასაც ლაპარაკობენ ან და რისი თქმის უნარიც კიდევ აქვთ — არის დამადასტურებელი მათი შემოქმედებითი გამოფიტვის, განურჩევლობის და ბებრულ ბუზღუნის. დაუშვათ, რომ არ არსებობდეს საბჭოთა მწერლობის საზღვრების დამცველი რაზმი, „ყველაფრის“ თქმა შეიძლებოდა, ამის შედეგათ მივიღებთ მხოლოდ უნიათო, მხატვრულათ ფრიად მდარე ღირსების პასკვილს, საბჭოთა სინამდვილეზე, კლასიური სიძულვილით დაბრმავებული ხალხის ბოდვას. წარსულ წლებში ამის მაგალითებიც იყო. ამაზე შორს ვერ წავა ის პრეტენზიებიანი მწერლობა, რომელიც მოთხოვნილებებს და ბრალდებებს უყენებს რევოლუციონურ სინამდვილეს, რომელიც ვაჭრობს „იენოს თუ არ იენოს“ რევოლუციით. ეს სასაცილო კერიოზია — მაგრამ ფაქტია.

ასეთია ქართული მწერლობის მემარჯვენე ფრთის არსი. მისი ამწყო და მოშავალი. ღირს-შესანიშნავია ის გარემოება, რომ ფრიად დიდი განსხვავება არსებობს ჩვენი მწერლობის მემარჯვენე ფრთასა და უკრაინის, ბელორუსიის მწერლობის მემარჯვენე ფრთას შორის (არ შევადარებთ რუსულ მწერლობას). იქ მემარჯვენე მწერლობა — საბჭოთა სინამდვილის საფუძველზე, ოქტომბრის რევოლუციის დაყრდნობით საქმიოდ რეალური პრეტენზიებით სთელის თავს სოციალისტურ მშენებლობის ორგანიულ მიწაწილეთ, რევოლუციონურ ენტუზიაზ-



მის მატარებლათ, საბჭოთა ლიტერატურის კადრათ. უკრაინის მწერლობის მნიშვნელოვანი ფრთა „პროლეტ-ფონტასი“ კი უმნიშვნელოა პროლეტარულ მწერლობასაც კი ფეხიბრება პროლეტარულობაში. ეს ცხადია არ ნიშნავს, რომ უკრაინის, ბელორუსიის და სხვ. მწერლობების მემარჯვენე ფრთები, მემარჯვენენი არ იყონ, მაგრამ ქართულ მწერლობასთან შედარებით ეს მოვლენა მეტად დამახასიათებელია. ჩვენი მემარჯვენეობა არამც თუ საბჭოთა პრეტენზიების ფარგლებშია, არამედ რევოლიუციის ცნობა არ ცნობაზე მსჯელობს, საქართველოს „სახელმწიფოებრივ ძალას ეძებს“, მას მისტირის. ჩვენი „სმენავებოველობაც“ ამ წარსულის დიდებიდან გამომდინარეობს, მისი აღდგენის და განახლების მოლოდინშია; „ივერიის“ ბასტიონებით ეჩვენება საბჭოთა მშენებლობა;—ამ შედარებით ცხადი ხდება—თუ რამდენი სხვაობა ყოფილა ჩვენი ტრადიციებით დამბლა-დაკრულ მემარჯვენე მწერლობის და უკრაინა-ბელორუსიის მწერლობის მემარჯვენე ფრთას შორის.

მწერლობის საგრძნობი ნაწილის ასეთი მდგომარეობა გავლენას ახდენს თანამგზავრობის ჩამოყალიბებაზედაც. დიდი სიძნელეებით და ფრიად მძიმეთ ყალიბდება თანამგზავრობა ქართულ მწერლობაში. მრავალი გადამახინჯების შემცველია ჩვენი თანამგზავრული მწერლობა. ტრადიციები და მემარჯვენე ელემენტები კიდევ ბოჭავს მის განვითარებას. მკრთალია და გარკვეულობას მოკლებულია შემოქმედებითი თანამგზავრობა. აქ ჩვენ ვხვებით ისეთ მწერლობას, რომელსაც თანამგზავრობის პრეტენზიები აქვს, მაგრამ ასეთი არ არის.

1905 წლის რევოლიუციამზე ზოგადი წერით, თანამგზავრობის სახელი დაბეჭებული ჰგონიათ. ხშირათ თანამგზავრული ტენდენციები იმდენათ გადანასკეულია მემარჯვენე მსოფლმხედველობასთან რომ შეუძლებელი ხდება მწერლის თუ მისი ნაწარმოების თანამგზავრობისათვის მიკუთვნება. ამ ფენის მწერლებისათვის შერყობა პერმანენტული ხდება. 1929 წლის ლიტერატურული პროდუქტია სრულ საფუძველს გვაძლევს ესთქვათ, რომ დღეს „თანამგზავრული“ მწერლობის კრიზსთან გვაქვს საშე.

ფაქტია—მწერლობის საარაკო ჩამორჩენა ცხოვრების დაკრითი ტემპებისაგან. მწერლობა კუს ნაბიჯით, მონური ტემპით მოძრაობს. ზოგი ვერ რევოლუციამდე არ მისულა. ზოგი მივიდა და რევოლუციას ასო-მთავრულით სწერს. აღდგენითი პერიოდს არ მიახლოებიან და რეკონსტრუქციამზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება. წარსულ წერილ-მესაკუთრულ სოფელთან შესისხლხორცებულნი სრულებით ვერ გრძნობენ და არ ესმისთ ახალი სოფელი—კოლექტივიზაცია მთელი რიგი ახალი დაკრითი ამოცანები მათთვის ჩინური ანაბანია. ამ სიბეცეში, ერთის მხრივ, ნაწილისათვის კლასიური სიძულვილი თამაშობს როლს. მეორეს მხრივ, ქართული მწერლობის საზოგადოებრივი აღლოს სიჩლუნგე და კულტურის დაბალი დონე. ჩვენს მწერლობაში ნეიტრალობის პრინციპი დიდ პატივისცემაშია. თუ ტეხნიკურ ინტელიგენციისათვის ნეიტრალობა—მჭიდროდ უკავშირდება მკვნიებლობას, მით უმეტეს ნეიტრალობა ლიტერატურულ ინტელიგენციისათვის ყოველად მიუღებელი და კონტრ-რევოლიუციონური. ნეიტრალობა არ არსებობს. ის მხოლოდ საფარია. თანამგზავრობისათვის აუცილებელია საბო-

ლოდ განთავისუფლება ამ „მოჯადოებული წრისაგან“ და პროლეტარიატის იდეურ პოზიციებთან მჭიდრო დაახლოვება.

რეკონსტრუქციის პერიოდში თანამგზავრობის წინაშე მხალი ამოცანები სდგას: საჭირო ხდება მეტი ორგანიზულობა სოციალისტურ მშენებლობაში პერსპექტივის ქონება. დღეს უკვე საკმარისი აღარ არის ზოგადი დეკლარაციები. ეს კი ჩვენმა, ჩამოუყალიბებელმა თანამგზავრობამ ვერ შესძლო. გასულ წელს თანამგზავრობა ნაწილის გამემარჯვენება ისევე ძალაში დარჩა. ნაწილი დეკლარაციზე გაიყინა, —ახალ მოთხოვნილებებს და ამოცანებს ვერც ალლო აულეს და ვერც შეიგნეს. ამ გარემოებამ რეალური ვახადა კრიზისი. ჩვენ არ ელაპარაკობთ, რომ თანამგზავრობის კრიზისი გამოუვალა იყოს.

გასულ წელსვე მოცემულია ამ კრიზისის დასაძლვეი გზები, ჩამოყალიბდა და ვითარდება თანამგზავრობის მემარცხენე ნაწილი. რიგი მნიშვნელოვანი მწერლებისა საბოლოოდ დაუკავშირდა ოქტომბრის რევოლუციას. გამოიარკვა და რევოლუციონური ალლო გაიმახვილა მწერლობის ახალგაზრდა თანამგზავრობა ფრთამ. ხელშესახები ვახდა თანამგზავრობა შემოქმედებითი პროდუქტია.) ეხლა მთავარია რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანების შეგნება, ჩამოყალიბებულ მემარცხენე თანამგზავრობის ზრდა და შემოქმედებითი განვითარება. ამ გზით დაძლეული იქნება თანამგზავრობის კრიზისი.

გასული ლიტერატურული წლის თვალსაზიწო მოვლენა—ეს პროლეტარული მწერლობის რიცხოვობივი და თვისობრივი ზრდაა. გამრავალდევროვანდა პროლეტარულ მწერალთა ლიტერატურული ბერებები, ეანრები. გაძლიერდა მხატვრული პროზა. შეიქმნა ნარკვევი, დრამატურგია. გამოვიდენ ახალი ძალები: თვალსაზიწო ვახდა ფორმალური ზრდა. ყველა ამ პროცესების კონკრეტულ ნიმუშებს ქვემოდ ვავეცნობით, ეხლა უმთავრესი კი ის არის, რომ მემარჯვენე მწერლობის ბელოვნურ აქტივობას, მის უბადრუკ მდგომარეობას—დაუპირდაპირდა ძლიერი პროლეტარული მწერლობა. ასეთი იყო გასული ლიტერატურული წლის ძირითადი ტენდენციები.

ჩვენს მიმობილუაში ავიღებთ ამ ტენდენციების სანიმუშო მასალებს, მწერალთა წიგნებს, ამა თუ იმ მნიშვნელოვან ნაწარმოებთ. ჩვენ ვერ შევებებით მთელ რიგ მწერლებს, რომელნიც გასული წლის ძირითადი ტენდენციებისათვის დამახასიათებელი არ იქნებიან; რომელთაც ამ წელში არ გამოუქვეყნებიათ საზოგადოებრივი და მხატვრული დონის მხრივ სათანადო ლირსების ნაწარმოებნი. მიწობილუაში ვერ დაუთმობთ ადგილს ვერც ყველა იმ ავტორებს, რომელნიც ავსებდენ ჟურნალ „მნათობი“ს და „ქართული მწერლობა“ს ფურცლებს, მაგრამ გასული წლის მწერლობისათვის დამახასიათებელი არ იყენენ. ჩვენ უმთავრესათ ვანვიხილავთ იმ მწერალთა გამოსვლებს, რომელნიც თავის შემოქმედებით წარმოადგენენ საზოგადოების და მწერლობის ამა თუ იმ ფენას და იმ მწერლებს, რომელნიც ლიტერატურის სხვა და სხვა პროცესებისათვის დამახასიათებელი არიან.

ასე რომ, ჩვენი მიმობილუა არ კისრულობს ყველაფრის აღმწესხველის როლს.

1) ამას დაგვიტკიცებს თანამგზავრ მწერალთა შემოქმედების განბილუა ზემდეგ წერაღში. (ბ. ბ.).



თამამად შეიძლება ითქვას, რომ გასული წლის ლიტერატურულ-მედი-
ლეში, ყველაზე მეტი შემარჯვენე—ა.ლ. აბაშელის ლექსების წიგნი „გაბზა-
რული სარკე“—ა. ეს წიგნი მთლიანად, ცხადია, 1929 წელს არ დაწერილა,
არამედ უკანასკნელი წლების პოეტის შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფია.—მა-
გრამ ავტორი შეჯამებულად იძლევა თავის შემოქმედებას 1929 წელს—უყოყმა-
ნოთ აწერს მას ზელს და ამით საშუალებას გვაძლევს სრულად და ყოველმხრივ
გავითვალისწინოთ მისი საზოგადოებრივ-იდეური გზების მსვლელობა.

„გაბზარული სარკე“—პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში ალ. აბაშე-
ლის შემოქმედებითი გზა და არა მარტო აბაშელის—არამედ მწერალთა დიდი
ფენის. ამ მხრივ „გაბზარული სარკე“ დამახასიათებელი ნიმუშია. პოეტი წიგ-
ნის ყველა ფურცლებზე აფენს თავის მემარჯვენე განწყობილებას და ბოლოს
სარჩევს წინ ბეჭდავს ვითომცდა სარკევიზიოთ, მონანიებულ ლექსს, სადაც მი-
მართავს თავის თავს:

„ესაში მზე დადის. შემს თვალეში რათა დგას ჩრდილი.

მაუ, ღამართ, საუკუნის არა ხარ შეილი.

როგორ ვერ ზიდე დროს სიმძიმე და სიმადრენი.

მოხსენი თვალეშს სარკე ცივი და გაბზარული,

რომ დაინახო კლდე და ველი გადასადრენი

და სიჭკვი სიმღერა ებოქისთვის თანამგზავრული“.

ამღერდება თუ არა თანამგზავრულად პოეტი ეს ჩვენ არ ვიცით და არც
მკითხაობას ვაპირებთ. ამ წიგნის მასალებით, მთელი წლების მუშაობით კი—
ჩვენ ვიცით, რომ პოეტი შემარჯვენე—რეაქციონურ საქმეს აკეთებდა და აკეთებს.
ჩვენ გულუბრყვილობისაგან ძალიან შორს ვართ. თანამგზავრულ სიმღერების
ორკოფულ დაპირებით, ამ რეაქციონური ტვირთის „გათრევა“—შეუძლებელი
საქმეა. ალ. აბაშელის „გაბზარული სარკის“ იდეოლოგიური კუდი—საქმეს ვერ
შეელის. ეს მანერტი მოძველებულია და აღარ მოქმედობს. შეიძლება პოეტმა
თვით არ იცის თუ „მქენარ ფოთოლივით რათ დანებდა გაფრენილ დღეთა“.
მაგრამ მან ძალიან კარგათ იცის ვის წინააღმდეგ და ვისი ინტერესებისათვის
იბრძვის. თუ ვის წისქვილს ამუშავებს აბაშელის ლექსთა წყალი—ეს მელაენდე-
ბა მის მიერ ოქტომბრის რევოლიუციის ათვისებაში. ოქტომბრის რევოლიუ-
ცია პოეტისათვის ტანჯვის ბარძიშია.

1921—22 წლებში ის სტირის, იწყევლება, იგინება, ამ სიტყვის პირდაპირო
და სრული მნიშვნელობით, წვრილ-ბურჟუაზიული-მენშევიკური ინტელიგენციის
უუნარო, უძარღვო წარმომადგენელი, გზადაბნეული, პროლეტარულ რევოლიუ-
ციისაგან გაბითურებული, რომელსაც თავის უბადრუკობაც კი ნაწილობრივ
შეგნებული აქვს:

„ეხედავ სიხარულს ცრემლმა აჯობა.

ო, რა ბავშვრათ მითამაშნია,

ჩემი თაობის უილაჯობა,

დღეს სამარცხენით დაღათ მანჩია“ (ხაზი ჩვენია ბ. ბ.).

და რომელიც ფილოსოფობს—თავისი კლასის აღსასრულის შესახებ:



ქართული

„შორავნდელი გყარვება პოეტის სახეს.
ვაიმე, ჰქრება, პოეზიის წმინდა სანთელი...“

მოიკრიბა მთელი თავისი ენერჯია და გესლი; ჩამოკრძა გულს და გულამოსკენილი ახუზუნდა. რევოლუციის პირველ წლებში ალ. აბაშელის ლექსები, ეს მეგრულ ქალების გამბული ტირილია [განსვენების დროს. პოეტი მიასვენებდა, დასტიროდა ბურჯუაზიულ დემოკრატიის სამშობლოს, სოციალ-გამკვებლების სალაყბოს; მის გული „ეთუთქებოდა“ როდესაც ხედავდა რომ:

„ცეცხლის გყრანუ ისახებთან
ძვირფასნი ჩრდილნი წარსულ ეპოქის“ (ხაზი ზენია ბ.ბ.)

ცეცხლის გყრანი რევოლუციაა. ამ გყრანზე ისახება და არა მარტო ისახება—არამედ კიდევ იფერფლება წარსული ეპოქის—პოეტისათვის „ძვირფასნი ჩრდილნი“. პოეტის დაფი და ნაღარა უზმობს, უყვირის ამ ძვირფას ჩრდილებს; ოცნებობს მათ დაბრუნებაზე; ჯერ-ჯერობით მოგონებებით იშეიღებს თავს, რადგან:

„მოგონებებით დათოვლილი სულის კვებება
გარდასულ ვამო: ვაღლიფებს მძინარ კარავანს“.

იქნება ოცნება სინამდვილეთ იქცეს:

„და საქართველო კვლავ მოისხაზს ნათელ შარავანდს.
სიზმარში სული ძველ სამშობლოს უცებ მიაგნებს
ძველი კოლაქეთის გაბრწყინდება ამაყი ღერბი.
.....
და ძველ ნაპირზე ამაღლდება მრისხანე კრაპი“.

1922 წელს პოეტმა მოუხმო წარსულის ყველა „კეთილ“ სულებს, შეუდგა რევოლუციისაგან დანგრეულ „სამშობლოს“ სიზმოლო—„ეთერი კოშკის“ აგებას; მოიშველია „ნიხოს ჯვარი“, „სულის ხარება“, საცეცხლური, ძველი დროშა, „დარკინული ციხე თამარის“, „დარიალი ბროლის გაჭვით გადარახული“ და სხვ. მაგრამ ეს ხომ მხოლოდ „სიზმარით დაბინული მოგონებაა“—ეს წარსულის სიმშვენიერე ხომ უკვე განადგურებულია, ოცნებაც ხომ მუდამ არ გაგრძელდება; ისევე „დასციფვა დანგრეული კედლის თაღები“ და „დათალხული ეთერი კოშკი აქვითინდება“.

შეუძლებელია ამ ლექსის ტექსტის სრულად მოყვანა იმდენათ ვესლიანათ და ვულგარულათ არის ის დაწერილი და გამოქვეყნებული 1922 წ. ვადაბექდილი და წიგნში შეტანილი 1929 წელს, გამოცემული „ქართული წიგნის“ მიერ, ზენ მთავლიტთა ელამი მოდგმის ნებართვით და დალოცვით. კლასიური მტრის ვაბოროტება ამაზე მეტ უმსგავს და აღმაშფოთებელ სიტყვიერ ფორმებს ველარ მიიღებს.

წარსულის ლანდებით თავბრუდახვეულმა, რეაქციონური ფენების ზრახვებით ამეტყველებულმა პოეტმა რა ქნას, რა გზას დაადგეს, თუ არა გინებას, წყველას და სასაცილო მეჭარას. მაგრამ მას კიდევ აქვს ერთი გზა,—ტყუილათ არ არის ძველი „სამშობლო საქართველოს“ რაინდი. საქართველო ხომ ღვთის-მშობლის ხვედრია. პატარა კახიც ხომ გაჭირვების ფაშს ღვთის-მშობელს ავედრებდა საქართველოს.

„დედა-ლეთისა—ეს საქართველო შენი ხვედრია“ და პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში მცხოვრები პეტროვი და ლეთისას მიმართავს საშველად როგორც უკანასკნელ ხსნას. აბაშელი ლოცულობს:

„ციურ დედა, აგვიპურია შენსგან ხელები.
ტანჯვის წუთებში დაკბენილი მტკიან თვალებით.
ბნელი ღვიშა ჩენი სული, სახე გველებით.
დაგვემხერა სკივრი და დაიბნა მარგალიტები.
ვა დაიბრდილა. უბრაოდნოთ მივალთ ზარბაცით.
გვეწერია ლოცვა, სასწაული და დამწიფება.
ჩენს ოცნებაში საფირონის იწვის დარბაზი,
და თეთრ სასახლეს მალე ცეცხლი მოეკიდება.
შე გოლგოთიდან ისე მოსხანს იესოს ჯვარი,
ვით ბნელ სიერცეში აფრენილი შავი არწივი.
ციურ დედა, შეივრდომე სული დამწვარი
და დაგვაშორე ანთებული ტანჯვის ბარძიმი!“

აღმაშფოთებული ის კი არ არის რომ აბაშელი ლოცულობს. ეს მხოლოდ ქ. რიგის ცნობებია რომ ვითომცდა საბჭოთა კავშირში რელიგიას სდევნიდნენ. ჩვენში თვით ეპისკოპოსები და ლეღლებიც კი აცხადებენ, რომ რელიგია არ განიცდის იმ შევიწროებას რომელზედაც გაჰყვიროს დასავლეთის ბურჟუაზია. პოეტ ლეღელსაც—არავინ დაუშლის რამდენიც უნდა ევედროს „ციურ-დედას“ და ამ „საქართველოს“ მფარველმა დედამ თუნდაც ფოქსტროტი იცეკვოს და დააწყნაროს დასევდიანებული პოეტი; მაგრამ საბჭოთა მუშამ რა დააშავა, რომელიც იძულებულია 1929 წელს იაწყოს და დაბეჭდოს ეს მონაზნური ბოდეა. ქალაქის კრიზისია და ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს. ლენ-რაიონის 800-მა მუშამ რაღა დააშავა, რომელთაც, როგორც გამოცემლობა „ქართული წიგნის“ ხელის მომწერლებს მიუვათ ეს წიგნი. გარდა ამისა რელიგიის ქურუმებს არავინ ეტებათ მანანდე, სანამ ეს სიბნელის მოციქულები ტრაპეზს—პოლიტიკურ ბრძოლის ტრიბუნათ არ გამოიყენებენ და აქტიურ ანტი-საბჭოთა მოქმედებაზე არ გადავლენ.

ამ შემთხვევაში პოეტიც ხომ რელიგიას იყენებს პოლიტიკურ ბრძოლისათვის. აშკარად და პირდაპირ მოუხმობს „ციურ დედას“ საბჭოებისაგან დასაცავად, თეთრი სასახლეების გადასარჩენათ. სასწაული, სასწაული მოსწყურდა პოეტს რადგან სინამდვილე უღმობელი და უცვლელია. პროლეტარული რევოლუცია ფაქტია. კომუნისში კვირებზე და თვეებზე მეტს სცოცხლობს. „ციური დედა“ თუ იხსნის სამარცხვინო, უილაჯო თაობას—ელასს—თორემ ისე, ხსნა არსით არის და პოეტიც აშკარათ, საჯაროთ შელაღადებს „ციურ დედას“ თავს აბრალებს.

„დაიშხვრა სკივრი და დაიბნა მარგალიტები“ (ზაზი ჩენია ბ. ბ.).

ღიახ დაიშხვრა მენშევიკური სამოთხის, ქართული ბურჟუაზიის სკივრი; დაიბნა მარგალიტებიც, რომელთაც ნაწილი (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებითაც) ბავშვების ოძის კონსერვებთან ერთად საზღვარ გარეთ გაიტაცეს მენშევიკებმა. საქართველოს მსხვილმა და წერილმა ბურჟუაზიამ ვერ გადაარჩინა ეს სკივრი. ვერ

ნოასწორს აღედგინათ საქართველოს ფეოდალური დიდება. ვერ შეინახონ ჩაგვრის, ყვლეფის, თვალთმაქცობის სკიერი, საბოლოოთ ვერ შეინახონ უფაქციის მარგალიტები, კომენდიანტური სოციალისტობის იდეები. შიშლიძის

დღე ვედროს, შეაბრალოს პოეტმა თავი „ციურ დედას“—„დედაო-ლეთისას“, დღე ამ დედამ მოუჭახრაკოს საქმეები საბრალო პოეტს, მაგრამ ჩვენ გვინდა ვკითხოთ თუ რა დამატებითი უფლებები აქვს პოეტს ასეთი ლოცვა-ვედრების საჯარო წარმოებისათვის. როგორ ქმნის საბჭოთა სინამდვილეში ასეთ ტრიბუნას. რა უპირატესობანი აქვს მას ასეთი პოლიტიკური ლოცვისათვის. ნუთუ ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ მას რითმების ერთმანეთზე მიბმა შეუძლია. ნუთუ —თითებით—ბარბაციით“,—„დამწვიდება—მოვიცდება“,—„ჯვარი არწივი“-ს გართიმით მას უფლება ეძლევა ასეთი ურცხვი და პირდაპირი აგიტაციის—რევოლიუციის წინააღმდეგ; დღე „ციურმა დედამ“ შეიბრალოს აბაშელეების „სული დამწვარი“, მაგრამ რევოლიუციის მეტრე წლის თავზე საბჭოთა მწერლობის სახელს ნუღარ ბლალავენ ასეთი იდეოლოგიის პოეტები.

იქნება უკანასკნელ წელს შეიცვალა ალ. აბაშელის მსოფლ-მხედველობა—მისი დამოკიდებულება საბჭოთა სინამდვილესთან. სრულებითაც არა. შეიძლება მეტი ფრთხილი გახდა. შეიძლება იმდენათ აღარ სჯეროდეს ლოცვის და ლექსის ძლიერება:

„და ხშირათ ვფიქრობ. რას გააწყო ბეჭედიოთ,
თუ გულში დვეღფი აბზობების დამრბა უზმარად“.

რევოლიუციასთან შეურიგებლობის, სიძულვილის ლველფი, პოეტს კიდევ აქვს დარჩენილი გულში. ის მხოლოდ მას სწუხს რომ ეს ლველფი უზმარი დარჩა. ისე კი მის მსოფლმხედველობაში არაფერი არ შეიცვალა. ისევ ის სინანული, ძველი „სამოთხის მოგონებანი“.

„ავფუახე მქონდა აღბეჭდილი ერთხელ ნანაბი
წითელი დროშის უცკარი აფრიალება. (კურსივი ჩვენია ბ.),
მაგრამ როდესაც რკინის რაშმა სიურცე დაღწა,—
თქვენ ნახეთ ერთად თავგანწირვა და სიმზდაღეცა.
და ცეცხლის ღვარმა შეანგრია წამწამთა ფარი.

მას შემდეგ სარცე დაორთქლილი და გაბზარული
წინ აგეფარათ, აჩრდილებით შემოჯარული.
მივფრწუნო რაში და ბრმა სარკეს მწოდტავს ფაფარი“.

(გაბზარული სარცე, 1929 წ.)

ეს იგივეა რასაც პოეტი 1922 წ. სწერდა. წერტილი-ბურჯუის იდეოლოგიისათვის „წითელი დროშა“—პროლეტარულ რევოლიუციამდე აფრიალდა. ეს აფრიალება მხოლოდ უცკარი გამოდგა. შემდეგ რკინის რაშმა, „ცეცხლის ღვარმა“ ე. ი. ნამდვილმა რევოლიუციამ—ძირს ჩამოაგდო ეს მენშევიკური ცრუ-წითელი, ფაქტიურად კი ჭრელი—ყვითელი დროშა და პოეტს ამის შემდეგ აღარ გაუხარია. წინ აეფარა, „წარსულის აჩრდილებით შემოჯარული“ დაორთქლილი და „გაბზარული სარცე“, რომელმაც ის დააბრმავეა და უგრძნობი გახადა ყოველივე აბალისადმი. ამას თვით პოეტი გულახდილათ აცხადებს. ალ.



აბაშელის „თანამგზავრული ტენდენციები“ სრულებით არ სცვლის მის შემოქმედების ძირითად ფონს. საერთოდ ამ „ტენდენციების“ თანამგზავრულმა მონათვლა გულღებრევილობა იქნება. აბა რა ვასაოცარია ის ~~საბჭოთა~~ პოეტმა შეამჩნია—„პეროპლანი სოფლად“ და გლუხს ათქმევინა:

„სხვა დრო დაკვიფვა, ჩუენი შეიღები
ცაში არჩივებს ევებრებთან“...

მის მიერ ძველის და ახლის დაპირდაპირება ღიად სტოეებს საკითხს—რომელს უნდა მივსცეთ უპირატესობა. ძველი ისეთი სიყვარულით არის დახატული, ისეთი რომანტიული შარავანდელით არის მოცული (იხ. ლექსი: ტვილისი, ძველი და ახალი.), რომ ახლის მიწიდიველობა ქარწყლდება. აქ ქართულ ლაშქრის, ქართლოსის მიწის, ძველი შეტების, თეთრი სიონის, ბაგრატიონთა შარავანდელის და სხვ. შრავალი ძვირფასი მარგალიტების სურნელება დიდის შორეულელობით არის მოცემული, ცხადია პოეტი აქვე ლაპარაკობს, რომ სიბნელეს სცვლის სინათლე—მტკიცედ მყიდრდება რკინა, რადიო, შვეიდობა—რომ „დგანან მუშები დირიფორებით“. პოეტი, ცხადია, მომხრეა, რომ „მზროლავ პატრუქის უშნო ხამხამი“ შეიცვალოს ელექტროს შუქით. ის ხედავს მტყვრის ბეტონის უნავირიან რაშს და კიდევაც უმღერის მას. ალ. აბაშელი „გაბზარულ სარკეშიც“ ამჩნევს ღიად ცვლილებებს. ის მომხრეა და თანახმაა რომ:

„რკინის აგვიდან ჩაქრული მტყვრიდან
მოყარდეს ელვა ნიღვარული
და შემოვიდეს ოთხივ კარადან
შრომა, სინათლე და სიყვარული“.

მაგრამ ამ სიმღერაში კონკრეტული საბჭოთაა შინაარსის რევოლუციონერ მიზან-მიმართებას ვერ ვხედავთ. სინათლის მომხრე ყველას შეუძლია იყოს, თანამედროვე მიღწევებით ყველას შეუძლია ისარგებლოს. კინოსა და რადიოს კაპიტალისტურ ქვეყნებში—სიბნელის მოციქულები მშვენივრათ იყენებენ რელიგიური ბანჯის გაერყელებისათვის. უმთავრესი სოციალურ მიზნებშია. აბაშელის ლოზუნგები „შრომა, სინათლე და სიყვარული“ არაფერს არ ლაპარაკობენ. ეს ზოგადი ბურჟუაზიული და უკეთეს შემთხვევაში აპოლიტიური ლოზუნგებია. „შრომა, ერთობა, თავისუფლება“ და მისი—აბაშელის რედაქცია—ეს გაცვეთილი ფიტულებია რომლებშიდაც ყველაფერია, გარდა სოციალიზმის მშენებლობისა. ასეთი გაცვეთილი დეკლარაციებით აბაშელი პროლეტარიატის იდეურ პოზიციებთან დაახლოვებას ვერ დაამტკიცებს. ის პირიქით, ამტკიცებს—როდესაც 1929 წ. აწერს ხელს ყველა თავის რეაქციონერ გამოსვლებს, ლექსებს და მოლიანი წიგნის სახით აწოდებს საბჭოთა მკითხველს.

წარსულის იდეებით ცხოვრება—მისი აწმყოში გადმოტანა, თავის შემოქმედებითი პოლიტიკური გზების გადაუფასებლობა—აი რას ამკლავნებს ალ. აბაშელის წიგნი „გაბზარული სარკე“. ეს თვისება მან ყველაზე უკეთ გამოამკლავნა უკანასკნელათ გამოქვეყნებულ ლექსში:—„ახალგაზრდობას“. აქ პოეტი აყუდრის ახალგაზრდობას თავის წარსულ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას; ამტკიცებს რომ დღევანდლობის ბრწყინვალე შენობაში—მისი

აგურებიც ურევია და რომ უმისოთ „ქართულ პოეზიის ბეჭედი“ მისი წინადადება შემოაქვს დაეფიქსირებინა დაეფიქსირებინა მოგსპოთ „შენ ჩემობია“ და „სიყვარულს დაუთმოთ ადგილს“ ეს წყნარული იდეების პროპაგანდაა. კლასიური მშვიდობიანობის—ხავეის დამკვიდრების ცდაა. ცხადია, რომ ეს ჩვენთვის ყოველათ მიუღებელია. ბოლშევიკური პირდაპირობა ვერავითარ იდეოლოგიურ დათმობაზე და შემრიგებლობაზე ვერ წავა. ალ. აბაშელი კი ასეთ წინადადებით ამტკიცებს რომ ყალბ გზაზე სდგას. იმის მაგიერ, რომ საკუთარი წარსული გადასინჯოს, უარყოს ყველაფერი ის, რაც მასში რეაქციონერია და გაბედულათ დადგეს რევოლუციონერ თანამედროვეობის საფუძველზე—ის სცდილობს წარსულის ჩვენთვის თავზე მოხვევას, თავის გამართლებას და ძველი იდეების პროპაგანდას. ეს გზა კი პოეტს პროლეტარულ რევოლუციონერთა მებრძოლ რიგებს არ დაასლოვებს. თუ ის ორგანიულათ შეეცდება თანამგზავრობას, მას დასჭირდება წარსულის გადაფასება და თავის დღევანდელი იდეური პოზიციების ნათელი გარკვევა.

ახალ ქართულ მწერლობას, აბაშელის წიგნი მხატვრული თვალსაზრისით ბევრს არაფერს მატებს. პოეტის ფორმალური გამორკვევა და ზრდა დიდი ხანია დასრულებულია. აბაშელი ლექსის კარგი და თავისებური ოსტატია. მისი სტრიქონები გამოკვეთილი და დაწმენდილია. მაგრამ ეს საფეხური პოეტს კარგა ხანია მიღწეული აქვს და შემდგომი განვითარება აღარ ეტყობა. აბაშელის „შხის სიცილი“-ს დროინდელი განყენებულობა და სიმშრალე ენაღაც დამახასიათებელია. პოეტს აკლია ემოციონალურობა; სჭარბობს ზოგადი დეკლარატიული განცხადებანი, მსჯელობა. აბაშელს აქვს თავის მხატვრული კულტურა; თავისუფალია მყვირალა ლიტერატურული უფიცობისაგან და არქაიულობისაგან, მაგრამ ეს მხატვრული კულტურა იმდენათ მოწინავე არ არის, რომ სანიშნულათ გამოდგეს ახალი და, მით უმეტეს, პროლეტარული პოეზიისათვის. შემცდარია ის აზრი, რომ ვითომც—და აბაშელი უკულტურულესი პოეტი იყოს. აბაშელს საკუთარი პოეტური შტამი აქვს გამოუმუშავებული, რაც ცუდათ ახასიათებს მის შემოქმედებით შესაძლებლობას.

ასეთია „გაბზარული სარკის“ ავტორის საზოგადოებრივი სახე და ხედვითი წონა 1929 წლის ლიტერატურულ წელში.

ქართული ლიტერატურა დღესაც მხატვრული პროზის სიღარიბეს განიცდის. ჯერ კიდევ არ მოსულან ისეთი მწერლები, რომელნიც მხატვრულ სახეებში აამეტყველებენ თანამედროვეობის მდიდარ და გრანდიოზულ მასალას. ჩვენ მწერლობას აკლია საზოგადოებრივი აღლო და სიმბავილე. დაჩაივდა და მხატვრულადაც გადაშენების გზაზე დადგა მემარჯვენე ფრთა. ენა ებლუკებათ და აზრი ებლანდებათ, ე. წ. „თანამგზავრ“ მწერლებს (თანამგზავრი ბრძოლებში ბ.).

ჩვენ შორს არ წავალთ და არ მოვინატრებთ კლასიკებს;—არ ვაეიხსენებთ გიორგი წერეთლის დიდ სოციალურ ტილოებს. ე. ნინო შვილის მებრძოლ რევოლუციონერის სიძულვილით ანთებულ, საბრალმდებლო-მხატვრულ სახეებს. ჩვენ გულამოსკვნილი არ ვადმოვისვრით საყვედურებს შესახებ იმისა, თუ სადღაა დავით კლდიაშვილის მახვილი-სოციალური სატირა, წარსულის

მაშთების დაუნდომელი გამათრახება, მათი შეუდარებელი ვაჭარბუნებულობა. ამას ვილა მოთხოვს ასეთი მწერლების უღიარს შემეკიდრებებს. მესმის მათხლოდ სუროგატული მინიატურებია, ამ დიდი საზოგადოებრივი ალღოს მჭონე მწერლების. მართალია აღ. აბაშელი როდესაც ამბობს:

„ო, რა ჩვერია, მწველი და მკაცრი
მროთა საზღვარზე შემოღამება“.

აი სწორეთ ეს „საზღვარზე შემოღამება“ ამ ხალხის „ტრალედია“. ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელთა დიალექტიურ შემეკიდრებათ, ეს ხალხი არ ვამოღდა. მით, პირიქით, დააჩინა, ექს და ამოსწვეს რაც კი კარგი ტრადიცია ჰქოდა ქართულ მწერლობას. მათზე იმედების დამუარება ამო არის, მათ მაგიერ უკვე მოღის სხვა ხალხი, სხვა სიმღერებით. პროლეტარულ მწერლობის ახალგაზრდობა დაიპყრობს ქართული მწერლობის ნახევრად ცარიელ ადგალებს. თანდათანობით შეიქმნება საბჭოთა მწერლობის ახალი კადრი. უსაფუძველოა ფიქრი, რომ იმავე ძველი შემადგენლობით, შეიძლება დეს ქართული მწერლობის უნიტობის, კრიზისის და ჩამორჩენილობის დაძლევა.

ჯველანზე რთული და სუსტი სფერო მხატვრული პროზაა. გრივალ რომაქიძის „გველის პერანგი“, კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“, შ. დადიანის „უბედური რუსი“, ვ. ბარნოვის—საშუალო სატექნიკების რომანები—საბჭოთა მწერლობის აქტივში არ შეღის. საბჭოთა მკითხველი მათი მომხარებელი არ არის. ეს ნაწარმოებნი მხოლოდ დოკუმენტებია ახალი მწერლობისათვის და არა მისი მამოძრავებელი, მოწინავე საფეხური—როგორც იდეური, ისე მხატვრული თვალსაზრისით.

ამო ვამოღდა ის იმედებიც, რომ ვითომცდა მწერალი მიხ. ჯავახვილი შესძლებდა ქართული პროზის კრიზისიდან გამოყვანას. მისი ვებერთელა, ბუღვარული „კვაჭი კვაჭანტრაძე“ დიდი ხანია საუტილიზაციო ნედლეულათ არის ტყველი. მან რამოდენიმე ანტისაბჭოთა მდარე პასკვილის შემდეგ და პარალელურად,—ქართული პროზა გამოთავფანებულ ობივატელობის სათარეშო ვახადა. აქტიური რეაქციონერობა და შესწანური გემოვნება—აი როგორი ტვითით გადაეღდა მწერლის შემოქმედება 1929 წელში.

ჯველა სხვა თვისებებთან ერთად მიხ. ჯავახვილი გამოიჩინევა დიდი ნაყოფიერებით. ვასულ წელს კი ეს ნაყოფიერება შედარებით შენელებული იყო. მწერალმა გამოაქვეყნა ორი მოთხრობა და „არსენა მარაბდელის“. ორი თავი.

ყოფილი ადამიანის, სალახანა მათხოურის, სასაფლავის ბინადარის—„გივი შადურის“ ბანალური თავგადასავალი—აი რა არის მწერლის სტიქია, „სიყვარული“ და შესაძლებლობა. ვასული წლის დასაწყისში მიხ. ჯავახვილმა დაბეჭდა „გივი შადურის“ ციკლიდან მოთხრობა „წითელი ღილი“. აქ უმაღლეს წერტილზე არის აყვანილი მწერლის ობივატელური გემოვნება, სწრაფვა და მონღომება: ასიამოვნოს, გაართოს, გააღიზიანოს შესწანინი; მისცეს მას ადვილათ საკითხავი მასალა („Легкое чтение“) და თან გააყოლოს სათანადო დოზით დაცემულობის „ფილოსოფია“.



სად ცხოვრობს ეხლა გივი შადურის, რომელიც ქართული მხატვრობის და პოეზიის თაყვანისმცემელია; მწერლებს, ყარაშინებს, გარდამკვეთებს და სულის მდევებს უწოდებს, სასაფლაოა მისი სადგური და იქვე ხედება საქეიფოდ მისულ მწერლებს. იქვე მოუთხრობს თავის „რთულ“ თავგადასავალის ეპიზოდებს. ეს სასაფლაოზე შეხვედრა, ის გარემოება, რომ სასაფლაოს ბინადარი თაყვანისმცემელია ამ ქართველ მწერლების, რაღაც სიმბოლიური ნიშანია, სული სულს იცნობსო და თავის თავად გვეძალება ის მოსაზრება, რომ აქ შემოქმედებით ნათესაობასთან და იგივეობასთან გვაქვს საქმე. ყოველ შემთხვევაში თვით ჯავახიშვილი ამას „ბრწყინვალეთ“ ამტკიცებს. მისი „მხატვრული სიძლიერე“ უმაღლეს წერტილს აღწევს როდესაც ის შადურს სასაფლაოზე გასვენებაზე და „ყოფნა-არყოფნის“ საკითხებზე ალაპარაკებს. დასაფლავების მგლოდია ნაირ-ნაირ ტონებში ლივლივებს შადურის მონოლოგში:

„რომ მოვდებდი, მუხის ფიცრებში ჩამკვდით, ეგბო ქართულ საძნე ურემზე დასდეთ და ცხრა უღელი ნასტყნაოხი დეე-კამერი შეშობით. დამსაფლავეთ ეპოქალურათ ზერნით, თარით, დუღუჯით და შოპენის მარნით. ზედ ქვა დამადეთ და წააწიეთ: „გივი შადური—აჟარა—Kien Nihil—არაფერი“. ასეთი წარწერა ჩემსთანა არარაობაზე უდე-გამოტრადი იქნება, რადგან ეპიტაფია არარაობის კვილია, წყურვილია მარადიულობისათვის“.....

და ასე დაუბოლოვებლათ ანვითარებს შადური თავის მოსაზრებებს.

გასაოცარია—მაგრამ ფაქტია, ის, რომ სასაფლაოს მწერლობასაც ამკვიდრებს ჯავახიშვილი. დასაფლავების „რომანტიკას“ მთელ ფურცლებს ანდომებს. გასვენების პროცესიას აწყობს საბჭოთა მწერლობაში. ის იმდენათ გაკადნიერებულია, რომ ამ სასაფლაოების მწერლობას აწოდებს საბჭოთა მკითხველს. ეს მაშინ, როდესაც უკვე დგება საკითხი, სინამდვილეში მოისპოს საშუალო საუკუნოების მისტერიები, ყოველ დღიურად რომ იმართება ჩვენს ქუჩებში, გასვენების პროცესიების სახით.

ყოველი წუთი მშენებლობის ენტუსიაზმითაა დატვირთული და მწერალი კი საბჭოთა ჟურნალის ტრიბუნადან დასაფლავების მისტერიებზე „ფილოსოფოსობს“. ეს საარაკო სიწილუნგია და მასხარათ ავდებია. უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მხატვრული ღირსების, მწერალი, რომელსაც ოდნავი უნარი, პასუხისმგებლობა და საზოგადოებრივი შეგნება აქვს, არ დაიწყებს ვაცვეთილ, ათი ათასჯერ გადაღუქილ მოსაზრებათა დაუბოლოვებელ ცოხნას.

ვის აინტერესებს, ვისთვის იწერება შადურის ეს ლაუბობა (ან და მთლიანათ თვითონ შადური).

„ყოველფე ამო იყო და მხოლოდ ამოვება: ჩვენი გაქნად, წუთიერი სიყვარულსკ.. წამიერი ვარამიც და არაა იყო და არცა არის რამე ამ ქვეყნათ, არცა იმ ქვეყნად, გარდა პირდაღებული შავი უპირო, უსახლერო მარადიული არარაობისა“

„საიდან, სად, ვის, რატომ და რისთვის“.....

ვის აღელვებს, ვის უნდა სალაზანას გაუთავებელი და უთავებლო მსეველობა. ეს „ფილოსოფია“ ვაცვეთილია, გადაღუქილია. შეტად მდარე და პრიმიტიულია. დამახასიათებელი ის არის—თუ ამ გამოტირილისათვის, როგორი დრო შეირჩია შადურმა და მისმა მწერალმა.

ასეთი განწყობილებანი და ფიქრები ებადებათ „სახელმწიფო მშენებელ“ მგზავრებს, კლასებს, რაც აღსასრულის სიმპტომაა.

მესიანურ ბულეარულობასთან ერთად, ჯავახიშვილმა შესძლო მკაფიოდ გამოეხატა დაცემულობის სულისკვეთებანი. მან სასაფლაოზე მონახა შადურის უკანასკნელი საქმე, საფლავის ქვებისათვის წარწერების შეთხზვა, ეპიტაფისტობა. ეს „ხელობა“ ძალზე წააგავს ჯავახიშვილის და ბევრ სხვა მწერლების შემოქმედებით მუშაობას. ისინი, ხომ უმთავრესად „გარდაცვლილ თაობათა“, ყოფილი ხალხის, წარსულის მხატვრული ძეგლის დანდგმელებია. ისინი ხომ ეპიტაფიას, წარწერებს უჭეთებენ იმას, რაც იყო, რაც უკვე ისტორიას ჩაბარდა. განსხვავება მხოლოდ შეიძლება მისში იყოს, რომ მწერლებს ტენდენცია აქვთ გააცოცხლონ ეს მკედარი ნაშთები. ჯავახიშვილი შადურთან ერთად დაინტერესებულია ეპიტაფიის განვითარების გზებით. შადური სწუხს რომ ცვლილებები საფლავის წარწერებშიაც იჭრება.

„ეპიტაფისტო მინე კედება, მეგობრებო! ფერადოვან სიტყვას ფასი დაეკარგა. მსტქანსა და ნახ გამოთქმას ყველა ერთდება. ესღა ყაზარული მარტივობა დამკვიდრდა. უბრალოდ აწერენ ქვაზე ან თუნუქის ფირფიტაზე: „ენაო ჩიკირაძე“ ან „პეტრე ჭიპაძე“—და ორ თარიღს ჩანიშნავენ: დამადებისას და სიკვდილისას. გეგონებთ ვაჟაფშაველა, ილია ქაჭკაჭავაძე ან აკაკი წერეთელიაო და მაღვ ისეთი დროც მოვა, როცა საფლავებზე ასეთ წარწერასღა იპოვიეთ: „დაამოიანი № 1—3—7—89, ალარც გვარი, ალარც სახელი, არცა სქესი, დეარცა თარიღი“ (ხახი ჩვენია).

ხედავთ რაოდენ დიდი საკითხებით არის დაინტერესებული ეპიტაფისტო-მწერალი. თქვენ ჰკონიათ, ის მხოლოდ საფლავებს ჩაჰკირკიტებს; მხოლოდ წარსული აინტერესებს? სრულებითაც არა. მას პერსპექტიული განკვრეტის უნარი „გამახვილებული“ აქვს. მას აღელვებს ეპიტაფიის „ბედი“, მკიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. აქ ეპიტაფისტო მწერალი თავის საზოგადოებრივ სახეს ამკლავებს. მისი აზრით მომავალში ადამიანები დანომრილი იქნებიან. გაქრება ინდივიდუალობა, გვარი, სახელი, სქესი, დრო. მათ აღვიღს დაიჭერს მექანიკური-სტატისტიკური ერთეულები. ცხადია, რომ დასაფლავების რეგისტრაციაც ამ წესით იქნება. რა არის ეს—შადურის დამფრთხალი ოხუნჯობა, შიში თუ ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა, გაგებამ? ორივე ერთად. ის მწერლები, რომელნიც კიაღლებით სავსე აკლდამიდან უცქერიან თანამედროვე ცხოვრების განვითარებას, მომავალს სხვა გვარათ ვერ წარმოიდგენენ. უბადრუკნი, საცოდავნი და სასაცილონი არიან ის ხალხი, რომელთაც ეპიტაფისტობა შერჩათ ხელში, სასაფლაოს თულსაზრისით უცქერენ ცხოვრების მსვლელობას, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ისინი ახალის „ეპილის გაკვრას“, კიდევ ცდილობენ. ეს თვალსაჩინოთ მკლავნდება ყოფილი ხალხის და მათი მწერლობის სულელურ პასკვილებში—ამ ახალის, მომავლის წინააღმდეგ, ამის ნიმუშია, თუ გნებავთ, სასაფლაოს გმირების წარმოდგენაში—მომავლის ადამიანი ლია: № 1—3—79“. და სხვ.

ჯავახიშვილის მხატვრობა იმაში გამოიხატება რომ ასეთ ფილოსოფიასთან ერთად „სიყვარულის“ მრავალნაირი განვითარება და ხლართები გვიჩვენოს.



მის სრულებით არ აწუხებს თუ ეს მარადიული „ხლართები“^{საქართველოს კულტურის} კვლევა. უცვლელია, ყველასგან გაცვეთილია. მთავარი მიზანია ამ სიყვარულის, გამჭრთაობით დაინტერესოს, გაიტაცოს თავის შვითხველი. ამისთვის ის სათანადო კოლორიტიან ფერებსაც მიმართავს. აქ კი იწყება ჯავახიშვილის მხატვრული შედეგები:

„ქალი მეწვა გვრდიო—ღუთმა-ნესკივით შწიფე, ნოფიური და სურნელი, ამიტომაც აღარც მე გაეინახე და აღარც იმას ვახეფნივ“.

ეს ჯავახიშვილის სტილია. მისი „მხატვრობის“ მწვერვალია. რამდენათ ვულგარული უნდა იყოს მწერალი, რომ ქალი „მწიფე ღუთმა-ნესკეს“ შეაღაროს. ჩვენ ამით მწერალს „ტან-წერწერ-ლერწამის“ ესტეტიკას კი არ ვთხოვთ, არამედ მიუთითებთ, რომ საჭიროა მხატვრული აღლო, ზომა. ეს კი ჯავახიშვილს აქვია. ის იმდენათ გატაცებულია გაუმადლარ („Однако“) მესჩანინის გემოვნებით, რომ თავგამოდებით ცდილობს მონახოს მის „სულისკენ“ რაც შეიძლება მოკლე და მომქმედი გზები. ამით მივიღა „ღუთმა-ნესკემდე“ და არა მარტო „ღუთმა-ნესკემდე“, არამედ სხვა უფრო მეტ „გულახდილ“ შედეგებამდე.

„წითელი ღილი“—კვინტ-ესენციაა მის. ჯავახიშვილის ობიექტულურ „მაღურიანის“.

მოთხრობა „ფინჯანი“-თ მწერალი ცდილობს გვიჩვენოს ემიგრანტის ლტოლვა საბჭოთა საქართველოსკენ. აქ სპეცების სხვადასხვა ფენების სქემები არის მოცემული. ემიგრანტი კერამისტი უბიძე—საბჭოეთში დაბრუნებული და მისი მეგობარი ლევანი ერთგულათ მომუშავე საბჭოთა ხელისუფლებასთან. მათ უპირდაპირდება გაურკვეველი პროფესიის სარდიონი, რომელსაც ჯოჯოხეთად ეჩვენება საბჭოთა სინამდვილე და გარბის საზღვარ-გარეთ. მწერალს ამ მომქმედ პირთა მხოლოდ პირველ-დაწყებითი სქემები აქვს მოცემული. არ არის მხატვრული დამაჯერებლობა. საერთო ფონი ფრიად უფერული და ფერმკრთალია. მწერალმა ვერ შესძლო ეჩვენებინა ის ფსიქოლოგიური გარდატეხა, რომელიც ხდებოდა ემიგრანტ უბიძე-ში და რამაც მას გადააწყვეტინა საშობლოში დაბრუნება. სათანადო გარკვეულობა არა აქვს ემიგრანტის დაბრუნების მოტივებს. ო! მართალია, მას ახელმძღვანელებს მშრომელი ხალხის სამსახურის სურვილი, მაგრამ ეს სურვილი ზოგადია, ჩვეულებრივი გამდიდრების ხაზით წამართულია. არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი, რომ ის მოდის და იწყებს მუშაობას იმ ქვეყანაში, სადაც შენდება სოციალიზმი. უბიძე ოცნებობს, რომ მისი გამოგონების საშუალებით:

„ყოველი მხრივან მღლიარდება წამოუა. ათიოდე წელიწადში ჩვენს თავს ჩვენც კურ ვიცნობთ. ქვეყანას ბადესავით დაქურავთ ქარბნებით, გზებით, არხებით, სკოლებით, სამეურნალოებით; ხალხი ჭკუქს მოიცილის, უმეცრებას ჩამოიოცხვავს, გასუქდება და... ამერიკას გაუსწრობს“.

ჯერ ერთა, რომ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა შემთხვევით გამოგონებებს არ ეყრდნობა. სოციალისტურ მშენებლობას მეცნიერული საფუძველი უდევს და ის წარმატებით იწარმოებს მაშინაც თუ ასეთი „მაშველი“ ემიგრანტი გამოგონებლები არ აღმოჩნდებიან; დაუშვათ რომ მწერალს

ეს გამოგონება სჭირდება გმირის დახასიათებისათვის. ეს ხერხები ყველაფერი და საესებით მისაღები, მაგრამ შეორე და მთავარი ამ შემთხვევისათვის არის, რომ შუბიძის პროგრამა ჩვეულებრივი ლიბერალური პროგრამაა. „ხალხი კუქკის მოცილის და გასუქდება“—ო. ჩვენს წინაშე „სიმსუქნის“ პრობლემა კი არ დგას, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობის სოციალისტური ორგანიზაციის. შუბიძისათვის კი „გასუქება“—პოლიტიკურ მიზნების გარეშეა. ემიგრანტის დაბრუნების მიზნებით ბუნდოვანად აქვს გაშლილი ავტორს. შთაბეჭდილება რჩება რომ ემიგრანტი ბრუნდება იმიტომ რომ მას მოსწყინდა საბჭოეთის დამარცხების დაუსრულებელი ლოდინი, დაკარგა რწმენა—რომ ოდესმე დაიწყება ომი და გამარჯვებულნი სამშობლოში დაბრუნდებიან, ის ფიქრობს, სწონის:

„თუ მართლა დღეს თუ ხვალ, ან თუნდაც ერთი წლის შემდეგ ომი იქნება, ეგებ სჯობდეს.

და უცებ მტკიცედ გადასჭრა:

„არა, არა შეგრა. ისინი, პარიზში რომ დავტოვე, მუდამ ომს ნატრულობენ, რადგან გამარჯვებული ომია მათი მხნელი, მაგრამ ესენი?.. ესენი ომს ჰირსავით ერიდებიან“..

შემდეგ ავტორი ლაპარაკობს თავის გმირის მაგიერ:

„ნოდარ შუბიძეს კი აღარ შეუძლიან უთავბოლო მოცდა, აღარ ძალუძს ღანდების დევნა, დრუბლებში ფრება და მომჯინებთან მუდმივი ბრძოლა“.

და ამდაგვარი გადაწყვეტილებით: შუბიძე ჩამოიღის საქართველოში. ჩვენ შეგვიძლია ავტორს მიუთითოთ იმ ვარემოებაზე, რომ საბჭოეთს ასეთი იძულებითი შეგობრები არ ესაჭიროება. ომის დროსაც ჩვენს რიგებში რომ იქნება მაშინ არის ის ნამდვილი საბჭოთა მოქალაქე. შემდეგ შუბიძე აცხადებს, რომ მან თან მოიტანა „სრული ლოიალობა, სრული ერთგულება“, მაგრამ მწერალმა ვერ შესძლო ამ განცხადების დამაჯერებელი დასაბუთება.

მიუხედავად ამ მრავალი ბუნდოვანებისა საჭიროა აღინიშნოს რომ „ფინჯანი“ ჯავახიშვილისათვის დადებითი ნაბიჯია, მისი მხრივ ეს ცდა საბჭოთა ხაზით გამორკვევის.

„არსენა მარაბდელი“ დაუსრულებელია; ამიტომ მასზე ლაპარაკი ძნელია და ნაადრევია. თვით ფაქტი ასეთი თემის აღებისა, მოწმობს მას, რომ მწერალი გაეცა თანამედროვეობის აქტუალურ, ძნელ და „საშიშარ“ თემებს. ბატონ-ყმური ურთიერთობის ჩვენება შედარებით ადვილია. აქ საკითხები გამორკვეულია დამუშავებულია. თუ ილია ქაეკავაძე ისეთი სიძლიერით ებრძოდა ბატონყმობას, თანამედროვე მწერალს ჯავახიშვილს რათ უნდა გაუჭირდეს ბატონ-ყმობის ნამდვილი ურთიერთობის ასახვა, როდესაც ასეთი დიდი ლიტერატურული შავალითები აქვს და „დისტანციაც“ დაცულია“. ჯერ-ჯერობით „მარაბდელი“ დამაკმაყოფილებლათ არის დაწერილი. ნაგრძნობია ბატონ-ყმობის უკუღმართი სათავეები, მაგრამ მის მომავალ განვითარებაში გადამაზინჯებათა შესაძლებლობა გამორიცხული არ არის. პირველ ნაწილშივე რამოდენიმეთ უკვე იგრძნობა თავადობის იდეალიზაციის ელემენტები. ეს თუ განვითარდა, მივიღებთ სულ სხვა გვარი იდეების ნაწარმოებს რაც ჯავახიშვილისაგან მოულოდნელი არ იქნება.



გასულ წელს არც კ. გამსახურდია გამოირჩეოდა და მისი მწერლობის ბიტი ნაყოფიერები: საერთოდ ხაზი უნდა გაუსვიათ ზოგიერთ მწერალს ხელოვნურ გაბერვას. გამსახურდია არასოდეს პოპულიარული მწერალი არ ყოფილა და არც ეხლა არის. უკანასკნელ ხანებში ესოდენ გაზვიადებული ხმაური რომ იყო ატეხილი მისი მოთხოვნების ირგვლივ—ეს უნდა მიეწეროს არა მათ დიდი საზოგადოებრივ და მხატვრულ ღირებულებას, არამედ იმ პროვოკაციულ და კონტრევოლიუციონურ დებულებებს, რომელნიც მათში იყო გაბნეული. საერთოდ აღებული ეს მოთხოვნები უმნიშვნელონი არიან და ამდენი ყურადღება სრულებით არ დაუშახურებიათ. გამსახურდიას ერთადერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები ეს „დიონისოს ღიმილია“, ის ნახევრად მემუარულია. მწერალი ამ ნაწარმოებში თითქმის ამოიწურა. ეს რომანი გაელენთილია დეკადენტური და რეაქციონური განწყობილებებით; მასში უმთავრესად ყურადღებას იქცევს სტილისტური ძიება,—ფორმალური ექსპერიმენტები. საერთოდ „ღიმილი“ სანიმუშო ნაწარმოებია მწერლობის—გადაგვარების და გაურკვევლობის გზაზე მდგარ ფენისათვის.

გამსახურდიას შემდეგი მოთხოვნები—მწერლის პატარა იდეების—რომელნიც მრავლათაა გაბნეული უფრო ვრცელ დღიურ „დიონისოს ღიმილში“—ცოცხალ სახეებში ჩამოყალიბებას ფიქრობენ. მწერლის მიზნების რეზონანსი და მხატვრული დამაჯერებლობა მცირე ზომისაა.

ამავე ხასიათისაა გასულ წელს გამოქვეყნებული ორი მოთხოვნა: „ქოსა გახუ“ და „დიდი იოსები“. პირველი მოთხოვნა იგივე ფეოდალური რომანტიკაა, მხოლოდ შებრუნებული. აქ უკვე ჩენი დღეების მომსწრე ფეოდალების ნაშთია აღებული. ბატონიშვილის უკანონო შვილი, ხასიათით, ტყვეობით და მთელი არსებით „ძველი რაინდები“-ს თანამედროვე ვარაიაციაა. ეს არის მანუხარ ბატონიშვილის შვილი ტაგუ სამუგია. მწერალი დიდი შურუნველობით გვიჩატავს თავის ეპოქას გადაცილებულს—ამ ცოცხალ ანახრონიზმს. ეს ხომ მისი ორგანიული საქმეა, პირდაპირი თემაა. წარსულის მწერალი წარსულის ნაშთებს ეძებს თანამედროვეობაში. იპოვა ასეთი ჯერ კიდევ ცოცხალი ნაშთები და აღფრთოვანებული გაიძახის:

„მომეცით მე ჯადოსნური ძალა თავისი თავგადასავალი ეპოქისათვის ტაგუ სამუგიას.

თუ რამდენი უკუღმა დაჭვლილი ცენი გამოუყვანია ენგურს გადაღმა. რამდენი გადაუსმამს სუანეთს, ვაბარდოს, რამდენი ქალის მოტაცებაში სდებია წილი და ამ ახარტულ საქმიანობის პროცესში რამდენი კაცო გაფხვანია „ქოთნების საკეთებლად საიქიოს“ (მისი სიტყვებია).

და მე ფოთოდ დავსწერი ამ მასალებისაგან მოვლს ეპოქიას“.

ეს ჯადოსნური ძალა საბჭოთა მკითხველის საბედნიეროდ მწერალს არა აქვს. „გრანდიოზულ“ ფეოდალურ რაინდობის ეპოპეიას ის ვერ სწერს, მაგრამ რამდენადაც შეუძლია, ამ მოთხოვნაში აჯახიროებს „გმირი“ ტაგუ სამუგეას ამბავს. ფეოდალების მწერალი მოგვიტხოვრობს წარსულის დიდების ნაშთის თავგადასავალს, გვაძნობს მისი გმირის ვაჭირებულ მდგომარეობას საბჭოთა სინამდვილეში,—გუშინდელი ნაყმევი გლეხებისაგან შეფიწროებას და ამ „რაინ-

დის“ განზრახვას უჩივლოს კომუნისტებს ინგლისთან, რომ უნდა მოეწყობა ჩამორი დაუბრუნონ. მაგრამ სიტყვა „ჩეკა“ საზღვრის არაქაიტილად წყვეტის შეგნებაზედაც ძლიერ მოქმედებს და ავტორისაგან დაშინებული, ლეგალურად ცდილობს საბჭოთა სინამდვილეშიაც საკუთარ კეთილ-მოწყობას. შემდეგ გრძელდება ისევ თხრობა ნადირობის, ძმად-ნაფიცობის, ქალის მოტაცების ამბების და სხვ. დასურათებულია კიდევ ერთ ფეოდალების დეგენერატული ნაშთი „ქოსა ვახუ“ და ა. შ.

ანალოგიურია მოთხრობა „დიდი იოსები“, აქ უკვე ფეოდალების ნაშთი კი აღარ არის გმირი—არამედ მეკურტნე მუშა—იოსები. მაგრამ ეს მუშაც ისე საცოდავად, მახინჯად ყავს აღებული მწერალს, რომ იგიც წარსულის ერთ-ერთი მახინჯი სახეა. მწერალი ამ ნოველაში მოხერხებულად ატარებს აზრს, რომ ყველანი ადამიანები ვართ და ადამიანური თვისებები ყველასათვის—განურჩევლად კლასისა—ერთია. ამ ადამიანურ თვისებების ქვაკუთხედად კი მას მიაჩნია კერძო საკუთრება. ოქტომბრის რევოლიუცია მოხდა. ბატონები ქალაქიდან გადაიხვეწენ. სოლოლაკის დიდებულებმა დასტოვეს თავის მდიდრული ბინები და შეაზღავს მიაწყდნენ. მეკურტნე მუშა—იოსები შემთხვევით შევიდა ერთ-ერთ მდიდრის ბინაში და მიისაკუთრა ეს ბინა. აქედან იწყება მუშა იოსების გარდაქმნა, იმ იოსების,

რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე პატოიანნი იფლია: მონაპოვარ პურსა სკამდა... არასოდეს სხვის საკუთრებისაკენ ხელი არ გადასცდენია.

მაგრამ მწერლის აზრით კერძო საკუთრების მარადიული გრძნობა სასწაულებს ახდენს მუშის შეგნებაში:

„პირაღმა იწვა დიდი იოსები შეზღოვნებზე. ტკილის ოცნებას ეძლეოდა. არასოდეს გამოვიცადა იოსებ ქველიძეს საკუთარი სახლის სიყვარული.

დღუდიან მის ცხოვრებას ახალი მიმართულება უნდა მიეღო. ამ სატილად კურტანს თავიდან მოვიღებდა, ბინას გააქირავებდა, მარტო ავეყი რომ გავეყიდა, რამდენს ნიშე წელს ვაეც ვყოფოდა.

ახლა კედლის საათები, სამხარეულოს ჭურჭელი, განიერ ჩარჩოებში ჩასმული სურათები, ხავერდის პორტიერები, კარავები, მაგიდები.

და ამ საგნებმა მწკრივით წაიარეს მის თვალწინ.

ენიშნა დიდ-იოსებს თუთუნით გატენილი გემის ამბავი.

უცნაურმა სიხარულმა აანთო მისი მიმჭრალი სულის ოფნავ მბეჭდავი პატრუქი“.

მაშასადამე რევოლიუციამ ამ მუშას კერძო საკუთრების გრძნობა გაუღებდა. რეალურად აგრძნობინა საკუთრების სიტკბოებანი. გამსახურდიას ფილოსოფია აქ ერთ ძირითად აზრისაკენ იხრება. ეს არის ის, რომ ღროთა მსუღელობაში არაფერი არ იცვლება. კერძო საკუთრება მარადიულია. იცვლება მხოლოდ ამ საკუთრების მფლობელნი, არსებითად კი მდგომარეობა უცვლელი რჩება. მუშაც არ შეადგენს გამონაკლისს. აი ნახეთ, მუშა-იოსებმა როგორ შეიფერა შემთხვევითი მემკვიდრეობა—როგორ ბუნებრივად შესძლო მამამისის გებატონის შეცვლა.

„გახსენდა იოსებს, რომ ერთი კარადა გაუხსენელი დარჩა. ადგა, გასაღება ვერ იხევა. შეამტროა კარი.



ფაფაბი, მოძველებული ჩოხა-ახალღობი და სადა ქმარ-მანჯღლი, ვერცხლის ტარიანი დანა-ჩანჯღლები, ვერცხლის ბადები და კოვზები იპოვნა ქვედა განხრებაში. მთავრად, ჩოხა საუცხოვოთ მოფრგო. თავზე ქარვის ფერის მთხრანის ფიხბურა. დადიოდნ იოსები და ბერებრა განიერ კედლის საკრებვის წინ.

რითი არ გავდა მიხაკის ფერ ჩოხაში გამოწყობილი დიდი იოსები, შამა მისის მებატონეს როსტომ წერეთელს. შამაყ სწორეთ ასეთი ჩოხა უცვა. თეთრა მეძებარი გვერდს უმშვენივდა.

მთელი საათები ტრიალდბდა სარკის წინ.

ამ ბატონურმა დარბაზებმა, ამ საუცხოოთ ავეჯმა, ბრკვეიალა ღუსტრებმა, მავერდის მარტივრებმა, ახანაურულმა ჩოხა-ახალღობმა, მონადირე ძალღმა, აუარებელი სიმდიდრის დაუფლებამ დიდი-იოსები წამიერად გარდაქმნა, რადგან საგნები გაბატონდნ მასზე“.

ეს წამიერი გარდაქმნა მუდმივობაში გადავიდა. მოთხრობის შემდეგი განვითარება მხოლოდ ამას ამტკიცებს. აქ მთავარი ყალბი ფულების მკეთებელი მოხელის თავგადასავალი კი არ არის არამედ მუშა-იოსების კერძო-საკუთრების ინსტიტუტის სიძლიერის დამტკიცება. მწერალი სცდილობს დაამტკიცოს ამ ვრძნობის ვადულახველობა. იოსებს რევოლიუციამ მხოლოდ საკუთარი სახლის შეძენის სურვილი აღუძრა—მასზე მეოცნებე გახადა. მებატონე როსტომ წერეთელმა, ჩოხის და მეძებარის საშუალებით მუშა-იოსებში ამოყო თავი. ერთის შეხედვით ეს შემთხვევითი ატავიზმია. მწერალი სცდილობს ამ ატავიზმის დაკანონებას და ამკარად „ქადაგებს“ მის სასარგებლოთ. ის ამბობს თავის თავზე:

„მე მაინც და მაინც დიდ წინანღმდგობას არ ვუწვე ატავისტურ გრძნობებს: (დასთურგნეთ ატავიზმი თქვენს ბუნებაში და კარდონის ადამიანი მფრჩებათ ზღუში)“.

გამსახურდიასაგან ეს საესებით გასაგებია. მისი შემოქმედება და იდეოლოგია ეს ფეოდალიზმის ატავიზმია. მაგრამ აქ საინტერესო ის არის რომ ამ ატავიზმის ფილოსოფიის ყველაზე განზოგადოებას ფიქრობს მწერალი. ნივთების გაელენით მუშაში ძველი მესაკუთრე გააღვიძა და დაიწყო მტკიცება, რომ ეს ნორმალური და აუცილებელი მოვლენაა. ესაა მთავარი დედა-ძარღვი ამ მოთხრობისა. მუშის ბუნების და რევოლიუციის ასეთ გადამახინჯებიდან გამომდინარე მწერალი ანვითარებს სხვა შემავალ რეაქციონურ აზრებს, თავის მოთხრობის „ფსიქოლოგიურ“ დავკირებებში. ატავიზმის კულტის გამო ის თავის აზრების დასასურათებლად, ჩვეულებრივით მიმართავს ბიბლიის ციტატებს. მისი ერთი გმირი აეტარის უზმო თანხმობით ბოდაეს რალაცებს—სიკვდილის შიახლოვების, რისხვის დღის დადგომის შესახებ და სხვ.

„განა ვერ ზედაე ჩემო იოსებო, რომ მთვარე ისე გაწითლდა, თითქოს სისხლში იყოს ნაბანი, ეს ქვეყანა ამეამად შეექვს მოქცივის ნიშანს ქვეს იმყოფება.“

სიტყვა სიტყვით ნავარაუდევია ეს ყოველივე:

„და ვიხილე რაჟამს ალალო შევექსე ბეჭედი და მა რქვა იქნა დიდი მზე შეკმა ვითარცა ძაძა ზღუისა...“

რამეთუ მოვიდა დღე იგი რისხვისა მისისა და ვინ შესაძლებს არს დადგომათ“.

და ასე გრძელდება შავ-წიგნიდან სტუდენტის ამოღებული ციტატები. ეს მხოლოდ ვიღაცის ბოდაეა კი არ არის, არამედ მწერლის შავწიგნური იდეოლოგიაა. ჯიშ-ამოვარდნილ ფეოდალების მწერალი მთვარეულებს ამოქვედებს, მათ ფილოსოფიის გვიშლის და მათ აზრიან მონოლოგებს აზვირებინებს:

„ესულ მარტივი ამბავია, მთავარ პიროვნულს ადამიანებს, იგი თავისი შაბიანი სუნთქვით სწამლავს და აფუჭებს ადამიანის ოცნებას და მერმე მსაქმის მსაქმობილი უსულა რკინასა და რვალს სულს ჩაუღდამენ და ესენი მთავარეჭვით მსაქმის დაიწყებენ.“

ეს ქვეყანა, ჩემო იოსებ, სიზმარსა და ოცნებას უჭირა და თუ ადამიანი ოცნებისა-ვან გამოერკვა, მასაც ისეთივე ფაღუკა მოეღოს, რაფორც გამოფიზლებულ მთავარ-ულს. მაშინ დადგება სწორით დღე რისხვისა, წელან რომ გითხარი იგი დღე, მშა მშას არ დაინდობს და შეიღი მშობელს. ეს ეხლა კიდევაც მოხდა ნაწილობრივ“.

აქ მოცემულია იმ კლასის დეგენერაცია, რომელიც ისტორიის არენიდან უკვე გაყვანილია, მაგრამ ჯერ კიდევ ვიდრე მახსოვრობა მთლად არ ამოშლია, ეს ფაქტი სიზმარი ჰგონია. დაწვრილებით გარჩევას ეს მარგალიტი აზრები არ საჭიროებენ. კ. გამსახურდია თანამიმდევრობას არ ლაღატობს. ექსპრესიონისტულ აზრ-უბდასაც იშველიებს. მანქანაზედაც ფილოსოფოსობს:

„...შორს არაა ის დრო, როცა მანქანა ლეკმა პურს წაართმევს იმავე ადამიანს როცა ყოველ ჩვენგანს შერი კურტანი მოენატრება“...

ასეთია ამ ბედისწერის მარჩიელის აზრები. ვიწრო და პატარა იდეებით იკვებება ეს მწერალი. ეს აზრები ძველთა-ძველია. საუკუნეების ნარჩენების გამოშვეურებით, ატავისტური გრძნობებით სცდილობს მწერალი ორიგინალობას. მაგრამ ეს ორიგინალობა კი არ არის, არამედ დახვეწებული ძაღვებია ცუდით გადანასკველი ურთიერთთან.

კ. გამსახურდია თანამედროვე მასალაზედაც რომ სწერს („დიდი იოსები“), იქაც ირქაიულია. ის არ არის ჩვენი ქვეყნის და ჩვენი დროის მწერალი. მისი იდეოლოგიის მკითხველი თანდათან მცირდება და მწერალს სოციალური ნიადაგი ეცლება. ის უკვე თითქმის პაერში გამოკიდებულია. ამით აიხსნება მისი დემაგოგიური ხელოვნური პოზა, რომელიც ჩამორჩენილ პროვინციულ ლიტერატურულ ქალიშვილებს თუ ააღელვებს. შეიძლება გამსახურდიას რეაქციონური იდეები, დრო და დრო, მოკავშირეებს პოულობდეს, მაგრამ ეს მწერლის დიდ საზოგადოებრივ ინტერესს არ ამტკიცებს. რამდენადაც პატარა და უშნოთ გამოთქმული არ უნდა იყოს რეაქციონური იდეები, კლასიურ საზოგადოებაში მათ მოკავშირეს მწერალი ყოველთვის იპოვის.

მწერლობაში კ. გამსახურდიას რეზონანსი განსახლებულია და იგი თანდათანობით მცირდება. ეს სავესებით ბუნებრივი მოვლენაა.

ასეთი „განსახლებულობა“ მხოლოდ გამსახურდიას „ბედი“ არ არის. მთელი რიგი მწერალ-პოეტებისა ასეთსა და უარესს მდგომარეობაში იმყოფებიან. ჩვენ დასაწყისში აღნიშნავდით მწერალთა მნიშვნელოვანი ფენის შემოკმედებითი გამოფიტვას და ვამტკიცებდით, რომ ბევრი მათგანის ლიტერატურული კარიერა დასრულდა, მათი გამოცოცხლება შეუძლებელია და ახალი მწერლობისათვის არც საჭიროა. დაუბრუნდით ისევ პოეზიას და ამ დებულების საიულისტრაციო რამდენიმე შეგაჩეროთ ყურადღება პოეტ ი. გრიშაშვილის ხედვრითი წონაზე თანამედროვე მწერლობაში.

გრიშაშვილი ფრიად პოპულიარული პოეტი იყო და არის. მას რომ მნიშვნელოვანი პოეტური უნარი ჰქონდა, არც ამაზე დაობს ვინმე. თუ „ნიკიერობა-

ზე“ წავა საქმე—თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ნიკით“ ის გაკეთდა, როგორც სკერბობს მისივე ჭანრის, იდეოლოგიის და განწყობილების მქონე რუსული მხატვრული სივრცის რიგში. დღეს გრიშაშვილი, როგორც პოეტი სავსებით ამოწურული და დასრულებულია. მას მეტის მოცემა აღარ შეუძლია. მისი ლირიკა დღევანდელ მწერლობაში მოკვდა, მოისპო. მისი პოეზია საბჭოთა მწერლობისათვის ანაქრონიზია. გრიშაშვილს დარჩენია მხოლოდ უჭირისუფლოს თავის ლექსებს და მათი ყოფილი „დიდების“ სხივებში მოდუნებული ძელები გაითბოს. თვითველ პოეტს დაუდგება ხოლმე თავის-თავის გადამღერების პერიოდი. გრიშაშვილმა ეს ხანაც კი დაასრულა. დღეს ის აგრძელებს—რანაცად ვზას—თავის „მიღწევებსაც“ კი ანადგურებს, დაჰყავს ის ნულამდე. 1929 წელს მისი სატრფიალო ლექსიკონი ასეთ მარგალიტებამდე დავიდა:

„სადა ხართ, ღამა-ღამებო,

მოდით დამატერეთ ბუნებო,

„მივსეთ ტუჩის ყულაბა

მაგ კოცნის უხალთუნებო:

თორემ ვებრდებით... და ვუღმაც...“ და სხ.

აი, რომ მართლაც—და ბერდებით პოეტო; საქმე იმაშია, რომ უკვე დაბერდით და არ გინდათ შეიმჩნიოთ. ეცხ... სადღაა ახალგაზრდული სიმკვირცხლე... აზრის მოჭინლობა! პოეზიის გაგების თქვენ თვალსაზრისხედაც რომ დაედგეთ; „ოქროს ფეხის“ ავტორის, სატრფიალო პლასტიკითაც რომ აღფრთოვანებული ვიყოთ, მაინც ვულგარულ დისონანსთან გვეხამუშება ეს ბებრული ჩურჩული. „ა-მი-ვ-სეთ ტ-უ-ჩის ყ-ულა-ბაა ა-მაგ კ-ო-ც-ნის უხალთუნ-ებით-ი ი...ი...ი...“ უშნოა. უმსგავსოა. ბანალობის მწვერვალია. გრიშაშვილის პოეზიისათვისაც კი, ეს მხატვრული სიმანხვეა. ამაზე უკეთესს კი პოეტი აწი ვეღარ დასწერს. პოეტს რომელსაც: „ბალღობიდანვე არ ჰქონია, საასპარეზოდ დიდი ფართობი“ დღეს ყოველგვარი გამართლება ეკარგება. გრიშაშვილი თავიდანვე შესწარმობის და ობივაციულობის შესაიდუმლე იყო. ის რევოლუციამდეც ქალის კაბით შემოფარგლული პოეტი იყო. ვასაბჭოების შემდეგ შეეცადა თავის შემოქმედებითი კაპიტალი გაეზარდა ნაციონალისტურ მოტივების ექსპლოატაციით.

შემდგარია ყველა ის, ვინც გრიშაშვილისაგან და ყველა მის მსგავს მწერლებსაგან შემოქმედებითი მუშაობის გაგრძელებას მოელოან. გარდა იმისა რომ დღეს არავის აღარ უნდა პოეტის „მიმიკარ“, „ტყეში წამო“. „ოქროს ფეხი“—თვით პოეტს ახეთის დაწერის უნარაც აღარ აქვს. ცხადია, მას კიდევ შეუძლია რითმების გადაბმა. „ტუჩების ყულაბებზე“ და „კოცნის უხალთუნებზე“ ლაპარაკი, მაგრამ ეს მის პოეზიას ვარდა სიმანხვისა აღარაფერს ჰმატებს. გრიშაშვილი საბჭოთა მწერლობისათვის არ არსებობს და არც არავინ აპირებს მის გამოწვევას დაეიწყების სამყაროდან. რატომღაც თვითონ პოეტს მოიწვევებია, რომ ებანან, უხმობენ გახდეს ახალი დროის პოეტი. ეს არავის უფიქრია. თუ ვინმე ფიქრობს—ძალზე შემდგარია. სოციალისტური მშენებლობის პოეზიისათვის გრიშაშვილი საჭირო აღარ არის. ზაგესს მისი ლექსები სრულებით არ სჭირია. რათ შეიწუხა თავი პოეტმა და დაუწყო ბტკიცება ასოთ-ამწყობს (1929 წ.)—რომ ის არ სწერს იმიტომ, რომ:

„ლეკი მოველდა... და ამის გარდა,
არ ფასობს ეხლა წმინდა ღირსიკა“

ქარქინული
გინგლიჩიძე

სწორია. გრიშაშვილის ლექსი მოძველდა. მისი წმინდა ღირსიკა აღარა-
ფრათ არ ფასობს. კარგია თუ პოეტი კიდევ უფრო მტკიცედ შეიგნებს ამას.
მის ლექსებზე ხალხი არ დამშეულა. იქნება სულ სხვა ლექსები. სასაცილოა
როდესაც ის ფიქრობს რომ:

„მეშა მძლავარია, მაგრამ მერწმუნეთ
ვერ ასწევს მგონის სიტყვის სიმძიმეს“.

პირიქით, გრიშაშვილის პოეზია, ქალის ტანსაცმელის არშიემის სიმშატეს
შეჩვეული, ვერასოდეს ვერ ასწევს მუშის სიმძიმეს. არც გამოჩნდება ვინმე სუ-
ლელი ეს მოთხოვოს მას. გასაკვირია, თუ რადღა გვახსენებს თავს:

„მე შეიძლება ვერ ვსწვრდე ისე,
როგორც შეფრის ახალ დროებას—
ამისათვის უნდა მჩხვლეტდე სადგისებს
და „თანამგზავრებს“ კედში მოვება?!
კარგი, ესაქვით ლექსი ვერ მოგიძღვენიოთ:
ნუ თუ ამიტომ მტერი ვარ თქვენი?“

ვინ გთხოვით მოქალაქე პოეტო—ლექსის მოძღვენას? „თქვენი ხმალი იყოს
და ჩემი კისერი“ თუ მაგას ჟურნ. „ქართული მწერლობას“ რედაქტორის გარ-
და სხვა ვინმე მოიფიქრებდა. ვინ რას გერჩისთ იმის გულისათვის, რომ ახალ
დროებისათვის შესაფერისს ლექს ვერ სწერთ; მხოლოდ შეუფერებელსაც თუ
აღარ დასწერთ ეს სულ უკეთესი იქნება. კარგი იქნება, რომ მოხსნიდეთ
თქვენს პრეტენზიებს. აბა თქვენ თვითონ სიტყვით, ვილას სცალია ეხლა — „ყოც-
ნის უხალთუნების“ პოეტი, შარავანდელით შემოსოს.

დიდებული საქმე დავიწყით:

„ესუმათ ზემთის ჩემათ და ვუჩად,
ვეტბ არხოში ვეითელ ციტატებს,
ო, ნუ ავადებთ ჩემს ნიჭს აბუჩად,
რომ ფლეს ლექსები ვეღარ მიტაცებს...“

მშვენიერია. კარგია. საუკეთესო გამოსავალია თქვენი მდგომარეობიდან.
არბივი და ყვითელი ციტატები—„დროთა საზღვარზე შემოღამების ჟამს“—უკე-
თესი რა იქნება. ჩვენზე ნუ ვილაპარაკებთ; თქვენა ლექსები აღარც თქვენ გინ-
დათ ხომ დიდებულია. მოერიგდით. იქნება თქვენს მდგომარეობაში მეოფნიც
დაითანხმით თქვენს პევიანურ გადაწყვეტილების უპირატესობაში.

ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მოვლენასთან, როდესაც მწერალი
თვითონ ვრძნობს თავის ლიტერატურულ კარიერის დასრულებას. საჭიროა
სხვებსაც დავებმართო ასეთ თვით-გამორკვევაში. ხშირათ ესა თუ ის მწერალი
სდუმს იმიტომ, რომ დაწერა აღარაფრის შეუძლია, მაგრამ ამ დღემლის განსა-
კუთრებულ მნიშვნელობას აძლევს. აუცილებელია ასეთი მწერლობის მზის სი-
ნათლზე გამოყვანა.



ჯერ თვით გრიშაშვილიც სწერს დეკლარაციულ ლექსს, ნებისებრი იმისა თუ ის რატომ არ სწერს ლექსს, ეს რთული და უსაფუძვლო მკვლევარსა და საჭმე გვაქვს პოეტის ავადმყოფურ სურვილთან გაგებასთვის თავი, ვვითხოვს: „მე კიდევ ცოცხალი ვარო“. ამასთან ერთად მას წარმოუდგენია, რომ ვითომც-და ვინმე ებრძოდეს, ჩხვლეტდეს და სხვ. ეს ავადმყოფური წარმოდგენაა. თუ აქვს რაიმე „ბრძოლას“ ადგილი—ეს მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც გრიშაშვილი კიდევ გვაბეზრებს თავს თავის მესჩანურ, კიდევ მეტად გაიაფებულ პოეზიით. ეს „ბრძოლა“ ისეთი კი არ არის, რომ მას რაიმე სერიოზული მნიშვნელობა ქონდეს. ვინ ჭკუათა მყოფელი გაუმართავს ებლა გრიშაშვილს და მის მსგავს ხალხს „ომს“. ფიტულებს არ ებრძვიან. ამ მიმოხილვაში და ც პოეტზე ვლაპარაკობთ, როგორც ჩვენი მიმოხილვის ძირითადი დებულების საილუსტრაციო მასალაზე, რომ ამით ჩვენს მწერლობაში ერთხელ და საბოლოოდ გაიფანტოს ზოგიერთი „გაუგებრობანი“.

ბრძოლის გამართვა საჭიროა მაგრამ სულ სხვა ხაზით. გრიშაშვილს ჯერ კიდევ მკითხველთა მნიშვნელოვან ნაწილს ჩამორჩენილ ფენებში ბევრი თავყვანის-მცემელი ყავს. მას კიდევ აქვს გავლენა. საჭიროა მისი გავლენის ამოწევა, როგორც მკითხველთა ფენებში ისე მწერლობაშიაც. ასეთი ბრძოლა აუცილებელია და გამართლებული. მცირე რიცხოვან სანტიმენტალურ ლიტერატურულ ქალიშვილებში და „ცინ-რახყახი“-ებში ჩვენ მას არ შევედავებით; მაგრამ საბჭოთა და პირველ რიგში ახალი მუშა მკითხველი,—გრიშაშვილის ბულვარულ პოეზიის წყალდიდობისაგან უნდა განთავისუფლდეს. ეს ამოცანა მკვიდროდ არის დაკავშირებული ახალი მკითხველის კულტურულ ზრდასთან.

თვითონ პოეტზე და მის მდგომარეობაში მყოფ სხვა მწერლებზე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ შემდეგი: ყველაფერი სცოცხლობს, ვითარდება, ბერდება და კვდება. ასეთია დიალექტიკის რკინის კანონი. გამონაკლისს არ შეადგენს არც მხატვრული მწერლობა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ბიოგრაფი წერეთელი

(აზროვნება და შემოქმედება)

1.

წელს გ. წერეთლის გარდაცვალებიდან ოცდაათი წელი (1900—1930) შესრულდა, ხოლო მისი დაბადებიდან ოთხმოცდა ოცდა წელი (1842—1930). გ. წერეთელი მე-19-ე საუკუნის ჩვენი მოღვაწეთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც „სამოციანელებთა“ სახელწოდებით არის ცნობილი ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ეს სამოციანელები ჩვენი საზოგადოების მაშინდელმა რეაქციონურმა ნაწილმა დატყვევებით „თერგდალეულთა“ სახელწოდებით მონათლა; ისტორიამ ეს სახელწოდება დაიკანონა, მაგრამ არა იმ გაგებით, როგორსაც მაშინდელი რეაქციონური ნაწილი აძლევდა ამ ტერმინს, არამედ სხვა შინაარსით და სხვა მნიშვნელობით. ჩვენი თერგდალეულები აღიზარდნენ ნი-იანი წლების რუსეთის ახალ აზროვნების ვაჟების ქვეშ და მათ მოინდომეს ამ ახალი იდეების გადმონერგვა და დამყნა საქართველოს ნიადაგზე. ამრიგად, თერგდალეულობა არსებითად ნიშნავს ახალი იდეებისა და ახალი მიმდინარეობის შემოტანას საქართველოში.

გ. წერეთელი ერთი იმ თერგდალეულთაგანი იყო, თომელიც ღრმად შეითვისა რუსეთის ნი-იანი წლების ახალი აზროვნება და მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა მას.

გ. წერეთელმა თავისი ნიჭი და ცოდნა მრავალ დარგში გამოიჩინა. პროფესიის მრავალსახიანობა დამახასიათებელი თვისება იყო მისი ხანგრძლივი მოღვაწეობისა ჩვენს საზოგადოებრივ ასპარეზზე. მაგრამ ეს მართო გ. წერეთელს არ ახასიათებს, იგი ჩვეულებრივი მოვლენა იყო მე-19 საუკუნის საქართველოში: ვერ დავასაბელებთ ვერც ერთ ჩვენ მოღვაწეს, რომელსაც მრავალ დარგში არ ეცადოს თავისი საქმიანობა, არ დაეჭაქსოს თავისი ნიჭი. ეს არსებითად გამოხატავდა ჩვენი ცხოვრების განუვითარებლობას; გ. წერეთელიც ვერ ასცდა ამ საერთო, შეიძლება ითქვას, სენს და მანაც დაუზოგველად დაქსაქსა თავისი ნიჭი სხვადასხვა საქმიანობაში: რედაქტორი, ბელეტრისტი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, დრამატურგი, ბუნებისმეტყველი, პოეტი, მრეწველი და საზოგადო მოღვაწე-თი როგორი „საქმიანობით“ ხასიათდება გ. წერეთლის მოღვაწეობა. რასაკვირველია, ნიჭისა და ცოდნის ასე დაქსაქსაე მოახდენდა ვაჟუნებს თვით პროფეტის ღირებულებაზე. ეს აუცილებლად ამჩნევია მის ზოგიერთ ნაწერს.



ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. წერეთელი-ქადაგსაც არ არის შესწავლილი სათანადოდ. მას უფრო იცნობენ როგორც მწიგნობარს, მაგრამ ამ დარგშიაც იგი ყალბად არის გაშუქებული. რაც შეეხება მის მოღვაწეობის სხვა მხარეებს და განსაკუთრებით მისი აზროვნების განვითარებას და სოციალ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობას—ამ მხრივ იგი სრულიად არ არის შესწავლილი. და უნდა ვსთქვათ, რომ ეს ერთობ ძნელი საქმეც არის მანამ, სანამ არ იქნება სისრულეში მოყვანილი მთელი მისი ნაწერები და გამოცემული აკადემიური წესით. დრო არის მისი დაბადების 88 წლის თავზე საფუძვლები ჩაეყაროს ამ დიდ საქმეს.

როგორც ვთქვით, გ. წერეთელმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო 60-იან წლებში. თუ გვინდა ვავეცნოთ მისი აზროვნების შინაარსი, უნდა გამოვარკვიოთ მაშინდელი ეპოქის შინაარსი და ის იდეოლოგიური ბრძოლა, რომელიც უხდებოდა მაშინდელ ახალთაობის ინტელიგენციას დახვედრული აზროვნების წინააღმდეგ.

მე-19-ე საუკუნის 50—60-იანი წლების ჩვენ ეპოქას სამი დიდი მომენტი ახასიათებდა: 1) ეკონომიურად—კრიზისი ნატურალური მეურნეობისა და კაპიტალისტური ურთიერთობის შშობიარობის პროცესები; 2) სოციალურად—ძველი წოდებრივ-საზოგადოებრივ ურთიერთობის რღვევა და ახალი სოციალური ფენების კონსოლიდაციის დასაწყისი; 3) იდეოლოგიურად—60-იან წლების რუსეთის ახალ მიმდინარეობისა და პროგრესიულ-რევოლუციონური აზროვნების გავლენა ჩვენს ინტელიგენციაზე.

მართლაც, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რუსეთის კაპიტალის შემოქრამ ა/კავკასიასა და კერძოდ საქართველოში ხელი შეუწყო ჩვენი დახვედრული ნატურალურ ბატონყმური მეურნეობის რღვევასა და ჩვენი ცხოვრების კაპიტალიზმის გზით განვითარებას. ყირიმის და მთიელთა ომები ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ერთგვარი ზიძვის წამკვრელი იყო. უკვე 50-იან და 60-იან წლებში ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ნათლად გრძობდნენ, რომ საქართველოში ახალი ეპოქა დაიწყო, ეპოქა ევროპის ცივილიზაციის განვითარებისა. მაგრამ ამ ახალი სამეურნეო ფაქტორის შემოქრამ ჩვენ ქვეყანაში ყველაზე უფრო საგრძნობი შეიქმნა ბატონყმობის მოსპობის შემდეგ, როდესაც გაიყვანეს ჩვენში რკინის გზები, გახსოვდნენ წარმოება, გამოავლენა თაბრიკაქარბნები, ფართო მასშტაბით დაიწყო სამთა-მადნო მრეწველობის განვითარება (ნავთი, მარგანეცი, ქვა-ნახშირი).

ეს ეკონომიური ფაქტორები თავიდანვე ნათლად შეამჩნია გ. წერეთელმა და არა ერთ ნაწარმოებში დაუსაბუთებია ჩვენში ნატურალურ მეურნეობის რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესები, მაგრამ კაპიტალიზმის განვითარება თავის თავად ნიშნავს ძველ სოციალურ ურთიერთობაში ღრმა ცვლილების შეტანასა და ახალი კლასების წარმოშობას. ამ პროცესსაც ვერ ასცდა საქართველო და არც შეიძლებოდა ასცდენოდა: იქ სადაც კაპიტალისტური წყობილება ვითარდება, ბუნებრივად ხდება წვრილი ბურჟუაზიის გაყოტრება, მათი გალატაკება და მათი წრიდან პროლეტარული კლასის წარმოშო-

ბა; მეორე მხრივ, სოციალური ცხოვრების ზედა ფენაზე მტკიცედ და ახალი მებატონე ბურჟუაზიის სახით. აქაც გ. წერეთლის კალამზე უნდა ვხედავთ მისი პუბლიცისტური ნიჭი უფრო რეალური აღლოს მატარებელი: მან ნი-იან წლებშივე შეამჩნია ჩვენი ძველი სოციალური შენობის რღვევის პროცესი და ახალი საზოგადოებრივი კლასების განვითარება.¹⁾

მაგრამ ამ ღრმა ეკონომიურ-სოციალური ხასიათის ცვლილებებს არ შეიძლებოდა თავისი შესაფერისი ცვლილებაც არ გამოეწვია იდეოლოგიის სფეროშიც და სწორედ ამ ცვლილებების შედეგი იყო ის მნიშვნელოვანი გონებრივი მოძრაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნი-წლების საქართველოში. ამ აზროვნების გამოცოცხლებისა და აყვავების საქმეზე აუცილებლად დიდი გავლენა მოახდინა ნი-იანი წლების რუსეთის რადიკალურ-დემოკრატიულმა მიმდინარეობამ. ჩვენი ახალთაობის ინტელიგენცია აღიზარდა რუსეთის იდეოლოგიური მოძრაობის ზეგავლენით: ამ ინტელიგენციამ გადმოიტანა ჩვენში რუსეთის ნი-იან წლების პროგრესიულ-დემოკრატიული მისწრაფებანი. ამრიგად, რუსეთის ინტელიგენციის დახმარებით შესძლო ჩვენმა ინტელიგენციამ ახალ პირობებში ახალ იდეოლოგიის გამომუშავება.²⁾

ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების დიფერენციაცია ნი-იან წლებში უდავო ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს. წინააღმდეგ, ნი-იან წლებამდე, თუ ჩვენ აზროვნებაში გაბატონებული იყო თავად-აზნაურული იდეოლოგია და მხოლოდ კანტი-კუნტად მოსჩანდა ახალი ლიბერალურ მისწრაფებათა ჩანასახი, ნი-იან წლებში ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების აღორძინებასთან ერთად დაიწყო მისი დიფერენციაციის საგრძნობი პროცესი, რაც აუცილებელი შედეგი იყო ჩვენში დაწყებულ სოციალ-ეკონომიური ცვლილებებისა.

ამ მხრივ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ოთხი უმთავრესი მიმდინარეობა ნი-იან წლების ჩვენ ინტელიგენციაში: 1. კონსერვატიული—დამცველი არსებული საზოგადოებრივ ურთიერთობისა და გამოხატველი თ.-აზნაურთა წოდების დიდი უმეტესობის მისწრაფებათა. რეფორმის დასაწყისში ეს მიმდინარეობა მთელი თავისი ენერჯით იბრძოდა ბატონ-ყმობის მოსპობის წინააღმდეგ, მაგრამ როდესაც ეს ნეუძღვებელი შეიქმნა, მაშინ მან წამოაყენა გლეხების ხიზანთა მღვობარეობაში გადაყვანის პროექტი. ამ კონსერვატიული აზროვნების საუკეთესო წარმომადგენელი იყო დ. ყიფიანი და საერთოდ ჟურნ. „ციცკარი“. 2. თავად-აზნაურულ-ლიბერალური მიმდინარეობა, რომელიც გამოხატავდა მაღალი წრეების მცირეოდენი ჯგუფის პროგრესიულ მისწრაფებას. ამ ჯგუფმა შეიგნო ბატონ-ყმობის მოსპობის აუცილებლობა; იგი ფიქრობდა ევროპის ცხოვრების ახალი ვითარება დაემყნა საქართველოს მაშინდელ ნიადაგზე, მაგ-

¹⁾ მაგ. შეადარეთ: გ. წერეთელი: „ამ დროს მოძრაობა“ ჟურ. „კრებული“ № 3, 1873 წ. და მისივე: „ქუთაისის საადგილ-მაულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები“ „კვალი“ № 11, 1889 წ.

²⁾ რუსეთის აზროვნების გავლენა ქართულ ინტელიგენციაზე მთელ რიგ წერილებში აღნიშნა გ. წერეთელმა. საგულისხმოა ფაქტებს „მგზავრის წერალებშია“ ეპოქობათ (იხ. მეორე ნაწილის დასაწყისი).

რამ იგი არ სცილდებოდა თავის წოდებრივ თვალსაზრისს. უკვე ქვემოთაა ნათქვამი, იგი სცილილობდა თავიდა-ახანაურული წოდება შეეგუებოდა, რადგან იგი უფრო ეთიკური ვითარებისათვის. ასეთი იყო მიგ. ცნობილ კ. შამაცაშვილის პროგრამა. 3. რადიკალ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც ებრძოდა რაბატონ-ყმურ წყობილებას, პოტენციაში გამოხატავდა ახალთაობის ინტელიგენციის ბურჟუაზიულ დემოკრატიულ მისწრაფებებს. ამ მიმდინარეობის გამოხატველი იყო ჟურ. „საქართველოს მოამბე“ (1863 წ.), გაზ. „დროება“ (დაარსდა 1866 წ.) და შთელი ის წყება ახალგაზრდა ინტელიგენტებისა, რომელიც აღიზარდნ რუსეთის 60-იან წლების აზროვნებაზე. ამ ჯგუფს ეკუთვნოდა გ. წერეთელიც. 4. ნაროდნიკულ-სოციალისტური მიმდინარეობა, რომელმაც 60-იან წლებში შეითვისა რუსეთის რადიკალური აზროვნება და ნაროდნიკული სოციალიზმის საფუძვლები. შემდეგში ამ მიმდინარეობამ ფართო ხასიათი მიიღო ჩვენში და 1872 წელს უკვე ჩამოყალიბდა ნაროდნიკულ-რევოლუციონური პარტია, ხოლო 60-იან წლებში ამ იდეების საქართველოში შემომტანი იყო ან. ცურცელაძე, ნ. ნიკოლაძე და სხ.

როგორც აღვნიშნეთ, გ. წერეთელი 60-იან წლების რუსეთის რადიკალურ დემოკრატიულ მიმდინარეობაზე აღიზარდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა 19—20 წლისა იგი ითვლებოდა „პაწაწა ეპეკასიელების წრის“ წევრად პეტერბურგში. 1861 წ. მან სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად მზურვალე მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა არეულობაში და შემდეგ, როდესაც ამ არეულობის მეთაური დაპატიმრეს, იგიც სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად რამოდენიმე თვე იჯდა კრონშტანტის საპატიმროში.¹⁾ ასე ჩაება გ. წერეთელი ახალ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მან არა მარტო შეითვისა ახალი მოძღვრების შინაარსი, არამედ შთელი თავისი ენერჯიით სცილილობდა ამ იდეების საქართველოში გადმონერგვასა და რეალურ სინამდვილეში განხორციელებას. 60-იან წლების რუსეთის მოახროვნეთა ხალხისადმი სიყვარული და ხალხთან დაცხოვეება გ. წერეთელმა უყოყმანოდ შეითვისა. ჩვენ ვფიქრობთ ავტობიოგრაფიულ ცნობას გადმოგვეცუჟ გ. წერეთელი, როდესაც თავის „მგზავრის წერილში“ აგვიწერს ერთ საინტერესო ფაქტს ქართველი ინტელიგენტის ცხოვრებიდან; აქ ჩვენ ვკითხულობთ: „საღათა (ამ ტიპში თავის თავი ჰყავს გამოყვანილი გ. წერეთელს) ერთი წელიწადია, რაც დაბრუნებულიყო უნივერსიტეტიდან შეუძლებლობის გამო. (თვითონ გ. წერეთელი პეტერბურგიდან დაბრუნდა 1864 წ.) რადგან სამსახურის სურვილი არ ჰქონდა და არც უნდოდა შინ ტყუილად პური ეჭამა, ამისათვის იწყო სიარული სოფლად და ქ . . . ს (ქუთაისის) მახლობლად გახსნა გლეხებისათვის სკოლა. პირველად სკოლაში სწავლა ძალიან კარგად წავიდა. გლეხებიც ძალიან ემაყოფილნი იყვნენ ახალი მასწავლებლისა, სახლი უშოვეს, სკამები, პაწაწინა წიგნის საკითხავი ტაბაკებიც და ბოლოს სამსამი შაურიც მოავროვეს გლეხების თავზე, რომ წიგნები ეყიდნათ. თვითონ მას გლეხები არჩენდნენ თავის პურ-ლეინითა. ცოტა ხანს იქით სოფელს მოჩივა-

¹⁾ ამის შესახებ ცნობა ვერცდენს „კრონშტანტის საპატიმროში“ არის მოთავსებული (იხ. 1861 წ. „კოლოკოლი“).

რაში გაეგარდა ხმა წერიმან აზნაურობაში. რომ ერთი ვილაქრესელები ესალგაზრდა მოსულა და გლუხებს აგონებს: „თქვენ ბატონებს ნუ წმსამსწრებით, თქვენ და თქვენი ბატონები სულ ერთი ხართო“. ბოლოს აზნაურებმა „კაი-კაი მოსცხეს“ ამ თავხედ რუსეთელ ინტელიგენტს.¹⁾

ასეთი ალტაცებისა და აღფრთოვანების შატარებელი პიროვნება იყო გ. წერეთელი. მან არსებითად შეითვისა რუსეთის გონებრივ მოძრაობის ნაყოფი და მთელი თავისი ძალღონით სცდილობდა გადმოენერგა ეს იდეები საქართველოში. ჯერ კიდევ 60-იან წლების დასაწყისში, როდესაც ილ. ჭავჭავაძემ ცხარე ბრძოლა გააჩაღა ჟურნ. „ცისკრის“ წინააღმდეგ, გ. წერეთელი ენტუზიაზმით მიეგება ამ ბრძოლას და თვითონაც მიიღო მონაწილეობა „ცისკრის“ წინააღმდეგ წარმოებულ კამათში. გ. წერეთლისათვის უკვე გარკვეული იყო, რომ ეს ახალად გაჩაღებული ბრძოლა ქართულ ლიტერატურაში არსებითად გამოხატავდა ბრძოლას პროგრესიულ და კონსერვატიულ მიმდინარეობათა შორის; რომ ილ. ჭავჭავაძისა და მისი ჯგუფის მიერ წარმოებულ ბრძოლით იწყებოდა ახალი პერიოდი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, რომ ახალმა თაობამ, რუსეთის 60-იანი წლების იდეებით შეიარაღებულმა, უკვე ჩაუყარა სასაფუძველი იმ მიმდინარეობას, რომელმაც უნდა გაარღვიოს საქართველოს საუკუნოებით დახვესებული საზოგადოებრივი ურთიერთობა. ამაში დარწმუნებული იყო გ. წერეთელი და ამიტომ სხვა თერგდალეულებთან ერთად იგიც, 20 წლის ახალგაზრდა სტუდენტი ქაბუჯური აღფრთოვანებით ესალმებოდა ძველი წყობილებისა და აზროვნების წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ კოლონებს.

ჩვენ აქა ვართ სამნი ძმანი,
სამნივ თერგ დალეულთგანი,
მე გახლავარ გორისელი,
ერთი ამ სამ ძმათგანი...²⁾

ასე ათავებდა თავის წერილს ერთ-ერთი თერგდალეული, რომელიც იცავდა ილ. ჭავჭავაძეს კონსერვატიულ მოაზროვნეთა თავდასხმისაგან.

2.

როგორც ვთქვით, გ. წერეთელი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია 60-იანი წლების ახალი თაობის ინტელიგენციისა. ამ თაობას ახასიათებდა აზროვნების სიახლე, მიმდინარეობის სიმტკიცე და გაბედულობა. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ 60-იან წლების დასაწყისში გამოსული ჩვენი თერგდალეულთა თაობა ვერ დადგა ბოლომდე თავის სიმაღლეზე და მალე დაიწყო მისი რღვევის პროცესები. პირველ პერიოდში ამ ინტელიგენციას თუ უაღრესად აინტერესებდა ბატონ-ყმობის მოძრაობის საკითხი და ჩვენი ცხოვრების ახალი კალაპოტით განვითარება, მეორე პერიოდში, როდესაც ფორმალურად მოისპო ბატონ-

¹⁾ გ. წერეთელი: თხზულებანი, გვ. 315—17, 1926 წ.

²⁾ იხ. „ცისკარი“ № 4, გვ. 265, 1862 წ. ამ სამ თერგდალეულებიდან გამოჩვეულია მხოლოდ ორი: კ. ლორთქიფანიძე და გ. წერეთელი; თუ ვინ იყო მესამე ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი.

ყმობა და გლეხი განთავისუფლდა მონურ მდგომარეობისაგან, როდესაც ჩვენში „რეფორმის“ გატარებას შეუდგენ სხვა სფეროშიაც, — თერგდალეულთა ჯიშისაში ბუნებრივად დაიწყო რღვევის პროცესი: ნაწილის მარჯვენის მარჯვენისაგან გადახრა და ხოლო მეორე ნაწილის, უფრო რადიკალური მიმართულებისაგან დაქანება; ეს პროცესი ქართველი 60-იან წლების დიფერენციაციისა ვერ გამოეპარებოდა გ. წერეთლის კალამს: თავის „გულქანში“ მან სკადა ჩვენი ახალი მიმდინარეობის დაშლის და დანაწილების პროცესის ასახვა. ამავე საკითხს ეხებოდა იგი თავის საპოლემიკო წერილებშიაც.¹⁾

თერგდალეულთა თაობის დანაწილების საუცხოვო ნიმუშს იძლევა ილ. ქავჭავაძისა და გ. წერეთლის აზროვნების განვითარება მეორე პერიოდში: პირველი 60-იან წლების პირველი ალტაეების შემდეგ პირდაპირ გადაიხარა მარჯვენით და ბოლოს 70-იან წლების მეორე ნახევრიდან ქართული თავადაზნაურული ლიბერალიზმის მეთაური გახდა ჩვენში; ილია ქავჭავაძის გზა ამ მხრივ დემოკრატიზმიდან ლიბერალურ სოფლმხედველობამდე დავიდა. მეორემ უფრო გადახარა თავისი სოფლმხედველობა მარცხნით და გარკვეული რადიკალ-დემოკრატიული აზროვნების გამოხატველი გახდა ჩვენში.

გ. წერეთლის მიერ დაარსებული „დროება“ (1866 წ.), „სასოფლო გაზეთი“ (1868 წ.) და „კრებული“ (1871 წ.) იუცილებლად გამოხატველი იყო რადიკალურად და დემოკრატიულად მოაზროვნე ინტელიგენციის მისწრაფებისა. ამ პერიოდში ინტელიგენტის წინაშე მეტის-მეტად რთული და ღრმად მნიშვნელოვანი სოციალ-ეკონომიური ხასიათის პრობლემები წამოიჭრა გადასაწყვეტად. ინტელიგენციამ თავისებური საზომით გააშუქა ყველა ეს საკითხები და გარკვეული პროგრამაც წამოაყენა განსაზოროციელებლად. როდესაც ამ პროგრამის შინაარსს ითვალისწინებთ, რწმუნდებით, რომ ამ ინტელიგენციის სახით ჩვენში ახალი პროგრესიული ბურჟუაზია მეტყველებდა, ბურჟუაზია, რომელსაც სურდა გაერღვია ძველი დახავსებული ცხოვრების ზღუდეები და ევროპის გზით მიემართა ჩვენი ცხოვრება. ამ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ მწვავედ სწარმოებდა კაპიტალისტური ურთიერთობის შრომაიარობა ქართულ ნიადაგზე, ისტორიულად შეუძლებელი იყო ინტელიგენციის ბურჟუაზიული პროგრამა რადიკალურსა და დემოკრატიულს ფორმებში არ გამოხვეულიყო; უკეთ რომ ესთქვათ, დემოკრატიზმი და ბურჟუაზიული აზროვნება ერთ მთლიან სინტეზში ერთდებოდა; მათ შორის ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო რაიმე წინააღმდეგობის აღმოჩენა; დემოკრატიზმი და რადიკალიზმი ბურჟუაზიულად განწყობილი ინტელიგენციის საოცნებო ლოზუნგი იყო.

გ. წერეთელი საუკეთესო გამოხატველი იყო მაშინდელი ისტორიულ-ობიექტიური მდგომარეობისა: მისი სამოღვაწეო პროგრამა, მისი თეორია და პრაქტიკა იდეოლოგიურად ასახავდა კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების პროცესს საქართველოში.

¹⁾ იხ. რომანი „გულქანი“ გვ. 364—68; აგრეთვე „ავალი“ № 46, 1897 წ. მეთაური წერილი.

მაგრამ ვიკითხოთ, კონკრეტულად რაში გამოიხატა მესტერ-სამოღვაწეო პროგრამა და როგორი იყო მისი თეორიული სოფლმხედველური მიზნობა? ჩვენ საინტერესო ცნობები გვაქვს მოცემული თვით გ. წერეთლის მიერ. 1897 წ. კიტა აბაშიძესთან კამათის დროს მან ვააშუქა „დროების“ ახალი გვერდის პროგრამა და სამოღვაწეო ხაზი. ამ წერილში ჩვენ ვკითხულობთ:

„I) ხელოვნურ, ან სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში მან (ახალმა გვერდმა) დაარსა ნამდვილი, შეუფერავი, შეუწყობელი რეალიზმი.

„II) პოლიტიკო-ეკონომიურ შეხედულებაში ის ემზრობოდა უფრო პოლიტიკო-ეკონომისტის მილის თეორიას, მაგრამ ცხოვრებაში, ეს პროგრესიულ-დემოკრატიული დასი ბურჟუაზიისა და მუშა ხალხს შორის გამწვავებულ ბრძოლის დროს უფრო იმ თეორიას ადგა, რომ სახელმწიფო კანონმდებლობითი ძალა უნდა შეერიოს ამ ბრძოლაში მუშათა კლასის სასარგებლოთ, რომ მან ალაგმოს ძალმომრეობა ბურჟუაზიისაო.

„III) საზოგადოებრივ წყობილებების განვითარებაში ეს დასი უარს ჰყოფდა, როგორც თავად-აზნაურობას, ისე დაბალი ხალხის განკერძოებით ყოფნას. მან წამოაყენა ნამდვილი ერი, რომელშიაც თანასწორი უფლებით შედიოდნენ ყველა წოდებები, არც ერთისაქნ სასწორს არ ზრიდა, ხოლო დემოკრატიული წოდებათი განურჩევლათ, საზოგადო წესწყობილება მიაჩნდა ასეთი ერის შესაფერად.

„IV) საკრედიტო დაწესებულებათა შორის ის ეწინააღმდეგებოდა თავად-აზნაურობის საიდგილ-მამულო ბანკის დაარსებას. ამის მაგიერად ის ურჩევდა მოკლე ვადიან სამრეწველო ბანკების წეს-წყობილებას. ამასთან ამ დასმა წამოაყენა წინ სასოფლო და საქალაქო სამრეწველო კრედიტი და ერთი ამგვარი წერილმანი ბანკი კიდევ დაარსა იმ დროს ტფილისში წერიმან მოვაჭრეებისათვის.“¹⁾

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ აქ დახასიათებული პროგრამა წმინდა წყლის ბურჟუაზიული პროგრამა არის. ეს უფრო ნათელი გახდება ქვევით, როდესაც ჩვენ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ მის შინაარსს, ახლა საჭიროა აღინიშნოს კიდევ შემდეგი მომენტები.

ნმ-იანი წლების რუსეთის აზროვნების ზეგავლენით გ. წერეთელს წილად ხედა ჩვენში შემოეტანა, ერთი მხრივ, ბუნებისმეტყველების მატერიალიზმი და, მეორე მხრივ, რაციონალიზმი. საქმე ის არის, რომ ნმ-იანი წლების რუსეთის აზროვნებამ გადმოიღო ეს მატერიალიზმი ევროპიდან, მაგრამ მისი განვითარება მას არ შეეძლო დიალექტიურ მატერიალიზმამდე. ამ მხრივ გ. წერეთელი ბუნებრივად მოყვა ამ მიმდინარეობის გავლენის ქვეშ: მეორე მხრივ, არ უნდა დაეკვიწყოთ, რომ ამავე ხანებში ბუნების მეცნიერებამ და მისი შესწავლის საქმემ ფართოდ გაიდგა ფესვები რუსეთში. გ. წერეთელმა და ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა ამ მხრივაც განიცადეს გავლენა. თვით გ. წერეთელი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლობდა და არა ერთი

¹⁾ გ. წერეთელი: „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“, „ახალი“ № 46, გვ. 816-1897 წ.

წერილი მოუთავსებია „დროების“ ფურცლებზე ბუნების მეცნიერებების განყოფილებაში. ამ გზით გ. წერეთელი აუცილებლად მივიდა ბუნების მეცნიერების მატერიალიზმამდე. ერთ თავის წერილში „მოლემოტის“ შესახებ იგი სწერდა:

„მოლემოტი ეს ის მეცნიერია, რომლის წიგნებითაც აღიზარდა გაღვიძებული გონება რუსეთის საზოგადოებისა და ჩვენი ახალი თაობა მესამოცე და მესამოცდაათე წლებისა. მას ევროპის განათლებისათვის იგივე მნიშვნელობა აქვს ბუნების წარმატებაში, როგორც ფიციერბას, ბიუხერს და ფორტს ახალი ფილოსოფიისა და ანტროპოლოგიის მეცნიერებაში. ამათ შეიტანეს სარწმუნოების მცნებაში ახალი გზა და შეუთანხმეს მას ახალი მიმართულება ბუნების მეცნიერებისა. უწინ ქრისტეს მცნებას პლატონის ფილოსოფია ჰქონდა საფუძვლად დადებული, ამ ფილოსოფიის მასალად იყო უკვდავი სული, ცხოვრება და საქმე, რომელთა ურთიერთშორისი დამოკიდებულების განხილვა და გამოძიება შეადგენდა მთელ ქრისტიანული ფილოსოფიის შინაარსს. მოლემოტისა და ფორტის მცნებისამებრ ბუნებაში უკვდავი არიან ორნი საგანი: უკვდავია მატერია და უკვდავია მასთან თანდაყოლილი ძალა, რომელნიც ერთმანეთის ზედმოქმედებით წარმოშობენ ყოველის ტიპისა და გვარის ცხოვრებას და არსებას—სულიერსა და უსულოს. ცხოვრება არის გამუდმებული სვლა საკედლისა და სიციცხლისა... მატერია იცვლება და არ ისპობა. მაშასადამე ბუნება და ქვეყნიერება არის ერთი განუწყვეტელი ბაწარი ცხოვრებისა, საცა ყოველი წარმოებული, შემდგარი, ან გაჩენილი არსება იცვლება. მაშასადამე ყოველი კერძო ცხოვრება ცვალებადია; მაგრამ მისი შწარმოებელი ძალა და მატერია კი უკვდავი არიან.“¹⁾

ასეთი მატერიალისტური აზრი გ. წერეთელს შრავალ წერილში აქვს გატარებული. ჯერ კიდევ 1870 წელს ვაზ. „სასოფლო გაზეთში“ მოთავსებული სამეცნიერო-პოპულიარულ წერილებში ბუნებისმეცნიერებიდან იგი ამბობდა: „ბუნებაში ყოველი ქნილება იზადება, ცხოვრობს როგორც შესვდება და შემდეგ კვდება,—სნანს დაიშლება იმ ნაწილებად, რომლებსაგანაც იყო შედგენილი. ჩვენ ვიცით, რომ ამ ნაწილებს ელემენტები ჰქვია. ამ ნაწილებისაგან კიდევ რამე დაიბადება ბუნებაში, ისევ ცხოვრობს და ხელშეორედ დაიშლება. მაშ როცა ან კაცი, ან ცხოველი მოკვდება, ან მცენარე დაჰქენება, ესე იგი, როცა იმასაც სიკვდილი მოუვა, ამის შემდეგ არაფერი არ იკარგება. როდესაც რაიმე აღარ სცხოვრობს—კვდება—ეს იმას ნიშნავს, რომ ელემენტების შედგენილობა გადასხვაფერდება.“²⁾

აქ უკვე სავსებით გატარებული არის მატერიალისტური შეხედულება ბუნებაში. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბუნებაში აღიარებული მატერიალისტური შეხედულება გ. წერეთელს არ შეეძლო გადმოეტანა საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ისტორიის ვითარებაში. უკეთ რომ ვსთქვათ, მან ვერ შეძლო მატერიალისტურად ახსნა საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა. ბუნების მეცნიერებაში მატერიალისტი, იგი სოციალო-

¹⁾ X—ლი (გ. წერეთელი): „მოლემოტი“—„ჯვარი“ № 25, 1893 წ.

²⁾ გ. წერეთელი: „საჯდფსო ცოდნა“ გვ. 38. პირველი გამოცემა გამოვიდა 1870 წლების დეკემბერში, მეორე—1888 წ.

მეცნიერული

გიაში იდეალისტი დარჩა; მისთვის საზოგადოებრივ ცხოვრებას: გაცხოველებების ფაქტორები არა ობიექტიურ-ეკონომიურ ურთიერთობაში არსებობს, არამედ იდეაში, აზროვნებაში; გონება, აზროვნება ეს არის ისტორიის მამოძრავებელი ძალა. „ისტორიას ქმნიან კრიტიკული მოაზროვნე პირები“, ასე ფიქრობს სოციოლოგიაში გ. წერეთელი. ეს „ყოველად შემძლეობა აღამიანის გონებისა“—ეს რაციონალისტური სოფლმხედველობა—გ. წერეთელმა იმავე წმ-იან წლების რუსეთის მოაზროვნეებიდან ისესხა. ამ სუბიექტური სოციოლოგიის ნაყოფი იყო ის აზრები, რომელსაც თავიდანვე ატარებდა გ. წერეთელი ქართულ ლიტერატურაში: განათლება, ცოდნა, შეგნება უპირველესი პირობაა ხალხის წარმატების საქმეში, აქედან ინტელიგენციის მოვალეობაც გ. წერეთლის პროგრამით გარკვეული არის. 1868 წ. იგი სწერდა:

„ვერობაში დიდი ხანია დარწმუნდნენ იმ აზრზე, რომ მინამ საზოგადოეთითონ ხალხი არ განათლდება, სწავლით, რაც უნდა კარგი გამგეობა და სამართალი მისცე, მაინც არა გამოევა რა; ხალხის უგუნურობით კარგი სამართალიც უკუღმართად მიდის და კარგს გამგეობასაც ეკარგება თავისი ძალა, კარგი სამართალი და გამგეობა მაშინ მოუტანს ხალხს სარგებლობას, როცა თვითონ ხალხს შეუძლიან იმის მოხმარება, ამისათვის საჭიროა ხალხის ზრდა, იმის ჰქუა-გონების გამდიდრება სწავლითა. ახლა საქმე ის არის, რა საშუალება უნდა იხმაროს კაცმა ამისათვის.“¹⁾

განათლების გავრცელება ხალხში ეს არის უპირველესი მოვალეობა მოწინავე ინტელიგენციისა; იგი უნდა დაუახლოვდეს ხალხს, შეიტანოს მასში განათლება, აამაღლოს გონებრივად. ჩვენ უნდა ვიყოთ მხოლოდ მოწინავე კაცები ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ უნდა ვიყოთ ვახუშტულის მომასწავებელი მერცხლები და მანამ ვიკიკვიკოთ, სანამ ეს ვახუშტული კარზედ არ მოგვადგეს, სანამდის ჩვენი დედაკაცობა არ შევსძრათ უმაღლეს განათლების მისაღებად. თუ ჩვენ ამას შევასრულებთ, ჩვენი უმთავრესი ბედნიერებაც ეს უნდა იყოს“.—ამბობს გ. წერეთელი, თავის „მგზავრის წერილებში“.

გ. წერეთლის ამ იდეალისტურ სოციოლოგიურ სოფლმხედველობიდან გამოდინარეობდა მისი სამოღვაწეო პროგრამის მუხლებიც ხალხის განათლებისა და ცოდნის გავრცელების საქმეში. როგორც იდეალისტი და რაციონალისტი გ. წერეთელი მფიქრობდა, რომ აზროვნების და განათლების გავრცელების საშუალებით ისტორიული ცხოვრების ამა თუ იმ ვხით განვითარება, რომელიმე პროგრამის განხორციელებაც ხოვრებაში ყოველ პირობებში არის შესაძლებელი, თუ ამ პროგრამის შინაარს შეიგნებს და შეითვისებს ხალხი ინტელიგენციის დახმარებით და მეთაურობით. ამრიგად გ. წერეთელი უმთავრეს ყურადღებას აქცევდა სუბიექტიურ მომენტს—ხალხის შეგნებას, ინტელიგენციის იდეურ ხელმძღვანელობას; ხოლო ობიექტიურ-ეკონომიურ პირობებს—ნიადგის მომზადებას საზოგადოების წყობილებაში იგი არსებით ყურადღებას არ აქცევდა. ამ სუბიექტიური სოციოლოგიის ერთგული დარჩა გ. წერეთელი ბოლომდე: მან ვერ შესძლო თავი განთავისუფლებია ამ აზროვნებისაგან იმ პე-

¹⁾ X—ელი (გ. წერეთელი): „ჩვენი ცხოვრების ქონიკა“,—„დროება“ № 6, 1868 წ.



როდესაც კი, როდესაც იგი სცდილობდა მარქსის მატერიალისტურ სოფლმშენებლობის შეთვისებას. რაციონალიზმი და იდეალიზმი უძრავად დარჩა გ. წერეთლის სოფლმშენებლობის დამახასიათებელ თვისებად. ამრიგად ძველმა მატერიალისტმა, 60-იან წლების ქართველმა ბუნებისმეცნიერების მატერიალისტმა ვერ შესძლო თავისი ფილოსოფიური სოციოლოგიური აზროვნების დიალექტიური მატერიალიზმის გზით განვითარება და შერჩა ძველ აზროვნებასა და მეთოდებს. გ. წერეთლის მიერ 90-იან წლებში მარქსიზმის მოძღვრების ვითომდა შეთვისება უფრო მექანიკური იყო, ვინემ არსებითი, როგორც ამას ქვევით დაეინახავთ. ამ დარგშიაც იგი ვერ გასცდა პრობლემების უბრალო მექანიკურ გაგებას: მარქსიზმის მოძღვრების ქვეშ გ. წერეთლის სახით კვლავ ძველი იდეალისტი და ბუნებისმეცნიერების მატერიალისტი მეტყველებდა.

3.

გ. წერეთელს ჩენი საზოგადოება უმოაფრესად იცნობს როგორც ბელეტრისტს. მისი მხატვრული შემოქმედება ბევრად უფრო ცნობილი არის საქართველოში, ვინემ მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა და სოციალ-პოლიტიკური იდეალები. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების შეფასება, მოცემული ჩვენ კრიტიკულ ლიტერატურაში, ზოგან ყალბია და მასთანავე ზოგიერთ შემთხვევაში—მიყვრძობებითი. კ. აბაშიძისათვის გ. წერეთელი ქართული რეალიზმის დეკადანსის გამომხატველი იყო და ამასთანავე მას არც მხატვრული ნიჭი უწყობდა ხელს; აბაშიძის აზრით, როგორც მხატვარი გ. წერეთელი ბევრად დაბლა იდგა მე-19-ე საუკუნის სხვა ცნობილ ქართველ მწერლებთან შედარებით¹⁾, მაგრამ მართო კ. აბაშიძის აზრით არ ამოიწურება გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების შეფასება ჩვენ კრიტიკულ ლიტერატურის. ნ. ნაკოლაძემ თავიდანვე საკმაოდ მალა დააყენა გ. წერეთლის მხატვრული ნიჭი და შემოქმედება.²⁾

რასაკვირველია, გ. წერეთლის სრულ ნაწერებს ჩვენ აქ ვერ განვიხილავთ და ეს არც საჭირო არის. ამ მხრივ ჩვენ შევებებით მხოლოდ ორ მომენტს: გ. წერეთლის ესთეტიურ მსოფლმშენებლობასა და მისი მხატვრული ნაწერების თემატიკას და ზოგად სოციოლოგიურ შეფასებას.

გ. წერეთლის ესთეტიური შეხედულება შემუშავდა იმავე 60-იან წლების რუსეთის მოღვაწეთა ესთეტიურ აზროვნების ზეგავლენით. ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. გ. ჩერნიშევსკის ესთეტიური თეორიის გავლენა არა მარტო გ. წერეთელზე, არამედ 60-იან წლების ჩენი ახალთაობის ესთეტიურ შეხედულებაზე საერთოდ. ჩერნიშევსკიმ 60-იან წლებში პრინციპიალურად უარყო ყალბი თეორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და თავის ესთეტიურ თეორიას რეალიზმისა და უტილიტარობის პრინციპი დაუდგა საფუძვლად. ხელოვნება—ჩერნიშევსკის განმარტებით—რაიმე საზოგადოებრივ ფუნქციას უნდა ასრულებდეს ცხოვრებაში: მისი მოვალეობაა ასახოს რეალური სინამდვილე და ემსახუროს საზოგადოების წინსვლულობის საქმეს.³⁾ ეს უტილიტარულ-რეალისტური ესთეტიური

¹⁾ კრტა აბაშიძე: „ეტიუდები“ ტ. II.

²⁾ ნიკო ნიკოლაძე: „გიორგი წერეთლის პირველი შრომა“ „მოამბე“ № 3, 1894 წ.

³⁾ სიმ. ზუნდაძე: „ნ. გ. ჩერნიშევსკი“.

თეორია, როგორც ვიცით, შემდეგში ესთეტიკის უარყოფამდე განაფითარა დ. პისარევი. გ. წერეთელმა 60-იან წლებიდანვე გარკვევით შეიტყობდა თეორია და შეგნებულად ემსახურებოდა მას თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ წუთამდე. მაგრამ თუ გიორგი წერეთელმა სხვებთან ერთად განაფითარა უტილიტარული პრინციპი ესთეტიკაში, სამაგიეროდ ანტ. ფურცელაძეს წილად ხვდა დ. პისარევის ნიპილისტური ხელოვნების თეორია გადმოეწერა ქართულ ლიტერატურაში. ერთი, ჩერნიშევსკის გავლენით, გარკვეულ რეალისტურ-უტილიტარულ თეორიის გზას დაადგა, მეორემ—პისარევის გავლენით ესთეტიკის დამსხვრევა მოინდომა ჩვენში.

უკვე თავის პირველ წერილში 1863 წ. ეტრნ. „საქართველოს მოაზრების“ ფურცლებზე გ. წერეთელი მწერლის დანიშნულებას და მოვალეობას შემდეგნაირად ახასიათებდა: იგი სწერდა: „მწერალი არის ერთი თავის საზოგადოების წევრთაგანი, ერთი იმ პირთაგანი, რომლებსაც კრებაც შეადგენს საზოგადოებას. ეს არის საზოგადოების ტანჯვის და შევების თანამგონობელი. რაში მდგომარეობს მისი ღვაწლი საზოგადოების წინ?—ჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკლულევიანების შესახებ, უჩვენოს იმგვარი საშუალებები, რომლებიც მისი ფიქრით საუკეთესო არიან ამ ნაკლულევიანების მოსასპობლად.“¹⁾

ამ პრინციპს ატარებდა გ. წერეთელი არა მარტო თავის კრიტიკულ წერილებში, არამედ ამავე პრინციპიაღურ საფუძვლებზედ იყო აშენებული მისი მხატვრული შემოქმედებაც. გ. წერეთელი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მხატვრულ ლიტერატურას და საერთოდ ხელოვნების დარგს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ქართული საზოგადოების წარმატების საქმეში; მისი საზოგადოებრივი ფუნქცია ამ მხრივ გ. წერეთლისათვის გარკვეული იყო. ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებას, მას უნდა შექმნდეს ხალხში ცოცხალი აზრები და მიმზიდველი იდეები, იგი უნდა უნათებლეს გზას მომავლისაკენ და მოუწოდებდეს არსებული ცხოვრების გარდაქმნისაკენ. ის რაც შეიძლება პუბლიცისტის მიერ დამტკიცებული და ნაჩვენები იქნეს ლოლიკურ არგუმენტაციებით, ხელოვნებამ უნდა გამოსახოს მიმზიდველი ფერადებით. აქ პოლიტიკასა და ხელოვნებას, ესთეტიკის შორის შესაძლებელი არის ნათესაური კავშირი გაიდვას: ერთიც და მეორეც ერთ და იმავე იდეებს ემსახურება, მხოლოდ სხვა და სხვა საშუალებებითა და მეთოდებით. ამრიგად გ. წერეთელმა გარკვევით შეიტანა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მომენტი ხელოვნებისა და ესთეტიკის დარგში. და უნდა ითქვას, რომ თვით გ. წერეთლის ლიტერატურული პროდუქციის ორი დარგი: პუბლიცისტისა და ხელოვნება ერთნაირი იდეითა სულდგმულობდა, ერთი და იმავე მისწრაფებით იყო გაკლენთილი. გ. წერეთელმა ამ მხრივ გაორება არ აკოდა: მისი იდეები და აზრები წითელი ხოლივით არის გატარებული ყველა მის ნაწერებში; ხელოვნება და პუბლიცისტისა ერთნაირად ემსახურებოდა ავტორის მთავარ მისწრაფებებსა და პროგრამას.

„მგზავრის წერილებში“ გ. წერეთელი ამბობდა: „ჩვენ არ უნდა ვამკირებდეთ უმაღლესსა ჩვენსა ამ სოფლად მოვლენასა ეგრეთის გულის განაზებითა

¹⁾ გ.—თელი (გ. წერეთელი): „ცისკარს რა აკანებდა“? ეტრნ. „საქართველოს მოაზრების“ 5, გვ. 55, 1863 წ.



და სისუსტიით. რათ დაევიწყეთ ჩვენი მოვალეობა და მიხეწიყვენესა ციოც-
ხლისა? განა ახლა ისეთი დრო არის, რომ ჩვენისთანა ახალგაზრდებს ბე-
დნიერება თბილ საწოლში? ჯერ ხომ ერთი ნაბიჯი წინ არ წაგვიდგამს საწი-
ნაღმდეგოთ ქვეყნის დამაბრკოლებელ მიზნებისათვის? ჩვენ მხოლოდ ჯერ უნდა
ვიბრძოდეთ პირისპირ ყოვლისა სიმორცხისა, უსამართლობისა და დამაგვრისა,
ვიდრემდის არ ამოვობრით ქვეყნით ყოვლისა ამა უწმინდურებას ძირიანად.
ვიდრემდის არ მიჰყვენთ მთლად საქართველოსა მსწავლისა ნათელსა, არ გან-
ვაბნევთ ბნელსა და არ აღვადგენთ ჩვენს საზოგადოებასა, ესრეთ მწარეთ და-
ცემულსა.“

აქ გამოთქმული არის გ. წერეთლის საერთო მისწრაფებანი, რომელსაც
იგი ხაზგასმით ატარებდა თავის პუბლიცისტურ ნაწერებშიაც. ამრიგად მხატვ-
რული ცხოვრების დანიშნულება და პუბლიცისტის მოვალეობა გ. წერეთლის
განმარტებით, აუცილებლად ზედება ერთი მეორეს. მაგრამ აქედან სრულიად
არ გამომდინარეობს ის, რომ მხატვრული ლიტერატურა გაუთანასწორდეს
პუბლიცისტისათვის თავისი ფორმითაც: იდეური და მიზნობრივი ნათესაობა სრუ-
ლიად არ ნიშნავს მათი ფორმების, მეთოდებისა და ზერზეების იდენტრობასაც,
ეს კარგად ესმოდა გ. წერეთელს და ყოველთვის ცდილობდა მხატვრული ხელოვ-
ნების პრინციპისათვის არ ეღალატნა. მისი ზოგიერთი მხატვრული ნაწერები
საკმაოდ გამართლებული არის ესთეტიური საზომითაც.

ამბობენ: გ. წერეთელი ღარიბი არის თემების მხრითო. ასეთი სიღარიბე
დამახასიათებელია ყველა ჩვენი მწერლისათვის იმიტომ, რომ თვით ჩვენი სო-
ციალური ცხოვრების სიღარიბე არ იძლეოდა ფართო გასაქანს მწერლისათვის,
მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტურმა ურთიერთობამ შეანგრია ნატურალი-
სტური მეურნეობის ფარგლები, ჩვენში ქალაქური წარმოება, მანქანური კულ-
ტურა და მასზედ აღმოცენებული მთელი საზოგადოებრივი შედეგები, ვერ
განვითარდა თავისი შესაფერისი სახით. ამრიგად ჩვენმა ცხოვრებამ ვერ განი-
ცადა ევროპიული ტემპი და სიმძაფრე განვითარებისა, ცხადია ეს ვარეშობა
თავის დაღს ასეამდა მწერლის ნაწარმოების შინაარსის შერჩევის საკითხებსაც.

მაგრამ ჩვენ—ობიექტიურ ისტორიულ პირობებში გ. წერეთლის მიმართ
თემების სიღარიბეზე ლაპარაკი უსაფუძვლოა: გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ
მე-19-ე საუკუნის არც ერთ ჩვენ მწერალს იმდენი თემა არ დაუმუშავებია,
როგორც ეს შესძლო გ. წერეთელმა.

ამ მწერალს ახასიათებდა სოციოლოგიური პრინციპის შეტანა ლიტერა-
ტურაში. მან, როგორც მოაზროვნე მწერალმა, ღრმად გაითვალისწინა ჩვენი
საზოგადოების ისტორიული განვითარების გზები და თავისი მხატვრული შე-
მოქმედების შინაარსიც ამ ვითარებას შეუწონა. მან ხათლად შეიგნო, რომ
ძველი ნატურალური მეურნეობის რღვევით საქართველოში უკვე დაიწყო კაპი-
ტალისტური ურთიერთობის განვითარება, რომ ამ დიდ საზოგადოებრივ-ეკონო-
მიურ პროცესს თან მოსდევდა ღრმა ცვლილებები სოციალურ ურთიერთობაში,
წოდებათა დამოკიდებულებაში, რომ ეს პროცესი იწვევდა ახალი კლასების
წარმოშობისა და იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავებას სხვადასხვა მიმდინა-

რომბათა შორის. აი ჩვენი ცხოვრების ის მასალები, რომელთა გვერდით მხატვრული შემოქმედების თემებად გადაიქცა: ეს იყო ჩვენი ისტორიული ცხოვრების აქტუალური საკითხები, მისი შინაგანი განთივარების ძირეული მოვლენები; ამ ძირეულ ისტორიულ პრობლემებიდან წარმოსდგა გ. წერეთლის შემოქმედების თემატიკაც. ერთი მხრივ, რღვევა ნაციონალური ბატონყმური მეურნეობისა, და მეორე მხრივ კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების განვითარება—აი ამ ისტორიულ-საზოგადოებრივ ფონზედ არის აშენებული გ. წერეთლის მთელი მხატვრული ნაწარმი. მაგრამ იგი ნატურალური მეურნეობისა და ბატონყმური ურთიერთობის რღვევას ასურათებს არა ერთი რომელიმე მომენტის აღებით, არამედ მთელი თავისი შინაარსით: ეკონომიური, სოციალური და იდეოლოგიური ვითარების დახასიათებით. ასევე იქცევა კაპიტალიზმის განვითარების შესახებაც: აქ იგი მხატვრულ ფონზე, გვიშლის ძველი წყობილების რღვევის პროცესთან ერთად ახალი ურთიერთობის განვითარების პროცესსაც მთელი თავისი საზოგადოებრივ-იდეოლოგიური შინაარსით; გ. წერეთელი, გვესურათებს ისტორიულ ცხოვრებას დინამიკაში: ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობიდან ახალ საზოგადოებრივ ფორმაციის წარმოშობის პროცესს. აქ არის გ. წერეთლის როგორც მხატვარის სიძლიერეც, ისე მისი სისუსტეც; სიძლიერე იმიტომ, რომ იგი სოციალოგიური მეთოდით არის შეიარაღებული და საზოგადოებრივ ცხოვრებას ასახავს თავის ისტორიულ განვითარების პროცესში—საზოგადოებას მთლიანად აღებულს ყველა თავისი მოვლენებითა და შინაარსით, და არა რომელიმე ნაწილს ან კუთხეს; სისუსტე—იმიტომ, რომ ასეთი გრანდიოზული, მრავალსახიანი თემის დამუშავება და მხატვრულ ფერადებში ასახვა ხანგრძლივ დროსა და დიდ დაკვირვებას მოითხოვს;—მხატვრულად გადმოცემა საზოგადოების მთელი ისტორიული ვითარებისა, მისი გადასვლა ერთი სამეურნეო საზოგადოებრივ ფორმაციიდან მეორეში—დიდ ენერჯიასა და ხანგრძლივ შუშობას მოითხოვს. გ. წერეთელი დატვირთული მრავალგვარ საზოგადოებრივ და კერძო საქმეებით, ხშირად ვერ ახერხებდა სათანადო ყურადღების მიქცევას მხატვრულ მხარისათვის,—აქედან წარმოსდგა საფრთხე, გ. წერეთლის მხატვრულ ნაწარმში პუბლიცისტიკის შეჭრისა; უკვეთ რომ ვსთქვათ, ხელოვნების პუბლიცისტიკამდე დაყვანისა. უნდა ვსთქვათ, რომ ზოგ ნაწარმში გ. წერეთელმა შესძლო ამ საფრთხის თავიდან აცილება. წერეთელი სრულიად საფუძვლიანად სწერს თავის მოგონებებში¹⁾: „სწორედ მითაც აიხსნება, რომ მის (გ. წერეთლის) შრომას ორგვარი ბეჭედი აზის: ზოგს ნიჭისა და ზოგს მოქანცვის“²⁾.

შეიძლება აქ ერთგვარი შედარება გავიყვანოთ გ. წერეთლისა და ი. ჭავჭავაძის მხატვრული პროდუქციის შორის.

ილია ჭავჭავაძე აუცილებლად დიდი მხატვარია და იმავე დროს რეალისტური სკოლის მიმდევარიც, მაგრამ მას აკლია ის, რაც ახასიათებს გ. წერეთელს—თემების ისტორიული პერსპექტივის ფონზე გადაშლა. ილია ჭავჭავაძეს ახასიათებს თემის ან მასალის შემოფარგვლა, მაგრამ იმავე დროს მისი სიღრმით

¹⁾ აქაი წერეთელი: „რჩეული ნაწარმი“. ტ. I.

ამოწურვა; გიორგი წერეთელი ხასიათდება თემის ფართოდ გავრცელებული შინა-
 არსის მრავალ-ფეროვანებით. ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში
 უფრო ფართოდ და სიღრმით არის გაშლილი ბატონყმური საქართველოს სა-
 ხოგადოებრივი ცხოვრება, შემდეგი ეპოქა ჩვენი საზოგადოებრივი წყობილებისა
 ერთობ მკრთალად არის გადმოცემული მის ნაწერებში. ამ მხრივ გ. წერეთლის
 მხატვრული შემოქმედების შინაარსი უფრო მდიდარია, მის მიერ მხატვრულ
 ტილოზე გადატანილი ქართული ცხოვრება მრავალფეროვანია; მაგრამ მართლ
 ამით არ ამოიწურება მათ შორის არსებული განსხვავება. ილ. ჭავჭავაძეს აკლია
 ისტორიულ-სოციოლოგიური მეთოდი ხელოვნებაში, გ. წერეთლის სიძლიერე
 სწორედ ამ მეთოდის შეთვისებაში და გამოყენებაშია. ი. ჭავჭავაძე იღებს
 მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ რომელიმე კუთხეს, ან, თუ
 გნებავთ, მხარეს და მას წლის თავისი მხატვრული შემოქმედების ფონზე;
 ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ტილოზე ვერ ხედავთ გადატანილ ცხოვრებას
 დინამიურ განვითარებაში; მის მიერ დასურათებული ცხოვრება სტა-
 ტიკაში არის მოცემული და მისი ისტორიული პერსპექტივით გაშლა მას არ
 ეხერხება; მაგ. ი. ჭავჭავაძემ დაგვიხურათა ბატონყმური საქართველო; თქვენ აქ
 გრძნობთ მაგარი ხელით დახატულ ბატონყმურ საზოგადოებრივ ურთიერთობას
 უკვე თავის დაცემის პროცესში შესულს. ილიამ ეს ყოფა ასახა სიღრმითაც და
 მხატვრული სიძლიერითაც. მაგრამ ცხოვრება ხომ განუწყვეტელი მსვლელობაა
 წინ, იგი ხომ პროცესში იმყოფება! ი. ჭავჭავაძე თითქოს ვერ გრძნობს ცხოვ-
 რების ამ პროცესს; მის ნაწარმოებში არსად არ სჩანს, თუ რღვევის პროცესში
 მყოფი ბატონყმური საქართველო როგორ გადადის სხვა საზოგადოებრივ-ეკო-
 ნომიურ ურთიერთობაში. ჩვენი ცხოვრების ეს ღრმა მნიშვნელობის პროცესი
 შეუმჩნეველი დარჩა ილია ჭავჭავაძის მხატვრული ინსტიქტისათვის. თუ ერთი
 მხრივ თქვენ გრძნობთ ილიას ნაწერში სიძლიერით დახატულ დაცემულ ბა-
 ტონყმურ საქართველოს, მეორე მხრივ, არსად სჩანს საქართველო ძველი წყო-
 ბილების შემცვლელი, საქართველო მშობიარობის, ზრდისა და განვითარების
 პროცესში მყოფი. ეს მეორე საქართველო—საქართველო კაპიტალისტურ ურთიერ-
 თობის განვითარების ვაზე მდგარი,—ი. ჭავჭავაძემ ვერ დაინახა და შეიძლება
 არც უნდოდა დაენახა. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ილია ჭავჭავაძე საზოგა-
 დოებრივი ცხოვრების მხოლოდ ერთ კუთხეს იღებს და მას გვისურათებს
 მხოლოდ სტატიკაში. ეს უმთავრესი აიხსნება მით, რომ ი. ჭავჭავაძეს არა
 აქვს ისტორიულ-სოციოლოგიური მეთოდი შემუშავებული; იგი ისტორიულ
 ფაქტიდან კი არ გამოდის, არამედ წინასწარ განსაზღვრული იდეით მიდის
 ფაქტთან; ამიტომ ფაქტი კი არ იშლება ისტორიულ განვითარების ფონზე,
 არამედ—წინასწარ შემუშავებული შეხედულებათა გეგმების მიხედვით. ამ მხრივ
 აღსანიშნავია „ოთარაანთ ქვრივი“. ეს ნაწარმოები რეალისტური უნარისაა,
 მაგრამ უაღრესად ტენდენციური. ი. ჭავჭავაძის მხატვრული დიდი ნიჭი თითქოს
 ფარავს ამ ტენდენციას და ამ ნაწარმოებს გვირდგენს როგორც ჩვენი ცხოვრუ-
 ბის რეალურად ამსახველს. მაგრამ ეს სწორი არ არის. ი. ჭავჭავაძე 80-იან
 წლებში გარკვეული სოციალური სოფლმხედველობის მატარებელი იყო; მან

უკვე შეიმუშავა წოდებათა შორის თანამშრომლობისა და ურთიერთობის "გამრთლებების თეორია. ამ წინასწარი შემუშავებული სოციალური მართლმართით შეუდგა იგი ჩვენი ცხოვრების ასახვას და გამოცდილი ოსტატის ხელით იაშენა ამ თეორიის გამამართლებელი სურათები. მაგრამ მის მიერ დასურათებული „ცხოვრება“ არ შეესაბამებოდა რეალურ სინამდვილეს. ეს გარკვეული იდეების მიხედვით ასახული ცხოვრება იყო, მაგრამ არა რეალური ცხოვრება თავისი დინამიური განვითარებითა და სოციალური ურთიერთობით. მართლაც, ბატონყმობის მოსპობის შემდეგ პერიოდში წოდებათა შორის დამოკიდებულება უფრო გამწვავდა, გლეხისა და მემამულეების ინტერესები რეალურად დაუპირისპირდა ერთი მეორეს, რაც ხშირად ხელჩართულ ბრძოლის ხასიათსაც ღებულობდა: ისტორიული სინამდვილე „ჩატებილ ხიდის“ გამრთლებების გზით კი არ მიდიოდა, არამედ მისი გაღრმავებისა და წოდებათა წინააღმდეგობის გამწვავებით. „ოთარაანთ ქვრივი“ ი. ჭავჭავაძის სოციალურ ფილოსოფიას უფრო გამოხატავდა, ვინემ ჩვენი რეალური ცხოვრების ისტორიულ ვითარებას.

სულ სხვა მეთოდი აქვს მხატვრულ ლიტერატურაში გამოყენებული გ. წერეთელს. მისი ისტორიულ-სოციოლოგიური მეთოდი გ. წერეთელს საშუალებას აძლევდა „ცხოვრება“ დინამიურობაში გაეშალა: ის უაღრესად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ბატონყმურ მეურნეობის რღვევით ნიადაგი ეცრემოდა კაპიტალისტურ საქართველოს; უკეთ რომ ვსთქვათ, კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარების პროცესებით იყო გამოწვეული ბატონყმური საქართველოს რღვევის აუცილებლობა. აქ ჩვენი ცხოვრება ნათლად ისახება ისტორიულ ფონზე გადაწლილი; ძველი საზოგადოებრივი ფორმების სიკვდილისა და დაშლის პროცესთან ერთად ისახება და ვითარდება ახალი ფორმები, ახალი საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი: ძველ სამეურნეო ცხოვრებიდან ახალი ეკონომიკა ვითარდება, ძველ სოციალურ კლასებს ახალი კლასები უპირისპირდება; ძველი იდეოლოგია—ახალი იდეოლოგიით იღენება. ეს ძველი და ახალი საქართველოს სურათები თავის დაშლისა და განვითარების ფონზედ ასახული. ჩვენ ვიტყვით უფრო მეტს—გ. წერეთლის მხატვრული ნაწერების მიხედვით შესაძლებელი არის მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიული ცხოვრების გადმოცემა. ბევრს, ალბად, ეს ჩვენი მოსაზრება გადაჭარბებულად ეჩვენება; მაგრამ ვინც გულდასმით და ობიექტიურად გაეცნობა საკითხს, იგი არ შეიძლება არ დაეთანხმოს ჩვენს მოსაზრებებს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ მისი ნაწერების მთავარი „მასალა“, რომელიც ჩვენი რეალური სინამდვილიდან იყო ამოღებული; ბატონყმური საქართველო თავისი საზოგადოებრივი ურთიერთობით, მისი რღვევის პროცესებით, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება, წოდებათა მდგომარეობა ამ ახალ პერიოდში, სხვადასხვა კლასების დამოკიდებულება ბატონყმობის მოსპობის საქმესთან. გლეხობის ბრძოლა მემამულეთა წინააღმდეგ და მათი პროლეტარიზაციის პროცესი, ბრძოლა მსხვილ თავადებსა და წვრილ აზნაურებს შორის, კაპიტალისტური კლასების განვითარება; ინტელექციის ახალი თაობის წარმოშობა და მისი იდეოლოგია; „თერგდალეულთა“

თაობის დაშლა და „ახალი ახალგაზრდობის“ ჩამოყალიბება; კონკრეტული კატეგორიების დაარსება და კულტურული ფონის განვითარება; ბრძოლა გარეგანი და შიდა მოწოდებების და სხვა შიდა ფაქტორების, — იმის ნეგატიური, მაგრამ აქტუალური მასალა, რომელიც ახალი თაობის ჩვენი ცხოვრების ისტორიულ ვითარებას და რომელიც მხატვრულად ასახა თავის ნაწერებში გ. წერეთელმა.

ალსანიშნავია გ. წერეთლის მისვლა მასალასთან. იგი ილია ჭავჭავაძესავით არ თხზავს „რეალურ ცხოვრებას“ თავის წინასწარ შემუშავებული იდეების მიხედვით. გ. წერეთელი იქნება ნამდვილ ისტორიულ ფაქტებს, კონკრეტ მოვლენებს და მას ამუშავებს შეფარდებით ჩვენი ცხოვრების საერთო ისტორიულ ვითარებასთან; ამ კონკრეტ მასალების მიხედვით იშლება დიდი ისტორიული ცხოვრების ფონი. უკვე ცნობილია, რომ გ. წერეთელმა „ჩვენი ცხოვრების ყველაში“ მასალად აიღო თავისი ავტობიოგრაფიული ცნობები და გაწავლა იგი ბატონყმურ ფონზე; „მეზავრის წერალები“ ცნობილ კონკრეტ ისტორიულ ფაქტებზედ არის აგებული; აქ ტიპებად აღებულია ცნობილი ჩვენი მოღვაწეები, ხოლო მასალად — ცნობილი ისტორიული ფაქტები, რომლებშიაც თვით ავტორიც ლებულობდა აქტიურ მონაწილეობას; „გულქანშიაც“ არა ერთხელ არის გადმოცემული ჩვენი მასწავლებელი (60—70-იან წლების) ცხოვრების ცნობილი ფაქტები; შეიძლება სხვა ნაწერების მიმართაც ასეთივე ანალიზი იქნეს გაკეთებული. ამით მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტი მტკიცდება; გ. წერეთელი თავისებური „დოკუმენტალური რომანის“ დამწვებად უნდა ჩაითვალოს ჩვენში. მაგრამ მისი „დოკუმენტალისტობა“ მაინც თავისებურია: იგი კონკრეტ მასალას ანზოგადებს; უფარდებს საერთო ცხოვრების ვითარებას და ისტორიულად აშუქებს. მას კონკრეტი ფაქტი საერთო მოვლენის გამოხატულებად მიიჩნია და ამიტომ ამ ფაქტიდან ფართო დასკვნამდე მიდის, ილია ჭავჭავაძე წინასწარ გამოუმუშავებული იდეით მიდის ცხოვრებასთან და ფაქტება ამ იდეების მიხედვით ამუშავებს, ე. ი. თხზავს.

გ. წერეთელს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა თავის თავზე, რომ იგი, „ნამდვილი, შეუფერავი რეალიზმის“ განმტკიცებელი იყო საქართველოში. ასეთი იყო ზოგადად გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების ხასიათი. გ. წერეთლის მხატვრული მსოფლმხედველობა და ლიტერატურული მოღვაწეობის მნიშვნელობა შეიძლება სამ მუხლში ჩამოყალიბდეს:

1. ესთეტიკის თეორიაში მან რუსეთის 60-იანი წლების მიმდინარეობის ზეგავლენით უარყო ძველი შეხედულება და განამტკიცა ჩვენში ხელოვნების უტილიტარული თეორია, რომელიც ცხოვრების სამსახურისაგან მოუწოდებდა ხელოვნებას. ხელოვნება არა ხელოვნებისათვის, არამედ ცხოვრებისათვის — ასეთი იყო გ. წერეთლის ესთეტიკური შეხედულება. აქედან გამომდინარეობდა გ. წერეთლის მეორე შეხედულება: ხელოვნება რომელიმე გარკვეული იდეას და პროგრამას უნდა ემსახურებოდეს, ე. ი. ხელოვნება და პოლიტიკა განუყოფლად უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს.

2. ლიტერატურული მიმართულების მიხედვით — გ. წერეთელი „შეუფერავი, ნამდვილი რეალიზმის“ მიმდევარი იყო. ხელოვნებამ უნდა გამოხატოს ნამდვილი,

რეალური ცხოვრება თავის ისტორიულ განვითარებაში. მხატვარი უნდა სწავლობდეს ამ ცხოვრების და ნამდვილ ფაქტების მიხედვით უნდა შეიქმნოს ცხოვრების ფონს. ამხრივ გ. წერეთლის მხატვრული ალლო ცხოვრების დამახასიათებელ აქტუალურ მასალებისა და თემების გამოძებნაში აუცილებლად აღსანიშნავია. ამ ხაზით მას ვერაფერ ვერ შეეძრება. გ. წერეთელმა შესძლო ჩვენი ისტორიული ცხოვრების ვითარების გადატანა ფართო მხატვრულ ფონზე.

3. ლიტერატურული მეთოდების მიხედვით იგი სოციოლოგიურ თვალსაზრისზე დგას. გ. წერეთელი—სოციალ-ბელეტრისტად უნდა ჩაითვალოს ჩვენში.

4.

ახლა განვიხილოთ გ. წერეთლის სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური მსოფლმხედველობა. ზევით ჩვენ მოვიყვანეთ თვით გ. წერეთლის ნიერ დახასიათებული პროგრამა, რომელსაც გ. წერეთელი და მისი ახალი ჯგუფი ემსახურებოდა 60-იან წლების მიწურულესა და 70-იან წლებში. თავისი კლასიურ შინაშენლობით ეს პროგრამა ბურჟუაზიული 'შინაარსისა' არას, მაგრამ უფრო რადიკალური და დემოკრატიულია თავის მეთოდებში. ეს არც გასაკვირველია, იმ პერიოდში, როდესაც საქართველო ახლად გამოდიოდა ბატონყმურ მეურნეობის ურთიერთობიდან—დემოკრატიზმი და რადიკალიზმი ისტორიულ-ობიექტიურ პირობების გამო ბურჟუაზიული 'შინაარსის' მატარებელი იყო. ეს ცნებები იმჟამად ჯერ კიდევ განუყოფელი იყო; ისინი ავსებდნენ ერთი ნეორეს და არსებობდა ახალ საზოგადოებრივი ურთიერთობის ანარგულს წარმოადგენდნენ. გ. წერეთლის პროგრამაც ახალი ეპოქის ნაყოფი იყო და მასთანვე დემოკრატიულ და რადიკალურ მისწრაფებების მატარებელი. ეს დემოკრატიზმისა და რადიკალიზმის პრინციპები გ. წერეთელმა იმავე 60-იანი წლების რუსეთის ახალთაობის აზროვნებიდან ისესხა და თავისი დაულალავი ენერგიით ცდილობდა ეს იდეები დაედგა ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენციის სამოღვაწეო პროგრამის საფუძვლად. უნდა ვთქვათ, რომ მისი რედაქტორობით გამოცემული გაზ. „დროება“ (1866 წ.)¹⁾ უშესანიშნავეს ეპოქას წარმოადგენდა ჩვენი ეურნალისტიკის ისტორიაში. ეს გაზეთი იყო ნამდვილი დემოკრატიული მისწრაფებების გამოხატველი, ჩვენი ინტელიგენციის რადიკალურ მისწრაფებათა გამწაღდებელი. 1868 წ. მისივე რედაქციით გამოცემული „სასოფლო გაზეთი“ გაღრმავება იყო იმ პროგრამისა, რომელიც წამოაყენა განსაზოციელებლად „დროება“-; „სასოფლო გაზეთი“²⁾ პირველი პოპულიარული საგლეხო გაზეთი იყო საქართველოში გამოცემული, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი გლეხის

¹⁾ გაზეთი „დროება“ დაარსა ახალგაზრდათა ჯგუფმა, რომელმაც რედაქტორად მიიწვია გ. წერეთელი. იგი რედაქტორობდა გაზეთს 1866—69 წლების განმავლობაში; 1869—88 წლებში მისი რედაქტორი, იყო სერ. მესხი, ხოლო 1883—85 წლებში ივ. მაჩაბელი. რედაქტორების გამოცვლით გაზეთის მიმართულება არ გამოცვლილა.

²⁾ „სასოფლო გაზეთის“ გ. წერეთელი რედაქტორობდა 1868—73 წლებში, შემდეგ—1874—80 წლებში მისი რედაქტორი იყო პ. უმიკაშვილი.

დახმარებასა და მის გონებრივ განვითარებას. 1861 წლიდან ჩვენში „გუთნის დედაც“ გამოდიოდა, მაგრამ ეს „სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის“ გაზეთი არსებითად მემამულეთა ორგანო იყო. გ. წერეთელმა არც შემადგენელ კრებულ გლეხი გაიხადა თავის სამოღვაწეო საგნად და ამ მიმართულებით მისი მოღვაწეობა მართლაც აღსანიშნავია. ჟურნ. „კრებულის“ გამოცემით (1871—73 წ.) გ. წერეთელმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადასდგა ჩვენი ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში. ეს ორგანო ფაქტიური დამატება იყო გაზ. „დროებისა“ და იგი უფრო საფუძვლიანად და თეორიულად არკვევდა იმ პროგრამას, რომელიც ამ გაზეთმა წამოაყენა.

გ. წერეთლის დემოკრატიული მისწრაფება, უწინარეს ყოვლისა, ბატონყმურ წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატა. „დროების“ პირველსავე ნომერში იგი სწერდა: „იცი მკითხველო, რაში მოვიბოვე მე ჩემი სიჭაბუკე? — გლეხების განთავისუფლებაში. დიახ, იმ დროიდან, როდესაც ჩვენ დაჩაგრულ ძმებს მივეცით დიდი ხნიდან დაკარგული სიძარტლე, იმ დღიდან წარმომიდინდა ჩემი ახალი წყარო ჭაბუკობისა და შენიც უფრო ნათელი, ღონიერი და უფრო სამართლიანი წყარო ცხოვრებისა“. ¹⁾ მეორე წერილში იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბატონყმობის მოსპობის შემდეგ ჩვენი ინტელიგენციის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს გააღებლობის უმიწაწყლო გლეხის მდგომარეობა და გამოიყვანოს იგი მატერიალურ და გონებრივად ჩამორჩენილობიდან.

როგორც დავინახეთ, გ. წერეთელმა გარკვევით შეიგნა ბატონყმურ მეურნეობის რღვევის აუცილობლობა და ამ საზოგადოებრივი წყობილების შეუსაბამობა ჩვენი ცხოვრების წინსვლელლობასთან. მეორე მხრივ გ. წერეთელი ნათლად ხედავდა ახალი სამეურნეო პერიოდის დასაწყის საქართველოში, ვაჭრობის, მრეწველობისა და ალემ-მიცენობის ჩქარი ტემპით განვითარებას. გ. წერეთლის სიმპატიებიც ამ მეორე პროცესისაკენ იყო მიმართული. იგი გრძნობდა, რომ ახალი სამეურნეო ცხოვრების მეთაურად ვერ გამოდგებოდა ქართველი თავადაზნაურობა, რომ მას ახალი საზოგადოებრივი წრე უნდა გამოჩენოდა ხელმძღვანელად. ამ წრეს გ. წერეთელი ახალ სოციალურ ფენებსა და ახალი თაობის ინტელიგენციაში ხედავს. იგი სწერდა: ამ წოდების (თავადაზნაურობის) ოდენი უზნეობა და ქვეყნის გამცემობა არც ერთ წოდებას არ მიუძღვის. ძველთაგანვე დაწყებული ჩვენი ქვეყანა სულ ამ ბოროტ წოდების უსამართლობით იყო დაღუპულნი... დროთა ვითარებამ ისინი (თავადაზნაურობა) მშრომელი ხალხის კისრიდან გადმოსაკუბა, დასვა ცარიელზედ და უთბრა—აწ შენი ოფლითა და მკლავით იშრომეო; გაფუჭებული და ღონე გამოლეული ჩვენი თავადაზნაურობა დარჩა ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში: შრომე იმის არ შეუძლია, სწავლა და მოხერხება არა აქვს. ამის გამო ის თანდათან ღარიბდება, საშუალება ხელიდან ეცლება და თანდათან პქრება მისი სახელწოდებაც. ამ გარემოებაში მოგებული დარჩა ის უმთავრესი ნაწილი ხალხისა, რომელიც ძველთაგანვე გაქირავებაში და შრომაში

¹⁾ იხ. ფელტონი: „მათესალას აღსარება“, — „დროება“ № 1, 1866 წ.

იყო გაწაფული... მომავალიც ამ ჯანით ღონიერს ხალხზე ტრიალებს და იმდენი შეგნებითი კარგი თვისებაცა აქვს, რომ მიუცილებლად უნდა შეგნებდნენ იმას დარჩება. მით უფრო სარწმუნოა ეს ამბავი, რომ ამ ქორთვა ხალხის ნამდვილ შეილებათ და მომავლათ სთვლის თავის თავს ის გონება გახსნილი შრომელი ახალგაზრდა, რომელსაც სულ პირველად ქვეყნის ბედნიერება და მთელი ერის კეთილდღეობა აქვს წინწამოყენებული. ამ სახით ჩვენი თავად ახნაურობის დასუსტება, დაქვეითება და მუშა ხალხის სულის ჩადგმა, იმისი წინ წამოწევა, — აი დიდად სანუგეშო ნიშანთაგანი ამ დროებისა. მაშ გავუმარჯოს შრომელს ერს და იმის მოთავეს შრომელს; განათლებულს ახალგაზრდობას. ჩვენი ქვეყნის ბედნიერება შენდევში მათ ერთმანეთთან დაკავშირებაზე და დამეგობრებაზე დამოკიდებულია¹⁾.

ასეთი არის ის დემოკრატიული შეხედულებანი, რომელიც გატარებულია გ. წერეთლის 60—70-იანი წლების პუბლიცისტურ წერილებში. ბრძოლა დემოკრატიისათვის და დემოკრატიული წყობილებისათვის გ. წერეთლის პოლიტიკური აზროვნების ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ერთ ხელმოუწერელ წერილში ავტორი სწერდა: „რომელ ხალხსაც სრული თავისუფლება არა ჰქონია, იმას თავის დღეში ვერა გაუყვებია რა ქვეყნისათვის. მაგრამ რომელი ხალხიც მომეტებულად თავისუფალი ყოფილა, ის მომეტებულად განათლებული, ბედნიერი, სამართლიანი და მოსიყვარულე ყოფილა... როგორც მცენარე ვერ აყვავდება უმზეოდ და უბაეროდ, ისე ის (ხალხი) ვერ გაიშლება წელში, თუ თავის თავის წინ ვერ ჰხედავს გაშლილს თავისუფლებას, სადაც ყველა კაცი თავის თავის მეფეა და იმის პიროვნებას ვერა შემოზღუდავს რა“²⁾ ასე სწერდა გიორგი წერეთელი თავისუფლების მნიშვნელობისა და დემოკრატიზმის შესახებ 60-იანი წლებში და ასეთი აზრები ფართოდ არის გატარებული მთელს მის ნაწერებში. მაგრამ მისი დემოკრატიზმი ნაროდნიკულ აზროვნების ელფერსაც ატარებს: არა მარტო ფართო შრომელი მასისთვის სამსახური, არა მარტო ვალის მოხდა გალატაკებულ გლეხების წინაშე, არამედ ხალხზე დაყრდნობაც და მათი საშვალებით ბრძოლა ახალ ცხოვრებისათვის, აი რაში გამოიხატებოდა გ. წერეთლის დემოკრატიზმი. „მოგზაურის წერილში“ ავტორი სწერდა: „ხალხი ყველგან და ყოველს ეამს მკვირცხლ-გონებიანია. იმის მღვიძარე გრძნობას არ დაემალება ყოველნაირი ცუდი მხარე საკუთარი ცხოვრებისა. რამდენადაც უფრო მაგნებელია ერის ცხოვრებისათვის რომელიმე ქვეყნის დაწესებულება, იმდენად აღელვებულია იმისი აზრი, რომელიც ამ შემთხვევაში ეტებს საშვალებას, რომ ამ ცუდის დაწესებულებისაგან თავი დაიხსნას“³⁾.

მაგრამ თუ, ერთი მხრივ, გ. წერეთლის პოლიტიკური აზროვნება დემოკრატიზმისა და რადიკალიზმის გზით ნიემართებოდა, მეორე მხრივ, იგი ღრმად იყო დარწმუნებული ვაჭრობა აღებ-მოციემობისა და მრეწველობის განვიარების

¹⁾ გ. წერეთელი: „ამ დროის მოძრაობა“, „კრებული“ № 3, გვ. 227—31, 1878 წ.

²⁾ „რამოდენიმე აზრი ზვეს ცხოვრებაზე“, „დროება“ № 25, 1867 წ.

³⁾ გ. წერეთელი: თხზულებანი—278, 1926 წ.



აუცილებლობასა და საჭიროებაში. პროცესი ჩვენი ეკონომიური განვითარებისა კაპიტალისტურ ურთიერთობისაგან თავიდანე ვათვალისწინებულნი ჰქონდა გ. წერეთელს. ერთ თავის წერილში იგი სწერდა: „ჩვენი ახლანდელი სწავლები — გლეხი და მეპატრონე ყველანი ამჟამად ითხოვენ ფულს. ვაჭრებმა ეს შეიტყვეს და ერთ მანეთზე მანეთის სარგებელს იღებენ. ამ სახით ყოველი მიწის მუშა შეიქნა ვაჭრის მოხარვე; ის ყოველ მანეთზე, მანეთის ხარკს ითხოვს სარგებლის სახელით. ამ სახით მიწაზე დამოკიდებული პატონუმობა ახლა შეიცვალა ფულზე დამოკიდებულს პატონუმობით, სადაც ვაჭრები ხდებიან ნამდვილ პატონებათ და უწინდელი პატონები ყველანი მის ყურმობრილ ყმებად ჰხდებიან. მეც რომ არ ვთქვა, ამას ყოველი მიწის მომუშავე თვითონ ფიქრობს და გრძნობს. ცდილობს ამისთანა ხიფათში თავი არ გატყოს, მაგრამ ვერა მოუერებებია“¹⁾. 1866 წ. ხელმოუწერელ წერილში იგი აღნიშნავდა: „ჩვენში ყვადებიან რამოდენიმე ფულის მქონებელნი პირნი მრავალის შრომით და მოღვაწეობით. ახლა ვხედავთ რომ ამ სიღარიბის გზაზე ედგვართ და რამოდენიმე დროს შემდეგ შექველად პროლეტარში ჩაეცვივით“²⁾.

გ. წერეთელი და დიდი ნაწილი ნმ-იანი წლების ახალითაობის ინტელიგენციისა თუ ერთი მხრივ, ნათლად გრძნობდა რომ ვაჭრობა-მრეწველობისა და ალემ-ნიცემობის განვითარება ჩვენში აუცილებელი და სასარგებლო იყო, მეორე მხრივ, იგი ხედავდა, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება საფრთხესაც წარმოადგენდა ხალხისათვის იმდენად, რამდენადაც ეს ურთიერთობა არღვევდა დაბალი წოდების ეკონომიურ საფუძვლებს და „პროლეტარში ჩაეცვით“ ემუქრებოდა ერის დიდ ნაწილს. ამგვარი ეკონომიურ-სოციალური შედეგების ეშინოდა ინტელიგენციას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ინტელიგენციის აფრთხოვდა დასავლეთ ევროპის კაპიტალის შემოჭრა საქართველოსა და ამიერკავკასიაში იმიტომ, რომ მისი წარმოდგენით ევროპის დაწინაურებული ქვეყნები თავიანთი ცოდნითა და ტექნიკით დაიმონებენ ჩვენს ქვეყანას და მას თავის საექსპლოატაციო ობიექტად გადააქცევენ. ასე ფიქრობდა მაშინდელი ინტელიგენცია. იგივე გ. წერეთელი ამ საკითხის შესახებ სწერდა: „გამოჩნდა, რომ რკინის გზა ყოფილა გამართული იმ განათლებული ხალხებისათვის, რომელთაც ნამუშევრისა და სხვა ნაწარმოების უმრავლესობა აწუხებდათ, შემოსატანი მოხერხებული გზა არ ჰქონიათ ჩვენში და თურმე რკინის გზა უნდოდათ გაემართათ, რომ შესძლებოდათ იმათი შემოტანა და გასაღება. გამოჩნდა, რომ რკინის გზა გაკეთებულია ფულიან კაცებისა და ყოველნაირ ხელობაში გაწვრთნილ კაცებისათვის, რომელთაც მხოლოდ მასალა ჰკლებიათ თავის ქვეყანაში, მიწა ცოტა ჰქონიათ და ამის გამო, რაკი რკინის გზამ იმათ ჩვენი ქვეყნის გული გადუსწია, ფუტკრებსავეთ უნდა შემოვიდნენ და ყოველნაირი შეუმუშავებელი მასალა გაიტანონ, მიწები მოიპოვონ და იწყონ თავის ნახელავების მრავლება, ყიდვა და როგორც მდიდრები არიან, უნდათ კიდევ უფრო გამდიდრდნენ. ამ შრომის ბრძო-

¹⁾ „ორიოვე სიტყვა სასოფლო ბანკების თაობაზე“, — „სასოფლო გზეი“, № 11, 1871 წ.

²⁾ „დროება“, № 25, 1866 წ.

ლაში ჩვენ რაღა შეგვიძლიან. იმათ აქეთ ფული, ჩვენ არა; ჩვენ არა. იმათ იციან ყოველნაირი ხელობა, ჩვენ კი არა ვიცით-ოა. იმათ აქეთ ქარხნები, ჩვენ კი არაფერი. მაშ გამოჩნდა, რომ ჩვენი რკინის გზა აპირებს ჩვენსავე ქვეყანაში უფულო, უსწავლეულს, მოხელეობის უცოდნელის საქართველოს, ანუ უყვევ ვთქვათ, კავკასიის ერების შემშას მდიდარ ევროპის ხალხებთან, რომელთაც აქეთ აუარებელი სიზღიდრე, საუცუთესო იარაღები, ყოველნაირი ხელობის სწავლა, დიდი მეცნიერება და ამის შემდეგ შენ თვითონ გამოიციან მკითხველო, ვის დარჩება ბურთი და მოედანი შემდეგში¹⁾

ამრიგად საქართველოში ევროპისა და რუსეთის კაპიტალის შემოჭრაში გ. წერეთელი დიდ ეკონომიურ საფრთხეს ხედავდა და ამიტომ ეძებდა საშუალებას ამ საფრთხიდან თავის დასახსნელად. ამ შემთხვევაში იგი პრინციპიალურად კი არ ებრძოდა კაპიტალიზმსა და კაპიტალისტურ ურთიერთობას, არამედ ევროპიულ სახელმწიფოთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კაპიტალისტურ პოლიტიკას უარყოფდა. მაგრამ როგორი საშუალებით ფიქრობდა გ. წერეთელი ევროპის კაპიტალის მიერ მხარეების წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოში, როგორი იყო ამ მხრივ მისი პრაქტიკული ღონისძიებანი?—მისი ეკონომიური პროგრამა ეროვნული კაპიტალის განვითარებაში გამოიხატებოდა. თუ გვინდა თავიდან ავიცილინოთ სხვა ქვეყნების ეკონომიური მონობა და ექსპლოატაცია, — ამბობდა გ. წერეთელი—ჩვენ უნდა ვებრძოლოდ მათ იმავე იარაღით, როგორითაც ის გვიბირებს ჩვენ დაპყრობას. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, სწავლა-განათლებისა და მეცნიერების გავრცელება, ტენიკის გაუმჯობესება— არის ის საშუალებანი, რომლითაც უნდა შეიარაღდეს ქართველი ხალხი და დაიცვას თავი უცხო კაპიტალის შემოტევისაგან. იმავე წერილში გ. წერეთელი სწერდა: „მით უფრო ღრმად გემართებს მოსაზრება, რომ როგორმე უეცრად მოვარდნილს ღვარს ჩვენი საერო სახლ-კარის საძირკველი არ გამოვთრევინოთ; ისეთი ქვიტყირის კედლით შევიზღუდოთ თავი, რომ მაგარი ბურჯები ჰქონდეს, არ აგვატივტივოს და ქვეყნის მორგეში არ ჩაგვიტანოს—ამისთანა მკვიდრი კედელი ამჟამად უნდა იყოს ფულის გაჩენა ჩვენში, რომ ყოველ კაცს ახალი საქმის დაწყებისათვის ხელი მოენაცვლებოდეს“²⁾ მეორე წერილში იგი ამბობს: „აწ რკინის გზა გაიხსნა, იმან მიუთითა საქართველოს ტომის ვაჭარს ხალხს ხელი ტფილისზე და უთხრა: აი: შენი დედაქალაქი და საქართველოს ბურჯი გარეშე ხალხს ზაუგდია ხელში. შენ ეს აქამდის არ იციდი და რომ გკოდნოდა მაინც, აქამდის ვერას გაარიგებდი, აწ მიესიეთ და იჩინეთ თავი ტფილისის სავაჭრო ასპარეზედ. ეხლა იქ არის ბურთი და მოედანი. დაიწყეთ ტფილისის სავაჭრო ბაზარში მიწოლა და ვაჭრობა. ისევ თქვენ დაირჩინეთ. უამისოდ ტფილისიც სამუდამოდ დაკარგულია და ქართლ-კახეთის მიწა-წყალიც დაღუპულია... მაშინ ჩვენი ცხოვრების ნაკადულიც ძალიან ვადიდდება, იწყებს წარმატებით ჩქარ დენას და კეთილდღეობაც მოახლოვებულა“³⁾

1) გ. წერეთელი: „საამჟამაგო ბანკები“. კრებულო № 8 II, 1872 წ.

2) იქვე.

3) გ. წერეთელი. „ამ დროის მოძრაობა“. კრებულო № 3, 1873 წ.

ასე სწორდა გ. წერეთელი ნაციონალურ კაპიტალის განვითარების აუცილებლობისა და საჭიროების შესახებ. მისი ეკონომიური პროგრამის მიხედვით პერიოდისათვის უაღრესად პროგრესიული იყო. ამ შემთხვევაში გ. წერეთელმა ღრმად განსჯა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ისტორიული ვითარება და ისეთი ეკონომიური პროგრამა შეიმუშავა, რომელიც ძირეულად შეესაბამებოდა ქართველი ხალხის მოთხოვნილებებს. აქ გ. წერეთლის პირით ისტორიული სინამდვილე მატყველებდა და იგი გამოხატავდა მშობიარობის პროცესში შუაფეხურ ქართველ ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესებს. გ. წერეთელი პირველი შეგნებულად წინამორბედი და მებრძოლი იყო ამ ახალი კლასისა. მისი იდეოლოგია ახალი, ბურჟუაზიული საქართველოს იდეოლოგია იყო, რომელიც ისახებოდა ახალ სოციალ-ეკონომიურ ცვლილებათა ნიადაგზე. მაგრამ რადგან ეს ახალი სოციალ-ეკონომიური ნიადაგი ჯერ კიდევ მშობიარობის პროცესში იმყოფებოდა, ჯერ კიდევ განუვითარებელი და მოუშწიფებელი იყო, ამიტომ ასეთს პირობებში აღმოცენებული ბურჟუაზიული აზროვნება და იდეოლოგია თავისებური სახის მატარებელი უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია სწორედ ის გარემოება, რომ გ. წერეთელი მხარს უჭერდა ასოციაციებსა და შეურნეობის კოლექტიურ ფორმებს. აქ მართლაც სჩანს ჯ. სტ. მილის გავლენა. გარკვეული ენით რომ ვთქვათ, გ. წერეთელი მომხრე იყო, კაპიტალიზმი ჩვენში კოლექტიურ ფორმებში განვითარებულ იყოს, ე. ი. მას სურდა კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარებას მიეღო მწვიდობიანი და დემოკრატიული ხასიათი. ერთი მხრივ, მას აფრთხობდა ქართველი გლეხობის „პროლეტარიატში ჩაყვანის“ შიშით. მისების გაღატაკება და ის უბნები შეთოდები, რომელსაც კაპიტალიზმი იყენებს თავისი განვითარების დროს, მეორე მხრივ, ევროპის ცხოვრების შესწავლით გ. წერეთელმა კარგად იცოდა, თუ როგორ დიდ სოციალურ ბრძოლებს იწყებს შრომისა და კაპიტალს შორის და ჰქმნის ანარქიას კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება ამა თუ იმ ქვეყანაში. აქედან შემუშავდა გ. წერეთლის ეკონომიური პროგრამა, ასე ვსთქვათ, პროგრამა დემოკრატიული კაპიტალიზმის განვითარებისა საქართველოში, კაპიტალიზმის, რომელსაც გ. წერეთლის წარმოდგენით დაკარგული ექნებოდა თავისი მკაცრი და უხეში სახე და რომელიც კოლექტიურ-ასოციაციურ ფორმებში მოთავსდებოდა. ასეთი კაპიტალიზმი აგვაცდენს „პროლეტარიატში ჩაყვანის“ და მასში შესწლებს გაერთიანებას ჩვენი საზოგადოების ყოველი ცოცხალი ძალა: მუშა, გლეხი, ვაჭარი, მრეწველი, ინტელიგენტი და სხვა. ის იქნება უპროლეტარო კაპიტალიზმი, უფრო მწვიდობიანი და დემოკრატიული, ვინემ არის დასავლეთ ევროპაში. ასე ფიქრობდა 60—70-იან წლებში გ. წერეთელი. და მისი აზროვნება სავესებით შესაბამებოდა მაშინდელ პროგრესიულ-რადიკალური ინტელიგენციის მისწრაფებებს; ამ პროგრამაში დემოკრატიზმიც იყო დაკული და კაპიტალიზმიც; მშრომელი ფენებიც (გლეხი, მუშა, ინტელიგენტი) და ბურჟუაზიაც; ამ პროგრამით გ. წერეთელმა შეუქავეშირა დემოკრატიზმი კაპიტალიზმს, მშრომელი მასა—ბურჟუაზიას; ასე შეადგულა გ. წერეთელმა ერთ სინტეზში სხვადასხვა მოვლენები და სოციალური კატეგორიები. ასე სურდა მას დაეკარგა კაპიტალიზმისათვის ანტაგონისტური და



ბის საშუალებით. იგი პრინციპიალურად არ იზიარებდა „ტეტრეკანტის“ დამამშრომლობას და მიეფის ერთგულების პოლიტიკას; მისთვის მთავარწინააღმდეგარსად თავისუფლების მოპოვება, როგორც გარანტია ხალხის ცხოვრების აღორძინებისა და ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვებისა. გ. წერეთლის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში ამ გზით მიემართებოდა; იგი უაღრესი დამცველი იყო ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობისა და დამოუკიდებელი არსებობის დემოკრატიულ-ფედერატიულ საფუძვლებზე. 1874 წ. ციურისში მოწვეულ ა/კავკასიის მოღვაწეთა კონგრესზე გ. წერეთელი ატარებდა იმ აზრს, რომ საჭირო არის ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის მოპოვება და მტკიცე დემოკრატიულ-ფედერატიულ საფუძვლებზე აშენება სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის საქმისა ამიერ-კავკასიაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გ. წერეთელი თავიდანვე დამცველი იყო ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობისა და თანამშრომლობის. 1879 წ. იგი სწერდა: „ჩვენ საქართველოს ხალხს და იმათს დაწინაურებულს კაცებს დღეს ბაიარაღზე ეს უნდა გვეწეროს: ერთმანეთთან დახმარება, ერთმანეთის პატივისცემა. სამივე ერის (სომხების, ქართველების და თათრების, ს. ხ.) გულისთვის ერთად ზრუნვა, ძმური კავშირი და საერთო ძალით იმ შინაური კულის გასწორება, რომელიც ასე აჩერებს ჩვენს კეთილ-მდგომარეობის გზაზე წინ წასვლას... ეს სამი ტომი დღეს კავკასიის აქეთა მხარეში მკვიდრი მოსახლენი არიან, ერთმანეთის დახმარებით აშენდებიან, ერთმანეთის მტრობით კი დაიქცევიან“¹⁾. ასე სწერდა ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობისა და თანამშრომლობის შესახებ გ. წერეთელი 70-იან წლებში და ამ პრინციპისათვის მას არასოდეს არ უღალატნია. მისი გაგებით ამ ერთა სოლიდარობა, თანამშრომლობა და შეთანხმებული მოქმედება იყო საუფეთესო გარანტია ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. როგორც ვიცით, ეურნ. „ივერია“ ი. ჭავჭავაძის მეთაურობით და ქართველი თავად-აზნაურობა ცხარე ბრძოლას აწარმოებდნენ სომხობის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა არსებითად გამოხატავდა ქართველ თავად-აზნაურთა და სომხის ბურჟუაზიის კლასიურ ბრძოლას; გ. წერეთელი, როგორც ახალგაზრდა ქართველი ბურჟუაზიის წარმომადგენელი, თითქოს ვერ გრძნობდა ამ პერიოდში სომხის კაპიტალის წინააღმდეგობას; და იგი ფიქრობდა, რომ სომხისა და ქართველი ბურჟუაზია ინტელიგენციის ხელმძღვანელობით უნდა შეთანხმდნენ და ერთად დაიცვან თავიანთი ეკონომიური ინტერესები. როგორათაიც არ უნდა აეხსნათ გ. წერეთლის პოლიტიკა ამ საკითხში, მაინც უნდა ესთქვათ, რომ მას მხნეთ ეჭირა ხელში ეროვნული სოლიდარობის დროშა და თავ-გამოდებით იცავდა ამიერ-კავკასიის ერთა დაახლოებისა და დამოუბალების საქმეს. ამ მხრივ მისი პოლიტიკა არსებითად განსხვავდებოდა ი. ჭავჭავაძის პოლიტიკისაგან.

5.

90-იან წლებში გ. წერეთელმა ერთი მეტად საინტერესო პოლიტიკური ნაბიჯი გადასდგა: მან პოლიტიკური კავშირი დაიჭირა ახლად ჩამოყალიბებულ

¹⁾ გ. წერეთელი: „ჩვენ და ჩვენი დროება“, — გაზ. „დროება“ № 16, 1879 წ.



სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებთან და ბოლოს მარქსიზმის დროულად დაიჭირა ხელში. გ. წერეთელის ამ ნაბიჯმა ცხარე კამათი გამოიწვია ქვეყნის ქვეყნულ პრესაში¹⁾ და დღესაც იწვევს ერთგვარ გაუგებრობას; მართლაც საინტერესო საკითხი არის: რა მოტივები ამოძრავებდა გ. წერეთელს ამ ნაბიჯის გადადგმის დროსა და ნამდვილად ორტოდოქსალი მარქსიზმის მიმდევარი გახდა იგი 90-იან წლებში? ამ წერილში შეიძლება მხოლოდ მოკლედ გაეცეს პასუხი აღნიშნულ კითხვას, შემდეგში. როდესაც გამოჭვეყნდება გ. წერეთლის შესახებ მონოგრაფია, იგი უფრო ფართოდ და ღრმად იქნება გაშუქებული.

90-იან წლები ჩვენ უახლოეს ისტორიის პერიოდში უშესანიშნავეს ხანას წარმოადგენს. ამ პერიოდში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ უკვე საგრძნობ დონეს მიაღწია. მთელი ამიერ-კავკასია კაპიტალისტური განვითარების მორევეში მოყვა და მის მიერ გამოწვეული შესაფერისი ცვლილებების ნაყოფი უკვე საგრძნობი შეიქმნა

კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას თან მოჰყვა პროლეტარული კლასის ჩამოყალიბება, რომელთა მოწინავე კოლონები უკვე გამოვიდნენ სამოლევანო ასპარეზზე. ამრიგად 90-იანი წლები მათაც არის შესანიშნავი, რომ საგრძნობლად ამოძრავდა ჩვენი ცხოვრების ყველაზე უფრო მოძრავი საზოგადოებრივი ფენები; მასთანვე ცხოვრების ახალ დუღილში, ახალი იდეოლოგია და ახალი აზროვნება ჩამოყალიბდა; პროლეტარული ფენების სამოლევანო ასპარეზზე გამოსვლასთან ერთად საქაზთველოს ნიადაგზე საფუძველი ჩაეყარა მარქსისტულ მიმდინარეობასაც. ხოლო ამ მიმდინარეობის ჩამოყალიბება ნიშნავდა ცხარე იდეოლოგიური ბრძოლის გაჩაღებას სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის. მეორე მხრივ დეკადანსი დაიწყო ძველ ნაროდნიკულ იდეოლოგიაში:

ამოძრავებული წვრილი ბურჟუაზიული ინტელიგენცია დამარცხდა იდეოლოგიურადაც და ფაქტიურადაც, მან ვერ შესძლო ცხოვრების თავისი პრინციპებისა და პროგრამის მიხედვით გარდაქმნა; კაპიტალიზმის განვითარება უფრო ნძლავრი აღმოჩნდა, ვინემ ნაროდნიკების სამოლევანო პროგრამა; ახალთაობის წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენცია ცდილობდა ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებების ახალი თვალსაზრისით შეფასებას და ახალი იდეოლოგიის შემუშავებას. აქედან წარმოსდგა ამ წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის მარქსიზმით გატაცება.

90-იან წლების კარი ორმა დიდმა ისტორიულმა ფაქტმა შემოაღო: ერთი—ბათუმის მუშების გრანდიოზულმა გაფიცვამ 1890 წელს და მეორე—1892 წელს მარქსისტების პირველმა კრებამ ე. ნინოშვილის მეთაურობით ყვირილაში, ე. ი. მარქსისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებამ. ბოლოს ამ ორ ფაქტს შორის უნდა მომხდარიყო სრული შეთანხმება, მათი დაკავშირება, რადგან მარქსიზმისა და მუშათა კლასის შეუღლება ისტორიული ცხოვრების აუცილებელი კანონია. რასაკვირველია, ჩვენი ცხოვრების ვითარებაც ვერ ასცდებოდა ამ კანონს. თუ, ერთი მხრივ მარქსისტული ინტელიგენცია ჯერ ფარულად და შემდეგ ლეგალურ ვაზეთებში გაცხარებულ მუშაობას აწარმოებდა მარქსი-

¹⁾ იხ. ლალისა და ა. ნაღის წერილები—1884-85 წლის „ივერიასა“ და „მოამბეშა“.

სტულ პრინციპების დასაცავად, მეორე მხრივ, მუშათა მოძრაობაც ისწავებოდა და ამ სახით ორი საზოგადოებრივი ფაქტორი—მარქსისტული იდეოლოგია და მუშათა ფენები და მათი ორგანიზაციები შემდეგში შეკავშირდნენ და ერთ-ერთ მოსულყო სამოღვაწეო ასპარეზზე.

გ. წერეთელს წილად ხვდა ამ ორი დიდი ფაქტის მშობიარობის პროცესის ახლო მეთვალყურე გამხდარიყო და შემდეგ მათი მზრუნველობაც ეკისრა.

მეორე მხრივ, ცნობილი არის გ. წერეთლის დამოკიდებულების ფაქტები ახალგაზრდა ს.-დემოკრატიულ ინტელიგენციის პირველ მეთაურებთან.

ბათუმის მუშათა ამ პირველ მნიშვნელოვან გაფიცვას თვით გ. წერეთელიც ეხება ერთ თავის წერილში. ამ გაფიცვასთან რამოდენადმე კავშირი ჰქონდა თვით გ. წერეთელსაც. ავტორი აღნიშნავს რა, რომ „ამ დროს როტშილდის ქარხანაში მუშაობდა რვა ათასი კაცი ყოველ დღე“, შემდეგნაირად გადმოგვცემს აღნიშნულ გაფიცვის ვითარებას:

„1890 წლის მარტის თვეში ბათუმში როტშილდის მუშებმა—ხუთასმა კაცმა— შეჭერეს პირი და მუშაობას თავი დაანებეს, რადგან ქარხნის გამგებელმა ბ-ნ ზროდლოვსკიმ ქირა გაუნახვევრა, ვითომაც იმ გარემოების მიხედვით, რომ კროსინის ფასმა იკლო საზღვარგარეთო. ვისაც მანეთი ეძლეოდა, ათწაურზე ჩამოიყვანეს და ვისაც ორი მანეთი—ექვს აბაზზე. მუშები იყვენ სულ იმერეთ-სამეგრელო-გურიაიდან. ისინი ემუქრებოდნენ ზროდლოვსკის ცემას. ამან მიაშურა მათ შინვე ბათუმის სამხედრო გამგებელს, ნ. ერისთავს, რომელმაც ფიცხი განკარგულება მოახდინა: თუ მუშები არ დაიწყებენ კვლავ მუშაობას, პოლიციის ეტაპით უნდა განდევნილ იყვენ თავიანთ ქვეყნებში, ხოლო მუშების ამბუნტებელ მეთაურებს ეძებდნენ დასაჭერათ. ამ დროს ქართველი მუშების არტელის დასაარსებლათ ვიყავი მიწოდებული ბათუმში, და ასე, წირვის დრო იქნებოდა, რომ როტშილდის ქარხნის მუშები ერთიანათ შემოვიდნენ ჩემი არტელის კანტორაში და მთხოვეს შუამდგომლობა გამეწია სამხედრო გუბერნატორის თანაშემწესთან, თ. ნ. ერისთავთან, როგორც ქართველ კაცთან. ისინი თხოვედნ მას პატრონობას როტშილდის ქარხნის უფროსის ზროდლოვსკის მიერ შევიწროებისაგან... მე მაშინვე წავეყვი თ. ნ. ერისთავთან, რომლის სახლის წინ გამოქიმული იყვენ რამდენიმე პოლიციის ბოქაული და დარაჯები. მუშა ხალხი სახლის გაღაენის გარეთ დადგა და მე შევედი თ. ერისთავთან მოსალაპარაკებლათ. ის ძალიან ცუდ-გუნებაზე დამხვდა და ჩემ კითხვაზე საშინელი ლანძღვა-გინებით მოიხსენია იმერელი მუშები: ვინც დღეს და ხვალ ბათუმიდან არ წავა, ყველას სატუსალოში ჩაყრიო... მე თქვენ გთხოვთ თავი დაანებეთ მგათ პატრონობას, თორემ თქვენი მუშის არტელიც გაუქმდება და თქვენც მთავრობის წინაშე შენიშნული იქნებითო—მითხრა მან წყრომიო... ყველა მიხვდა, რასაც მაშინ ჩემი გული გრძნობდა. მუშებს ვუთხარი, ცუდათ არის საქმე-მეთქი, მსჯობია ისევ წინ წადით და თოხს მოკიდეთ ხელი, თვარა აქ ყველას დაქერას გიპირებენ-მეთქი“¹).

¹ გ. წერეთელი: „განატე ინვაროფია“, წიგნი: „ორი მოთხრობა გ. ნინოშვილისა“ გვ. IX—XII, 1896 წ.

ასე მოხდა პირველი შეხვედრა გ. წერეთლისა ამოძრავებულ პროლეტარულ მასებთან. ერთი მხრით, მას როგორც, მუშათა არტელის განმარტებულმა ჰქონდა ახლო გასცნობოდა ქართველ პროლეტარიატის ეკონომიურ მდგონარეობას, მეორე მხრივ, იგი უშვალო მეთვალყურე გახდა პროლეტარულ-მაინიურ მოძრაობის, პირველ კოლონების გამოსვლის ბრძოლის სარბიელზე. საქართველოს ამოძრავებულ მასას, ალბად, პირველად იბილა გ. წერეთელმა. იმავე წერილში იგი სწერს: „საქართველოს ხალხი, ეს უმრავლესობა ერისა, რომლისაგანაც საქართველო მოელის თავის აღორძინებას, უკვე შეძრულა და მასში დაბადებულა უკეთესი ეროვნული და ეკონომიური იდეალები“⁴). აი ამ ახალად ამოძრავებულ საქართველოს უმრავლესობის გამოყენებას ცდილობდა შემდეგში გ. წერეთელი თავისი მიზნებისათვის. ეს ფაქტი აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული.

1893 წ. გ. წერეთლის მეთაურობითა და მისი უახლოესი თანამშრომლობით დაარსებული იქნა ახალი პროგრესიულ-დემოკრატიული ორგანო „კვალი“, რომელშიაც დაარსებიდანვე თავი შეაფარა ახალგაზრდა მარქსისტულმა ინტელიგენციამ (ხომლედი, ე. ნინოშვილი, ნ. ჟორდანიას, ფ. შახარაძე და სხვ.). შეიძლება ითქვას რომ გ. წერეთელი თავიდანვე თანაგრძობით შეხვდა ამ ჯგუფს და შეძლებისდაგვარად გაუხსნა თავისი ჟურნალის კარები. მაგრამ გ. წერეთელი მარტო თანამშრომლობით არ კმაყოფილდებოდა, იგი სცდილობდა იდეური ნათესაური კავშირიც გამოეძებნა ახალ მიმდინარეობასთან. უკვე ერთი წლის შემდეგ, 1894 წ. ე. ნინოშვილის დასაფლავებაზე წარმოაქმულ სიტყვების შესახებ გ. წერეთელი სწერდა: „ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა ნინოშვილის დასაფლავებაზე. მის კუმბს გარს შემოკრბენ, ასე ესტყვათ მესამე დასი ახალგაზრდობისა, ესე იგი სულ უკანასკნელი წლების თაობა—ისინი რომელნიც გამოსულან ასპარეზზე მეოთხმოც-და-ათე წლებიდან. ნამღვლილი ამათი მოთავე, ამათი სახელი და ამათი იმედი ყოფილა ნინოშვილი, რომლის ნაწერებშიაც ბრჭყინავს ეს მესამე დასი, ახალგაზრდობის სულის მისწრაფება და მათი მოქმედების პროგრამა მომავალში. ისინი უარს ჰყოფენ ძველ ჩვენ ინტელიგენტებს—მეთაურებს და მათი მოქმედება უკვე მავნებლად მიიჩნიათ ჩვენი საზოგადოების წარმატებისათვის... ამ დასში არიან მრავალი სოფლის მისწავლებელი, გონება-განვითარებული სემინარიელი, სამოსწავლო ინსტიტუტში კურს-დასრულებული და მეოთხმოცდა-ათე წლების ზოგიერთი სტუდენტობა. ნინოშვილის კუმბოზე პირველად წარმოსტყვეს მათ თავისი პროგრამა მოქმედებისა და თითქმის რაზმად დაეწყვენ, რომ ხალხში შეიტანონ განათლების შუქი და ზურგი შეაქციონ იმ ინტელიგენციას, რომელიც დღეს თავს იბრძობს ბანკისა და ქალაქმის არჩენებში. ამ მესამე დასმა საგნათ აიჩრია ისეთი მოქმედება, რომ გაუნათლებელს ხალხში მოჰფინოს წერა-კითხვა, შეიტანოს მეცნიერებისაგან გამორკვეული ნათელი აზრები. მკვირცხლად ადევნოს თვალი მსოფლიო ცხოვრების მიმდინარეობას და არავითარი შემთხვევა არ გამოეპაროს მსოფლიო ცხოვრების

⁴ გ. წერეთელი: „გვანატ ინგოროვეა“ (წიგნში „ორი მოთბობა ეგ. ნინოშვილისა“).



მოდრაობაში მისთანა, რაც კი სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს და წინ წა-
აყენებს მის ბედობას. ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომელიც ყველა
თავგანწირულები არიან, რომელთაც არავითარი სიზღიდრე არ აინტერესებს და
მზად არიან ძაძით-შემოსილი ემსახურონ ხალხს და ეცადონ მის გამოფხიზლე-
ბას; ესენი არიან სულ ახალგაზრდანი, გონებრივი ღონით საყვანი... არც ერთი
მუხლი იმათ (მესამე დასელების) პროგრამისა არ ეწინააღმდეგებოდა იმ აზრებს,
რომელიც გამოარკვია გ. წერეთელმა ნინოშვილის კუბოს წინაშე წარმოთქმულ
სიტყვებში¹⁾. კიდევ ერთი წლის შემდეგ გ. წერეთელი სწერს: „კვალის“ მე-
თაურებმა უარყვეს პირველი დასის (ნაროდნიკების) შეხედულება და მეორესაც
(„ივერიის“), რადგან ორივენი იყო ცალ-კერძო და უსულო... ამისათვის „კვა-
ლი“ დიდს სიბარულით და აღტაცებით მიეგება ამ ახალ გზაზე მოსიარულე მესამე
დასს. რომელმაც უარყო წოდებათა განკერძოება და მათზე მზრუნველობა. იმან გა-
მოაცხადა საგნათ თავის ზეგაველნის მთელი საქართველოს ერი, რომელიც მარტო
გლუბკაცობა, ან მარტო თავადანაზნაურობა კი არ არის, არამედ ეს არის შემკრებუ-
ლობითი არსება, რომელშიც გლუბიკ არის, თავად-ანაზნაურობაც, მღვდელიც, ვაჭა-
რიც, ნოხელე და მოქირავე ყმა(“²⁾). ასე ესმოდა გ. წერეთელს ახალი დასის—რომელ-
საც მან პირველად უწოდა „მესამე დასი“—პროგრამის შინაარსი. უდავოა,
რომ პირველ ხანებში გ. წერეთელი სრულიად გაურყვეველი ყოფილა ახალი და-
სის იდეოლოგიასა და სამოღვაწეო პროგრამაში. ისიც უდავოა, რომ იგი თა-
ვიდანვე ცდილობდა ეს ახალი დასი გადმოეპირებოდა თავის მხარეზე, თავისი
პროგრამისა და იდეოლოგიის ნატარებელი გაეხადა.

ამრიგად გ. წერეთელმა 1893 წლიდან შეიძინა თავის ორგანოში ახალი
მარქსისტული მიმდინარეობა და ცდილობდა ამ დასთან იდეოლოგიურ-პოლი-
ტიკური კონტაქტი დაემყარებოდა თავისავე პრინციპიალურ მოსაზრებათა სა-
ფუძელებზე. მაგრამ შემდეგში ჩვენ სხვაგვარ მდგომარეობასთან ვვაქვს საქმე:
მარქსიზმი უფრო მძლავრი აღმოჩნდა, ვინემ გ. წერეთლის აზროვნება; ახალ-
გაზრდა მარქსისტები უფრო მტკიცე და შეურყვეველი აღმოჩნდნენ თბილისთან
პრინციპიალურ შეხედულებაში, ვინემ თვით გ. წერეთელი. აქედან ჩვენ მივი-
ღეთ შემდეგი ფაქტი: თვით გ. წერეთლის გადახრა მარქსიზმისაკენ; იგი იძულე-
ბული შეიქნა ახალგაზრდა დასს დასთანხმებოდა, დამორჩილებოდა და ბოლოს
(1898 წ.) თავისი ორგანოც მათთვის გადაეცა. იგი უკვე მარქსისტული ენით
ლაპარაკობს და სწერს: 1899 წ. ვახ. „ივერიის“ საპასუხოდ იგი სწერდა:
„მარქსის თეორიას ეკონომიური მატერიალიზმისას პოლიტიკო-ეკონომიურ მეც-
ნიერებაში იგივე ადვილი უქირავს, რაც დარვინის თეორიას ბუნების მეცნი-
ერებაში და ბიოლოგიაში. ეს არის უკანასკნელი მეცნიერული დასკვნა პოლი-
ტიკო-ეკონომიაში და სოციოლოგიაში“³⁾. ასეთი გზით განვითარდა გ. წერეთ-
ლის აზროვნება 90-იან წლებში.

¹⁾ იხ. „კვალი“. № 21, 1894 წ. წერილი: „ღნატე ინგოროვეას გასვენება“, დამსწრესი
გ. წერეთლის).

²⁾ გ. წერეთელი: „კვალის ორი წლის ნალაწი“. № 5, 1895 წ.

³⁾ გ. წერეთელი: „ვახ. „ივერია“ და მისი სამოღვაწეო ხასიათი“—„კვალი“, 1899 წ.

აქ შეიძლება ერთი პატარა პარალელი გაეყვანოთ. ენციკლოპედიაში წერეთელმა 90-იან წლებში შეიხიზნა ახალგაზრდა დასი თავის ორგანიზაციის წევრებთან ერთად. 80-იან წლებიდან ფართოდ გაუშვა „ივერიის“ კარები ნაროდნიკული მიმდინარეობის წარმომადგენლებს საქართველოში (ნ. ხიზანაშვილი, ს. ქრელაშვილი, ვ. ყიფშიძე, მ. მთაწარი, ა. ნანეიშვილი, ვ. ლასხიშვილი, ვ. წერეთელი და სხ.), ამიტომ არის რომ ვახ. „ივერია“-ს ფურცლებზე ხშირად შეხვდებით ნაროდნიკული შინაარსის წერილებს, მაგრამ იღ. ქავჭავაძემ შესწლო ამ თავისი შეხიზნულთა დიდი ნაწილის (ხიზანაშვილი, ქრელაშვილი, ყიფშიძე და სხ.) თავისებურად გადახარშვა, თავის აზროვნებაზე გადაყვანა, „ივერია“-ს პროგრამის საფუძვლებზე მათი აღზრდა, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც არ დაემორჩილა მას, გასცილდნენ „ივერია“-ს. წერეთელი კი ჩაითრია თავის მოძრაობაში ახალი დასი და თავისი მიმდევარი გახდა, ი. ქავჭავაძე უფრო მტკიცე აღმოჩნდა. მან თვით ჩაითრია ქართველი ნაროდნიკები და თავისი მიმდევარი გახდა. ეს პროცესი ისტორიულად გასაგებია: თავი რომ დაეანებოთ წმინდა სუბიექტურ მომენტებსა და ი. ქავჭავაძისა და ვ. წერეთლის აზროვნებათა დახასიათებას, ისტორიულ-ობიექტური თვალსაზრისით აქ შემდეგ პროცესთან გვექონდა საქმე: ნაროდნიკობა გამოხატავდა წერილ ბურჟუაზიის მისწრაფებას და მისი იდეოლოგია და პროგრამა უკვე აღარ შესაბამებოდა ისტორიული ცხოვრების განვითარებას; იგი საგრძნობ კრიზისს განიცდიდა როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც და გადაშენების გზაზე იდგა; ნაროდნიკობა ან უნდა გალიბერალულიყო და ამით უარეუო თავისი თავი, ან მარქსიზმისაკენ უნდა გადახრილიყო და პროლეტარულ მოძრაობას შეერთებოდა. ან ახალ ახალი სამოღვაწეო პროგრამა შეემუშავებია. ნაწილი ქართველ ახალგაზრდა ნაროდნიკების ამ უკანასკნელ გზას დაადგა; ამ მიმდინარეობიდან შემდეგში ჩვენ მივიღეთ ე. წ. „სოციალ-დემოკრატიზმი“-ს მოძღვრება საქართველოში.

მეორე ნაწილი გალიბერალდა და შეუერთდა „ივერია“-ს მიმდინარეობას. ხოლო მესამე ნაწილი ახალგაზრდა ნაროდნიკებისა მარქსიზმის მიმართულებით წავიდა. აქედან წარმოიშვა ს. დემოკრატიული მიმდინარეობა ჩვენში. ცხადია, რომ ნაროდნიკების ნაწილის „ივერია“-ს ბანაკში გადასვლა ი. ქავჭავაძის პირად პოლიტიკას კი არ შეეწყობოდა, როგორც ამას ფიქრობდა ნ. ჟორდანიას¹⁾. არამედ იგი ისტორიულ-სოციალური აუცილებლობით იყო გამოწვეული. ნაროდნიკული მოძრაობა დამარცხდა ჩვენში; მისი იდეოლოგიური და პრაქტიკული საქმიანობა არსებითად ეწინააღმდეგებოდა ჩვენი ცხოვრების საერთო ვითარებას. აქედან წარმოიშვა ნიადაგ გამოცლილი ძველი მიმდინარეობის კრიზისი და მისი დაშლის პროცესი; ამიტომ წერილი ბურჟუაზიის ნაწილმა თავისუფლად შესცურა ლიბერალიზმის ტბაში.

სულ სხვაგვარი ისტორიული როლი ჰქონდა დაკისრებული ქართულ მარქსისტულ მიმდინარეობასა და მის ორგანიზაციას. იგი ჯერ კიდევ თავის წარმოშობისა და ზრდის პროცესში იმყოფებოდა, ხოლო მისი მოღვაწეობა, იდეო-

¹⁾ იხ. ნ. ჟორდანიას „ქართული პრესა“, 1900 წ.



ლოცია და პროგრამა საესებით შეესაბამებოდა ისტორიული ცხოვრების ვითარებას, ახალი სოციალური კლასის—პროლეტარიატის ინტელიგენციის წარუფებებს. ცხადია ამ მიმდინარეობის მთლიანად გადაყვანა ნაციონალ-დემოკრატიულ ნიადაგზე შეუძლებელი იყო და ეს ვერც გ. წერეთელმა შესძლო. ასეთი შესაძლებლობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას უწინააღმდეგებოდა. გ. წერეთელი თვით ვახდა ამ ახალი დასის მიმდევარი, იგი თვით ჩაითრია ახალმა ძალამ თავის მოქმედების ფერხულში.

მაგრამ აქ კითხვა იბადება: რამდენად შესძლო გ. წერეთელმა მარქსისტული მოძღვრების შეთვისება? ნუ თუ იგი მართლა ვახდა მეცნიერული სოციალიზმის მიმდევარი და ორტოლოქსალი მარქსისტი? ეს საკითხი მეტად საინტერესოა თავის მნიშვნელობით. ჩვენს წიგნში „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ უკვე უპასუხეთ ამ კითხვას. ¹⁾ ჩვენ მაშინ ვამბობდით, რომ გ. წერეთლის გადახრა მარქსიზმისაკენ 90-იან წლებში არსებითად გამოხატავდა ბურჟუაზიული ინტელიგენციის კლას გამოცეცნებას თავისი კლასის ინტერესებისათვის, როგორც მარქსისტული მოძღვრება, ისე მუშათა კლასი და ს-დემოკრატიული ორგანიზაციები. გ. წერეთელი ახლად წარმოშობილ დასსა და მარქსიზმს დაუახლოვდა, როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგი: მის სამოღვაწეო პროგრამაში არსებითად არაერთადი ცვლილება არ მომხდარა, ამ მხრივ იგი ცდილობდა მარქსიზმისათვის წმინდა ბურჟუაზიული წინაარსი მიეცა, პროლეტარული იდეოლოგია შეეცალა ბურჟუაზიული იდეოლოგიით. 1895 წ. „კვალის“ ორი წლის მოღვაწეობის შედეგების დროს გ. წერეთელი სწერდა: „ჩვენ უნდა გავხსნათ ჩვენი საკუთარი სამრეწველო და სამეურნეო ბანკები, უნდა დავაარსოთ სამეურნეო და სამრეწველო ასოციაციები, უნდა ვისწავლოთ ვაჭრობა და ალბ-მიცემობა, გავხსნათ ჩვენივე საკუთარი მოთხოვნილების დუქნები.“ ²⁾ ასეთი ეკონომიური პროგრამის დამცველი ბოლომდე დარჩა გ. წერეთელი, ხოლო ეს სხვა არაფერი არ არის, თუ არა ბურჟუაზიული პროგრამა; იგი მთარეველობითა და მხრუნველობით ეცილებოდა „ახლად აღორძინებულ ვაჭარ-მრეწველთა კლასს“. ამ პროგრამიდან არ შეეძლო გადახვევა გ. წერეთელს და არც სურდა გადახვევა: იგი სწორედ ბურჟუაზიულ კლასში ხედავდა ჩვენი ცხოვრების მამოძრავებელ ფაქტორს, მის მოწინავე ძალას. ამრიგად გ. წერეთლის მარქსისტობა საეჭვო ხასიათისა არის: მან მარქსიზმიდან მიიღო ის, რაც გამოსაყენებელი იყო ბურჟუაზიისათვის. საქართველოში, „კაპიტალისტური წარმოების განვითარებისათვის. ამ სახით თუ განვიხილავთ გ. წერეთლის მოღვაწეობასა და აზროვნებას 90-იან წლებში, უნდა ვსთქვათ, რომ იგი ე. წ. „ლეგალური მარქსიზმის“ თვისებური სახის მატარებლად უნდა ჩაითვალოს ჩვენში. როგორც ვიცით, იმავე 90-იან წლებში რუსეთშიაც ბურჟუაზიული ინტელიგენცია (სტრუვე, ტუგან-ბარანოვსკი და სხ.) შეეცადა თავისებურად შეეთვისებია მარქსიზმი; ამით რუსეთში საფუძველი ჩაეყარა „ლეგალური მარქსიზმის“ მიმდინარეობას, რომელიც გარეგანი ფორმით იყო მარქსიზმის მიმდევარი, არსებითად კი ბურჟუა-

¹⁾ სამონ ზუნდაძე: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, ტ. II, გვ. 271—76.

²⁾ გ. წერეთელი: „კვალის ორი წლის ნაღვაწი“—„კვალი“ № 3, 1895 წ.

ზიულ მისწრაფებებს გამოხატავდა. იმავე კლასიურმა საფუძვლებმა მის მი-
იყვანა ბურჟუაზიული ინტელიგენცია მსგავს მოვლენამდე: სრულად დამოუკი-
დებლად რუსეთის „ლეგალური მარქსიზმისა“—ჩვენში გ. წერეთელმა, როგორც
დავინახეთ, სცადა მარქსიზმის შეუღლება ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, მაგ-
რამ ასეთი ცდა მარცხით დამთავრდა. მაგრამ თვით ეს ცდაც საინტერესო იყო
იმდენად, რამდენადაც იგი გამოხატავდა პროგრესიული ბურჟუაზიული ინტე-
ლიგენციის ძიებას, ბრძოლასა და მისწრაფებებს.

* * *

ამით შეიძლება დავამთავროთ გ. წერეთლის აზროვნების განვითარების
მიმოხილვაც. ამ წერილში ჩვენ შევეცადეთ მოგვეცა გ. წერეთლის შემოქმედე-
ბისა და მსოფლმხედველობის მხოლოდ მთავარი კონტურები. როგორც დავინა-
ხეთ, იგი ერთობ ნაყოფიერი და მრავალფეროვანი მწერალი და მოღვაწე იყო.
გ. წერეთელი ერთ-ერთი საინტერესო ფიგურა იყო „სამოციანელთა“ შორის.
მისი მოღვაწეობა ჩვენი ისტორიული ცხოვრების ახალი ეპოქის ვითარებას შე-
ეხება ქრონოლოგიურად. და მან ყველაზე უფრო მკაფიოთა და ნათლად ასახა
ის პროცესი, რომელიც სწარმოებდა საქართველოს სოციალ-ეკონომიურ წყო-
ბილებაში. თავისი იდეოლოგიით, პრაქტიკული პროგრამითა და მოღვაწეობით
იგი გამოხატავდა აღორძინების პროცესში მყოფ ახალი სოციალური კლასის—
ბურჟუაზიის ინტერესებს. თავისი ეპოქისათვის გიორგი წერეთელი უაღრესად
პროგრესიული, დემოკრატიული და რადიკალურად მოაზროვნე პიროვნება იყო.
თავისი ხანგრძლივი ლიტერატურული და პუბლიცისტური მოღვაწეობით გ. წე-
რეთელმა მეტად საგრძნობი წვლილი შეიტანა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების
განვითარებისა და წარმატების საქმეში.

დრო არის ქართული კულტურისა და ლიტერატურის ეს ენერგიული მუ-
შაკი თავისი ნამდვილი ისტორიულის სახით იქნეს შეფასებული.

კავუსკი სახელმწიფოს წარმოშობის მარქსისტული თეორიის შესახებ

კავუსკი თავის ორტომიან ნაშრომში: „ისტორიის მატერიალისტური გაგება“ 1927 წ. საბოლოოდ დაშორდა მარქსიზმს. არც თვითონ მალავს ამას. ის აღარაა ამოფარებული მარქსს და ენგელსს, გამოდის თავის საკუთარ ფირმით, იძლევა „ისტორიის საკუთარ გაგების დასაბუთებას“, მარქსიზმს უცქერის „საკუთარი თვალით“.

კერძოდ, სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში კავუსკის, „ენგელსის მიმოტეხის“ ნაცვლად, წამოყენებული აქვს თავისი—უფრო სწორად—დიურინგ-გუმპლოვიჩის ე. წ. „ძალდატანების თეორია“. ჩვენ არ ვარჩევთ ამ თეორიას. ჩვენ თავის ერთი აშკარაა: კავუსკის დღეს სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში მარქსიზმთან არაფერი საერთო არა აქვს.

ჩვენ ამ პატარა წერილში ვსვამთ სხვა კითხვას: იზიარებდა თუ არა კავუსკი მარქსის და ენგელსის შეხედულებას სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში თავის ზემოდ დასახელებულ წიგნის დაწერამდე, იყო თუ არა კავუსკი როდისმე მარქსისტი სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში?

რამდენად ვიცით, ამ საკითხში კავუსკის ორტომოქსალობაში ეგვი არ შეაქვთ. კავუსკის ცოდვებს ხედავდნენ „გარდამავალ ეპოქაში“, პროლეტარატის დიქტატურის საკითხის დამაბინჯებაში. რაც შეეხება სახელმწიფოს წარმოშობას, აქ—ზოგის აზრით (ამაზე ქვემოთ)—კავუსკი სწორად გადმოგვცემდა მარქსის და ენგელსის შეხედულებას.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ კავუსკის ეხლა არ დაუწყია გადახრა ამ საკითხში, ის არასოდეს არ ყოფილა ნამდვილი მარქსისტი სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში. ის მარქსის და ენგელსის შეხედულების სწორად მოცემას არასოდეს არ ცდილა. პირიქით, ამ საკითხში მარქსიზმისაგან დასაშორებლად კავუსკიმ ნაბიჯი გადადგა „ისტორიის მატერიალისტური გაგების“ დაწერამდე დიდი ხნით ადრე. დიდი ხნით ადრე შეეცადა კავუსკი მოეცა სახელმწიფოს წარმოშობის თავისი, ანტი-მარქსისტული თეორია. თავის უკანასკნელ შრომაში კავუსკიმ მხოლოდ დაამუშავა ეს თეორია, ჩამოაყალიბა გარკვეულად და აშკარად დაუპირისპირა ის მარქსის და ენგელსის შეხედულებას ამ საკითხზე.

როგორც ლენინმა გვიჩვენა თავის „სახელმწიფო და რევოლუცია“-ში, მარქსის და ენგელსის რევოლუციონური თეორიის ყოველგვარი დამახინჯება, ამ თეორიის „უვნებლად გადაქცევა“, როგორც ერთის მხრივ—ბურჟუაზიული იდეოლოგიების მიერ, ისე—მეორეს მხრივ—ისეთ „მარქსისტების“ მიერ, როგორც კაუტსკი და კამპანია, —იწყება სწორედ სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის „შესწორებით“, მისი „დამუშავებით“, კაუტსკის ნაშრომის უდიდესი ნაწილიც სწორედ სახელმწიფოს საკითხს შეეხება. სწორედ ამ საკითხში სჩანს ყველაზე უფრო ნათლად განსხვავება მარქსიზმსა და ოპორტუნისტულ შორის. კერძოდ, აქ არის უფრო აშკარა კაუტსკის დამორება მარქსიზმისაგან.

ეს გასაგებიცაა: საკითხი სახელმწიფოს შესახებ ისეთი თეორიული საკითხია, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტი უშუალო ვაგლენას ახდენს პოლიტიკაზე, პოლიტიკურ პრაქტიკაზე. საკითხი სახელმწიფოს შესახებ, კერძოდ, საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ არის საკითხი მუშათა კლასის უშუალო მოქმედების, საკითხი სოციალისტური რევოლუციის. ამიტომ არის, რომ ლენინი თავის ზემოდ დასახელებულ შრომაში უდიდეს მნიშვნელობას აკეთებებს სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის ოპორტუნისტულ დამახინჯებასთან ბრძოლას: „საერთოდ ბურჟუაზიის და განსაკუთრებით იმპერიალისტურ ბურჟუაზიის ვაგლენისაგან მუშათა მასის განთავისუფლება შეუძლებელია, თუ ბრძოლა არ გაუწიეთ ოპორტუნისტულ ცრუ-რწმენებს სახელმწიფოს შესახებ“-ო. („სახელმწიფო და რევოლუცია“ წინასიტყვიანობა).

რა ადვილი უცავია სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს საერთოდ სახელმწიფოს საკითხში, რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს სახელმწიფოს არსის, სახელმწიფოს ბუნების შესწავლისათვის?

ამ კითხვაზე მარქსისტისათვის შეუძლებელია ორი აზრი არსებობდეს. დიალექტიკოს-მატერიალისტისათვის სრულებით ნათელია, უდავოა ის კენჭმარტება, რომ სოციალური მოვლენის მეცნიერული შესწავლა აუცილებლად გულისხმობს მის ისტორიულ ანალიზს. ამა თუ იმ მოვლენის წარმოშობის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენის ბუნების გაგებისათვის. ასევე ითქვინს სახელმწიფოს შესახებაც. როგორც ვიცით, მარქსიზმის ძირითადი დებულება სახელმწიფოს არსის, მისი ისტორიული როლის და მნიშვნელობის შესახებ: სახელმწიფო შედგება კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურთებლობის, ეს დებულება წარმოადგენს სახელმწიფოს ისტორიულ ანალიზს, განსაკუთრებით სახელმწიფოს წარმოშობის გამოკვლევის ჯამს, —დასკვნას. მარქსიზმის ამ ძირითადი დებულების დასაბუთებისათვის ენგელსი აწუშავებს და ვადმოგვცემს მორგანის გამოკვლევას სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ (ენგელსი: „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“) ლენინიც თავის „სახელმწიფო და რევოლუცია“-ში „სახელმწიფოს შესახებ მარქსიზმის ნამდვილ მოძღვრების აღდგენას“ იწყებს სწორედ მარქსიზმის ამ ძირითად იდეის, მარქსიზმის ამ „უმნიშვნელოვანესი პუნქტის“ აღდგენით და სწორედ ენგელსის სახელმწიფოს

წარმოშობის ანალიზზე დაყრდნობით. ლენინს ენგელსიდან მოყვასის იდეოლოგია, სადაც უკანასკნელი დასკვნას უკეთებს სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, და შენდევ განმარტავს: „აქ სრული სიცხადით არის გამოხატული მარქსის ძირითადი იდეა სახელმწიფოს ისტორიული როლის და მნიშვნელობის შესახებ. სახელმწიფო არის ნაყოფი და გამოხატულება კლასთა წინააღმდეგობების შეურიგებლობისა. სახელმწიფო აღმოცენდება მხოლოდ იქ, მაშინ და იმდენად, სადაც, როდესაც და რამდენადაც კლასთა წინააღმდეგობების შეურიგება ობიექტურად შეუძლებელია. პირიქით: სახელმწიფოს არსებობა ამტკიცებს, რომ კლასთა წინააღმდეგობები შეურიგებელია. სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს და ძირითად მუხლის შესახებ იწყება მარქსიზმის დამაბინჯება“ და სხ. (ლენ.: „სახ. და რევ.“).

ერთი სიტყვით, ეჭვს გარეშეა ის უიღრესი, შეიძლება ითქვას, გადაშფეციტი მნიშვნელობა, რომელიც სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს აქვს სახელმწიფოს ბუნების, მისი ისტორიული როლის გაგებისათვის. და რამდენად სახელმწიფოს საკითხში ცენტრალური საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი არის, შეუძლებელია, რომ უკანასკნელის გადაპრისათვის სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს მნიშვნელობა არ ჰქონდეს. ვინც მარქსიზმს, სახელმწიფოს მარქსისტულ თეორიას უკეთებს რევიზიას პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში, მას არ შეუძლია არ „გადაამუშაოს“ საკითხი სახელმწიფოს წარმოშობის შესახებაც. თუ „კაუტსკელები“, ერთის მხრივ, არ უარყოფენ იმას, რომ სახელმწიფო კლასიური ბატონობის ორგანოა, კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის ნაყოფი, მაგრამ, მეორეს მხრივ, მიაჩნიათ შესაძლებელიდ, რომ დაზარალებულ კლასის განთავისუფლება შეიძლება სახელმწიფო ხელისუფლების იმ აპარატის მოუპოვებლად, რომელიც გაბატონებული კლასის მიერ არის შექმნილი (ლ.).—მარქსიზმის ასეთი დამაბინჯების „დასაბუთება“ შესაძლებელი ხდება იმით, რომ სათანადო „შესწორება“ სახელმწიფოს წარმოშობის საკითხშიაც არის შეტანილი.

ამა თუ იმ მოვლენის ბუნების გაგებისათვის ამ მოვლენის წარმოშობის შესწავლის მნიშვნელობა კაუტსკის კარგად ესმის. „ისტორიის მატერიალისტური გაგება“-ში იგი გარკვევით ამბობს: „იმისთვის, რომ რომელიმე მოვლენა კარგად შევიცნოთ... აუცილებელია გავიგოთ, როგორ წარმოიშვა ის, როგორი ფაქტები უძლოდენ მას წინ“... (სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის რევიზიასაც კაუტსკი სწორედ სახელმწიფოს წარმოშობის „ენგელსის ჰიპოტეზის კრიტიკას“ უდევს საფუძვლად).

იცოცხა უფლაფერი ეს კაუტსკიმ. ცხადია, „ისტორიის მატ. გაგების“ დაწერამდეც. მიუხედავად ამისა—თუ სწორედ ამიტომ—იგი გაურბის სახელმწიფოს ბუნების დასაბუთებას სახელმწიფოს წარმოშობის ანალიზზე დაყრდნობით. ათეულიწლების განმავლობაში კაუტსკი იშვიათი გულმოდგინებით ეწევა მარქსის და ენგელსის შეხედულებათა პოპულიარიზაციას. იშვიათია მარქსიზმში ისეთი სა-

კითხი, რომლის კომენტარიები მას არ მოეცეს. მხოლოდ მარქსიზმის ამ უნივერსალური პუნქტის—სახელმწიფოს კლასიური ბუნების—მარქსისტულ განსაზღვრებას კი ვერსად ვერ შეხვდებით. „სახელმწიფოს ფორმათა განვითარება“ (რუსული თარგმანი ბერლ. გამოც. 1905 წ.), სადაც კაუტსკი ებება სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს, სრულებით არ წარმოადგენს ამ საკითხზე მარქსის და ენგელსის შეხედულებათა კომენტარიებს. ფაუტსკის აქ, როგორც ამას ბევრად დავინახავთ, წამოყენებული აქვს თავისი, ანტიმარქსისტული შეხედულება სახელმწიფოს წარმოშობაზე, მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ ბედავს დაუპირისპიროს ეს შეხედულება მარქსს და ენგელსს, ვერც იმას ახერხებს, რომ ეს შეხედულება უკანასკნელთ შიანწეროს. ამიტომ კაუტსკი აქ იძულებულია სრულიად აუაროს გვერდი მარქსს და ენგელსს, თითქოს მათ არ ქონდესთ არავითარი შეხედულება ამ საკითხზე, თითქოს კაუტსკიმ არაფერი არ იცოდეს ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობის“ არსებობაზე...

მხოლოდ პ. კუნოვის საპასუხოდ დაწერილ წიგნში: „მარქსის თეორია სახელმწიფოს შესახებ კუნოვის გაშუქებით“ (რუსული თარგმანი 1924 წ. სოც. აკად. გამ.) კაუტსკი, სანამ შეუდგებოდეს კუნოვის კრიტიკას, იძლევა „მოკლედ სახელმწიფოს შესახებ მარქსის მოძღვრებას“, როგორც ეს მოცემულია (კაუტსკის აზრით) მარქსის „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“, „გოტის პროგრამის კრიტიკა“-ში და ენგელსის „ანტი-დიურინგი“ და „ოჯახის, კერძო საკუთრ. და სახ. წარმოშობა“-ში. ამ წიგნს წინ უძღვის ლ. რუდაშის ვრცელი წინასიტყვაობა, სადაც იგი, არჩევს რა აღნიშნულ წიგნს, ამბობს: „მარქსის შეხედულებას სახელმწიფოზე კაუტსკი ძირითად მომენტებში (8 основном) გადმოგვცემს სწორად. დამახინჯება იწყება იმის შემდეგ, როცა ის შივა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხამდე“ გარდამავალ ხანაში“-ო (გვ. 9). ამასვე ეთანხმება ამ წიგნის რეკენზენტი Н. П.—ს. (ჟურნალი „Под Знак. Марксизма“. 1924 წ. № 6—7). ე. ი. დასახელებულ ავტორების აზრით, კაუტსკი უნაკლოდ გადმოგვცემს მარქსის და ენგელსის შეხედულებას სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე.

ენახოთ.

თავი, სადაც კაუტსკი გადმოგვცემს „სახელმწიფოს მარქსისტულ გაგებას“, შეიცავს სულ ორ გვერდს.

„სახელმწიფო—აღნიშნავს კაუტსკი—მარქსის და ენგელსის გაგების თანახმად აღამიანთა ერთად ცხოვრების არც ერთად ერთი და არც პირველი ფორმაა. აღამიანთა ერთად ცხოვრებას ადგილი ქონდა ჯერ კიდევ სახელმწიფოს გაჩენამდე და მის ზოგიერთ ტიპებს უკვე ქონდათ სრულიად ჩამოყალიბებული კონსტიტუცია, როგორცაა, მაგ., საგვარეულო და სათემო—საკლასო გავითიანებანი, მათი საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლებით. ის, რითაც სახელმწიფო განსხვავდება ამ წინანდელ საზოგადოებრივ ფორმაციისაგან, არის არა კანონების, სასამართლოების, ომში ხელმძღვანელების არსებობა, არამედ არსებობა კლასობრივი განსხვავების და კლასთა წინააღმდეგობების. როგორც კი ეკონომიურ განვითარება

რების პროცესში განიჭება საზოგადოებაში ეკონომიურად უფრო ლიბერლი კლასი იწყება კლასთა განსხვავების და წინააღმდეგობათა ზრდა. ეს განსხვავება იწყება საზოგადოების ყველა ორგანოებს და აქცევენ მათ მთელ საზოგადოების ორგანოებისაგან ისეთ ორგანოებად, რომელთა ამოცანას შეადგენს უძლიერესი, ე. ი. გაბატონებულ კლასის ინტერესის დაცვა სხვა კლასების ინტერესთა წინააღმდეგ... ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, სადაც საზოგადოებრივი დაწესებულებები გადაქცეულია იარაღად გაბატონებულ კლასის ხელში, წარმოადგენს სახელმწიფოს“ (გვ. 17—18. ხაზი ჩემია გ. ს.).

აი კაუტსკის გადმოცემით „სახელმწიფოს მარქსისტული გაგება“. მოკლედ:

1) სახელმწიფოს წინა დროინდელ საგვარეულო გაერთიანებებში უკვე არის „სრულიად ჩამოყალიბებული კონსტიტუცია... საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლებით“. აქ მოცემულია ყველა ის ორგანოები, რომელთაც შემდეგ სახელმწიფოში ვხვდებით.

2) ეკონომიურად ძლიერი კლასი „დაეუფლება“ საგვარეულო საზოგადოების „ყველა ორგანოებს“ და აქცევენ მათ თავის იარაღად. საგვარეულო საზოგადოების ორგანოები, გადასული გაბატონებულ კლასის ხელში—აი რა არის სახელმწიფო.

იმის შესამოწმებლად, თუ როგორ არის გადმოცემული აქ კაუტსკის მიერ მარქსის და ენგელსის შეხედულება სახელმწიფოს წარმოშობაზე, უნდა აღვადგინოთ სათანადო ადგილები ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობიდან“ (რუსული თარგმ. რიაზანოვის რედაქციით, გამ. 1923 წ.).

დამთავრებულ მარქსისტულ შეხედულებას აღძრულ საკითხზე, როგორც ვიცით, ენგელსის ეს შრომა გვაძლევს. სახელმწიფოს წარმოშობის და განვითარების ანალიზი აქ ისე ნათლადაა მოცემული, ყოველი დებულება ისე გარკვეულად არის ჩამოყალიბებული, რომ აქ მარქსიზმის „შესწორება“ იოლი არ არის.

პირველი კითხვა: რას წარმოადგენს საგვარეულო წყობილება, ადამიანთა ერთად ცხოვრების ის ფორმა, რომელიც სახელმწიფოს წინ უსწრებდა და რომლის ნანგრევებზე აღმოცენდა სახელმწიფო?

ენგელსი იროკუზების გვარის აღწერას ამთავრებს საგვარეულო წყობილების შემდეგი დაბასიათებით: „რა საკვირველი ორგანიზაციაა მთელი თავისი უბრალოებით ეს საგვარეულო წყობილება. უჯარისკაცოდ, უქანდარმოდ და უპოლიციელოდ, უახნაუროდ, უმეფოდ, და უმსაჯულოდ, უციხოდ და უპროცესოდ, ყველაფერი მიმდინარეობს ერთხელ შემოღებული წესით. ყოველგვარ უთანხმოებას და შეჯახებას აგვარებენ ერთად ისინი, ვისაც ეს ეხება: გვარი თუ ტომი ან ცალკე გვარები თავიანთ შორის. მხოლოდ როგორც უკიდურესს საშუალებას, იშვიათ შემთხვევაში, მიმართავენ სისხლის აღებას... მიუხედავად იმისა, რომ საერთო საქმეები გაცილებით მეტია, ვიდრე დღეს, არ სჭირდებათ მმართველობის დღევანდელი რთული და ვრცლად განსტოვებული აპარატის ნასახიცი კი,

დაინტერესებული პირები თვითონ სწყვეტენ ყველაფერს, უმეტეს შემთხვევაში კი აწესრიგებს თვითმკურნალებით განმტკიცებული ადათი“ (გვ. 87. ხაზი ჩემია გ. ს.)

ძნელი არ არის განსხვავების დანახვა ენგელსის მიერ აქ აღწერილ საგვარეულო წყობილების და კაუტსკის შემოდ მოყვანილ საგვარეულო და სათემო-საკლანო გაერთიანებათა შორის. შმართველობის ის რთული აპარატი თავისი მოხელეებით, კანონებით და პროცესებით, რომლითაც, ენგელსის აზრით, სახელმწიფო განსხვავდება საგვარეულო საზოგადოებისაგან, კაუტსკით უკანასკნელში მოცემულია. (აღსანიშნავია, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ ხელისუფლების დაყოფა: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად, კაუტსკის აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების თანდაყოლილ, აუცილებელ თვისებას წარმოადგენს).

შემდეგ, კაუტსკით: ეკონომიურად ძლიერი კლასი დაეუფლება იმ ორგანოებს, რომელნიც მზად არიან საგვარეულო საზოგადოებაში. ენგელსით: სახელმწიფოს წარმოშობის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს ათინის სახელმწიფოს წარმოშობა. ეს არის „წმინდა, ყველაზე უფრო კლასიკური ფორმა: აქ სახელმწიფო წარმოიშობა უშუალოდ და განსაკუთრებით შიგნით თვით საგვარეულო საზოგადოებაში განვითარებულ კლასობრივ წინააღმდეგობისაგან“ (გვ. 153). ენგელსიც, თ. „ათინის სახელმწიფოს წარმოშობა“-ში გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო აღმოცენდა და ვითარდებოდა საგვარეულო საზოგადოების ორგანოთა ახალი ორგანოებით სახელმწიფოს ორგანოებით სრული შეცვლის გზით. იწყება რა მეზობელ ტომთა ერთ მთლიან ხალხში გაერთიანებით და ათინაში შესაფერის ორგანოს, „ცენტრალურ მთავრობის“ დაწესებით. ათინელების საგვარეულო წყობილების დაშლა მთავრდება ამ წყობილების ყველა ორგანოთა თანდათან გაუქმებით. „საგვარეულო წყობილების ორგანოები განდევნილნი იქმნენ საზოგადოებრივ ასპარეზიდან. ისინი გადაშენდნენ კერძო ხასიათის კავშირებში და რელიგიურ აზნანგობებში“ (გვ. 106). გაუქმებულ ძველ ორგანოების მაგივრად წარმოიშვენ ახლები, სრულიად საწინააღმდეგო დაწესებულებანი (უფრო სწორად: ძველი ორგანოების გაუქმებას იწყებს ახალი საწინააღმდეგო ორგანოების წარმოშობა). „მთელი საგვარეულო წყობილება იქცევა თავის წინააღმდეგობად“ (გვ. 140). „ახალი ჯგუფები... ქმნიან ახალ ორგანოებს თავიანთი ინტერესების დასაცავად“ (გვ. 102). „ათინელებში თავის სახელმწიფოსთან ერთად დააწესეს პოლიციაც, ნამდვილი ქანდარმერიაც“ (გვ. 107).

ყველა შემოდ მოყვანილი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება იმას; რასაც კაუტსკი აწერს მარქსს და ენგელსს. შეიძლებაოდა კიდევ მეტი ციტატების მოყვანა, შეიძლება მოვიყვანოთ მთელი მე-5-ე თავი: „ათინის სახელმწიფოს წარმოშობა“, იმის დასამტკიცებლად, რომ აქ — ათინაში — „სახელმწიფოს წარმოშობის ტიპიურ მაგალითში სახელმწიფო აღმოცენდა არა საგვარეულო საზოგადოების ორგანოების სახელმწიფო ორგანოებად გადაქცევით. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ციტატას თ. „ბარბაროსობა და ცივილიზაცია“-დან. ენგელსი აქ, უკეთეს

რა რეზიუმეს თავის გამოკვლევას, განხილვებით ხაზს უსვამს ყოველგვარ მოვლას, რომ საგვარეულო წყობილების მოთხოვნილებების და ინტერესების გვერდით ახალი მოთხოვნილებების და ინტერესების წარმოშობა „მოთხოვნიდა ახალ ორგანოებს“. „ეს ორგანოები აღმოცენებულ უნდა ყოფილიყვნენ საგვარეულო ორგანოების გარეშად, მისი გვერდით, მასთან ერთად, მის წინააღმდეგ“ (გვ. 152).

ვგონებთ, საკმარისია, კაუტსკის მიერ „მარქსის თეორია სახელმწიფოს შესახებ კუნოვის გაშუქებით“—ში მოცემული „სახელმწიფოს მარქსისტული ვაგება“ სრულებით არ არის მარქსის და ენგელსის სახელმწიფოს წარმოშობაზე შეხედულების „სწორი გადმოცემა“. პირიქით, სახელმწიფოს წარმოშობის მარქსისტული თეორია აქ სრულიად „შესწორებული“ და დამახინჯებულია. კაუტსკის გადმოცემით სახელმწიფო წარმოიშობა საგვარეულო საზოგადოების ორგანოების უშუალოდ სახელმწიფოს ორგანოებად გადაქცევით. გეონომიურად ძლიერი კლასი დაეპატრონება საგვარეულო საზოგადოებაში სრულიად მზამხარეულად მოცემულ აპარატს. უკანასკნელი არამც თუ არ ინგრევა, არ ხდება მასში არაერთი ცვლილება. „გარდაქმნაც“ კი, ამ აპარატის წინაშე მხოლოდ „ახალი ამოცანები“ ისმება. საგვარეულო წყობილების აპარატი გაპატონებულ კლასის ხელში უკანასკნელის ინტერესის სადარაჯოზე—აი სახელმწიფოც.

განა დიდი მანძილია აქედან სახელმწიფო აპარატის „დაპყრობის“, „დემოკრატიულად გარდაქმნის“ თეორიამდე?

როგორც ვხედავთ, სახელმწიფოს მარქსისტულ თეორიაში პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის დამახინჯება „დასაბუთებულია“ სახელმწიფოს წარმოშობის ისტორიულ ანალიზითაც. პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში მარქსის და ენგელსის „შესწორებასთან“ „შეთანხმებულია“ უკანასკნელია შეხედულება სახელმწიფოს წარმოშობაზეც...

საინტერესოა, ქონდა თუ არა სადმე ადგილი სახელმწიფოს წარმოშობას იმ სახით, როგორც ამას კაუტსკი გადმოგვცემს, ე. ი. საგვარეულო საზოგადოების ორგანოების უშუალოდ სახელმწიფო ორგანოებად გადაქცევის გზით, და თუ ქონდა, სად და რა პირობებში?

ენგელსის გადმოცემით ამ გზით სახელმწიფო წარმოიშვა გერმანელებში. უკანასკნელებში საგვარეულო წყობილების ორგანოები მართლაც გადაიქცევიან უშუალოდ სახელმწიფო ორგანოებად. სახელმწიფოს წარმოშობა გერმანელებში მიმდინარეობდა მართლაც ისე, როგორც ამას მარქსის და ენგელსის სახელით გადმოგვცემს კაუტსკი.

მაგრამ გერმანელებში სახელმწიფოს წარმოშობა, როგორც ვიცით, ენგელს არ მიიჩნია სახელმწიფოს წარმოშობის ტიპიურ მაგალითად. შეუძლებელია მისი განზოგადოება. ენგელსით გერმანელებში სახელმწიფო წარმოიშობა სხვისი ტერიტორიის (ტერიტორიის, სადაც უცუე არის სრულიად ჩამოყალიბებული სახელმწიფო ორგანიზაცია—გ. ს.) დაპყრობის უშუალო შედეგად. უკანასკნელ-

ზე ბატონობისათვის საგვარეულო წყობილება არ იძლევა არაფერსა და უშედეგობას. „საგვარეულო წყობილების ორგანოები ამიტომ უნდა გადაქცეულნი იყვნენ სახელმწიფო ორგანოებად და ამასთან, გარემოებათა ვაფლენით, ძალიან ჩქარა უნდა მოეხდინათ ეს გადაქცევა“ (გვ. 153, 137).

კაუტსკის სწორედ ეს აქვს განზოგადოებული, სახელმწიფოს წარმოშობა საზოგადოდ მას—წინააღმდეგ მარქსის და ენგელსისა—გამოყავს გერმანელების სახელმწიფოს წარმოშობის მთავალითიდან და ამასთან გვარწმუნებს, რომ ეს სახელმწიფოს მარქსისტული გაგებაა.

კაუტსკი სახელმწიფოს წარმოშობის თავის „მარქსისტულ გაგებას“ აშენებს მხოლოდ გერმანელების სახელმწიფოს წარმოშობის მთავალითზე. ეს ახალი ამბავი როდია. ამის პირველი ცდა კაუტსკიმ მოგვცა თავის ზემოდ დასახელებულ „სახელმწიფოს ფორმათა განვითარება“-ში. (ეს შრომა გამოცემულია სხვა სათაურებითაც) აქ კაუტსკი საგვარეულო წყობილების („ხალხის უშუალო კანონმდებლობის“) საფუძვლების და მის მოსპობის მიზეზების შესასწავლად მიმართავს გერმანელებს, როგორც ისინი აწერილი აქვთ ცუხარს და ტაციტს. საგვარეულო საზოგადოების არსებობა შესაძლებელია მანამდე, სანამ ადამიანი მოხეტიალე ან ნახევრად მოხეტიალე მონადირე ან მწყემსია. იმის შემდეგ, რაც უკანასკნელი მობინადრე გლეხად იქცევა, მიემგრება მიწას, მდგომარეობა შეიცვლება: ომში მონაწილეობა გლეხისათვის ხელსაყრელი არაა, იგი „ყიდულობს თავის დამცველს“, გამოიყოფა ცალკე მემომართა ჯგუფი, სამხედრო კასტა. ამ ახალ კლასზე სამხედრო ბეგარასთან ერთად გადადის პოლიტიკური და სასამართლო ფუნქციებიც. ასე წარმოიშობა აზნაურთა—სამხედრო კასტის—პოლიტიკური ბატონობა. (7—14).

როგორც ვხედავთ, კაუტსკი ცდილობს მოგვიჩვენოს, რომ საგვარეულო წყობილების სახელმწიფო წყობილებაზე გადასვლა გერმანელებში მოხდა შინაგანი აუცილებლობით, მაშინ როდესაც მან კარგად იცის, რომ ენგელსით გერმანელების სახელმწიფო აღმოცენდა, როგორც ორგანიზაცია დაპყრობილ ტერიტორიაზე გასაბატონებლად (იხ. ზემოდ).

რა საბუთები მოყავს კაუტსკის ენგელსის წინააღმდეგ თავისი დებულების დასადასტურებლად?—სრულიად არაფერი, არც ერთი ფაქტი ისტორიიდან. გერმანელებში კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის ახსნა შინაგანი აუცილებლობით შეუძლებელიც არის და, რაც მთავარია, კაუტსკი სრულებით არ არის ამით დაინტერესებული. რამდენად იგი ჯერ კიდევ არ ფიქრობს მარქსიზმთან აშკარად კავშირის გაწყვეტას, გვიჩვენებს სახეს, რომ სახელმწიფოს წარმოშობა გამოყავს შიგნით საგვარეულოს საზოგადოებაში განვითარებულ კლასობრივ წინააღმდეგობებისგან. ნამდვილად კი კაუტსკის სახეში აქვს გერმანელებში კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის მთავალითი იმ სახით, როგორც ამას სინამდვილეში ქონდა ადგილი და როგორც ამას ენგელსიც მოგვითხროს. რომ ეს ასეა ეს სხვათაშორის, სწანს შემდეგიდანაც: კაუტსკი, უკეთებს რა რეზიუმეს სამხედრო კასტის აღმოცენის ეკონომიურ პირობებს, ამბობს: „ეს უკანასკნელი (ე. ი. სამხედრო კასტა.—გ. ს.) იმ ისტორიულ პირობის მიხედვით, რომელშიაც ის

წარმოიშვა, ლებულობს სხვადასხვა სახეს: ეს იყო ტომის, გერმანული წესები ახ სხვა თანამდებობის პირნი თავიანთი დაშტრით (дружинники) და მოსამსახურეებით, და ამ პირთაგან წარმოიშვა სამხედრო აზნაურობა, ან და ეს იყო შემოჭრილი განსაკუთრებული ბარბაროსული ტომი, რომელმაც მიიღო თავის თავზე აზნაურობის ყველა ფუნქციები და პრივილეგიები, ან და ეს იყო დაქირაებული ბრძო, და ასე ამ გვარად“ (გვ. 10).

კატუსკი აქ გარკვევით მიგვითითებს სამხედრო კასტის, როგორც გამატონებული კლასის წარმომადგენელ ერთ შემთხვევაზე: ეს არის დამპყრობელი ტომი. გამატონებულ კლასის წარმომადგენელი დანარჩენი შესაძლებელი შემთხვევათ, გვეს ვარაუდ, დაკავშირებულია ერთი ტომის მიერ მეორეს დაპყრობასთან, ვინაიდან, როგორც ენგელსი გვიჩვენებს, ტომის უფროსთა ან სხვა თანამდებობის პირთა (თუ დაქირაებულ ბრძოლს) ხელისუფლების გაძლიერება მოითხოვა დაპყრობილ ადგილების გარედ და შიგნით უშიშროებამ, დაპყრობილ ადგილებზე ბატონობის ორგანიზაციის აუცილებლობამ. უკანასკნელი იწვევს ტომის უფროსის, სამხედრო ხელმძღვანელის სამეფო ხელისუფლებად გადაქცევას (ერ. გვ. 137).

ამის გარდა, თუ კატუსკის სახელმწიფო წარმომადგენლობა გამოყავს მართლაც საგვარეულო საზოგადოებაში შიგნით აღმოცენებულ კლასობრივ წინააღმდეგობებისაგან, რად უნდა მიემართა გერმანელებს და არა ათინის მაგალითისათვის როცა კარგად იცოდა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლობა ამ საბით ადგილი ქონდა ათინაში და არა გერმანელებში?

ცხადია, რომ კლასობრივი ბატონობის, სახელმწიფოს აღმოცენების ერთადერთ წყაროდ კატუსკის (თავიდან) ერთი ტომის მიერ მეორე ტომის დაპყრობა მიიჩნია. „სახელმწიფოს ფორმითა განვითარება“-ში სწორედ ამის წამოყენების კლასთან გვაქვს საქმე...



სახელმწიფოს წარმომადგენლობის საკითხში კატუსკის ენგელსისაგან დამოკიდებულებაზე მიუთითებს რუსეთში ცნობილი მარქსის რენევატი, დღეს უკვე ტიპიური ბურჟუაზიული მეცნიერი—პროფესორი მაგაზინერიც („Общее учение о государстве“ გვ. 1922 წ. გვ. 30—31). ჩვენთვის აქ საინტერესოა მაგაზინერის დამოკიდებულება ენგელსის სახელმწიფოს წარმომადგენლობის თეორიის და ამ თეორიის კატუსკის „შესწორებისადმი“. მოვიყვანოთ მაგაზინერის დასახელებულ შრომიდან შესაფერის ადგილებს.

„ახალ საზოგადოებაში—გადმოცემის მაგაზინერი სახელმწიფოს წარმომადგენლობის შესახებ ენგელსის მოძღვრებას—იმის გამო, რომ ცხოვრება გართულდა და საზოგადოება დაიყო ფენებად, რომელთაც სხვადასხვა ინტერესები აქვთ, შეიქმნა საპირობა სრულიად ახალი დაწესებულებების, რომელთაც უნდა შეეცვალებათ საგვარეულო წყობილების ორგანიზები, რომელნიც შექმნილი იყვნენ ცხოვრების პრინციპიალურად სულ სხვა პირობების მიერ და შეეფერებოდნენ საზოგადოების სულ სხვა გვარ ფორმებს“ (გვ. 29). „ახალი წესრიგის (კლასიფი-

რი საზოგადოების წესრიგის. გ. ს.) დასაცავად საგვარეულებში მისი წარმომადგენლები არ იყვნენ მომარჯვებულნი, ისინი შესცვალა სახელმწიფომ“ (გვ. 32).

როგორც ვხედავთ, მაგაზინერი ენგელსს აქ სწორად გადმოგვცემს. საგვარეულო საზოგადოების ორგანოები კი არ „გადადიან გაბატონებულ კლასის ხელში“, ისინი არ გარდაიქმნებიან, არ „გადაიქცევიან“ სახელმწიფო ორგანოდ, როგორც ეს კაუტსკის ჰგონია... მაგრამ საკვირველი აი რა არის: სწორედ ამ პუნქტში მაგაზინერი აღმოაჩენს „ხარვეზს ენგელსის მოძღვრებაში“.

„ეს თეორია—ამბობს მაგაზინერი—სინამდვილეში უფლის გვერდს სახელმწიფოს წარმოშობაში უმთავრესს მომენტს: მას აქვია გამოკვლევა იმ გარდამავალ ხანის, რომელიც აერთიანებს საგვარეულო და ტერიტორიალურ ხელისუფლებას. გამოდის რომ ჩვეულებრივად სახელმწიფო ხელისუფლება არ იყო დაკავშირებული არავითარი მონაცვალეობით საგვარეულო ხელისუფლებასთან, რომ უკანასკნელი ნელა ქრებოდა მაშინ, როცა სახელმწიფო ხელისუფლება წარმოიშობოდა და იფურქვნიებოდა. მაგრამ ამასთან თვითონ ენგელსიც აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ქვეყნებში სახელმწიფო ხელისუფლება წარმოიშობოდა საგვარეულო ხელისუფლების გარდაქმნით. მაგრამ ეს მითითებაც რომ არ იყოს, ამ ორი ხელისუფლებას შორის უნდა ყოფილიყო სამხედრო, სამეურნეო და სხვა ფუნქციითა მონაცვლეობა. ეს საკითხი კი ენგელსს სრულიად გამოურკვეველად აქვს დატოვებული“ (გვ. 35—36. ხაზი ავტორისა).

სწორედ ენგელსის ამ „ხარვეზს“ ავსებს კაუტსკი სახელმწიფოს წარმოშობის თავის თეორიით. სწორედ ეს „გარდამავალი ხანა“, ყოველგვარი „მონაცვალეობით“ კავშირის უარყოფა საგვარეულო ორგანიზაციის და სახელმწიფოს შორის, უარყოფა საგვარეულო საზოგადოების ორგანოთა უშუალოდ სახელმწიფოს ორგანობად გარდაქმნის, აი უმნიშვნელოვანესი მომენტი სახელმწიფოს წარმოშობის მარქსისტულ თეორიაში, მომენტი, რომლის „შესწორებისათვის“ ასე გულმოდგინედ მუშაობს, ერთის მხრივ, კაუტსკი და, მეორეს მხრივ, ბურჟუაზიული პროფესორი მაგაზინერი...

ის უურადღება, რომელიც სახელმწიფოს მარქსისტულ მოძღვრებაში ზემოდ აღნიშნულ მომენტს ექცევა დასახელებული ავტორების მიერ, გასაგები ხდება, როცა ვაევაგრძელებთ მაგაზინერის წიგნიდან ზემოდ მოყვანილ ციტატას: „მიზეზი ასეთი ხარვეზისა ენგელსის მოძღვრებაში მდგომარეობს იმაში, რომ გადაჭარბებულია ძალიანობაზე დაფუძნებულ სახელმწიფოს, როგორც წესრიგის დამცველის, პოლიციური ფუნქციები“ (გვ. 36. ხაზი ავტორ.). სახელმწიფოს პოლიციური ფუნქციების გადაჭარბებაში ენგელსს ბრალს სდებს კაუტსკიც. დღეს იგი აშკარად ამბობს, რომ ამ საკითხში „ენგელსი უშეუბნებელია“ („ისტ. მატ. ვაგ.“—70). არსებითად ამას ამბობს იგი თავის „საზოგადოებრივ რეფორმებ“-ში (რუს. თარგმანი 1905 წ.). პოლიცია, ბიუროკრატია არაა დაკავშირებული სახელმწიფოს წარმოშობასთან. სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ ბიუროკრატია კიდევ დიდ ხანს არ განვითარებულა: „არ შეიძლებოდა კლასობრივი წინააღმდეგობის იმდენად გამწვავება, რომ დაჩაგრულ კლასში გაედგა ფესვი ღრმად არსებული წესწყობილების

დამხობის აზრს“. ამიტომ „დაჩაგრულ კლასების მოძრაობათა ჩასაქრობი საშუალებაც შედარებით უმნიშვნელო იყო. ბიუროკრატია არ არსებობდა, ყოველ შემთხვევაში იქ სადაც კლასიური ბრძოლა მიმდინარეობდა მეტად ენერგიულად. რომის სახელმწიფოში, მაგ. ბიუროკრატია განვითარდა მხოლოდ იმპერატორების ხანაში“ და სხ. (გვ. 22—23 ხაზი ჩემია გ. ს.) ამავე აზრისაა კატეხეი „სახელმწიფოს ფორმათა განვითარებაშიც“: ხალხის თავისუფლება არ ქრება მთლად სასულიერო წოდების და აზნაურთა ბატონობის პერიოდში, რჩება რა ბიუროკრატიულ სახელმწიფოს წარმოშობამდე, მხოლოდ თავისუფლების არე მცირდება“ და სხვ. (გვ. 12—13).

აი რაშია თურმე საქმე. სახელმწიფოს „პოლიციური ფუნქციის“ მიჩქმალვა, სახელმწიფოს გამოყვანა „მთელი საზოგადოების ორგანოდ“, სახელმწიფოს კლასიური ბუნების მის „საზოგადოებრივი ბუნებით“ დაფარვა,—აი რა უახლოებს ერთმანეთს მარქსიზმის ყველა ჯგუფის „შემსწორებლებს“...

ყველა ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, აშკარაა შემდეგი: კატეხეი დაშორდა მარქსიზმს (ვგულისხმობთ „ისტ. მატ. გავ.“-ს დაწერამდე) არამც თუ პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში, მან გაათახსირა სახელმწიფოს მარქსისტული მოძღვრება არამც თუ ამ მართლაც უმნიშვნელოვანეს პუნქტში, ცენტრალურ საკითხში,—მან დაამახინჯა სახელმწიფოს მარქსისტული მოძღვრება სახელმწიფოს წარმოშობის საკითხშიაც. და ამ საკითხშიც, როგორც საერთოდ დანარჩენ საკითხებში, კატეხეი თავი ამოყო ბურჟუაზიულ იდეოლოგიების კალთაში.



ლიერო ნერსისის სახელობის სემინარიაში, საიდანაც უკვე გამოდის კლასების დამთავრების შემდეგ იგი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ხოლო უკანასკნელის დამთავრების შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, სახელდობრ მის სომხურ-ქართული ფილოლოგიის დარგზე, სადაც განსაკუთრებით შეუდგა მუშაობას პროფ. ნ. შარის ხელმძღვანელობით.

ვაჰანს ეს დარგი ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, როდესაც რუსეთის დიდი რევოლუცია დაიწყო, ჯერ თებერვლისა და შემდეგ ოქტომბრისაც და იგი, ვითარცა ერთ-ერთი გამოწვეული სომეხ კომუნისტთაგანი, მიწვეულ იქნა სომხურ ეროვნულ საქმეთა კონსულტანტად ეროვნებათა სახალხო კომისარიატთან.

ვაჰანის ამ დროის მოღვაწეობის ერთ-ერთ ნაყოფთაგანად ითვლება სომხეთის შესახებ ლენინისა და ჯულაშვილი-სტალინის ხელისშეწყობით გამოქვეყნებული დეკრეტის პროექტის შედგენა (ამის შესახებ იხ. პ. შაკინციანის წერილი: „ლენინი და სომეხთა საკითხი. მასალები და ნოტები“, სომხურად, — ერნ. „ნოტკ“ № 5-6, 1925 წ. გვ. 406—418; აგრეთვე ვ. ტერიანის „თხზულებათა კრებული“, პ. შაკინციანის რედაქციით, ტ. IV, ერევ. 1925, გვ. 392—411), თუმცა ბ. ბორიანი თავის ახლად გამოცემულ ნაშრომში (Армения, международная дипломатия и СССР, ч. II, М.—П. 1929, გვ. 260, შენ. 2) ამას თითქოს უარყოფს და დეკრეტის შედგენისა და გამოქვეყნების საქმეს ს. შაჰმიანს მიაწერს¹⁾.

ტუბერკულოზის ნიშნები ვაჰანის სხეულში დიდი ხანია, რაც დამკვიდრებულიყო, მაგრამ 1916—1917 წლებში იგი ცხადად გამოაშკარავდა. სამოქალაქო ომმა რ. ომის წყალობით ჩრდილო კავკასიაში მყოფ ცოლ-შვილთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტამ უფრო და უფრო გაართულა ავადმყოფის მდგომარეობა. იგი იძულებული იყო თავი გაენებებია ყოველგვარი მუშაობისათვის ცენტრში და გამგზავრებულიყო შორეულ თურქესტანში, ხოლო აქიდან ჯერ სარატოვსა, შემდეგ კი ორენბურგში, სადაც გარდაიცვალა.

* *

ვაჰან ტერიანი პირველად გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე 1908 წელს გამოცემული ლექსთა კრებით, რომელშიაც მოთავსებული იყო 1903—1908 წელთა განმავლობაში შეთხზული ლექსები. მასასადამე, მისი სალიტერატურო მოღვაწეობის დასაწყის მომენტად 1903 წელი შეგვიძლია მივიჩნიოთ.

¹⁾ „Макицян ... проект приписывает г. Тарьяну, одновременно указывая, что с первоначальной стадия разработки вопроса принимал участие и г. Лукаши, по фактическим проводникам, по мнению г. Макицяна, был г. Тарьян. Нам известно кое-что другое. Но еще не наступил момент озвещения этого вопроса. Однако следует отметить, что утверждение г. Макицяна и письмо г. Тарьяна не совсем соответствуют действительности: в этом вопросе покойный Шаумян играл решающую роль“.

ხოლო 1903—1920 წელთა განმავლობაში მისი სალიტერატურო მსახურება უმთავრესად გამოიხატებოდა სამი მიმართულებით: 1) პოეტური შემოქმედებით, 2) პუბლიცისტური ხასიათის წერილების გამოქვეყნებით სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში, და 3) სხვადასხვა უცხო ავტორთა ნაწარმოებების გადმოთარგმნით სომხურად.

ვ. ტერიანის თხზულებათა სრული კრებული გამოცემულია სომხეთის სახელგამის მიერ და პ. მაკინციანის რედაქტორობით, 4 ტომად, რომლებსაც დართული აქვს რედაქტორის მიერ შედგენილი განსვენებული პოეტის ვრცელი ბიოგრაფია და მისივე შემოქმედების ზოგადი დახასიათება (I—III ტომები კონსტანტინეპოლს 1923—1924 წლებში, ხოლო IV ტომი ერევანს 1925 წელს), გამოცემა სავსებით შეცნიერულია, ვარიანტების აღნიშვნითა და საჭირო სქოლიოებისა და ალფაბეტურ საძიებელთა თანადართვით.

ამ, ნამდვილად აკადემიურ, გამოცემაში ვ. ტერიანის შემოქმედება განაწილებულია შემდეგნაირად:

პირველ ტომში მოთავსებულია 1903—1908 წელთა განმავლობაში დაწერილ ლექსთა კრებული სათაურით „ბინდის სიზმრები“ (77 ლექსი);

მეორეში — 1908—1911 წელს დაწერილ ლექსთა კრებულები შემდეგი სათაურებით: „ღამე და მოგონებანი“ (41 ლექსი), „ოქროს ზღაპარი“ (50 ლექსი) და „დაბრუნება“ (2 ლექსი);

მესამეში — შემდეგ დროში დაწერილ ლექსთა კრებულები შემდეგი სათაურებით: „ოქროს ჯაჭვი“ (54 ლექსი), „კატის სამოთხე“ (6 ლექსი), „ნაირის ქვეყანა“ (17 ლექსი), „უკანასკნელი მოკავშირე“ (11 ლექსი) და თარგმანები: ოსკარ უალდის „სალომე“, ვალერი ბრიუსოვის 10 ლექსი, შარლ ბოდლერის პატარა პოემები პროზად, სულ 25, და ზოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ თავნართი; ხოლო

მეოთხეში — შავად დარჩენილი და დაუსრულებელი ნაწარმოებები, მათ შორის 60 ორიგინალური ლექსი და თარგმნითი ცდანი ფ. სოლოგუბიდან 7, პოლ ვერლენის „შემოდგომის სიმღერის“ 6 ნაირი ცდა, აკაკი წერეთლიდან 4 ლექსი („ერთი ვინმე კინტო ვარ“ კომედიიდან „კინტო“) ¹⁾ პ. ჰაინეიდან 5 ნაწყვეტი; აგრეთვე მთელი რიგი კორესპონდენციებისა, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა გაზეთებში იყო მოთავსებული, მათ შორის წერილი სათაურით „აკაკი წერეთელი მოსკოვში“, რამდენიმე რეცენზია, წმიდა პუბლიცისტური და პოლიტიკური ხასიათის წერილები, როგორცაა: „რას ეუბნებოდა გლეხებს ლენინი“ და ცნობილი „Докладная записка о Турецкой Армении“.

ვ. ტერიანის მხატვრული ნაწარმოებების შეფასების დროს უთუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ განსვენებულმა მგოსანმა თავისი სალიტერატურო მოღვაწეობა დაიწყო შავბნელ დროს — რუსეთის პირველ რევოლიუციამდე, უმთავრესად კი მას უხდებოდა წერა ამ რევოლიუციის დამარცხების შემდეგ საშინელი რეაქციის ხანას. ამ შავბნელმა დრომ, როგორც ეტყობა,

¹⁾ კინტო, სამ-შოქმედებანი კომედია-ზეზობი აკაკისა, — აკაკის „კრებული“, 1889 წ. № VII, გვ. 70—71.

წარუხოცელი კვალი დასტოვა ვ. ტერიანის მოღვაწეობაში. 1917 წლამდე საეხეპრე პენსიონატში-მისტიკური ჰანგებით.

„სამშობლო მხარის ენის ზეგავლენა, — ამბობს პ. მაკინციანი (ტ. I, გვ. XII—XIII). — მოსნის თვითგანვითარების პროცესში თანდათანობით სუსტდება და ბოლო წლებში ნაწერებში სავსებით ქრება. იგი, ცხოვრობს რა მოსკოვსა და პეტერბურგში და ამ ხანაშივე ნახულობს რა ერევანს, ახალ-ახალ შთაბეჭდილებებს ღებულობს, და მისი პოეზიის პეიზაჟიც შესაფერისად მდიდრდება სულ ახალი და ახალი სურათებით. ამგვარად სამშობლოს ბუნების ზეგავლენა და მისი გამოსახულობაც თანდათანობით ისპობა. ერთადერთმა თვისებამ, რომელიც მას შემკვიდრობით გამოჰყვა ოჯახიდან, შეუპოვრად იცოცხლა მასში ბოლომდე. ეგ — ტერიანის მისტიკური მიდრეკილებაა, მისი სულისკვეთების გარკვეული მორწმუნეობრივი ელფერი“. და მართლაც, პოეტის ენას, მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე. არ სცილდება ისეთი ამბები, როგორცაა „ლოცვა“, „ტაძარი“, „ღმერთი“, „სანთელი“, „ქანდელი“ და სხვა.

სენტრიმენტალური ჰანგებით აღბეჭდილი ვ. ტერიანის პოეზია თანდათანობით განიცდის მრავალნაირ ზეგავლენას: „ნაციონალიზმის“, „მეწიანობის“ და სხვას. ხოლო უკანასკნელ ხანებში იგი წმიდა წყლის ურბანისტია, და მისი შემოქმედების ობიექტებია ქალაქის ცხოვრება, და რევოლიუცია, კერძოდ მოსკოვ-პეტერბურგი, საბრძოლველად, საპრობლე, ტანჯვა, თავისუფლების დროშა, დამხობილი გვირგვინები, დემოკრატია, გაბრწყინილი ძველი ქვეყანა, ქუჩები, სასახლეები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დროს ვ. ტერიანი სხვადასხვა სომეხ და უცხო მწერალთა ზეგავლენას განიცდიდა. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია: სომეხ მწერალთაგან — აფ. ისაჰიანი, რუსთაგან — პუშკინი, ლერმონტოვი, ბარიატინსკი, ტუტტევი და ნადსონი. უკრაინელთაგან — ტარას შევჩენკო, ევროპიელთაგან — ბაჩრონი და შარლ ბოდლერი. იგივე სთარგმნის სომეხრად პ. ჰაინესი, ო. უალდის, პ. ვერლენის, ფ. სოლოგუბის, ვ. ბრიუსოვის და ა. წერეთლის შემოქმედების ზოგიერთ ნიმუშებს.



ტფილისის სომეხურ გაზეთ „შპაკ“-ის 1915 წლის 18 თებერვლის ნომერში (№ 35) დაბეჭდილ კორესპონდენციაში სათაურით „აკაკი წერეთელი მოსკოვში“ (პატარა მოგონება მისი ცხოვრებიდან) ვაჰან ტერიანი გულახდილად აღიარებს, თუ რამ აიძულა იგი გასცნობოდა ქართულ ლიტერატურას.

მოსკოველ ქართველთა მიერ მოწყობილ აკაკის შეხვედრას მეც დავესწარიო, გვიამბობს ვ. ტერიანი, და შემდეგ დასძენს: „ჩემს გვერდით მდგომმა ერთმა რუსმა ურნალისტმა მომმართა კითხვით, რით აიხსნებაო ასეთი უმაგალითო სიყვარული პოეტისადმი? — არ ვიცი!, ვუპასუხე მე და პირველად სიცოცხლეში ცუდად ვიგრძენ თავი ქართულის უცოდინარობის გამო, ვინაიდან მე ისიც კი არ ვიცოდი, თუ რა დაეწერა წერეთელს. რა უნდა მეპასუხა ინტერესმოყვარე რუსისათვის, რომელმაც იცოდა, რომ მე სომეხი ვარ, ხოლო დარწმუნებული

იყო, რომ მე კარვად უნდა მცნობოდა ქართველები? და ჩემი ნაცნობი რუსი მართალიც იყო, როდესაც ელოდა, რომ მე უფრო გაცნობილი ვიქნებოდი მარად ჩვენი მეზობელი და მახლობელი ერის ცხოვრებასა და ლიტერატურას. მაგრამ რამდენ სომეხს შეუძლია დაიკვებოს ამგვარი ცოდნითა? იხ. ვ. ტერიანის თხზულებათა კრებული, ტ. IV, გვ. 240-241).

თავის მოგონებებში ვაპან ტერიანის შესახებ აკადემიკოსი ნ. მარი („ნორკ“ № 1, 1922 წ., გვ. 120-126) დაწვრილებით მოგვითხრობს მის, ტერიანის, აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ყოფნისა და მუშაობის შესახებ. „როდესაც ტერიანი შეუდგა ჩემი ლექციების მოსმენას, — წერს ნ. მარი (გვ. 122), — იგი დამწყები სტუდენტი კი არ იყო, არამედ ფეტერანი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი და გარდა ამისა ლაზარაანთ ინსტიტუტში იყო აღზრდილი. მან საუცხოო ინტერესით ხელი მოჰკიდა ქართულის შესწავლას. ქართული ენის თავისებური გრამატიკის საფუძვლების ღრმად და უცდომელად შესათვისებლად მასწავლებლისათვის ამკარა და საიმედო საბუთის მოცემის შემდეგ ტერიანმა, სამწუხაროდ, მალე დაიწყო შეწყვეტით დასწრება ლექციებზე“ ავადმყოფობის გამო. „ქართული ენის შესამოწმებელ გამოცდაზე, — ამბობს ნ. მარი (ibid.), — მოულოდნელად და კადნიერად გამოცხადდა ტერიანი, რომლის მოსვლამ ამაღელვა მე უმთავრესად იმის გამო, რომ მას უფლება ჰქონდა ერთი წლით კიდევ გადაედო თვისი გამოცდა. მაგრამ იგი მოვიდა და მოითხოვა შემემოწმებია მისი ცოდნა, — ერთი რამ, რომელიც მოწინააღმდეგე იყო მისი დამარცხებისა, თუ რომ მხედველობაში მივიღებთ მის შეწყვეტილობით მეცადინეობას. მე ავრე მეგონა. გამოცდა, რომელზედაც გამოსაცდელი, წინააღმდეგ მოლოდინისა, ბრწყინვალედ გამარჯვებული წარმოდგა, გადაიქცა ხანგრძლივ საუბრად, რომლის შემდეგ მივაგინ იმ რწმენას, რომ საქმე მაქვს მეცნიერულად შემოქმედ მუშაკად გადასაქცევ, სავსებით ნიჭიერსა და საუცხოო მასალასთან“.

ნ. მარის რწმენით, ტერიანი მაინცადამაინც უფრო პოეტი იყო, ვიდრე მეცნიერი, ღ. ვინმე მესხი მელექსის: „შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გადართარგმნას მან ხელი მოჰკიდა როგორც პოეტმა; იგივე სრულიად უარყოფდა მიელო ის მეცნიერული გაშუქება [პოემისა], რომელშიაც იგი საკმაოდ მაინც ჩაყვირებული იყო.“

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ თავნართის თარგმანს, რომელიც პირველად გამოქვეყნებულ იქნა ჟურნალ „ნორკ“-ში (1922 წ., № 1, გვ. 117-119) და შემდეგ გადაიბეჭდა განსვენებული პოეტის თხზულებათა კრებულში (ტ. III, გვ. 263-264), ამაზე აკად. ნ. მარი ამბობს შემდეგს: „ნაწყვეტის სომხურ თარგმანში რაღაც მიმზიდველობა მოჩანს, და იგია, რომ კითხვის დროს მაცოფრობას ჰქმნის, თითქოს ტერიანი კი არ მგონობს სომხურად, არამედ თვით შოთა. და რისგან მომდინარეობს ეს? იქიდან, რომ ტერიანი კონგენიალურია შოთასი, თუ ორივე პოეტის საზოგადოებრივი იდეალების სიახლოვისაგან? უკანასკნელის შესახებ ყოველ შემთხვევაში ლაპარაკი შეუძლებელია. უფრო კი იქიდან, რომ რუსთაველიცა და ტერიანიც ერთიდაიგივე ხორციელი პუნებით

არიან აღზრდილი თვისი უერადებით და სახიობითაც. ორთქვანულნი არ-
თიმეორისაგან საუკუნეებით დაშორებულნი, იმავე მესხთა ძველის შეიღები არი-
ან. რუსთავეიდან. რომელიც იმაჟამად მივარდნილი დაბაა, ათეული საათების,
ძლივ-ძლივობით ორი დღის სავალია ტერიანის საშობლო სოფლამდე“.

რამდენადაც გადაჭარბებული არ უნდა იყოს ასეთი შეფასება ვ. ტერი-
ანის ნიჭისა, განსვენებულა სომეხი მგოსნის პიროვნება, ყოველ შემთხვევაში,
ღირსია განსაკუთრებითი ყურადღებისა როგორც სომხური, ისე ქართული
საზოგადოებრიობის წმრივ ¹⁾.

¹⁾ იხ. სპეციალი ლიტერატურა ვაჰან ტერიანის შესახებ: პ. მაკინციანი, ვაჰან ტე-
რიანის სიკვდილი და გლოვა („ნორკ“ № 1, 1922 წ. გვ. 97—102); მისივე, როგორ დაი-
ბადა ვაჰან ტერიანში ანრი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გადათარგმნის შესახებ (ibid.
გვ. 114—116); ნ. შარი, ჩემი სტუდენტის ვ. ტერიანის ხსოვნას, „ვეფხისტყაოსნის“ გადა-
თარგმნის გამო (ibid., გვ. 120—126); არამ ტერ-გრიგორიანი, ვაჰან ტერიანი. სა-
ზეუბი და შემთხვევები („ნორკ“ № 5—6, 1925 წ., გვ. 117—164); ვაჰან ტერიანი. თხზულება-
თა კრებული, პ. მაკინციანის რედაქტორობით, ტ. I—III კოსტანტინეპოლს 1923—
1924, ტ. IV ერევანს 1925.

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

გვ.

1. გალაქტიონ ტაბიძე—პაციფიზმი	7
2. ელიზბარ პოდუშორდგინოვი—მთვარისა	32
3. პ. მ. ხაუცარელიძე—დაფანტული ფურცლები (გაგრძელება)	42
4. შირვანზადე—ეიგემოთ მშვიდობით	83
5. მათე ზალკა—Purgatorium	91
6. ერიხ-მარია-რემარკ—დასაუღეთის ფრონტი უცვლელია (გაგრძელება)	121

კრიტიკა, კუზლიცისტიკა და მემწიერება

7. ბენიკო ბუაჩიძე—ქართული მხატვრული მწერლობა 1929 წელს	149
8. სიმონ ზუნდაძე—გიორგი წერეთელი	174
9. გ. ხახელია—კაუტსკი სახელმწიფოს წარმოშობის მარქსისტული თეორიის შესახებ	205
10. ლეონ მელიქსეძე—ვაჰან ტერიანი	216